# ცისკარი

სამხატვრო- სალიტერატურო ჟურნალი **5** | 2000



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რამაზ კორშია.
ნატურმორტი

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

# ცისკარი

**5** | 2000

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გური ოტობაია
გივი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აბულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია და პროზა

3. გივი ალხაზიშვილი. ლექსები
8. ლადო მრელაშვილი. და შექმნა ღმერთმან კაცი... რომანი. გაგრძელება
54. გივი ჩიღუნაძე. ლექსები
56. ნიკო ყიფიანი. კუდი. მოთხრობა
61. ილია ბარამიძე. ლექსები

### დრო – მოწყდენილი შხამიან თასით

63. ავთო ნიქაბაძე. ფარაჯაზე მინაწერი ლოცვა

### ლიტერატურული მესხეთი

75. მესხეთი – მენაპირე ქვეყანა. ინტერვიუ თსუ ახალციხის ფილიალ რექტორ მერაბ ბერიძესთან
80. ავთანდილ ბერიძე; ვლადიმერ ველიჯანაშვილი; ნათელა მელიქიძე; მაყვალა დავითაძე; ბექა ჯანაშია; ავთანდილ ივანიძე, ცაულინა მალაზონია; დავით ფონიაშვილი; უჩა ღონღაძე; ელისო კეველიშვილი; მაია ქუქჩიშვილი; ნიკოლოზ ალელიშვილი; მამიკონ ფარმანიანი
86. შენ უჩემოდ როგორა სძლებ
88. ზვიად ბერიძე. გალავანი
101. ვარლამ კარაპეტოვი. იმედი
103. დურმიშხან ბერიძე. საიდუმლო ბჭობა
107. გივი ახვლედიანი. ავდივარ მაღლა ზენამდე

### ახალი თარგმანები

112. ხორხე ლუის ბორხესი. ჩესტერტონის გამო. თარგმნა მაკა ვარაზანაშვილმა

### წერილები

114. მარინე გიგაშვილი. „ეშმაკის მოსახვევი"
118. ხათუნა თავდგირიძე. კუპრზე ძე ბეწვის ხიდაი
120. ირაკლი შერღულაია. უძლები შვილი და „ყაჩაღები"
123. ელენე გოგიაშვილი. ზღაპარი – „მითოსის ნამსხვრევი"
126. თეა თავზერიძე. აკაკის სატირული ლექსები
128. მაკა სახურია. სევდიანი მზერა ევროპიდან
131. ნათელა ჩიტაური. ევროპელი ქართველის ხელმოუწერელი მეთაუ

### გამოთხოვება

135. ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის შემდეგ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლელა ფერაძე.
„ცოლ-ქმარი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გივი ალხაზიშვილი

## ხუთი ელეგია და სხვა

### ელეგია № 1

მე არ მეგონა, თუ უშენობა გააბრწყინებდა სინანულს თვალში
და უცაბედად შეცვლიდა ქუჩებს და შენელებულ ჩემს მოძრაობას
გააყოლებდნენ მზერას ფანჯრები და რომელიღაც სარკმლიდან ბავშვი
გამახსენებდა: – იმასვე ვეძებ, რასაც ეძებდა ყველა თაობა.

როგორ სცოდნია სინანულს სულის ისე ავსება თანდათანობით,
რომ უშენობა მექცა სიკეთედ, რომელმაც მკრთალი შუქი მომფინა,
იგი მიბმული არის ზედ გულზე სწორედ იმ ფესვით რაზეც ვნანობდი,
მან ამოაშრო ჩემში სიბნელე და მარტოობის დრო მამყოფინა.

ასე უჩუმრად გამოვცალკევდი, გამოვეყავი ცას და ქვეყანას
და თავისუფალ სივრცით აღსავსეს აღარ დამიძრავს კრინტი მას მერე,
იყო ქალაქი, სადღაც ჩემს ირგვლივ, სახურავები თავქვე ეყარა,
სადაც დაფრინავს მზერა ჩიტივით და გარინდების სიღრმეს ასვენებს.

თურმე ის სივრცეც საკმარისია, რომელიც ჩემგან აღმოცენდება,
რომ ფრენა-ფრენით შემოვუარო ჩემში არსებულ იმ სამფლობელოს,
დიდი ხანია, სადაც, არასდროს აღარ ღამდება, აღარც თენდება
და მემალები სადაც ყოველთვის, მონატრებულო ჩემო მშობელო.

მუდამ ვიქნები შენი მძებნელი და უმიზეზოდ, მბრწყინავ წვეთივით,
ათას სარკეში ავირეკლები, რომ სინანულის ძალა განახო,
აღარ მექნება შიში არაფრის, არც დასასრულის ბოლო წერტილის,
არც შენი, ჩემკენ ჩუმად დაძრულო გაურკვეველი დროის ბალახო.

ყველა ფანჯარა ცამ გადაყლაპა. ალბათ, თვალებსაც ამოაშრობენ.
დროის ქარები გასუსულები მაშინაც ქრიან, როცა არ ქრიან,
დღეს ამ ქალაქში დაეხეტება განცვიფრებული ჩემი ბავშვობა,
ქუჩის ბეტონი ბალახივით რომ თანდათანობით ამოანგრია.

გაცამტვერდება, დიახ, ყველაფერს გულმავიწყობა გააცამტვერებს
და მარტოობის ხსოვნა დროდადრო თავის უხილავ თვალს რომ აახელს,
შეკრებს მარცვლებად ღუმილს უძიროს და დაამწიფებს მერე ცა მტევნებს –
სიტყვებს, რომლებიც უბრუნდებიან გაურკვეველი დროის საწნახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელეგია №2

ჩემი აქ ყოფნით უშენობა უფრო მძაფრია,
უფრო იგრძნობა არსაითკენ დრო მიმავალი
ჩვენს უსახელო არსებობას იწოვს ძაბრივით
და გადაჰყივის ასწლეულებს, როგორც მამალი.

მეც აქ დამრჩება, წასვლის მერე რაღაც დამრჩება,
რაც შეაწუხებს შთამომავალს ანდა მოარჩენს,
ის განცვიფრდება, თუ მიჰყვება ნამდვილ არჩევანს
როცა სიტყვებში ძვლებჩატკეპნილ ბერს აღმოაჩენს.

იგი იქიდან ამოაღწევს, გადაედება
ქალაქს, ჰაერსაც და იმ სივრცეს, არ ჩანს თუმცაღა...
მე ლაგიძახებ, ჩემში ჩუმად თუ გათენდება,
როგორც ტოროლა, მზის ამოსვლას რომ დაუძახა.

რომ მძინარ ჰაერს ქრქოლასავით კვლავ დაუარო,
იმის დასტურად, რომ აქ არის, ვინც აქ ყოფილა,
ის, ვინც უარყო ყველაფერი და იუარა
და რაღაც დარჩა. რაც ამსოფლად ვერ იმყოფინა.

გაქლენთილია მათი სუნთქვით ეს ოთახები
და ერთდროულად ორი ქვეყნის მდუმარ ბინადრებს,
ისე უჩუმრად შეუძლიათ კარის გაღება
და ჩვენი ნახვა, უნებლიეთ თუ მოგვინატრეს,

რომ არც კი მიკვირს უმიზეზოდ კარის ჭრიალი,
ფანჯრის გაღება. უხმაურო რწევა ფარდების,
ღმერთო, ეს წუთი ისე ღრმა და ისე ჭრელია
რომ მის სიღრმეში შეუმჩნევლად გავიფანტები.

## ელეგია №3

ვიდრე სხვა წუთი ძლივსძლიობით შემკრებს ხელახლა,
რომ ჩემი სული ამ უდაბურ ქალაქს შეებას...
ეს რა სცოდნია საიდუმლოს გულში შენახვას,
ლამის თვალები გადამექცნენ მდინარეებად.

მშვიდი ჯაზივით ამ დუმილში რომ იბადები
ჰყვები რაღაცას გულისათვის მუდამ ახლობელს
და აკორდებით მოქსოვილი სივრცე ბადეა,
ბგერები სხვაგვარ არსებობას განაახლებენ.

უსიტყვო ყოფა ახლა უფრო ენაწყლიანობს,
ჩემგან თხოულობს დამუნჯებას თუ გარინდებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ღუმილი უკარნახებს ბგერებს: „პიანო!“
და მშვიდი მზერა ნაცნობ ფანჯრებს გაერიდება.

გარეთ ცხოვრება თავის თავში მოჩანს დახშული,
ყოველდღიურად აგრძელებენ იქ მოძრაობას
ერთი მიზნისთვის, რომ ვნებები იქცეს ნახშირად
და იქ წავიდნენ, სადაც მიდის ყველა თაობა.

მაგრამ სურვილი, რომ ცხოვრებას რამე წაღლიტონ –
კი არ შემცირდა, მგონი, უფრო გაიზრდებოდა,
ვაგზალთან მუნჯი მათხოვარი ყმუის ძაღლივით,
მეტყველ მოძმეებს დამცინავად უმზერს ზემოდან.

იგი საკუთარ სიმუნჯეში არის ჩაფლული,
თუ ესმის – მხოლოდ თავისივე სულის ნათება,
მისთვის უცხოა ხმა უხეში ან დათაფლული,
მოყაყანეებს უთქმელობით აღემატება.

## ელეგია №4

საღამო ქალაქს აცარიელებს,
ზეცა ივსება სამაგიეროდ,
სადაც მრავალი შუქი რიალებს,
შენ რომ გამოსცემ ღმერთო ძლიერო!

ქოთნის ყვავილი ისე იძინებს,
ის მიწიერი ძმაა ვარსკვლავის.
ბგერები, ცაში რომ შევიძინე,
გულშია სიტყვად გასანასკვავი.

გადის, არ გადის, ვერც კი მიხვდები,
დრო, თავის თავში რომ იკარგება,
ზიხარ, ღუმილი ისე გიხდება
და შენს ღუმილში რაც იქარგება,

რასაც „უცნობი“ ღმერთი გკარნახობს
არის ნაცნობი და ახლობელი,
შენ გინდა, ჰინმეს გული ანახო –
შენივე ვნების დამამხობელი.

## ელეგია №5

სივრცე, მტრედმა რომ გადაიფრინა,
რაღაცას ნიშნავს, მაგრამ არ ვიცი,
რას ამბობს თეთრი ფრთების ფარფატით,
რატომ ვიხსენებ ნოეს კიდობანს –
შემკრთალი მზერა რომ აღმოაჩენს
და უნებლიეთ გაეკიდება.

თვალიც ხომ შეძლებს, გადაიფრინოს
რაღაც მანძილი, თუმცა უფრთებოდ,
რომ დაინახოს, რაც ზედაპირზე
მოჩანს ყოველთვის ანდა ტივტივებს,
რატომ ვიხსენებ ნოეს კიდობანს,
და გადარჩენილ ხორბლის თავთავებს,

მზის სხივებივით რომ ამოცვენდა,
რადგან მარცვლებში მზე ჩამალული
ნახნავებიდან ამოვიდოდა,
რომ წაეშალა შავი ბელტები,
თითქოს ამ ძვლებზე გადაიარა
და შეგვამჩნია, რომ ჩვენც ვბერდებით,

თვალი მიწისკენ ისე გვიჭირავს,
თითქოს სხეულზე დადის ჯეჯილი,
რადგან მის ფესვებს, გულში ჩარჩენილს,
აღარ სურთ ყოფნა მხოლოდ ფესვებად,
როცა ვიხსენებ ნოეს კიდობანს,
თვალი ხმელეთით როცა მევსება.

ვერ მოისვენებს ხსოვნის მარცვალი
სიცოცხლეს ფესვით ჩაეჭიდება,
მერე აიწევს თითის წვერებზე,
რათა საკუთარ ზეცას შეხედოს
და დილის ნამით გაბრწყინებული
თვალის სარკმელში შემოეხეტოს.

რომ გაგვახსენოს, უფლის მოზელილ
სხეულს ყოველთვის სტანჯავს წყურვილი
მეტის შეცნობის თუ აღმოჩენის
და ძლივს იხსენებს ბებერ კიდობანს
სადაც თვალები – მწიფე მარცვლები –
თითქოს მტევანი ან აკიდოა.

სიცოცხლისათვის გადარჩენილმა
რომ სივრცეებში ერთხანს იფრინოს
და მოიბეზროს სუყველაფერი,
იგრძნოს ეს წუთი – ქვეყნის კიდეა
და სიკვდილის წინ მაინც ინატროს
დრო, რომ არ ყოფნის გადასარჩენად,
რომ ამ სოფელში რაღაც კიდევ,
ალბათ, რისთვისაც ღირდა დარჩენა.

## ის, ვინც ჩვენს მერე მოვა...

ის მაინც მოვა და ჩვენს გარეშე
შეაღებს კარს და იქ ჩამოჯდება,
სადაც სასტუმრო ოთახის კედლებს
ჯერ კიდევ ახსოვს ჩვენი ლანდები
და გარდასული ცხოვრების კვალი,
უნდა თუ არა, გაებლანდება
ბავშვურ თვალებში, სადაც ჯერ კიდევ,
ზოგჯერ გაკრთება სახე წინაპრის
ისე ცოცხლად, რომ მას ეგონება:
– ის არასოდეს არსად წასულა
და ახლაც მისი ხვნეშა მოისმის
კაბინეტიდან, სადაც ხანგრძლივად
იჯდა და ფურცლებს აშრიალებდა
და პარკს იქსოვდა ვით აბრეშუმის
ჭია, რომელიც მბზინავ ძაფებით
საკუთარ ადგილს შემოიფარგლავს,

რომ გამოეყოს ყველას თანდათან
და დააღწიოს თავი ამ ყოფას
და თავის სივრცე შემოიქსოვოს,
რომ საბოლოოდ იქცეს შრიალი
არა მხოლოდ ხმად, მბზინავ ნაკვთებად
და აბრეშუმის სივრცედ, რომელშიც
თანდათანობით ქსოვით ჩაკვდება.

ის გამოაღებს დახშულ ფანჯარას,
რომ შემოუშვას ხმები სიცოცხლის
და ლამპის შუქზე უფრო გამოჩნდეს,
რაც სინათლეში ხშირად არ მოჩანს,
მხოლოდ ბინდ-ბუნდში რომ მოიქსოვა
და ამავე დროს გულში აღმოჩნდა.
რომლის ამოთქმას შეძლებს ვერავინ,
თუნდაც გული რომ ამოაყოლოს,
დაიბადება დიდი სიჩუმე –
ყველაფრისა და ყოვლის დამტევი
და სინანულით განათებული
იელვებს, როგორც სარკის ნამტვრევი.

ის მოვა მაინც და ჩვენს გარეშე
დარჩენილ საგნებს თვალს მოატარებს
და გააგრძელებს იმ დროს, რომელიც
ჩვენ გავიარეთ თუ გავატარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ კარადაში რომ შეიხედავს
და აღმოაჩენს პაპის ხელნაწერს,
გადაიკითხავს მშვიდი თვალებით
და უნებლიეთ ჩემში შეაღწევს.

ჩემში, ვინც უკვე იქცა ჰაერად,
აწმყოდ, მომავლად, სივრცედ, საგნებად,
იგი მიხვდება, რომ უჩემოდაც
ამ ლაბირინთში გზას გააგნებდა.

თუმც სინანულით მაინც გახედავს
საღამოს ბინდში ჩაფლულ მთიანეთს
და აღმოაჩენს სულ უნებლიეთ,
სინანულია, რომ გვამთლიანებს.

* * *

„ვდიე და ვერ დავეწიე
დავჯე და მოვუცადეო“
*(ხალხური)*

რაც არ არის, ვერ იპოვნი, ვერ იპოვნი ვერასდროს,
მთავარია, მშვიდად იყო, ისევ დროს შეეზარდო.

ისე იქცე დროის წვეთად, შხეფად, თუნდაც შხეფებად,
რომ შეიგრძნო მზის სხივების ბრწყინვა, – ანუ შეხება.

გასაფრენად მუდამ მზად ხარ, თუმც სად უნდა გაფრინდე,
ვინც გაფრინდა, ყველა მოკლეს – ანუ ყველა დაბრიდეს.

ისევ შენში იმალები, მაგრამ იქაც მოგწყინდა,
ლარნაკში რომ ვარდი ყვავის, შენ იმ ვარდმა მოგწყვიტა.

ისევ იქით გაგახედა, სადაც, თითქოს მკვდარი დღე,
ასვენია ჰორიზონტთან და შენ კი თვალს არიდებ.

თვლემ ოთახში შეკეტილი – ნაღვლიანი უაზროდ,
თუ რამ დაგრჩა მოსასწრები, იანვარმა მოაზრო.

წახვიდოდი, მაგრამ, ვისთან?! ვერ იპოვნი ვერასდროს,
მთავარია, არ გაგიჟდე, ისევ დროს შეეზარდო.

დრო კი გადის, მაგრამ გადის?! მგონი – მოჩვენებითად,
რაც წარსულმა გაგახსენა, შენ იხსენებ ნებითაც.

არც ვინმესთან ყოფნა გინდა, გული აღარ მიგიწევს,
გეშინია ზეზეულად ტანი არ დაგიმიწდეს.

უნდა სცადო, რომ ამოძვრე ამ უქმური ხაროდან,
გაიხსენო, რომ სიცოცხლე ბავშვივით გიხაროდა.

მაგრამ... რაღა მაგრამ უნდა, ზიხარ შენთვის, ეწევი,
ცოტაც უნდა დაუცადო, რასაც ვერ დაეწევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლადო მრელაშვილი

## და შექმნა ღმერთმან კაცი

(რომანი)

* * *

ლევანას ცოლის სიკვდილი მაშინ უთხრეს, როცა რიყეში ოსკანოვის ბაკის კარი გადაკეტა, ზედ თავისი ფურგონი მიაგორა და ბარიკადივით გაამაგრა. მერე ფურგონს სარეკი გამოაძრო ხელში კეტივით დაიჭირა და გვარდიელების შემოსვლას დაელოდა. გვარდიელები კი უკვე უშვერად იგინებოდნენ და თოფის კონდახებით კარებს ამტვრევდნენ.

– არ მოგცემთ, არა! დედას გიტირებთ, აქ ბლომად შემოხვალთ, მაგრამ აქედან რამდენი გახვალთ, მაშინ დათვალეთ! – უკანასკნელი წყვილიღა დამრჩა, ცოცხალი თავით არ გაგატანთ!

კარი ირყეოდა, თანდათან შიგნით იწევდა და ზედ მიდგმულ ფურგონსაც უკან მოაგორებდა.

სად არ დამალა თავისი ცხენები ლევანამ, – ერთხელ მიყრუებულ ჩიხში, სახლის მეორე სართულზედაც არეკა, – დააბეზღეს, იპოვნეს, წაართვეს და წაიყვანეს; მეორედ ღვინის სარდაფში ჩარეკა, – აქაც დააბეზღეს, წაართვეს და წაიყვანეს; მესამედ მობილიზაციით წაიყვანეს... რაც ფული ჰქონდა, სულ შეალია, მაგრამ მაინც ვერც ერთხელ ვერ დაიბრუნა. ახლა კი, უგრომოდ დარჩენილმა, ყოვლად უსახსრომ, გადასწყვიტა, უკანასკნელი წყვილი ცხენი არავისთვის დაენებებინა!

გვარდიელებმა უკვე გაბზარეს რამდენიმე ფიცარი, რომ წაპწია, კოსტა, მიტრუა და სოლოღა უკანიდან ეცნენ, გააფთრებული მეეტლე ძლივს მოაშორეს იქაურობას და მტკვრის ნაპირ-ნაპირ, მეკურტნეთა ქუჩის ნახევარსარდაფში, მეჯინიბე ხეჩუასთან ჩაიყვანეს.

– რა დროს გაჯავრებაა, ლევანჯან, როცა თოფიანი კაცი კარებს გიკაკუნებს? ეხლა მამაშენი თევდორეც რო არ ადგეს, საიდან იცი, რო ახალ ლევანას არაფერს მააკლებს და ისევ შენნაირათ გააკეთამს? ჩეე, ტოო! ოსმალეთის ხონთქრობაც რო არ მამცეენ, – თოფის წინ რა დამაყენებს!

ლევანამ მხოლოდ ახლა შენიშნა ბნელ კუთხეში მიკუნჭული „ჯღარბი“.

– შენ აქ საიდან გასჩნდი, დათი?

პატარა, ხმელი, ცარიელი ძარღვი და ტყავი, ჭაღარა კაცი დამნაშავესავით შეიშმუშნა და ფეხზე წამოდგა.

– ფინთი ამბავი ჩამოგიტანე, ლევან, არ ვიცი, როგორ გითხრა. ძაან მერიდება, მაგრამ...

– თქვი. იმაზე უარესს რას მეტყვი, რაც ამ მოკლე ხანში გადამხდა.

– თინა აღარ არი, ლევან... გიორგიმ დამაბარა... ეტყობა, დეპეშა არ მიუვიდა და იმიტომ აქამდისინ ვერა გაიგო-რა, რო ამოტელა ხანია, არ ჩამოსულაო.

– რაო, ვინ დამაბარაო?

– გიორგიმ, – შენმა ბიძაშვილმა.

– რაო, რა მინდაო, გიორგიმ?

– თინა აღარ არიო?

– თინა? ვინ თინა?

– თინა, შენი ცოლი.

– ცოლი? ჩემი ცოლი თინა?

– ჰო, შენი ცოლი თინა, აღარ არი.

– როგორ თუ აღარ არი?

– წავიდა, აღარ არი.

– წავიდა? სად წავიდა?

– უფალთან. აღარ არი, – მოკვდა. ცოცხალი აღარ არი.

– რაებს მიჰქარავ, ჯღარბო, როგორ თუ მოკვდა?

– აბა, სხვანაირათ როგორ გითხრა, ძაან ავათ იყო და მოკვდა.

– ჩემი ცოლი მოკვდა?

– ჰო, შენი ცოლი, თინა მოკვდა.

– რამ მოკლა კაცო?! – დაიხრიალა ლევანამ.

– ტიფი შაჰხვდა. ვერ გადაარჩინეს. მოკვდა.

ლევანა სკამზე ჩაიკეცა. რამდენიმე წუთს

---

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ №3,4



იყო გარინდებული. მერე ჩავარდნილი ხმით იკითხა:

- ბალღები? ბალღები ვისთან არიან?

- დედასთან.

- დედასთან? ვინ დედასთან?

- თავის დედასთან, - თინასთან არიან. - გვიან თქვა ჯდარბმა.

- შენ ხო არ შეიშალე, ჯდარბო? დალაგებით მითხარ, სად არიან, ვისთან არიან.

- აბა, ამაზე კარგა როგორღა დაველაგო, - ისინიც დაიხოცნენ, ვერც ისინი გადაურჩნენ იმ ოხერ ტიფსა. დედასთან, - თინასთან ერთად დამარხეს ორთავე.

- ჰაიიიი! - დაიღრიალა უცებ ლევანამ და სკამიდან წამოვარდა.

ჯდარბი, როგორც კი მისი ფეხები იატაკს ასცილდა, ახრიალდა და შიშით კიდევ უფრო მოიკუნტა. მძლავრ ხელში ჩაბღუჯული საყელო უჭერდა და სულს უხუთავდა.

- რაებს მიჭარავ, შე მართლა ჯდარბო! სიცოცხლე ეგრე მოგძულდა?!

- რას შვრები ლევან! დაიხრჩო კაცი, სისხლი შამაასქდა ლოყებს! ხელში ეცა წაპწია.

ლევანა გონს მოეგო და საყელოს ხელი უშვა.

ჯდარბი იატაკს დაასკდა. ერთხანს იჯდა ეგრე მობღუნძული, შეშინებულ-გაოგნებული, მერე შეძრწუნებულმა შეავლო თვალი მეეტლის მარწუხივით მოკრუნჩხულ თითებს და ჩუმი ჩოჩვა-ჩოჩვით ისევ თავის კუთხეში მიიკუნჭა.

ლევანამ ყრუდ, ხმა თითქოს ყელიდან კი არა, პირდაპირ გულ-გვამიდან ამოდისო, ჩაილაპარაკა:

- ყველაფერი ჩამწარდა, წაპწი... ხედავ, სად მიყელა სიკვდილმა?.. ვირის ჩონჩორიკად აღარა ღირს ცხოვრება... ტყუილად არ დამსიზმრებია წუხელ ის წყეული ყვავი... საჯდომი ცხენი გამომიყვანე, ხეჩო, უნდა წავიდე. - მერე ჯიბეში მოაფათურა ხელი, ვერცხლის ხურდა სულ ამობღერტა და ჯდარბს ძალით გამოშლილ მუჭაში ჩაუყარა. - ამის მეტი აღარა შამრჩა-რა, ჯდარბო... ყველაფერი ამ ოხერმა ცხენებმა წაიღეს...

*გოგო*: წარმომიდგენია საყვარელი ცოლის სიკვდილი როგორ გაგამწარებდათ.

ლევანას არაფერი უპასუხია.

*გოგო*: ბატონო ლევან, სიკვდილი ბევრნაირია. თქვენი დიდი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, თუ შეგხვედრიათ ისეთი სიკვდილი, როცა კაცს ჰკლავენ, მიშველება გინდა და ვერ მიშველებიხარ?

*ლევანა*: ძალიან არასასიამოვნო კითხვაა. თქვენ რო მწერალი თუ ჟურნალისტი არ იყოთ, არაფერს გიპასუხებდით... კაცის მოკვლა მეორე კაცის თვალწინ უდიდესი გამოცდაა მოთვალთვალისა. მიუხედავად იმისა, რო ვაჟას ძალიან ვუყვარდი, მაინც ვერასდროს შევბედე მეკითხნა: სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას რომ ჰკლენ, ცქერა გვწადიანო, რო ამბობს „სტუმარ-მასპინძელში", თავად როგორ ესმოდა ესა... როგორ დავიჯერო, ჭკვათამყოფელ კაცს ეწადოს იმის ყურება, ღვთის გაჩენილ, ღვთის სულჩანაბერ კაცს როგორ ჰკლავენ იმის თვალწინ... ანდა, რა კაცი უნდა იყოს, რა გული უნდა ჰქონდეს, შეეძლოს მიშველება და არ მიეშველოს? - და უცებ შეჩქვიფდა:

* * *

როგორც კი მოსახვევს გასცდა და გომბორის პირველი სახლები დაჩნდა, სოფელში უჩვეულო მოძრაობა შენიშნა: ეზოს კარიდან სახლის პატრონები სხლტებოდნენ, გზადაგზა იარაღს სინჯავდნენ, მხარიღლივ სავაზნეებს ირგებდნენ; ვიღაც ფარხმლიანი ხევსური პირდაპირ ძეძვის ღობეს გადმოევლო და თან შაშხანა გადმოიტანა. ვიღაც ცხენდაცხენ გამოვარდა გზაზე და მაშინვე ფაფარზე გაწვა.

- თათრებ არ გაჰაუშოთ, თათრებ, დათვიავ! არც ერთ თათარ არ გამავიდას კარჩიით, - ყველა გზა შაჰკარით, ყველა სახლს მზირ მაუჩინეთავ! აბიკავ! უთურგავ! გამახელავ! ფშაველის ბიჭებ გამაჰლალეთავ! საქალაქო გზან გადასჭერითავ, ასკილაურით არ მაუარონ მაგ მაუნათლავეთ!

როცა შიგდაშიგ რუსული „კაზიროკებიც" გამოჩნდა, ლევანამ ცხენი ააჩქარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა ხდება, რა ამბავია? – იკითხა სოფელში შესვლისთანავე.

– რაღა რაი ას, ყარაჯალელ თათრებ დაეცნენ თეთრ-წყლებსავ, საძოვრებ უნდა წაართონ ხევსურთ.

ლევანამ ახლაღა იგუმანა ის ბათქიბუთქი, რომელიც გომბორს გადაღმიდან აქამდის ყრუდ მოდიოდა მთებისაგან ექო-მიცემული. ცხენს მათრახი გადაჰკრა გავაზე და დაღლილი საფერხე კვლავ გააფიცხა. ტანად მომცრო, მაგრამ მკერივად შეკრული იყო მთაში დაბადებულ-გაზრდილი კვიცი, სალთიილბიზ-ისგან ლაკების აულ აკუშაში „აცურებული" და ერთ ღამეში ჩამოყვანილი თავისი ძმო-ბილისთვის. გახედვნისას ბზეთივის გამრიგე-მაჰმად ყურბან-ოღლს ისეთი წიხლი უტყუპა, უკანალზე სამუდამოდ დაატყო რუსული ნალი.

გზადაგზა ხალხს შეძახილებით აფრთხილებდა და ფეხმარდი ულაყი დაუზოგავად მიჰყავდა თელავისაკენ.

მთაში დაზრდილი, კლდე-ღრესა და აღმართ-დაღმართს ნაჩვევი იარაღიანი ხალხი დაკლაკნილი გზის მონაკვეთებს მოკლეზე, – პირდაპირი ასვლითა სჭრიდა და ლამის ცხენოსნებსაც კი უსწრებდა წინ.

ლევანამ სატალის წვერი გადაიარა, თავქვე დაეშვა, გასცდა თითქმის დაცარიელებულ კობაძეს, გატოპა თეთრ-ხევა, შევარდა თეთრ-წყლებში და იმ ორღობეში შეუხვია, საიდანაც კვლავ ზედიზედ ტყვრებოდა თოფები. გაჰხედა სოფელს მომდგარ ველს და მაშინვე მიჰხვდა, სადაც იყვნენ ჩასაფრებულნი თეთრწყლებელი, კობაძელი, სალებლელი, პანტიანელი და სეროდნელი ხევსურები.

– ეეხლ მაგიღლეტთ დედასა, ძაღლო თათრებო! – სატალის წვერიდან უკვე ღრიალით ეშვებოდნენ თავქვე გომბორელი, რუსიანელი, ასკილაურელი და ვერონელი ფშაველ-ხევსურნი და რუსები:

ლევანამ სადავე ცხენის კისერზე მიაგდო და გაქანებული ცხენიდან ისკუპა. გადასჭრა ჯაგიანი, ბოლო ბუჩქის უკან გაწვა და ყალთაღს გაჰხედა. ყალთაღზე სამნი იყვნენ, – ორი ხევსური და ერთი თათარი. თათრის ბანჯღლიანი, ცხვრის ტყავის ქუდი პირაღმა ეგდო ბალახში, თავად თათარი ერთ ხევსურს მოჰხტომოდა უკანიდან ზურგზე, ფეხები წელზე შემოეჭდო, ხელები ყელზე მოეხვივნა და მთელი ძალით ცდილობდა მის მოხრჩობას. ხევსურს თან ორთავ ხელით ხმლისა და ხანჯლის ტარები ჩაებღუჯა, რათა თათარს არ ამოეტაცა ქარქაშიდან, თან მის გადმოგდებას ცდილობდა ზურგიდან და მეორე ხევსურისთვის სასროლად მიმარჯვებას. მეორე ხევსური ბერდენკას წაღმა-უკუღმა ატრიალებდა და გარშემო უვლიდა ერთურთზე ახორხლილ წყვილს, რათა ხელსაყრელი წამი ეგდო ხელთ. მაგრამ ყოჩაღი ჩანდა თათარი: წელზე დროდადრო ისეთი სისწრაფით ხსნიდა ფეხების სალტეს და მიწაზე მდგარი ისეთი სისწრაფით უმარჯვებდა თავის ტყვეს ბერდენკიანს, გაგაოცებდათ მისი სისხარტე! როგორც კი მიუმარჯვებდა, ისევ მოახტებოდა ზურგზე, კვლავ ცდილობდა მის მოხრჩობას და თანაც ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა თოფოსანს, რათა გამოუცდელ, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭს მოულოდნელად მისწვდენოდა და თოფი აერთვა.

ლევანა მიჰხვდა თათრის განზრახვას, დაასწრო და სამი ნახტომით გაჩნდა ბიჭთან. წართმევისას ტყვია ცას ეხალა. თოფმა გრიალი მოიღო და ლევანამ აჩქარებით გამოაგდო დაცლილი ვაზნა, გატენილი აართვა შეცბუნებულ ბიჭს და გააფრთხილა: „გადი გვერდზე, შენ არ მოგხვდეს". უცებ თათრისგან ჩაბღუჯულ ხევსურში თავისი სეხნა, – თეთრ-წყლების კომისარი ლევან გოგოჭური იცნო!

– აეხლა შამოგაგინებ ყურანს, თათრის ნაბიჭვარო! – და თოფი ნიშანზე გამართა.

– არ მოგლა, ლევან, მაჰმადა არ მოგლა! არაფერი უნდა მაჰმადას, სოსხალი გაუშვი მაჰმადა, ლევან! ნუ მოგლავ მაჰმადას!

ლევანა გაშტერდა! – ხმა ძალიან ნაცნობი იყო. თოფი უნებურად ძირს დაუშვა და თათარს დააკვირდა.

– შენ რაღამ მოგიყვანა აქა, ყურანძაღლო, – შაჰ-აბაზმა და აღა-მაჰმადმაც ვერ გატეხა ხევსურები, დღეს შენ რა მწვანე ბუზი დაგაჯდა, შე საცოდავო?

– არა, ლევან, ნუ მოგლავ მაჰმადას, სოსხალი გაუშვი მაჰმადა, ლევან!

უეცრად თათარს ვიღაცამ შუბლზე ხელი მოსდო, უკან ღონივრად გადაუწია თავი და დანით ყელი გამოსჭრა.

– რა დროს ტატარის რეჩებია, შენი დედაც! – მოკალ და ეცი სხვა ტატარი!..

თეთრ-წყლების კომისარს გადაჭრილი ყელიდან შხივილით შეესხა კისერზე ცხელი სისხლი და ზურგსა და გულისპირზე რუებად

გადაეწჩქრა. ბიზღით „შაიბერტყა“ მხრები ხევსურმა და თათრის სხეული მოწყვეტით მოიგლიჯა ზურგიდან...

იჯდა მიწაზე გამტკნარებული მეეტლე, მწუხარე თვალს არ აშორებდა, როგორ გადმოსდიოდ მოკლულს სისხლიანი ქაფი პირიდან და საზარელი ჭრილობიდან. თანდათან როგორ შეწყვიტა ფართხალი და როგორ გადაეიდა ოთხივე კიდურის რიტმული კანკალი ნელ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ თრთოლვაში. იჯდა ჭიანჭველების ბუდის დიდ ბორცვზე და სულ ვერა გრძნობდა ავად მოფუსფუსე მწერების კბენას... მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გამოაგონა ერთბაშად ჩამოვარდნილმა დიდმა სიჩუმემ. აღარსაიდან ისმოდა თოფების გრიალი და აღარც გაქცეულ მტერს დადევნებულ ხევსურთა ყიჟინა. მიიხედ-მოიხედა და ახლაღა ჩაჰხვდა ყალთაღზე ატეხილი სიცილ-ხარხარისა და მამაცურ-ამპარტავნული შეძახილ-შემოძახილის აზრს: ამაყად, მონდომებით, საქმიანად მოათრევდნენ ტყიდანა და ჯაგნარებიდან მოკლულთა გვამებს, ყალთაღზე აწყობდნენ მწკრივად...

ცხრამეტი გვამი დათვალა ლევანამ!..

მეცხრამეტე ოსკანოვის მეჯინები, ლევანას ყონაღი, - მაჰმად ყურბან-ოღლი იყო!..

ამ ბრძოლაში არც ერთი ხევსური უბრალოდაც არ გაკაწრულა!..

გვიან შენიშნა, გვერდით როგორ მოსჯდომოდა ადამა და თავის დიდრონ, ტარიანად სისხლში მოსვრილ, მოკაუჭებულ სანამყენე დანას როგორა სწმენდდა ბალახებზე, სისხლში ამოთხვრილი მარჯვენითვე...

*გოგო:* რატომ ჩაფიქრდით ასე მწარედ, ბატონო ლევან? მართალია, თქვენს მოურჩენელ ჭრილობას შევეხე, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ეს ხომ მაინც წარსულს ეკუთვნის.

*ლევანა:* ყოველგვარი ჭრილობა, მითუმეტეს, თუ ის მოურჩენელია და იარად არი ნაქცევი, წარსულს კი არა, ჩვენვე გვეკუთვნის. ის სამუდამოდ, მთელ ჩვენს სიცოცხლეშივე რჩება... თუმცა მე სხვა ჭრილობის გახსენებამ უფრო შემზარა... მაგრამ, მოდით, ჭრილობებზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ადამიანებს აქვთ იგეთი მოგონებებიც, რომელთა საჯარო თქმასაც გაურბიან.

*გოგო:* როგორც გენებოთ, ლევანა პაპავ. ოღონდ ერთს კიდევ გკითხავთ.

*ლევანა:* სჯობია, დღეს ეს ვიკმაროთ. პატარა შევისვენოთ, სანამ სადილს მოგვართმევდნენ. მერე კი, თუ არ დაიზარებთ, ჩემს გაკეთებულ ჯებირს დაგათვალიერებინებთ.

*გოგო:* კარგი, ლევანა პაპავ, საუბარი ხვალ გავაგრძელოთ...

ფართო კალაპოტზე რწევა-რწევით, ლუყლუყ-შრიალით მიილალებოდა თავქვე ხევსევა. მტკიცედ შეკრულ მაღალ ჯებირს ტალღა-ტალღად აწყდებოდა დარუებული წყალი, მაგრამ კარგად დაგეზებული წინააღმდეგობა ადვილად ისხლეტდა ყოველ დარტყმას და შუა რიყეზე გასული მდინარე უკვე სიღრმეზე მიიკვლევდა ახალ კალაპოტს.

- „და შეკრბა წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელთა მათთა და გამოჩნდა ხმელი...“

ლევანას ძლივს შესამჩნევ ღიმილზე დაეტყო, რომ ესიამოვნა გოგოს ნათქვამი. ჯებირზე ამაყად შედგა და საქმიანი დაკვირვებით გაჰხედა თავის ნამოქმედარს, - დაშრეტილ რიყეს.

- აი, მანდ ეჯახებოდა მთელი ხევი და, რაკი ვერ სტეხდა გაუტეხელს, შემობრუნებული კვლავ თავის ძველ კალაპოტზე გადმოდიოდა. ეხლა მე ამ ადგილს, როგორც კი გავუშენ მიწას, ერთ-ორ წელიწადს, გაზაფხულობით, მთაში ასვლამდის, კოლექტივის ფარას მივცემ ღამის სათევად. ეგრევე შემოდგომობით, მთიდან ჩამოსულს ექნება ალხაჯად შირაქში ჩასვლამდის. - ცხვრის დრემლაზე კარგი სასუქი მარტო ქათმის სკინტლი თუ იქნება. იგრე რო, როცა ვაზს ჩავყრი, მიწა უკვე მზად იქნება სავენახედ... ერთ კვირას ვეზიდებოდი საჯებირე ქვას, ხუთი დღე ვჭრიდით მე და ჩემი შვილიშვილის შვილი რჩეულ ჯაგრცხილას სოფლის გადაღმა, სასაფლაოს იქით.

- რატომ მაინცდამაინც ჯაგრცხილას?

- ჯაგრცხილა არ იმტვრევა მოხრისას, რბილი და მოქნილია, გამძლეობით კი ძალიან გამძლე. აი, შეჰხედე, როგორი ქვის ნახალი და წყლის ნალოკია! - ჯოხი ჩაყო, ზედ მოდებული, მზით შემხმარი ძველი ბრანძი, ნარიყი და შიგ ჩამკვდარი შლამი გადაქექა. - აი, დღემდის ვერაფერი დააკლო გაზაფხულის გადარეულმა ღვარ-ცოფმა და შემოდგომის წყალდიდობამ. მთელი ათი დღე მოვუნდი ჯებირის დაწნას, რადგან, მინდო-

და, საშვილიშვილო ყოფილიყო. პატარა დათო მარჯვე ბიჭია. ძალიან მეხმარებოდა ქვებისა და ფიჩხის მიზიდვაში. ეს ადგილი სხვა ადგილებს ორმაგად აჯობებს: ვაზს ქვიშიანი ადგილი უყვარს. როცა ნამყენს ჩავყრი, ძირი ქვიშასთან ექნება, ფესვი გუნებიერად წავა სიგრილეში, მერე კი ადვილად დამუშავდება სუფთა მიწა თოხით და ბარით. თავ-ბოლოს იგეთ ატმებს დავურგავ, რთვლის დროს რო უყვართ ბალღებს. ერთი სიტყვით, კიდევ ერთი ახალთახალი ვაზის ვენახი შეემატება საქართველოს...

გოგო კარგა ხნის წასული იყო, მაგრამ ლევანა მაინც ისევ იმ ყელგამოღადრულ თათარსა ჰხედავდა. ყურში კვლავ გამყინავად ჩაესმოდა მისი მუდარა: „არ ესროლო, ლევან! არ მოკლა მაჰმადა, ლევან!..“ ზემოდან აგვისტოს კრიალა ცა დაჰყურებდა, გრილი და უმთვარო. მთელი ცა, კავკასიონიდან ცივ-გომბორამდე, „ირმის ნახტომს“ ეჭირა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ორ ქედს შუა მოქცეული ციური სამყარო ვარსკვლავებით ავსებული კალათა იყო, ხოლო „ირმის ნახტომი“ ყურად შეებათ ამ კალათისთვის. ამ ღვთიურ სილამაზეში ყელგამოჭრილი თათარი ისეთი ზედმეტი იყო, ლევანა მისი საცოდაობით საოცარმა ნაღველმა წაიღო და უსიამოვნოდ შეიმუშნა. სცადა, მოძალებული მოგონება სხვა, უცოდველი მოგონებით შეეცვალა, მაგრამ ყურები არაფრით ანებებდა: „არ მოკლა მაჰმადა, ლევან, არ მოკლა!..“ და კვლავ ის ფიქრი წამოეძალა, - უნდა ეშველა, უნდა გადაერჩინა თუ არა თათარი, რომელსაც მის თვალწინ, მისი თანდასწრებით ჰკლავდნენ, როგორც ადამიანის შვილს, როგორც ღვთაებრივ სულჩანაბერ არსებას?.. და კვლავ იჭერდა შინაგანი სმენა სიტყვებს: ...სხვას რო ჰკლენ, ცქერა გვწადიან“. ლევანას კი არასოდეს, არასდროს არ ჰქონია სურვილი, კვლავ ეციქრა, როგორ სჭრიდა ყელს ადამა თავის მსხვერპლს: გულგრილად, საოცარი სისწრაფით, საქმის ცოდნით... უნდა დაეცვა თუ არა? უნდა მიჰშველებოდა თუ არა? - იგი ხომ ერთ დროს, სანამ ოსკანოვის ბაკს მიატოვებდა, მისი ამხანაგი და მეგობარი იყო? მან ხომ მხოლოდ ერთხელ გაუბედა ბილწი ხუმრობა, როცა უთხრა: „მოდი, ლევან, მენიმ დაილაღ სანინ კანუშნა ბაღლირამ?“ და, როგორც კი თავისი მაგარი ყბა ლევანას ბევრად უფრო მაგარ სილას შეახალა, მაშინვე მოიბოდიშა: რა მოგივიდა, კაცო, ვეხუმრეო... მაშასადამე, თათარი სუფთა და პირნათელი იყო ლევანასთან. მაშასადამე, ისევ ყონაღები იყვნენ და უნდა დაენდო, უნდა გადაერჩინა... მაგრამ ვიდრე მისი თავი რამდენიმე წამში ამას გაისიღრმევანებდა, უკვე ყველაფერი გადაწყვიტა ადამას მოულოდნელმა ჩარევამ... დიდხანს იბორგა, დიდხანს იწვალა და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა ამ ამბიდან ლევან გოგოჭურის ცალკე აღქმა, განზე დატოვება: ლევან გოგოჭურიც მისი მეგობარი იყო, უფრო მეტიც, - მისი თანამოაზრე და ქვეყნის ჭირისუფალი, რადგან იგი მის ტომს ეკუთვნოდა. მის ტომს კი თავს დაესხა უცხო ტომი, რომელსაც მისთვის ქართული მიწა-წყლის წართმევა სურდა. მაჰმად ყურბან-ოღლი თავდამსხმელ ტომს ეკუთვნოდა და მტრის მხარდამხარ იბრძოდა. იგი მოძალადე და, ამავე დროს, მისი მტერიც იყო. მტერს კი... „მტერს ხმალი უნდა საფთხულად, კვალზე მიყოლა მგლურადა!..“ და ლევანას ერთბაშად მოეშვა გულზე ის მძიმე ლოდი, რომელიც აქამდე კაცობისადმი მის რწმენას თრგუნავდა. ადამა თუ არ მოჰკლავდა, მას უნდა მოეკლა, რადგან იმ დროს იგი ლევან გოგოჭურის მკვლელი იყო. მაშასადამე, მისი, - ლევან ჯანაშვილის მკვლელიც! მკვლელს კი უნდა დაასწრო და, სანამ ის მოგკლავს, შენ მოჰკლა, რადგან შენს საკუთარ მიწა-წყალს გეცილება! შენ კი, როგორც ამ მიწა-წყლის დამცველი, მოვალე ხარ, გაანადგურო მტერი, ვინც უნდა იყოს იგი!..

და ლევანამ ღრმად, თავისუფლად ამოისუნთქა...

* * *

ჩურჩულმა გამოაფხიზლა მთელმარე. ერთი ხმა წვრილაანთ ციყვისა იყო, მეორე ვერაფრით იგუმანა, თუმცა ძალიან ნაცნობი კი ჩანდა. ლევანა წამოჯდა, მუხლები მოხარა და ზედ ხელები შემოიწყო.

- ეს რომელიღაა, ციყვო?

- აბა, თუ იცნობ. ვინ მოგიყვანე.

- ვაი, შენ შემოგევლოს ჩემი საწყალი თავი. ლევან. რა ხანია, აღარ მინახნიხარ. როგორა ხარ, კაცო, რა კილოზე ხარ, ხო

არ დაჰბერდი ჩემსავითა? ჰაი, დედასა! შენ რო ფოლადი გქონდა, იმას სიბერის ჟანგი როგორ უნდა მოჰრეოდა, ჰაა?

– რომელი ხარ, კაცო, როგორი ნაცნობი ხმა გაქვს.

– ვერ იცანი, ლევანა ძიავ? რევაზაა, კაცო, – ოქიოელი რევაზა, შენი ძველი ძმაკაცი, ღვდლობაში – მამა სერაფიონი.

– ოო, რევაზ, რევაზ, – მეც არა ვთქვი, ვისი ხმაა ეგრე ნაცნობი-მეთქი. აბა, სადა ხარ, რევაზ, სად დაიკარგე, მოდი, ახლოდან მეჩვენე. კახეთში ეკლესიები დაილია, რო სამთავიისს არ გადაჰხაფრულიყავ? ერისკაცობაში გიყვარდა სილამაზე და ღვთისკაცობაშიც გაგყოლია. ჰე, რა წინაპრები გვყავდა! ნეტა რა ხელმა ააშენა იგეთი მშვენება! – და ლევანამ იგრძნო, როგორ მოჰხვია რევაზამ ხელები მხრებზე და მის მკერდზე როგორ ჩუმად აქვითინდა.

– როგორ ჩემსავით დაჰპატარავებულხარ, როგორ აგჩვილებია გული, ღვდელო. ძაან კი მამენატრე. რა იყო, რამ დაგაბა იქა ამდენ ხანს. რად ვერ გადმოიკახეთე, კაცო?

– მოგიკვდეს ჩემი თავი, ვეღარა გნახე აქამდინა. შენ რამდენიც არ უნდა დაჰპატარავდე, ერთი კაცის ტოლა მაინც კიდევ დარჩები, თორემ მე რა საკითხავი ვარ.

– აბა, აბა, წუწუნი არ იყოს! შენ ჯერ ჩემთან ბალღი ხარ, ჯერ კიდევ გაიზრდები.

– ჰაი, რო გული ისევ რკინისა გაქ! მიკვირს ეს ავანტყოფობა როგორ მოგერია. მართლა სუ ვერაფერსა ჰხედავ?

– ძაან საეჭვოდ გეჩვენება?

– დიდი ხანია?

– ლამის წელიწადია.

– ან წამალი, ან აპელაცია, არაფერსა ჰშველის?

– რო ჰშველოდეს, არ შევეცდებოდი?

– ჩვენი ექიმების ანაბარა ჩემი მტერი იყოს, – ყველას ფულებითა აქვთ დამთავრებული. ოდესაში უნდა ჩაჰსულიყავი, – ფილატოვთან.

– შავი წყალია, რევაზ, ამას არაფერი ჰშველის. ბიჭმა სად არ წამიყვანა, სად არ მატარა, ოდესაშიც გაგზავნა შეკითხვა, მაგრამ უთხრეს: ვერც ჩვენა ვშველით გლაუკომას, ტყუილათ ნუ აწვალებთ ავადმყოფს, ტყუილათ ნუ დაიხარჯებითო.

– მაშ, არაფერი წამალი არა ჰშველის, კაცო?

– აი, პილოკარპინია: დილას, შუადღისას და საღამოთი მაწვეთებენ თვალში, – ტკივილს აყუჩებს.

– აბა, ბა, ბა, ბა, კაცო, ვინ იფიქრებდა, რო შენ რამე ავანტყოფობა მოგერეოდა. რა ჰქენი, გამაიყვანე ის შენი ახალი ვაზი, გააშენე იმის ვენახი?

– არა, ბიჭო, მაშ შენსავით იგრე წავდგებოდი იესოს წინაშე!

– ეხლა ვინ ამუშავებს, ვინ გითოხნის, ვინ გიბარავს, ვინ გიწამლავს, ვინ გისხლავს და ვინ გიფურჩნის იმ ვენახს?

– აბა, ეგ რა საკითხავია? მე და ჩემი პატარა დათო ვაკეთებთ.

– შვილიშვილის შვილია?

– აბა, იმაზე პატარა ვინღა მყავ.

– რამდენი წლისაა, შენ ხო მეორე დედაკაცი გვიან შაირთე?

– დიდი ბიჭია, – უკვე თერთმეტი წლისაა.

– ეე, ლევან, ლევან, – თერთმეტი წლის ბიჭის მოვლილი ვენახი რა უნდა იყოს?

– რევაზოო! ცული პატარაა, მაგრამ, როგორ ხეებს აქცევს ხოლმე? მე ათი წლისა არც კი ვიყავი, დანიელოვთან მოჯამაგირედ რო წაველი.

– შენ იგეთი მამის შვილი იყავი, როგორც გამიგია, იმისთანა მევენახე კახეთს ეხლაც არ ეყოლება.

– ეგ როგორიღა პაპის შვილია?

– რა ვიცი, დღევანდელი ბალღებისა არა გამეგება-რა, დავიჯერო, ეგეც შენსავით გაჰწვრთენი?

– იცის ბიჭმა! პატარა თოხი გავაკეთებინე ჭიჭალას ბიჭს. ვაზის ძირებს იმით ვათოხნინებ, შუაგულს კი მე თითონ ვთოხნი.

– აკი ვეღარა ჰხედავო? დავიჯერო, ვაზებს არაფერს უფუჭებ? იქნება ძირშიაც მოჰჭრა.

– ანდეზე ვთოხნი. ჩაყრისას ვაზები ერთმანეთს მეტრნახევრით დავაშორე, მწკრივები ორი მეტრით. ზეპირად ვიცი იქაურობა. როგორც კი ვივარაუდებ, რო ვაზს მივუახლოვედი, თოხის ყუით აქეთ-იქით ვაზებს მივსინჯ-მოვსინჯავ და იგრე მივითოხნი.

– სარი ვინ ჩაყარა, მართული ვინ გაგიბა?

– ადრიდანვე წავიგდე საქმე წინ, სანამ ჯერ ისევ ვხედავდი. ეხლა, რაც რევმატიზმმა დამიჭირა მარცხენა ფეხი, ვეღარ მივაკითხე და ამიბალახდა. მეერია ღორის-ქადა. ღოლო, ბალბა, მყრალა-ბალახა და აქა-იქ ბირკა. ზოგმა უკვე იგეთი ძირი გაიდგა, თუ მოსჭრი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ამოგლეჯა ძალიანა ჭირს. მოსჭრი და იგეთი ღმერთძაღლია, მიწაში ჩარჩენილი ფესვები უფრო მეტ ბღარტს იყრის.

– აბა, შიგ თუ არავის უშვებ და ვერც შენ შაჰდიხარ, დაგრჩენია გაუმარგლავი და გაგიფუჭებაია ვენახი.

– რას ამბობ, რევაზ, მე იმ ვენახს გავაფუჭებდი? ვუცადე, ვუცადე და, რაკი ფეხმა ნება აღარ მამცა, ძველი ტომარა მოვატაინე და იქვე, ქოხში დავდე. ჩემთვის ეხლა დღე და ღამე ერთია: როგორც კი აგრილდება, მიდივარ ღამღამობით, დავიფენ იმ ტომარას ქვეშ მფრინავ ხალიჩასავით, დავჯდები ზედ და ეგრე ტომრის ცურვა-ცურვით ჯდომელა მივდივარ და მივიმარგლი სარეველებს... სამი მწკრივიღა დამრჩა. ამაღამაც ჩავუხტები მუხრან-ბატონივით და გათენებამდის ბოლომდე ბოლს გავადენ.

– ეგ ხო რიყეში გაქ, დაბლა. იქამდინ როგორ მიჰდიხარ?

– აბა მაღლა აიხედე, – ჰხედავ? ანდე ეგ მავთული რიყემდის ტელეგრაფივითა მაქვს გაბმული. ავიღებ ჩემ ჯოხს, მოვუცაცუნებ, ვიპოვნი მაგ მავთულს და მემრე ჯაჭვზე დაბმული ძაღლივით გავდევ და გამოვდევ აქეთ-იქით ცაცხვიდან რიყემდის.

– ნეტარება შენ, ლევან, რო მაინც ძველებურად ებრძვი მიწასაცა და ცხოვრებასაც.

– ეე, ძმობილო, ვინც სიკვდილზე ფიქრობს, ის არც იგრე შორს არი სიკვდილისაგან. სანამ ცოცხალი ხარ, იგრე უნდა იცხოვრო, საფლავშიაც არ ჩაეტიო.

– მაშ, როდისღა იძინებ, კაცო?

– როგორ გეტყობა, რო ჰაზირას სიმღერა არასოდეს მოგისმენია: „ძილი სიკვდილის ძმა არიიი...“ – წაიღიღინა ლევანმა.

– ეხლა არ მითხრა, რო თვალიც არ გეხუჭება.

– რაშიაც არა! – დღისით ერთ-ორს კაი ტაშ-ხოშიანად წავთვლემ და მემრე მიმიშვი, რაზეც გინდა! – ღმერთმანი, ძაან მინდა უფლის წინაშე პირნათლად წავდგე.

– ჰაი, შე წარმართო, მიუკაკუნე ას წელსა და ეხლა გაგახსენდა უფალი?

– მე კი სულ მახსოვდა, მაგრამ შენ, როცა გაგიჭირდა, მარტო მაშინ რად გაიხსენე?

– ეე, ლევან, რაც კამეჩები გავყიდე, იმის მემრე წამივიდა უკუღმა ცხოვრება.

– კამეჩები რამ გაგაყიდინა, კაცო? კაი კამეჩები გყავდა, ქედდალოცვილები. ისინი რო არა, ვინ იცის, როგორ გადავიტანდით იმ გაუთავებელ ომს მე და შენ.

– მაინც იმ ომმა შაიწირა ის საწყლები.

– რანაირად, კაცო, ომი რო გათავდა, ისევა გყავდა კამეჩები.

– ჰოდა, რო გათავდა, ი ბიჭი ჩამოვიდა ომიდან. ჰტაცეს ხელი: ტყვეთ რათ ჩაჰვარდიო? რა უნდა მექნა? ავდექი და გავყიდე, – მეგონა ფულით დავიხსნიდი. ვერა უშველერა, ოცდახუთი წელი მიჰცეს და შორეულში უკრეს თავი!

– ეგ კი ნამეტანი მოუვიდა იმ ცხონებულს.

– ცხონებულსო? რაო? ცხონებულსო? იმას რა აცხონებს? ეხლა, ალბათ, სატანის კბილებშია გაჩხირული ანდა ეშმაკები ჰხარშავენ ნელ ცეცხლზე კუპრის ქვაბში! შენ, გეტყობა, ისევ ძველებურათ სტალინის მაღმერთებელი დარჩი! ისიც შენსავით კერპი იყო და იმიტომ. რაც მაგან დედამიწაზე ცოდო დაატრიალა, შაჰ-აბაზს არ უქნია იმდენი. ცხონებულიო! კარგად გიცნობ, რაცა ხარ, კერპო. ისევ ძველი ძმაკაცობა გიღვივის გულში!

– რაო, სტალინს იცნობდი, ლევანა ძიავ? – გაოცდა ციყვი, – ამ ხნის კაცი ვარ და ამის მეტად ეს ამბავი არ გამიგია.

– ვერც გაიგებდი. რის ძმაკაცობა, ერთხლის მეტად თვალიც არ დამიკრავს. ამას ყურს რას უგდებ, – ღვდელი რის ღვდელია, თუ ზემო უბანში ცოტა მაინც არ უქიქინებს? მე მხოლოდ ფილიპე მახარაძესთან და მიხა ცხაკაიასთან მქონდა საქმე. სტალინის ხსენება სად იყო მაშინ. მხოლოდ ერთხელ შევხვდი და ისიც შემთხვევით, – არ ვიცოდი, ვინ იყო.

– მაინც, როგორ შაჰხვდი, სად შაჰხვდი, ლევანა ძიავ?

– სირაჯხანის ბოლოს საბუელ ყეინოშვილს მიკიტნის დუქანი ჰქონდა. „თოქმა მიკიტნის დუქანს“ ეძახდნენ. ხანდახან იქ შევდიოდი პურის საჭმელად. ერთხელ ვზივარ და მწვადს ველოდები. გაეიხედოთ და ერთი საშუალო ტანის ვიღაც ჯეილი შემოვარდა და მიკიტანს მიუხტა: „ჩქარა დამმალე, ჟანდარმები მომდევენო! მედუქნე იქით ეცა, აქეთ ეცა, – ვერაფერი იღონა. „რა გიყო, სად მიგაფარო, არაფერი მაქ, როგორ დაგმალო“. მივხვედი, რო „ახალთაობის“ კაცი უნდა ყოფილიყო. გაშეშმიშებით მდგარ მიკიტანს ვკითხე: ცარიელი „ბოჭკა“ გაქ-მეთქი? როგორ არა, აგე, სამოცჩაფიანიაო. ავწიე

ღვინით სავსე სამჩაფიანი, დავკარ მაღლიდან და ძირი გავაგდებინე. მიკიტანს ვუთხარ: „ნამტვრევები სადმე მიმალე ამ წუთას“. შემოსული ღვინის „ბოჭკებთან“ დავყუნტე, ამოვაბრუნე ზემოდან ძირგავარდნილი კასრი და დაყუნტულს მაღლიდან დავამხე! ჩემ მაგიდასთან მივედი და ჟანდარმებიც შემოვიდნენ. ეგეთი და ეგეთი კაცი ეხლა აქ რო შემოვიდა, სად არიო? მე ვზივარ არხეინად და პურსა და მწვანილს გეახლებით. შეშინებული მედუქნე, თითქოს ის სამჩაფიანი კასრი იმისთვის დამეკრას თავში, დარეტიანებული დგა და ხმას ვერ იღებს. ვხედავ, ცუდად არი საქმე. ვფიქრობ: ამან თუ ჩაისვარა, მეც თან მიმაყოლებენ-მეთქი. ვიხელთე დრო, მედუქნეს ავი თვალით გავხედე და წამოვდექ. წამოვდექ და ერთმა ჟანდარმმა დააძრო კიდეც ნაგანი! „არ გაინძრე, თორემ გესვრი“. მე ხელები ავწიე: უიარაღო ვარ-მეთქი. ერთი საათია აქ ვზივარ და დუქანში შემოსული ამ მიკიტნის მეტი არავინ მინახავს-მეთქი. თუ მე მეძებთ – რა საჭიროა იარაღი? აი, აქა ვარ და, სადაც გნებავთ, იქ გამოგყვებით. „ნუ მიედ-მოედები. აქ რო შავულვაშებიანი, ცოტა პირნაყვავილარი, პალტოიან-შარფიანი, ამ მედუქნის სიმაღლის კაცი შემოვიდა ეხლახანს, სად არი?“ მე უთხარი: ბატონო ჟანდარმებო, მე ხელმწიფე-იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი გახლავართ და იმის კანონებსაც დიდ პატივსა ვცემ. ბალღი აღარა ვარ, რო ჩემი მოვალეობა არ მესმოდეს. თქვენცა და ხელმწიფე იმპერატორიც დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რო პატიოსანი მეეტლე ყოველ „ბუნტოვჩიკსა“ და „სოციალისტს“ ხელ-ფეხ შეკრულს მიართმევს, თუ სადმე გადაეყრება-მეთქი. იქაურობა სულ გადააქოთეს, დახლიც კი პირქვე დასცეს, მაგრამ ჩვენსა და ღვინით სავსე კასრებს გარდა არავინ იყო დუქანში. მოდი, მოსულხართ, სუფრაზე დამეწვიეთ, თითო ჭიქა შესვათ გაცნობისა-მეთქი. იმათ ერთი რაღაც შურდლად შეიგინეს და გავიდნენ დუქნიდან... ათიოდ წუთს მერე გარეთ გამოვედი, იქაურობა უზრუნველი კაცის სიფათით მოვათვალიერე და ისევ უკან ჩამოვბრუნდი. მედუქნე ლობიოს სარივით ისევ იმ ადგილას იყო დარჭმული. ვეცი მაშინვე იმ კასრს, გადმოვაბრუნე და ვხედავ: შიგ დამალული კაცი გულაღმა გდია და სააქაოს პირი არა აქვს. ხან წყალი ვასხი, ხან ყურები უსრისე, მაგრამ ვერა გავაწყე-რა. მაშინ მედუქნეს ძმარი მოვატანინე... როგორც იყო მოვაბრუნე. საწყალს, უჰაერობისა და სპირტის სუნისგან გული წასვლოდა... ფილიპეს ვუამბე და ვანიშნე, როგორი კაციც იყო. „კობა“ გადაგირჩენიაო. მითხრა ფილიპემ... დიდი ხნის მერე გავიგე, „კობა“ ვინც იყო...

– რაღა ჩემ ჭირათა და ხორველათ გადაარჩინე ეგ უღმერთო ან შენ რამ შაგიყვანა მაშინ, მაინცადამაინც იმ დუქანში, კერპო?

– გაჩუმდი, ღვდელო, ბედისწერას წინ ვერავინ გადაელობება. „კობა“ უნდა სტალინად ქცეულიყო და იქცა კიდეც. იმას კი ნუ მათქმევინებ, ვინც ეკლესიაში შედის, ყველას სინდისი სუფთა აქვს თუ არა. სტალინს თავისი ცოდვებიც ეყოფა. უცოდველი კაცი კი, ქრისტეს ჩათვლით, ჯერ არ უშობნია ცის ქვეშეთს. ყველაფერს სტალინს ნუ ჩამოაწმენდავთ. როცა კაცი დიდ საქმეს არი შემდგარი, პატარ-პატარა შეცდომები ეპატიება. რუსების რახარუხს ყველაფერში არ უნდა აჰყვე. ისინი მარტო ეხლა კი არა, მომავალშიც ვერ მოინელებენ, ყველაზე დიდი და მძლავრი იმპერია რო ქართველმა კაცმა შეუქნა რუსეთს!.. იმაზე კი გასუსულნი არიან, რასაც სტალინი მართავდა, იმისი საძირკვლის ჩამყრელი და დამკანონებელი რო რუსი – ვლადიმერ ლენინი იყო! სხვის შექმნილ ელექტრონის ნათურასაც კი „ილიჩის ნათურა“ დაარქვეს. სტალინი რასაც აკეთებდა, უმთავრესად ლენინის ჩანაფიქრს ანხორციელებდა. თავადვე ამბობდა: ლენინის მოწაფე ვარო. ხალხის დახვრეტა, დაპატიმრება, გადასახლება და ტერორი ლენინის მოგონილია! – რატო იმას არ მისდგნენ, რატო ის არ გამოათრიეს მავზოლეუმიდან, თუ ეგენი პატიოსანი ხალხია? მაგრამ ქვეყანა ყველაფერს ამჩნევს, ყველაფერს ხედავს და იმიტომაც ამბობენ: „სტალინმა კავის რუსეთი ატომის რუსეთად აქცია“. შენ არ გეგონოს, რო გაგარინი იმ უმადურმა ღორმა, – ხრუშჩოვმა გააფრინა ცაში. იმ გაფრენას სტალინმა ჩაუყარა საძირკველი. ადრე მოუღეს ბოლო, თორემ, რო დასცლოდა, გაგარინი ბევრად უფრო ადრე გაფრინდებოდა ღმერთის საუფლოში. პურის ქვეყანაში ხრუშჩოვ-ბრეჟნევივით არ დაგვანატრებდა პურს.

– სტალინი არ იყო, რო ოცდაჩვიდმეტში ლამის ნახევარ საქართველოს ციმბირში უკრა თავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა



– სტალინი ხალხს არას ერჩოდა და, რასაც აკეთებდა, ხალხის საკეთილდღეოდ აკეთებდა. დიდ საქმეს აკეთებდა და ამ საქმის კეთებაში ბევრნი უშლიდნენ ხელს. უშლიდნენ და ძაან მაგრადაც! რა ექნა? – ადგა, დაიჭირა ხელის შემშლელნი და თავიდან მოიშორა. ზოგიც, რა თქმა უნდა, მოთავენი და გაუსწორებელნი, დახვრიტა. რა გასაკვირია, განა პეტრე დიდი ეგრე არ იქცეოდა? ან ივანე მრისხანე? დასაბამიდან დღემდის ძველად ქვეყნის მეთაურები, ვისაც ძლიერი სახელმწიფოების შექმნა სურდათ, სულ ეგრე იქცეოდნენ. როგორ გგონია, დავით აღმაშენებელი თავის მტრებს მოსწონდათ? ის იმათთვის განა სისხლისმსმელი და სატანა არ იყო? იმათი ოჯახები, ვის სახლეულთა უფროსებსაც თავები დააყრევინა, დავითის სახელზე ლოცულობდნენ? ეგრეა: რომელი ტყიდანაც ხე-ტყე უნდა გაიტანონ, ჯერ გზა გაჰყავთ. ამ გზის გაყვანისას ბევრ ხეს მოელის ამოძირკვა, რომელიც გზის გაყვანაში უშლის ხელსა... ამიტომ, როცა რამეს ამბობ, ჯერ ყველაფერი უნდა გაისიღრმე-სიგრძე-სიგანო. რუსები ურიგო ხალხი არ არი, მაგრამ ერთ რამეში მოიკოჭლებენ: ისინი იმას კი არ უგდებენ ყურს, კაცი რას ლაპარაკობს, არამედ იმას, ვინ ლაპარაკობს!.. ამან ჩაადენინათ ის დიდი შეცდომა და უფრო დიდი ცოდვა, რაც არა მარტო სტალინის მოკვლით ჩაიდინეს, არამედ სიკვდილს შემდეგ მისი სახელისა და გვამის შებილწვით... მოდგებიან და ცდილობენ, ყველაფერი სტალინს წამოჰკიდონ. ბალღმაც კი იცის: როცა წყალი იმღვრევა, ცრუ და მავნე მაშინ ცდილობს თევზის დაჭერას. მაშინაც ეგრე იყო: ვიღაცას ვიღაცის ბინა მოეწონა, დააბეზღა „ჩეკაში", დააჭერინა, და თავათ იხეირა; ვიღაცას ვიღაცის ავეჯი მოეწონა, დააბეზღა, დააჭერინა და თავათ იხეირა; ვიღაცას ვიღაცის თანამდებობა შეჰშურდა, – დასწამა ცილი, ციმბირში უკრა თავი და თითონ დაჯდა იმის ადგილზე; ვიღაცას ვიღაცის ცოლი მოეწონა, შინსახკომში უჩათლახა, ქმარი დააჭერინა, დაახვრეტინა და თავათ იხეირა... და ეგრე გაუთავებლად... ჩვენი, – ქართველების უგუნურება ხო საქვეყნად ცნობილია: ცუდ მეზობელს კარგი მეზობელი არ მოსწონს; ცუდ კაცს – კაი კაცი და ეგრე დაუსრულებლად. – ჩვენ ეგეთ რამეებში დანდობა და ზომა არ ვიცით... აი, მე ვერა ვხედავ, მაგრამ შენ ხო კარგად გიჭრის თვალი? – ციყვზე გეუბნები. ჰხედავ ციყვსა?

– ვხედავ, ვხედავ, მემრე რაო? – ეს adრეც ციყვი იყო და ეხლაც ციყვია.

– კარგი, ციყვი იყოს. მაგრამ სტალინი რო ავი და უსამართლო ყოფილიყო, როგორ გგონია, ეხლა ეგ ციყვი ჩემთან მოგყვებოდა?

მღვდელი დააბნია ასეთმა შეკითხვამ. ჟვიან უპასუხა.

– არ მამყვებოდა და მარტო მოვიდოდი.

– ვერ სთქვი მაგის ადგილსა, მაგ ციყვმა დაგისადგისა.

– შენ რა – მეშაირები? რა შუაშია ციყვი?

– იცნობ შენ ამ კაცს კარგა? არა? არც მაგის ამბავი იცი... არა?.. აი, ეხლა მოგიყვება და მიჰხვდები: თუ ციყვის ამბავი სტალინამდის არ მისულიყო, სად უნდა ჩაყრილიყო მაგისი ძვლები. მემრე ვინ გაწირა, ვინ გაგზავნა იქა, იცი? თავისმა ღვიძლმა ბიძაშვილმა!!! მემრე არ იტყვი, რათ გაწირა? ეგ თავათ არ ამბობს, მაგრამ მე ხო კარგათ ვიცი, როგორც იყო?.. ციყვის უფროსი ძმა, სვიმონი, საბჭოს თავმჯდომარეთ იჯდა. ჭკვიანი ბიჭი, წესიერი, პატიოსანი, კარგი მუშაკი და სოფლის გულშემატკივარი. ერთ მშვენიერ დღეს ანტისაბჭოთა აგიტაცია შესწამეს და წაიყვანეს. ესეც, ეს საწყალი ციყვიც, ძმა იყო და ზედ მიაყოლეს. ამ საცოდავმა ორი კლასი ძლივს დაამთავრა, ამას რა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ან აგიტაციაზე ან პოლიტიკაზე? ერთი ეგ იყო, რო ენამოსწრებულად და კარგ მეურნედ იცნობდა სოფელი: ვენახი ჰქონდა და კარგად უვლიდა. კაი ღვინოსაც აყენებდა. ფრინველი ჰყავდა, კაი კამეჩები, მგონი ერთი ვირიც. კოლექტივში არავის ჩამორჩებოდა თავისი შრომით, გადასახადს თავის დროზე იხდიდა, გზების შეკეთებაზე თავის დროზე გამოდიოდა კამეჩების ურმით, ერთი სიტყვით, მეზობლებისთვისაც გაჭირვების ტალკვესი იყო... ისიც კი მოუშარეს, ბალღები ჩუმათ მონათლაო... ციყვის ძმის თავმჯდომარეობა შეჰშურდათ ამის ღვიძლ ბიძაშვილებს და შინსახკომში დააბეზღეს! – დაუნანებლად გაყიდეს ღვიძლი ბიძაშვილი და იმისი ადგილი მემრე თითონ დაიჭირეს... სად იყო იქ სტალინი? სტალინმა რა იცოდა, სადღაც ჯანაანში ციყვის, – ვანო ქარწვიმაშვილისა და იმისი ძმის არსებობა? კარგი ვთქოთ-და ამისი ძმა ქვეყანას აქცევდა, – ამან? ამ საბრალო კაცმა რაღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააშავა?.. მემრე, გვიან, ერთ ამის ბიძაშვილს ღვინოში წამოსცდა: ჩვენ ვანოზე კრინტი არ დაგვიძრავსო... ჩვენებური ხალხისა შენ რაღა გესწავლება, კაცის კარგს ძნელად იჯერებს, თორემ ცუდზე – გაგიხარია! – თანაც სხვის ნათქომს ერთ-ორს თავათაც წაუმატებს. ამის ბალღებს რო დაინახავდნენ – აგე, ტროცკისტის შვილები მოდიანო... ზოგი კი იგეთი შურიანია, გულში ნატრობს: ღმერთო, ოღონდ კი ჩემს მეზობელს ორი ვირი არა ჰყავდეს და, თუ გინდა, ჩემი ერთადერთი მგელს შეაჭამეო... რა შუაშია აქ სტალინი?

– სტალინი არ იყო, ეკლესიები რო დაანგრევინა და ღვდლები გააპარსვინა?

– არა, ეგ ლენინი იყო. რუსეთში არც ერთი ეკლესია არ დაუნგრევიათ. ეგ ჩვენში ჩვენმა სიცუნდრუკემა და სიცუცურაკემ გვაქნევინა. ღვდელ-დიაკვანს კი რა მნიშვნელობა აქვს, წვერიანი დაითრევს ტაბლას თუ უწვერული?

– ო, შე უღმერთოვ და წარმართთა თანაზიარო, სიბერემაც რო ვერა დაგაკლორა! როგორ აგდებით იტყვი ხოლმე ამ „ღვდელ-დიაკვანს". მაშ ღვდელი და დიაკვანი ერთია?

– ვიცი, რო ერთი არ არი. მე ვიცნობდი დიაკვანს, რომელიც ათას ღვდელს ლაჯებში ამოისვამდა.

– აი, დაგწყევლოს ქალმა ლამაზმა და შენმა ჯანაანურამაც! – რა იგეთ დიაკვანს გადაეყარე?

– ქაქუცას რაზმელი იყო. იმათთან შეფიცული. იმას მსუქანი ტაბლა კი არა, თავისი მამული უყვარდა. თანაც იგრე უყვარდა, ქაქუცას ხვეწნაც არ იღო ყურად: სულერთია, აქ კომუნისტები ცოცხალს არ დაგტოვებენ, საფრანგეთში კი უნივერსიტეტს დაგამთავრებინებთო. მაინც არ დასთმო აქაურობა, იქაურ სამოთხეს აქაური ჯოჯოხეთი არჩია და არ გაჰყვა უცხოეთში...

– აბა, რა გითხრა, მე ჯერ ეგეთი დიაკვნები არსად შამხვედრია.

– ეგეთი დიაკვნები მეტაბლე ღვდლებს კი არა, ნაღდ მამულიშვილებს ჰხვდებიან.

უეცრად მამა სერაფიონმა მუთაქის გვერდზე ქისა შენიშნა.

– შე წყეული, სიბერეში ისევ დაიწყე პაპიროზი? – აიღო ქისა და გაკვირვებისაგან თვალები გადმოუცვივდა. – ეს რა ჩაგიყრია თამბაქოს ქისაში. ფულია?

– რაღა კითხვა უნდა, ხო ჰხედავ, რო-ფულია.

– რა ფულია.

– ოცდაათი ვერცხლი. დათვალე.

– ფუ, ეშმაკო! რეებს მიჰქარავ, შე იუდავ?

– აბა, აბა, მამა სერაფიონ, ჩემთან არ გაჰბედო იუდას გინება. აქამდე თუ თორმეტ მანეთს მაძლევდნენ პენსიას, როგორც თორმეტთაგან ერთ-ერთ მოციქულს, დღეიდან ოცდაათი მომცეს, როგორც იუდას. ოღონდ, ჯერ მე თითონაც არ ვიცი, ვინ გავეცი და რათ გავეცი.

რა მოციქულებზე ლაპარაკობ, რეებს არაკუნებ?

– გამგეობის წევრები თერთმეტნი იყვნენ, მეთორმეტე მე ვიყავი, როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე... ეხლა, რაკი ყველაფერს ჩამოვშორდი და იმათ მარაქაში აღარ ვურევივარ, ეს ოცდაათი ვერცხლი გადმომიგდეს.

მაშ, რაკი ჩამოჰშორდი, გამცემად და მოღალატედ ჩაგთვალეს?

– ჯერ ბოლომდის ვერ გავარკვიე, ნამდვილად რაში დავიმსახურე ეს საგულისხმო ჯილდო. თუ საიუდოდ არი გაღებული, მაშინ, ეს ჩემთვის დიდად საპატიო უნდა იყოს.

– კაცო, ლევან, შენ ხო ახალგაზრდა აღარა ხარ, ქვეყანა ჭკვიან, ბრძენ კაცად გიცნობს, ჩვენ – მე და ვანო, არაფერს ვიტყვით, მაგრამ აქ სხვა ვინმე, ერთი დარბაისელი კაცი რო გვესწრებოდეს, ხო შენ ჭკვათამყოფელობაში ეჭვი შეეპარება?

– ღვდელო, შენ თუ ჰფიქრობ, რო დავბერდი და ამ ქვეყნისა აღარა გამეგება-რა, მაშინ შენ თითონ დაჰბერებულხარ. მე რაც ახალგაზრდობაში მწამდა, ეხლაც იმ რწმენაზე ვარ: იუდას გამცემლობა არასდროს ჩამითვლია დანაშაულად.

– ეე, ლევან, ლევან, აქამდინ, ვიცოდი, რო თვალთ გაკლდა, ეხლა კი ვხედავ...

– გაჩუმდი, ღვდელო, შენ ტაბლის მეტს ვერაფერს ჰხედავ! – ხედვით მე ვხედავ და ეხლა უფრო გაცილებით კარგადაც. შენა და შენისთანა მორწმუნე ურწმუნოებმა დაიხსომეთ: იუდა უზენაესის ნებას ასრულებდა და ეს თავათ ქრისტემაც კარგად იცოდა. ვიღაცას აუცილებლად უნდა გაეცა. რათა ქრისტე ჯვარს ეცვათ და მემრე ცად ამაღლებულიყო. გამცემი იმ თორმეტი მოციქულიდან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი მისიის შესასრულებლად უფალმა იუდა აირჩია... მაშ, რას ერჩით მთელი საქრისტიანო იმ პატიოსან კაცს, რომელსაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს სამარადჟამო დავალება?!. აბა, თუ მეტყვი, რომელი უფრო დიდ რისკზე წავიდა: ის, ვისაც ცა ელოდა თუ ის, ვისზედაც მიწა ილესავდა კბილებს? უპირველესმა მოციქულმა პეტრემაც ხო სამჯერ უარჰყო ქრისტე? - რათ დასო თავის მოადგილეთ დედამიწაზე მაინცადამაინც პეტრე და არა რომელიმე პავლე, იოვანე, მათე ან მარკოზი? იუდა კი, ეს პატიოსანი კაცი, საწყევლ-საკრულავათ დაუტოვა საქრისტიანოს? და, თუ ეს გაცემაა, მაშინ პასუხი იმას უნდა მოეთხოვოს, ვინც ეს გაცემა დაგეგმა და გამცემად იუდა აირჩია. ჭეშმარიტება ღაღადებს: სანამ სხვებს განსჯიდე, განსაჯე თავი შენი და მტრისაც კი სამართლიანი მოწმე იყავიო.

- ღმერთო, შეგცოდე-და, ეგეთი რამე, ამ ხნის კაცი მოვიყარე და, არ გამიგია! ეს საშინელი მკრეხელობა ან ამისთანა უღმერთოდან უნდა წამოსულიყო ან თავათ იუდადან! ღმერთო, შენ დაიფარე ყველა ქრისტიანი ამ კათაკმეველის მოსმენისაგან! ამაზე დიდი ცოდო განა კიდევ შეიძლება იყოს?!

- როგორ არა. ე ღმერთი თუ ეგეთი სამართლიანია, როგორც სახარება გვასწავლის, მაშინ პირველ რიგში ყვავის ცოდო უნდა მომკითხოს.

- რა ყვავის ცოდო? - მღვდელს დაეჭვებული თვალი მოპაექრისთვის არ მოუცილებია, ისე გადაიწერა აჩქარებით სამჯერ პირჯვარი, - მთლათ შამლილა ეს უბედური. რა ყვავის ცოდო, რას გადასც-გადმოსცემ?

- მაგაზე დიდი ცოდო, არა მგონია, ბევრ სხვასაც ჩაედინოს.

მღვდელმა თვალები ისე მოჭუტა, შიგ ეჭვი და სინანული ერთნაირად შეიმჩნეოდა. მერე ციყვს მიაპყრო გაკვირვებული მზერა.

- მამა სერაფიონ, ჩვენ ლევანა ძიას სანახავათ მოვედით თუ იმის გასარკვევათ: ყვავის ცოდო უფრო მეტი ადევს თუ ჭილყვავისა. ან აქ, ან იმ ქვეყნად წასვლისას რას იმსახურებს, რას არა?

- შვილო, ვანო, იმ ქვეყნისა მე რა მსაჯული ვარ. მე ამისი აქაური ცოდვები მაწუხებს, რადგან ასჯერაც რო დააგდოს მანდატი, მაინც კომუნისტურ პერანგს ვერ გაიხდის და ვერც სტალინის ნაკვალევს შეეშვება.

- სტალინს, ღვდელო, დიდი ხანია შეშვებული ვარ. ეს - შენ და შენისთანები არ ეშვებიან ჯერაც. აბა, ეხლა თავად ვანოსა ჰკითხე, მაგისი საქმე სტალინამდის რო არ მისულიყო, ხო სრული ათი წელი უნდა ჰყოლოდათ კოლიმაზე გასანიავებლათ, რათა, გადარჩენის შემთხვევაში, კავკასიაში დაბრუნებისას მზეზე წარამარა არ დასიცხულიყო?!

- მართალია, ლევანა ძიავ! მე რო ის კაცი არ გადამყროდა, იმისი რჩევა რო არ მეღო ყურად, თავადაც ვერავინ დამაჯერებდა, რო სტალინმა არ მიკრა თავი იმ ჯოჯოხეთში.

- ვინ კაცი იყო, ვინ გადაგარჩინა ციმბირს?

- მარტო ციმბირს კი არა, ნაღდ სიკვდილსაც.

- რა სიკვდილს, კაცო, ჩემი ბიჭი იგრე დაბრუნდა იქიდან, თმის ბეწვიც არ დაუკარგავს.

- ეხლა, სჯობია, შენ თითონ მოუყვე, ციყვო, თორემ ეს ღვდლობაში იგეთი თვითრჯული გამხდარა, ჩემ ნათქომს არ დაიჯერებს.

* * *

ორივე ძმა ღამის სამ საათზე გათოკეს. თელავის ციხის დილეგში ჩაყარეს სხვა პატიმრებთან ერთად. ერთ ღამეს, შუაღამისას, ძმა გაიყვანეს დილეგიდან და კარგა ხნის მერე უკანვე შემოაგდეს. ზედ მისეულმა პატიმრებმა უგონოდ მყოფი ძლივს მოიყვანეს გრძნობაზე, მაგრამ, ისეთი ნაცემი იყო, ფეხზე ვეღარ დგებოდა... იმ ღამესვე მოვიდა დახურული მანქანა. ყველა პატიმარი ტომრებივით შეყარეს შიგ და მატარებლის სადგურში ჩაიყვანეს. რაკი ძმას სიარული არ შეეძლო, საკაცით შეიტანეს ვაგონში და თბილისის გზას გაუყენეს. ძმამ თბილისამდე ვერ მიატანა, გზაშივე დალია საგვემი სული და სადღაც, გურჯაანსა და ბადიაურს შუა, ვაგონიდან საკაციანად ისროლეს ძირს. ამაოდ იხვეწებოდა მკვდარზე გადაფაფრული, ცხარე ცრემლით მოტირალი ციყვი: მაგას მეც მიმაყოლეთ ზედო: ამაოდ ებღაუჭებოდა საკაცეს, მაგრამ რას გახდებოდა ერთიბეწო, ჩია კაცი ვირგლა ბიჭებთან? მაინც, სანამ კარგად არ აწვნიეს თავსა და ბეჭებში წიხლი და თოფის კონდახი, მანამდე ვერ წაჰგლიჯეს

ეროვნული ბიბლიოთეკა


ძმა ხელიდან!.. ნავთლუღში მთელი დღე-ღამე ამყოფეს ვაგონში გამოკეტილები, მერე რომელიღაც შემადგენლობას ამათი ვაგონიც მიაბეს და იქიდან, ბაქოსა და ასტრახანის გავლით, ციმბირის გზას გაუყენეს... ნოემბრის დასაწყისი იყო და საქართველოში, მათი წამოსვლისას, თბილოდა. გზადაგზა თანდათან ისე აცივდა, შორი მგზავრობისთვის, მკაცრი ზამთრისთვის, უქუდო, უპალტოო, უფულოდ, უსაგზლოდ მიგდებული ხალხი შიმშილ-სიცივისგან იხოცებოდა და ბადრაგი მკვდრებს მატარებლიდან ლიანდაგს იქით ისროდა.

ვანოს პირველად ძალიან ზარავდა გვამები, მაგრამ თანდათან მიეჩვია და მერე უკვე მათშუა ჩაწოლილი იზოგავდა თან წამოღებულ ჩურჩხელებს, რომელიც დაჭერის ღამეს ჩუმად შეაწყვეტა კედელზე დაკიდებულ გროვას. ჩიტივით იკიკნებოდა და, იმდენი ქნა, ამ ჩურჩხელებს დანიშნულ ადგილამდე მიატანინა სული.

ორი ათასზე მეტი კაცი გადმოტვირთეს საქონლის ვაგონებიდან და მწკრივზე მოაწყეს. მოვიდა ვიღაც პოლკოვნიკი: ვინ რა ხელობისა ხართ, ცალ-ცალკე დადექითო. დადგნენ ცალკე: ხის მჭრელები, დურგლები, კალატოზები, მიწის მთხრელები, მღებავები, მჭედლები, ბუღალტრები, მაღაზიის მუშაკები და სხვანი და სხვანი... ამდენ ჯგროში მხოლოდ ჟურნალისტებს სცეს დიდი პატივი: ყველასგან გამოაცალკევეს და ერთ ჯგუფად შეკრეს. ამდენ ღუნდგოში ყველაზე უკეთ, ლაზათიანად ჟურნალისტები გამოიყურებოდნენ... ვანოს ძალიან მოეწონა ესა და გადასწყვიტა რუსები „გაეცურებინა". აქ თუ ეშმაკურად არ მოვიქეცი, ცუდად იქნება ჩემი საქმეო და გზაში ნასწავლი რუსულით განაცხადა:

– ია ჟურნალისტ!

დამხვდურებმა მაშინვე ყური ცქვიტეს!

და პრესის „ახალი მუშაკიც" ორასამდე ჟურნალისტს შეუერთეს... ამის შემდეგ ყოველი ჯგუფი იქ დაანაწილეს, ვისთვისაც რომელი ადგილი იყო განკუთვნილი.

ჟურნალისტებს კვლავ საგანგებო პატივი სცეს: წაიყვანეს და იმ ბარაკში შერეკეს, რომელსაც ირგვლივ ექვსპირად ეკლიანი მავთული! გაძლიერებული ბადრაგი და მარადჟამს მშიერი ძაღლები იმის გარანტიას იძლეოდნენ, შიგნიდან თუ გარედან საგულდაგულოდ ყოფილიყო დაცული მათი ყოფნა და მოსვენება. ყოველდღიური ულუფა-„ბალანდა," რომელსაც, ალბათ, არც ერთი მოდარაჯე ძაღლიც კი პირს არ დააკარებდა, ორას-სამასი გრამი ტალახისფერი, გალიგვული პური, რომელსაც კატა კლანჭსაც კი ვერ მოჰკიდებდა, მათ ჯანმრთელობას უზრუნველყოფდა... ვის აღარ ნახავდით აქ: „პრავდის", „ლენინგრადსკაია პრავდის", „კომსომოლსკაია პრავდის", „პიონერსკაია პრავდის" და, საერთოდ, ყოველგვარი „პრავდის", „იზვესტიის" და სხვა გავლენიანი გაზეთების რედაქტორებს, განყოფილების გამგეებს, ლიტმუშაკებსა თუ ტექნიკურ მუშაკებს... ვანომ თელავის სარაიონო გაზეთის, „კოლმეურნის ხმის" სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ადგილი „დაირტყა!"

და დაიწყო საბანაკო ცხოვრება!

მარჯვე, სხარტი, მოხერხებული და ენამახვილი ვანო თავის „კოლეგებს" მალე ისე დაუახლოვდა, თითქოს ყოველი მათგანი ჯანაანში მისი კარის მეზობელი ყოფილიყო. განსაკუთრებით ორი მეტრი და თერთმეტი სანტიმეტრის სიმაღლის გიგანტს, ყოფილ წყალბურთელს, ლენინგრადელ სპორტულ ჟურნალისტ – ბორის პესეცოვს შეეთვისა. მათი ერთად გამოჩენა ყოველთვის მხიარულ, გულკეთილ ხარხარს იწვევდა. ციყვი, რომელიც ძმაკაცს საქამრემდისაც ვერ სწვდებოდა, ცდილობდა, მის გვერდით იმგვარად გამოჩენილიყო, თანაბარაკელთა დაუემურებული სახეები წუთით მაინც „გაემხეურებინა".

ჟურნალისტებმა არც აქ მოისვენეს და ბანაკის ადმინისტრაციას ერთხელაც მაგიდაზე დაუდეს ხელნაწერი არალეგალური გაზეთი, რომელიც დაუზოგავად ლანძღავ-თათხავდა საბჭოთა წყობილებას, მის მთავრობას, კომუნისტურ ელიტას და ყველა მათ დიდ-პატარა ბელადს. და გაზეთისთვის ქაღალდის მშოვნელიცა და თვალსაჩინო ადგილას მისი გამკვრელიც პაწაწკინტელა ვანო გახლდათ! ერთიბეწო, მოცუცქნული ციყვი ისე დაძვრებოდა ყველგან, გუშაგები გადარეულები იყვნენ.

შეშფოთებულმა ბანაკის ხელმძღვანელობამ ბევრჯერ შეცვალა მოდარაჯენი, ბევრჯერ დასაჯა კიდეც, მაგრამ გაზეთი კვლავ გამოდიოდა და კვლავ სამარცხვინო ბოძზე აკრავდა როგორც საბჭოთა მთავრობას, ისე

ბანაკის ყველა ჯურის ხელმძღვანელობას და მათ დაქირავებულ ჯალათებს.

იჭერდნენ ჟურნალისტებს, სვამდნენ კარცერში (ერთხელ თვით ვანოსაც ახვრეპინეს საკარცერე წვენი), მაგრამ... კედლის გაზეთი მაინც გამოდიოდა!

მალე ვანომ სხვა მარიფათიც დაატრიალა. რაღაც მანქანებით კაკანათივით მახე გამართა, რომლითაც ყვავებს იჭერდა ხოლმე და ბორის პესეცოვს მათი გემრიელი ხორცით უმასპინძლდებოდა. დროდადრო იქაურ მელა-პესეცსაც გამოჰკრავდა ხელს და, როდესაც უზარმაზარი ჟურნალისტი თავისი რკინის მკვნეტავი კბილებით მას ძვლებიანად აკნატუნებდა, იქვე ჩამომჯდარი, თავმოსაწყლებული ვანო უხერხული თავმდაბლობით ბოდიშს იხდიდა: „რა ვქნა, იქნება დიდი მკრეხლობაც იყოს, შენივე ახლობლის ხორცს რო გაჭმევ, მაგრამ, რას იზამ, ეხლა მარტო აქ კი არა, ბანაკს გარეთაც აღარ ინდობს ძმა ძმას“.

და მთელ ბანაკში საარაკოდ იყო ქცეული მათი მეგობრობა!..

მალე ჟურნალისტებსაც ავად შემოუტია ტილმა. იხსნენ და მაიმუნებივით ისეთი მონდომებით უხილავდნენ ერთმანეთს თავებს, - სადღა იყო საბანაკო მოწყენილობა! ახლა, ყველაზე დიდი გასართობი ძილსა თუ ღვიძილში განუყრელი მეგობრები - ბორია და ვანო იყვნენ. პაწაწკინტელა ციყვს ბორისი მესამე ნარზე შესვამდა და რამდენიმე წუთში გადინადირებდა მის ერთ მუჭა თავს. სამაგიეროდ ვანო იყო შავ დღეში: ქვედა ნარზე წაწოლილი გიგანტი წინდაწყობილ ხელებზე დასდებდა მძლავრ ნიკაპს და დათვივით უზარმაზარ თავს საათნახევრით სიამოვნებით ანებებდა მეგობრის მარჯვე თითებს ჯაგარა თმაში საჯირითოდ. ვანომ შესანიშნავად იცოდა თავისი საქმე და მოვალეობა: როგორც კი ბორია წაწვებოდა, ციყვი უმალ მოახტებოდა ზურგზე, რბილად ჩამოჯდებოდა კუნთებად ქცეულ ბეჭებს შუა, კისრის აქეთ-იქით ნებიერად ჩაჰკიდებდა ფეხებს და საჯაროდ ამზეურებდა ფანქრივით წვრილი თითების სიმარჯვეს. თან ისე ლამაზად ბაძავდა თავის ოთხხელა „წინაპრებს“, მთელი ბარაკი სიცილით იხოცებოდა...

ასეთ ფუფუნებაში მიიწურა ორი თვე და ბანაკის ხელმძღვანელობამ, როგორც იყო აღირსათ „სანიტარული დღე“ (სხვა პატიმრებს ყოველ კვირა რომ ჰქონდათ). ორი კილომეტრის დაშორებით მოჯახირებულ აბანოში წაიყვანეს დასაბანად. გაჰხადეს ტანთ და ტილიანი ტანსაცმელი სადეზინფექციო კამერაში შეუძახეს.

კარგად მოიძღეს გული ბანაობით ჟურნალისტებმა. მკვრივად ნაშენმა ზორბა ურალელმა ვასილ რიბკინმა კისერზე შეისვა ციყვი და ისიც ბორიას განიერ ბეჭებსა და ზურგს დაუნანებლად უშხეპავდა არყის ცოცხით. სამაგიეროდ, აუზში ჩასვლისას, რაკი ციყვი ფსკერს ფეხს ვერ აწვდენდა, ცოცხალ თოჯინასავით ხელში დაიჭირა ბორიამ და გუნებიერად აჭყუმპალავებდა თავის „ვანიას“.

მალე გარედან მოისმა რიხიანი ხმა: „კონჩაიტეეე!..“

და აბანოდან ყველა ერთად გამოუშვეს ტანსაცმლის მისაღებად. გამოუშვეს, მაგრამ ვაი, ამ გამოშვებას! - მთელი სადეზინფექციო კამერა დამწვარიყო!!! ჯერ ისევ ბოლავდა ჩაქცეული სახურავი და ნახანძრალი ბოძები. იქიდან აღენილი კვამლი მიდამოს წამლავდა ჭუჭყითა და მკბენარით გაჯერებული დამწვარი ტანსაცმლის სუნით.

მხოლოდ რამდენიმე წამი დასჭირდა იმის გაცნობიერებას, თუ რა სიურპრიზი დაახვედრეს ცხელი აბანოდან ორმოცდაათ გრადუსიან ყინვაში გამოსულ დედიშობილა პატიმრებს!

- ოხ, მე თქვენი დედა! - დაიბღავლა ურალელმა და გუშაგს მივარდა.

სიცოცხლის იმედდაკარგული პატიმრები ბადრაგს მიესივნენ!

ამუშავდა მუშტი და თოფის კონდახი. ბადრაგს გავეშებული ძაღლები მიეშველნენ. ბორიამ პირველივე ძაღლს კისერი გადაუმტვრია, მერე უკანა ფეხებში დასტაცა ხელი და ვისაც კი შემოჰკრა, ფეხზე არავინ დააყენა. ჩხუბმა დიდხანს არ გასტანა. ფეხებში მიშვებულმა ტყვიებმა უკან დაახევინეს თავდამსხმელთ.

ახლა აქედან ბარაკამდე ორი კილომეტრი უნდა გაევლოთ დაგლეჯილ-დაკბენილ, სისხლით მოთხვრილ შიშველ-ტიტველ პატიმრებს!

და ბევრმა ასი მეტრის გავლაც ვერ შესძლო. პანტაპუნტით ცვიოდნენ თოვლზე გაუგონარი ღალატითა და სიმუხთლით განწირული პატიმრები და ბარაკამდე გასავლელ გზას გათოშილი გვამებით ფენდნენ.

ყველაზე ადრე საქართველოს მზეს მიჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ვანო დატორა ყინვამ. ბორიას ვეება ზურგს ამოფარებული იოლად გადაურჩა მოსეული ძაღლების კბილებს, მაგრამ მერე უკვე ჯერეთ განუცდელი, ყოვლის მომცველი ყინვა იჭრება მის პატარა სხეულში და არამარტო ძვლებს, გულსა და შიგნეულსაც უყინავს.

უზარმაზარი ნაბიჯებით მიდის წინ ბორია და უკან მოკუნტულ, კუსკუსით მიმყოლ ძმაკაცს იფარავს პირქარისაგან. დროდადრო მოუბრუნდება ბადრაგს ბორისი და ჯიგრიანად უკურთხებს: „ვაშუ მამუ დუშუ მატალ! - ნი ბოისია, ვანია, მი ბუდემ ჟიტ!..“ უეცრად შემობრუნებულმა სტაცა ვანოს ხელი, თოვლით კარგად გახეხა, მიუსრის-მოუსრისა ხელ-პირი, მერე კარგად დაზილა, რამდენჯერმე შეისროლა მაღლა, წელზე შემოივლო და, როგორც იყო, მოასულიერა. ასე მიალაჯებდა ბარაკისკენ და მიაბურთავებდა თავის „ვანიას“, თან ხეხდა, ზელდა, ისროდა მაღლა, წელზე ივლებდა და მიათამაშებდა.

ბოლოს ბარაკში ორასერთი კაციდან მხოლოდ სამნი მივიდნენ: ურალელი ვასილ რიბკინი, ლენინგრადელი ბორის პესეცოვი და თელავის რაიონის გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე - ვანო ქარწვიმაშვილი...

როგორც კი ბარაკში მივიდნენ, დაანთეს ცეცხლი, მოძებნეს გადაყრილი, ძველი ძონძმანძები, გადაიცვეს, ჩაწვნენ თივით გაჯერებულ ლოგინში, ჩაეხუტნენ ერთმანეთს და, იმ დღის დაუჯერებელი, საშინელი ამბის გადამკიდენი, უაზროდ აცეცებდნენ საღამომდის თვალებს. საღამოს აადუღეს წყალი, დალიეს „ჩეფირი“, ღმერთს მადლობა შესწირეს გადარჩენისათვის, მერე კვლავ შეწვნენ თავიანთ ლოგინში და უგონოდ ეძინათ დილამდის.

დილით ძაღლების ყეფამ გამოაღვიძა ვასილ რიბკინი და დიდ-პატარა ძმაკაცი. ბარაკში ბადრაგი შემოვიდა. ხუთი კაცი იყო. მათ შორის უფროსი, გენერალი ვადიმ ცუცურიკინი და სამი სხვა მაღალჩინოსანი ხელქვეითი შემოჰყვათ. გენერალი მიუახლოვდა გადარჩენილ პატიმრებს და იქედნური ღიმილითა და თვალების ქუტვით უთხრა:

- ა ვი, ტოვარიშჩი ჟურნალისტი, ასტალის ჟივიმი?

ასეთი თავხედური და გაუგონარი შეურაცხყოფა ციყვმაც კი ვერ აიტანა. უნებურად აჰხედა ბორისს, რომლის ვეება მუშტი ელვის სისწრაფით დაეშვა დილის არყით გაჟიჟვინებული გენერლის სიფათზე. გენერალს ერთბაშად გაუსხლტა მიწა ფეხებქვეშ და მოცელილი დაეცა ნარებს შუა. ბადრაგი ეცა გენერალს, მოწიწებით ასწია და ცარიელ ნარზე დააწვინა მისი კარგად ნაკვები სხეული. სასწრაფოდ მოვარდა ექიმი. უმალ რამდენიმე ნემსი ჰკრა მკლავსა და ორთავ დუნდულზე. გენერალმა ერთი კი გაახილა თვალი, უსაგნოდ მიიხედ-მოიხედა და მერე მეორედ მოსვლამდის დახუჭა კიდეც.

ამ მოულოდნელი ამბით შეძრულმა, დაბნეულმა ბადრაგმა გენერალი ხელით გაიტანა ბარაკიდან და „ოფიცრის სახლში“ დააწვინა.

შეიძრა მთელი ბანაკის დაცვა: ზოგი ლინჩის წესით სასწრაფო გასამართლებას მოითხოვდა, ზოგი დახვრეტას, ზოგი ჩამოხრჩობას და ზოგიც ახალ, ჯერაც გაუგონარი სასჯელის დაუყოვნებლად გამოგონებას... მერე თანდათან შენელდა ალიაქოთი და მთელი ყურადღება მიცვალებულის მოვლა-პატრონობამ და დასაფლავების მზადებამ ჩანთქა.

ბარაკში კი სამი ობლად დარჩენილი სული იჯდა გონგადასული და „ხვალ რა იქნება“ გაურკვეველ მოლოდინში მყოფი. ბოლოს, შუაღამისას, როგორც იყო, ამ ფიქრებში ჩაძირულთ ჩაეძინათ.

მეორე დილით პირველად ციყვს გაეღვიძა და მაშინვე ბორიას გადაჰხედა. გადახედა და ვაი იმ გადახედვას! - ბორის პესეცოვის უზარმაზარი თავი ცულით შუაზე იყო გაჩეხილი!..

მეზობლის განწირულ კივილზე წამოვარდნილი რიბკინი ვერაფრით აკავებდა ამ ნაგალა კაცს! - ტიროდა ვანო, ყვიროდა, თავში იშენდა თავის პატარა მუშტებს, ლანძღავდა და აგინებდა მთელ ქვეყანას, სწყევლიდა თავისი დაბადების დღეს, ბორისთან შეხვედრა-გაცნობას და ათას მუქარას უთვლიდა მის მკვლელს. მერე ეცა თავის ქალაში ყუამდე ჩაჭედილ ცულს და, რაკი ვერ ამოაძრო, მიანება თავი და ისევ მკვდარს გადაემხო ზედ. ძლივს ააგლიჯა ვასია რიბკინმა მიცვალებულს მდუღარე ცრემლით მტირალი ერთადერთი ჭირისუფალი და, ამ ამბით შეძრწუნებული, მწარე ფიქრებს მიეცა საკუთარ ბედს ჩაგულისყურებული: „ამაღამ რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერი იქნება?..“ სინანულით გაჰხედა თავის ბედში მყოფს და თავადაც უნუგეშოდ ატირდა...

ბადრაგი შუადღისას შემოვიდა ბარაკში. თავგაჩეხილი ჟურნალისტი გაათრიეს და მარადჟამს მშიერ, მოდარაჯე ძაღლებს მიუგდეს სადგომში. მცირე ხნის შემდეგ უზარმაზარი ვაჟკაცისაგან მხოლოდ ორად გაპობილი, დაღრღნილ-დახრული თავის ქალა და დაკენტას გადარჩენილი, გალოკილი ძვლებიღა დარჩა.

ვანომ როგორღაც მოახერხა, ღამით ეს ძვლები მოიპარა, წაიღო და ბარაკის ეზოში ამოსულ ერთადერთ ფიჭვის ძირში ჩაფლა...

მეორე დღეს ღამენათევი, შიშისგან კიდევ უფრო დალეული ვანო და ურალელი ვასილ რიბკინი ხის მჭრელ პატიმართა ბრიგადას შეუერთეს...

– აი, იქ გავიცანი მწერალი ლევან გოთუა. უბრალო კაცი იყო, ძალიან კეთილი, ჯანღონით სავსე და საქართველოს ხსენებაზე ცრემლი ჰცვიოდა. რო გაიგო, ქართველი ვიყავ, გადაირია! – ხელში ამიტაცა, გულში ჩამიკრა და კინაღამ სული გამაფრთხობინა. არ მეგონა, თუ მწერალი ეგეთი ღონის პატრონი იქნებოდა. მემრე, რო უთხარ, კახელი ვარმეთქი, ალერსით დამახრჩო: მადლობა ღმერთს, რო კიდევ გამაგონა ჩვენებური, ქართულიო. ეგ კიდენ არაფერი, ზედაც ეს მააყოლა: აქამდინ თუ მკვდრებს ვიხსენებდი, ეხლა ცოცხალი კახელი გამამიგზავნაო. მაშინ წიგნსა წერამდა კახეთზე. ძველ კახეთზე... ღმერთო, თუ ცოცხალია, კიდევ დიდი დღე მიეცი და, თუ აღარ არი, აცხონე უკუნისამდინ... აი, ამ ორმა კაცმა, – ბორის პესეცოემა და ლევან გოთუამ გადამარჩინეს...

– იმ გოთუამ როგორღა გადაგარჩინა, ციყვო?

– სწორეთ იმან მითხრა: „თუ გინდა გადაჰრჩე, სტალინამდინ უნდა მიიტანო შენი ამბავი“. დაჯდა და თითონ დამიწერა ის განცხადება. თითონ კი იგრე ჰქუდდა სტალინი, როგორც ჩიტს მიმინო!

– მაშ შენ თვალწინ სწერდა „გმირთა ვარამს“, ციყვო? – ჰკითხა ლევანამ.

– ჰწერამდა კი და მე რა ვიცი, რასა ჰწერამდა. კახეთზე იყო, ძაან კაი რამეს ჰწერამდა. დღისით ხეებს ვჭრიდით, ღამე კი ლამის დილამდინა ჰწერამდა. ან როგორ უძლებდა იმდენ უძილობას, ან დღისით რა ჯანი ჰყოფნიდა ხეების ჭრაზე. დაჰწერამდა და, აბა, მოდი, ვანო, ერთი დავაჭაშნიკოთ, რა გამოვიდაო. კითხულობდა და, საიდან მოჰდიოდა თავში ეგეთი რამეები იმ ყინვაყიამეთში, ეხლაც არ ვიცი. სიკეთით იყო სამსე: თითონ მშიერი დარჩებოდა და თავის წილ ლუკმას შენ ჩაგიდებდა პირში. მე ჟურნალისტებთან ვიყავი გაწაფული და საწერ ქაღალდს სუ მე ვშოულობდი. გიქებოდა: საიდან რას ახერხებ, რა ყოჩაღი კაცი ჰყოფილხარო. ყველას ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ბანაკის უფროსებს ძალიან ეჯავრებოდათ: ჯერ ერთი, რო ყველა პატიმარს ესარჩლებოდა, მეორეც რო, ქართველი იყო. ერთხელ ამის გულისთვინ ფეხქვეშ გაიგდეს და იგრე ჰცემეს, კინაღამ მოკლეს.

– რა მოუშარეს. – იკითხა მღვდელმა.

– ის მოუშარეს, რომ მთელ ბანაკში მარტო მაგასა ჰქონდა ულვაშები. ყველას გააპარსინეს, – გოთუას ვერა! „როგორ თუ არ იპარსავ, შე ქართველო ბუღავ?!“ – ურტყეს და ურტყეს! ურტყეს და ურტყეს! გორავდა, იგრიხებოდა, თან დარტყმებს იცდენდა და თან ქვემოდან შემოსძახოდა: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ – მე ქართველი ვარ და ეგრე ქართველათ მოვკვდები, – არ გავიპარსავ!..“ აპა-პა-პა-პა, – ჯიუტი იყო, ჯიუტი იყო, კერპი, კერპი, რო იტყოდა, მოკვდებოდა და ნათქომს ვერ გადაათქმევინებდი! დიდი ღონის პატრონი იყო! – ორი კაცი რომ ვერ ერეოდა, მთელი ბადრაგი მიეხვეოდა ხოლმე. სანამ ერთად ვიყავით, სუ ეგრე დადიოდა ულვაშებდაწკეპილი! პატარა ულვაშები ჰქონდა, ლამაზი... ოღონდ, კაცო, დღესაც არ ვიცი, ან რას ნიშნავდა, ან რათ ეუბნებოდა იმ ძაღლის დაყრილებს: ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო.

– შენ მაგას ვერც ხვალ გაიგებ, ციყვო. ან რაში გჭირდება? – მაგის თქმა მარტო გოთუასთანა და იმ პესეცოვის მსგავსებს შეეძლიანთ. – ანუგეშა ლევანამ.

– მემრე მე გამანთავისუფლეს და ის იქ დარჩა... წამოსვლის წინ ბლომათ უშოვნე ქაღალდი და, ღმერთმანი, ძალიან გული დამწყდა, რო ეგეთ კაცს ვშორდებოდი... კაი რამეს კი ჰწერამდა. სუ კახეთზე იყო, ძველ კახეთზე და მაშინდელ მეფეებზე. მეფეებზე და... ღვდლებზე.

– შენ ბევრს ნუ მიჰქარავ, ციყვო. ეხლა შენ დაგადგა ღვდლების ძვლები ყელზე?! ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანა ხო არი და არი, ეხლა შენ დაიწყე ღვდლების გაპამპულება?

ციყვი აიმრიზა.

– იქ ნამდვილ ღვდლებზე იყო დაწერილი, – ღვდლებზე და ბერებზე.

– მაშ, მე ნამდვილი ღვდელი არა ვარ, შე პირშაო?

– ერთი შენა მყევხარ ძაან პირთეთრი! ის ღვდლები ქვეყანას ჰშველოდნენ, შენნაირები კი ქვეყანას ჰხრავენ.

– ერთი ამ პირქვე დასამარხავს უყურე, რას მეუბნება? ეს ნაციმბირალი, ეს იუდას კერძი! დიდი ხაია, რაც ქვეყნის მოღალატის სახელ-დიდება აგყარეს?

– ნეტა, რაც საქართველოში ღვდლებია, თავისი ეპიზკოპოზებიანათ, სუ ჩემისთანა მოღალატეები იყვნენ. მე თუ გიჟი ვარ, მაშინ მსმენელი მაინც უნდა იყოს ჭკვათამყოფელი.

– ციყვს თავი დაანებე, რევაზ. ამას შენთვის საავგო არაფერი უთქომს. როცა კანონი შორს არი და მუშტი ახლო, მაშინ იქ ადამიანი სულ სხვანაირი ხდება. მშიერ კაცს მაძღრის დონეზე ნურასდროს განსჯი, – შიმშილის ჟამს ადამიანები რწმენასაც ივიწყებენ და რელიგიასაც. რა გასაკვირია, ჯოჯოხეთგამოვლილმა ღვდლებზე რამე წაიხუმროს? მე შევსწრებივარ, თავათ ღვდლებს რო უანგლიათ ერთმანეთზე. კარგად უგდე ყური, როცა გონივრულად ლაპარაკობენ. – ლევანამ მღვდელს ქისა გამოართვა და ისევ თავის ადგილას მიაგდო. – ნუ წაიღე ზაპლა ამისი ჩხაკაჩხუკით. ეხლა ერთი ეს მითხარი: როგორი ბიჭი ყოფილა სტალინი, როცა, როგორც კი ციყვის წერილი წაიკითხა, გაგზავნა კომისია, გაიგო სინამდვილე, ეგ შინ გამოუშო, მაგის დამჭერები კი ციყვის ადგილას გაგზავნა.

– ეგეც სტალინური აგიტაციაა. უბრალო ხალხის გასაბრიყვებელი. ვითომ, ნახეთ, როგორა ვსჯი უსამართლობასო.

– და, თუ ყოველი უსამართლობა ეგრე დასაჯა, როგორც ვანოს მტრები, მაშინ, რას იტყვი?.. არაფერსაც არ იტყვი, მაინც არაფერსაც არ იტყვი და ვერც იტყვი... მაგრამ, მოდი, ამ საქმეს მოვეშოთ, რადგან შენ ამას თავ-ბოლოს ვერ გაუგებ. ის მითხარ, მარტო ჩემ სანახავად მოხვედი თუ რამეშიც გჭირდები?

– არაფერი არ მიჭირს, ლევან, თელავს მივდიოდი ეპიზკოპოზთან, გზაზე ე ციყვი შამამეყარა და ერთათ ჩამოვედით, – კარგა ხანია არც მე მინახავს ლევანა ძიაო.

– ოო, ბალღებო, რო იცოდეთ, როგორ გამახარეთ. ციყვი კი ხშირად შამომივლის ხოლმე, შენ კი ძაან დამანატრე თავი, შე მექალთანევ, შენა. რაო, იქ აღარა გყავ ლამაზ-ლამაზი მოლოზნები და გინდა აუქმიო იქაურობას?

– ეე, ნეტა შენ აქა-იქა არ იცოდე, ბებერო მგელო! რაღა დროს ჩემი მოლოზნებია, უკვე ოთხმოცდასამს მივაბჯინე.

– მოლოზანს?

– ფუ ეშმაკო! მოლოზანს კი არა, წარმართო, წელიწადს, წელიწადს!

– ჰაი, შე სულწაწყმენდილო, მოლოზანი იქნება თუ წელიწადი, მაინც რო სულ „მიბჯენა“ გახსენდება! მოდი, ეხლა მაინც გამოტყდი, ღვდლათაც ხო ქალების გულისთვის წახვედი?

– კარგი ერთი, ლევან, რის ქალები, რის მოლოზნები, ესენი რო შამოვიდნენ, მაშინ დიაკვნობიდან არ ამამკრეს პანღური?

– ჰოო, ეგ კარგი გამახსენე. შე ნადიაკვნარო, ეხლა რაღას დაჰყურებ დიაკვნებს ზემოდან?

– წესი ეგეთია, მაშინ მეც ზემოდან დამყურებდნენ ღვდლები.

– კაცურ კაცობაში, ძმობილო, არავინ არავის არ უნდა დაჰყურებდეს ზემოდან. ერთხელ ვაჟა-ფშაველას ამილახვრისთვის მოტაცებული ქალი შინ მიჰყავდა. უკან ცხენოსანი ძმები და ბიძაშვილები მოჰყვებოდნენ. გზაზე თავისი ბოსტნის კარიდან ვიღაც ჩია კაცმა გამოყო თავი და პატარძალს თვალი გააყოლა. ვაჟამ ცხენი შეაჩერა და ამ კაცს სიცილით უთხრა: „რაო, ფშაველო, თუ მოგეწონა პატარძალი, დაგითმობ“. ის პატარა კაცი, ვაჟას წელამდეც რო ძლივს მოსწვდებოდა, მოიქუშა და მუქარით უთხრა: შენ შენ გზას ბარაქა დააყარე, თორე, თუ მოვგლიჯე ჭიგო, ფინთათ აგინთებ გვერდებსო! თავით ფეხამდე იარაღში მჯდარ ვაჟას გაეცინა და გვერდზე მიმყოლ ღედოფლის ახლობელს მიუბრუნდა: „ნახე, როგორი ვაჟკაცები არიან ჩვენი არაგველები?“. უწინ ვაჟკაცობას მტრებიც კი პატივსა სცემდნენ. კაცი ყოველთვის კაცობით უნდა განისაჯოს და არა თანამდებობით. ეე, ჩემო რევაზ, მე ხო ვიცი რო გული ხალასი გაქვს, ეს ტყუილი ფახიფუხი ვიღას რაში უნდა გამოაყენო? აი, რას გირჩევ: მოდი, იმ ღვდლობას ქუდი მოუხადე და ისევ ოქიოში გადმოდი. სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქვს, კარი გაქვს, ვენახი და ბაღ-ბოსტანი. იქ შიმშილი მოგკლავს. შიმშილი და შენიანების სიშორე.

– გადმოსვლით კი მინდა გადმოსვლა, მაგრამ აბა, მე რაღა მიწის მუშათ გამოვდგები. ისევ ღვდლათ თუ მივალ თეთრი-გიორგში.

– თეთრი-გიორგში იყალთოელი ჭიბალაშვილია, – ციყვზე ანგალი.

– რა ვქნა, იყოს და იანგლოს. მე ჩემთვინ ვიქნები, ის თავისთვინ, ძაან მამენატრა აქაურობა. დავბედრი კიდეც.

აბა, აბა, – ეგენი არ იყოს! რა დროს სიბერეა? აგე, შირალი-ბაბა ას ორმოცდაჩვიდმეტი წლისა მოკვდა, – ჩვენ ას სამოცს მაინც ვერ უნდა მივაბჯინოთ?

– კარგი ერთი ახლა, ეგ სიტყვა აიკვიატე. შენ, ალბათ, სიკვდილამდის ვერაფერი გადაგარჯულებს.

– გადარჯულება კაცს მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ ეპატიება. დანარჩენ შემთხვევაში იმის კარაბადინში ეგეთი რამე არა სწერია.

– შენ ხო შენი სამშობლო იმ ვაზსა და იმ ვენახს ანაცვალე.

– პირიქით, ღვდელო, – მე მინდა, ის ვაზი და ის ვენახი ვანაცვალო სამშობლოს.

– ნეტა მაცოდინა, რა არი ეგეთი.

– მოვა დრო და გაიგებ. იცი, რით დავიწყე? – ხევხევას დიდი ჯებირით! „და შეკრება წყალი ქუეშე კერძო ცისა შესაკრებელთა მათთა, და გამოჩნდა ხმელი...“ აი, იმ ჩემგან გამოჩენილ ხმელზე გავაშენე ის ვენახი...

მღვდელი დიდხანს უცქერდა ლევანას დაფიქრებული.

ლევანა გუმანით მიხვდა ნაღიაკვნარის ფიქრებს და ჩაიქირქილა.

– რაო, ღვდელო, რა არ მოგეწონა ჩემს განაზრახში?

– ლევაან, ღმერთს შეეშვი, ლევან. მარტო დაბრმავებას არ გაკმარებს...

–ეე, ღვდელო, ვინც გაქცევა გადასწყვიტა, იმას წაქცევისა აღარ ეშინიან.

– კარგი. რაკი გადასწყვიტე, ვიცი, ვერაფერი შეგაჩერებს. ღმერთმა ქნას, ეს ამბავი მშვიდობით დამთავრდეს. ეხლა წავედი. ე ციყვი რო არ შემხვედროდა, აქამდის თელავში ვიქნებოდი ეპისკოპოსთან. ნუ გეშინიან, გადმოვალ თეთრი-გიორგში და მერე სუ ერთათ ვიქნებით მე და შენ.

– მაგ საქმეში მე ვერ მოგეხმარები?

– არა, არ დამჭირდები. იქ ჩემ ადგილას დამრჩომი ვიშოვნე. აქ კი – თეთრი-გიორგში თუ ალავერდში, უჭირთ კიდეც ჩემნაირი ღვდელი.

– ან იქნებ ფული გჭირდება, – აი, ჩემი ქისა! მართალია, გამცემის ჯილდოა, მაგრამ, შენც კარგად იცი, ფულს არ აწერია, შენამდე ვის ეკუთვნოდა.

– ნეტა კი შენცა და ე ციყვიც მაიშლიდეთ ტუტუცურ ლაპარაკსა-და...

– კარგი. როდისღა გამომივლი?

– არც იგრე დიდხან ჭალოდინებ, შეიძლება ხვალ დილითვეც გეახლო.

– მართალია, ღვდლებს თავათ ქრისტეც არ ენდობოდა, მაგრამ მე დაგიჯერებ...

* * *

სტუმრების წასვლის შემდეგ ლევანამ კვლავ მოიწყინა. ირგვლივეთის სიჩუმე უკვე ყურს ეჩოთირებოდა. აღარც ბრუნოს ღრენაქსუტუნი ისმოდა საიდანმე, აღარც ინდაურების ლუყლუყი, აღარც ქათმების კრიახი და პეტუას ზავთიანი ყივილი. ჯიბგირაც სადღაც გაქრა, დაიკარგა. ხევხევას წყნარი შრიალი საძილედ უნანავებდა ცაცხვქვეშ მყოფს. მაგრამ ლევანა რულის მოკიდებასაც კი უფრთხოდა, რათა ის ყვავი აღარ ზმანებოდა, რომლის ცოდვაც ასე უწყლავდა გულს. გარნა იმ გოგოს გახსენებამ მაინც თავისი ქნა...

*გოგო*: ლევანა პაპავ, დღეს თქვენ ყვავის ცოდვა ახსენეთ, კიდეც მიამბეთ და კარგადაც მაცინეთ. ახლა ეს მიბრძანეთ: იმ კაცს, ვინც თქვენს მისიას, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, – ამქვეყნად მოსვლის მიზანს რომ დაგაცილათ, მისიას, რომელიც დღემდე ჯერაც არ შეგისრულებიათ, ცოდვად არ უთვლით?

*ლევანა*: პირიქით – იმ კაცმა მომცა საშუალება, გამეცნო ცხოვრება; საშუალება მომცა შემეყვარებინა ცხენები; საშუალება მომცა დამეგროვებინა ფული იმ მიწის შესასყიდად, რომელზედაც უნდა გამეშენებინა ჩემი გამოყვანილი ქართული ჯიშის ახალი ვაზი...

*გოგო*: მერე? ფული ხომ იშოვეთ, რატომ არ იყიდეთ მიწა, რატომ არ გააშენეთ ის თქვენი ვენახი? განა იმ კაცის ბრალი არ იყო, რომელმაც გიბიძგათ ქალაქისკენ და ქალაქური ცხოვრებისაკენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ლევანა*: არა, იქ კაცის, როგორც პიროვნების, ბუნება-ხასიათიც იყო გარეული. დანიელოვი სადაც წავიდოდა, ყველგან, ყოველ კუთხეში და თავად ქალაქშიაც, თან დამატარებდა. ადრეც გითხარით რო, მამასავით ზრუნავდა ჩემზე. ცდილობდა ქვეყანა მენახნა, ბევრი რამ მცოდნოდა და გამეცნო. უამრავ რამეს მიამბობდა წაკითხულსა თუ გაგონილს. მეტყოდა ხოლმე: „თუ წყალში არ მოჰხვდი, ცურვას ვერ ისწავლი". თითონაც ბალღობიდანვე ძაან ცნობისმოყვარე ვიყავი. მიყვარდა სხვადასხვა ხალხისა და ადგილების ნახვა. მით უფრო, რო მემრე, როცა საკუთარი ცხენები, ფაიტონი და ფურგუნი ვიყიდე, უკვე თავისუფალი ვიყავი: აღარც ხაზეინი მყავდა, აღარც ბოქაული მემტერებოდა.

*გოგო*: იმ ბოქაულმა რატომ თბილისში არ მოგძებნათ? თუ მოგძებნათ და ვერ მოგაკვლიათ?

*ლევანა*: არა, ის იგეთი მაგარი კაცი იყო, თუ შეეცდებოდა, მიპოვნიდა. უბრალოდ, მე აღარ ვაინტერესებდი. ის საქმე, რის გულისთვისაც ქუთაისიდან თელავში გადმოვიდა უჩემოდაც კარგად მოათავა და უკანვე დაბრუნდა.

*გოგო*: ყაჩაღებზე ამბობთ?

*ლევანა*: დიახ, „გასულ ბიჭებს" რო ეძახდნენ. რაც უნდოდა, მიაღწია კიდეც.

*გოგო*: დახოცა?

*ლევანა*: შემოირიგა. შუამავალი მიუგზავნა და შემოირიგა.

*გოგო*: როგორ, ყაჩაღები დასთანხმდნენ ციხეში ჩაყრასა და გადასახლებაზე?

*ლევანა*: არა, მაგაზე ყველა რო წასულიყო, ქორჭიკა არ დასთანხმდებოდა... იარაღი აიყარეს და ტყიდან გამოვიდნენ. მთავრობამ კი (ბოქაულმა) წარსული აპატია.

*გოგო*: მაინც დიდი ჰუმანური ვინმე ყოფილა ეგ თქვენი ბოქაული.

*ლევანა*: რა თქმა უნდა, თუ ყველაფერი ამით მოთავდებოდა.

*გოგო*: რა მოხდა?

*ლევანა*: ბოქაულმა ერთ ხანს ატარა თავისუფლად, მემრე კი... ზალიკო სვიმონიშვილი, მეტსახელად „უტრუხუნე", თბილისში მოკლეს; – მაგარი ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურადაც დაიღუპა; გიგა სესიკაშვილი, – მეტსახელად „ზამბილი", ავადმყოფი გამოიტყუეს სახლიდან და ეზოშივე მოკლეს; ქორჭიკას ვაჟკაცობა მარტო კახეთში კი არა, ქალაქშიაც იყო ცნობილი. ის სანადიროდ გაიტყუეს და ყარაჯალელ თათრებს მოაკვლევინეს... აი, ეგრე ნელ-ნელა გამოხშირეს სუყველა და ამის შემდეგ რაღა უნდა ეკეთებინა თელავში კოწიას?

*გოგო*: არა ყოფილა სიტყვის კაცი.

*ლევანა*: რომელი დროც არ უნდა იყოს, შვილო, ვინც მთავრობას ემსახურება, არ შეიძლება იმისი „სიტყვის კაცობა". იქ, როგორც კი „სიტყვის კაცად" შეგიცნობენ, მაშინვე აგიკრავენ გუდა-ნაბადს...

*გოგო*: იმ თქვენს „ხაზეინს" რატომ უყვარდით და რატომ გექცეოდათ ასე თბილად და პატივისცემით?

*ლევანა*: როგორ, გითხრათ, მრავალი მიზეზი ჰქონდა, რო ეგრე მომქცეოდა.

*გოგო*: რამდენიმეს თუ დამისახელებთ.

*ლევანა*: ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რო მე იმ დროისათვის მისი დიდი საფარი ვიყავი.

*გოგო*: ეს როგორ გავიგოთ?

*ლევანა*: ქორჭიკა ჩემი მამიდაშვილი იყო. იმის შიშით, სადაც მე ვიყავი, იმ ადგილს ვერც ერთი ქურდი და ყაჩაღი ვერ გაეკარებოდა! ამას გარდა, ქორჭიკაც რო არ ყოფილიყო, ვერც მე შემომბედავდა ეგრე ვაგლახად ვერავინ რამეს... იცით რა, კაი გოგო, მოდი, ეგეთ რამეზე ნუ ვილაპარაკებთ. საკუთარ თავზე საქებარი რამის თქმა ძალიან მიჭირს.

*გოგო*: ლევანა პაპავ, მე ცნობები მჭირდება, – უტყუარი ცნობები, ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ. გარდა ამისა, საქვეყნოდ ცნობილია, რომ თქვენ არასოდეს ცრუობთ. ასე რომ, აუცილებლად უნდა მომიყვეთ, ასე რატომ უყვარდით თქვენს „ხაზეინს".

*ლევანა*: სიცრუე ჯერჯერობით არ დამჭირვებია, მაგრამ სამი რამისთვის კი შეიძლება იცრუოს კაცმა: მამულისთვის, სიკეთისა და ღირსებისათვის. რაც შეეხება სიყვარულს, მე იმ კაცს იმიტომ ვუყვარდი, რო თუ საჭიროდ ვცნობდი, მოეკვდებოდი და იმის ყველა ნათქომს შევასრულებდი; ყოველდღიურად აღებულ ფულს სალაროს კაპიკ-კაპიკ ვაბარებდი; იმის ქონებას: ცხენებს, ეტლებს, დილიჟანებს, ფაიტონს, აკაზმულობას, ცხენების საკვებს საკუთარივით ვუფრთხილდებოდი. ამასთან ერთად, იმის მტრებს ყველანაირი რისკის ფასად სამაგიეროს ვუხდიდი და პატრონს კი არ ვაზარალებდი. საჭიროების ჟამს შემეძლო საკმაოდ მოულოდნელი გონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებამახვილობის გამოჩენაც და გამოუვალი მდგომარეობიდანაც გამოსვლა...

*გოგო*: ერთ რამეს მაინც თუ გაიხსენებთ თქვენი გონებამახვილობისას, რისკისას ან გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლისას.

*ლევანა*: (ერთხანს ფიქრობს) მაინც რომელი გნებავთ: გონებამახვილობა, რისკი თუ გამოუვალი მდგომარეობა?

*გოგო*: სამივე. მაგრამ აქედან მაინც გამოუვალ მდგომარეობას ავირჩევდი.

*ლევანა*: (მცირე ფიქრის შემდეგ) მაშინ ერთს გეტყვით, რომელშიც სამივე ერთად იქნება: რისკიც, გონებამახვილობაცა და გამოუვალი მდგომარეობაც...

*გოგო*: მაგას რა სჯობია, ლევანა პაპავ, ბრძანეთ, ბრძანეთ, - სულმოუთქმელად გელოდებით.

*ლევანა*: ჩემი ხაზეინი კავკავს იყო. (ორჯონიკიძეს მაშინ კავკავი ერქო). იქაც ჰქონდა სახლები და დუქნები. მოაწესრიგებდა თბილისში საქმეებს და მერე ზოგჯერ მთელი თვეცა რჩებოდა ხოლმე იქა. წავიდა და ამით ისარგებლა იმისმა მოქიშპე ბაშინჯაღიანმა, საგზაო ინსპექცია მოქრთამა და მოგვიგზავნა. რაღაც დავალიანების გადაუხდელობა მოგვიმარეს ინსპექტორებმა და სამივე ომნიბუსის, ოთხივე დილიჯნის (დილიჯნებს ვეძახდით დილიჟანსებს), ერთი ფაიტნისა და ერთი ფურგუნის მარჯვენა მხარის წინა და უკანა თვალზე თოკი გააბეს და დალუქეს - სანამ იმ ფულს არ გადაიხდის, მთელი მაგისი ტრანსპორტი ეგრე იქნება დალუქულიო. ჩამოვუშვით ყველამ ცხვირები. რა უნდა გვექნა? - ხაზეინს ვერ შევაშფოთებდით, ვინ იცის, იქ რა საქმე გაჰფუჭებოდა, არადა, იქნებ მართლა მთელი თვეც დაჰგვიანებოდა? ამ ერთ თვეს ჩვენც ხო გვინდოდა ფული და ცხოვრება? წაველ ბაზარში საყიალოდ. ბაზრიდან რიყის მარცხენა მხარეს, მჭედლების რიგს ჩავუყევი და მთავარ გზასთან ცოტა ხანს გავჩერდი. ვფიქრობ: რის გაკეთება შეიძლება, საიდან, როგორ მოევლება... გავიხედოთ და ბაშინჯაღიანი არ მოდის! ჩამჯდარა ფაიტონში და თბილისისკენ ჰერი! წუთით მოვკარი იმის სახეს თვალი და უმალ გონება გამინათდა: ისეთი შუქიანი, ისეთი გამზევებული, ისეთი კმაყოფილი სახე ჰქონდა, მაშინვე მივხვდი, რო ეს ყველაფერი მისი - ბაშინჯაღიანის ნაოსტატარი იყო! - ჩააწყო, მოაკვარახჭინა და თავათ თბილისში გაერიდა, ვითომც მე აქ არაფერშუა ვარო... იმ წუთას გამოვბრუნდი უკან. ჩვენი მმართველი ვნახე და ვუთხარ: ჩვენ რო ამას ეგრე ვუყუროთ, ხვალვე მთელი ჩვენი მუშტარი ბაშინჯაღიანთან გადაბარგდება-მეთქი! მმართველმა მხრები აიწურა: „ხაზეინი აქ არ არი და მე რა უნდა ვქნა?“ მე უთხარი: შენ თუ არაფერს იღონებ, მაშინ შემპირდი, - ინსპექცია რო მოვა, შენ თავი იგრე დაიჭირო, თითქოს არაფერ შუაში ხარ, ყველაფერს ჩემ თავზე ვიღებ-მეთქი. იცოდა ჩემი ამბავი: თუ რამეს ჩავიფიქრებდი, უეჭველად გავაკეთებდი. მე თუ არაფერი დამბრალდება, აი, მთელი ბაკი და შენაო. წაველი, საწყობის გამგე მოვიყვანე და საწყობი გავაღებინე, წაპწია მოვიხმარე და ყველა სათადარიგო თვალი გამოვიტანე. ყველანაირ ტრანსპორტს დალუქული თვლები ლუქაუხსნელად თავის თოკიანად დავაძრე და საწყობში ფრთხილად შევინახე. იმათ მაგივრად ის სათადარიგო თვლები დავუკეთე! წაპწიას ვუთხარ: ხვალ, დილაუთენია, ყველა მეეტლე უკლებლივ აქ იყოს-მეთქი.

*გოგო*: წაპწია ვინღა იყო?

*ლევანა*: წაპწია მეტსახელად ჩემ ძმაკაცს ერქო. ისიც მეეტლე იყო, მაგარი ჯეილი. დავუკეთე სათადარიგო თვლები და - ტრანსპორტიც მზად იყო! მე ჩემთვის ისევ ჩემი ფაიტონი გავაწყე... იმავ საღამოს ჩვენი მმართველი მივუგზავნე და ბაშინჯაღიანის მმართველი მოვისყიდე, რათა მისი ხაზეინის ყოველი ნაბიჯი მცოდნოდა.

ბაკმა ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო!..

ერთი კვირის თავზე ჩამოვიდა ბაშინჯაღიანი. ნახა ჩვენი გამართული ტრანსპორტი... იმ ღამესვე ყველა ტრანსპორტზე კვლავ დავხსენი სათადარიგო თვლები და დალუქულები დავუყენე... მეორე დილითვე დამეცა თავზე ინსპექცია. მთელი ბაკი დაიარა, კარგად შეამოწმა და უკანვე წავიდა. მე იმ ღამესვე ისევ დავხსენი დალუქულები, ისევ სათადარიგოები დავუკეთე და მეორე დღეს უკანა ჭიშკრით (აი, აქ დავაფასე ოსკანოვის წინასწარი თადარიგიანობა!) დაბახნებზე გავუშვი სუყველა... მთელი ერთი თვე ეგრე ვთამაშობდით მე და ბაშინჯაღიანი... პირველი შემოწმების შემდეგ კიდევ სამჯერ მოვიდა ინსპექცია. მაგრამ ბაშინჯაღიანის მმართველი წინასწარ ყველაფერს მატყობინებდა და მეც წინასწარ ვლებულობდი საჭირო ზომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს. მეოთხეთ უკვე კარგად გამოგილანძღათ ინსპექციამ ბაშინჯაღიანი და ისიც იძულებული გახდა, თავი დაენებებინა...

ჩამოვიდა ხაზეინი.

ჩვენმა მმართველმა ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა.

დამიბარა.

მივედი.

ამხედ-დამხედა, კარგად შემათვალ-შემომათვალიერა და მითხრა: „ლევანჯან, ცავატანემ, შენი სიყმის მზემ, ერთი ეს მითხარი: ბაშინჯაღიანია სომეხი თუ შენა ხარ? ეს რანაირათ აჯობე ჭკვაში, ბალიკჯან?!“ – და ქერმომატებული ცხენივით ახვიხვინდა. მემრე მოვიდა, შემებობღა და, რაკი ვერ შემომწვდა, გამიწყრა: „ვა, ახარ, მე, ხო იცი, ხეებზე ასვლა არ მეხერხება, ცოტა დაიხარე-რაღა, მაგ ჭკვიან შუბლში გაკოცო!“

*გოგო*: ღმერთმანი, ლევანა პაპავ, მაშინ რომ იქ ვყოფილიყავი, უეჭველად მეც გაკოცებდით.

*ლევანა*: არ შეიძლება, ეხლა მივიღო ამდენი ხნით დაგვიანებული კოცნა?

*გოგო*: რატომაც არა, ლევანა პაპავ, ჯერ ეხლაც კარგი საკოცნელი ხართ და მაშინ, ალბათ, ქალები გიჟდებოდნენ თქვენზე. სიამოვნებით გაკოცებთ ახლაც. – და გოგომ მოულოდნელად აკოცა.

*ლევანა*: მე გეხუმრე, შვილო, რაღა დროს ჩემი კოცნაა.

*გოგო*: მეც ხუმრობით გაკოცეთ, ლევანა პაპავ, ჩვენი მეგობრობის ნიშნად.

*ლევანა*: დიდი მადლობა, შვილო, რო ამ ბერიკაცმა ეგეთ ლამაზ გოგოს კოცნა დაგტყუე.

*გოგო*: მეც დიდი მადლობელი ვარ ბედისა, რომ თქვენისთანა ჭკვიან კაცს გადამყარა. მაგრამ, ლევანა პაპავ, ჩვენ გუშინ იმ ადგილას გავჩერდით, თქვენ რომ ცოლის სიკვდილი გაიგეთ და თბილისიდან კახეთისკენ ცხენით გამოვარდით.

* * *

ეჰ, კარგია, ცხენით გამოვარდნა! – მით უმეტეს, თუ სასიხარულო ამბავზე მისდიხარ! და კიდევ უფრო კარგია, როცა ცხენი დარღუულია, – აულ აკუშაში დაბადებულ-გაზრდილი კვიცი, ყუმუხელი ლეკი ძმობილის, – სალთი-ილბიზის მოპარული! ტანად მომცროა, მაგრამ ღონიერი, გამძლე და მოუღლელი! სილამაზე? – ოო, ნუ იტყვით სილამაზეს: ფეხები წვრილი და ჩამოქნილი, – ოღონდ წინა ფეხები უკანებზე უფრო მაღალი, – მოკლე, სუფთა და პრიალა ბეწვით დაფარული; ყელი მოგრძო და აღვირის მოწევისას მორკალული; თავი შედარებით პატარა, კოხტად გამოკოპიტებული; ყურები მომცრო, მუდამ აცქვეტილი; თვალები ბრიალა, – ნაპერწკლების მსროლელი; ნესტოები ფართო, მანძილის ჩამნთქმელი; მკერდი განიერი, დაკუნთული, – კლდე-ღრის გამრღვევი!... დიახ, კარგია, მაგრამ ლევანა თავსდატეხილმა უზარმაზარმა უბედურებამ გამოაგდო ქალაქიდან. და, ცხენიც, თითქოს პატრონის მოუნელებელ ვარამს იზიარებსო, თეთრ-წყლებიდან გამოსული, გამოვლილი გზით დაღლილი თავჩაქინდრული, ყურებჩამოყრილი აუჩქარებლად, მდორედ მიიწევა ჯანაანისკენ, თითქოს ცდილობს, რაც შეიძლება გვიან შეჰყაროს პატრონი იმას, რისთვისაც მიატოვა ქალაქი და აქეთ გამოვარდა...

შუადღე გადახრილი იყო, ჯანაანში რომ შევიდა.

თავისი იავარქმნილი სახლ-კარის დანახვამ გული მოსწყვიტა. ღობე რამდენიმე ადგილას ჩაჭეჭყილი, მარგილები წაქცეული, ეზო ღორებისგან გადათხრილი, სახლი კლიტედადებული.

ლევანამ თავის სახლს გვერდი აუქცია და ბიძაშვილის აივნის ბოძს გამოაბა ცხენი.

გიორგი შინ არ იყო.

– ...ყველაფერი ვცადეთ. ზედ გადავყევით. ბალღებსაც რო გადაეღოთ, იმასაც შაუბრუნდა. – ჰყვებოდა რძალი, – მეორეთ ვეღარ გადაიტანა და ბალღებ თან მიჰყვა. რა არა ვცადეთ: ექიმი, წამალი, მკითხავი, ჭუნიაანთ ბებერსაც შავალოცვინეთ, ბალახბულახი ხო – ნუღარ იტყვი!.. მაინც არაფერმა უშველა, ჩემო მაზლო. ექიმებმა გვირჩიეს, თავი გადაჰპარსეთო. გადავპარსეთ. არც ამან უშველა. შენი გამოგზავნილი ფული გაგვითავდა. ჩვენ რაც შეგვეძლო არაფერი დავაკელით. მემრე ჩვენც რო გაგვითავდა, მაგის ნაქსოვი ფარდაგი, ტახტი, რკინის კრაოტი, შკაფი, კამოდი, სტოლი, სკამები, ლოგინები, სუყველაფერი გავყიდეთ. სუ კაპიკ-კაპიკ დავხარჯეთ და ვერა უშველეთ-რა. მერე კუბოები, სუდარები, ზიარება, ანდერძის აგება, დასაფლავება... ფანჯრებზედაც კი ფარდები ჩამოვხსენით... მაინც არ ეყო. მარნიდან საწყალი დედაშენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეული ვარცლი და ორომიც კი გამოვიტანე. აღარაფერი დარჩა, - ასტამიც კი წაიღეს... ცული, წალდი, შალაშინი, ნაჯახი, მამიშენისეული სავაზე, სატეხი, გაზი, ჩაქუჩი, ნახევარი ყუთი ლურსმანი, - სუ წაიღეს, გაიტანეს... მაინც ვერ დავფარეთ საფლავის ხარჯები... აბა, ჩვენ რაღას ვიზამდით, ეხლა ყველას უჭირს... გიორგის ყველაფერი აქვს ჩაწერილი.

- სად არი გიორგი.

- დილას ჭურჭელი წაიღო სულადზე გადასაცვლელად პანკისში. შეიძლება ამაღამ ნათლიმამასთან დარჩეს. ხვალ უეჭველად მოვა...

- სად დაასაფლავეთ.

- აბა, სად დავასაფლავებდით? - შენი დედ-მამის გვერდით.

- ბალღები?

- ბალღებიც იქვე.

ქუდი გამწარებით მოიგლიჯა, სახეზე მთელი ძალით მიისვ-მოისვა და წამოდგა. არაფერი უთქვამს. მოკლე კიბე ჩაათავა და ცხენი ბოძიდან ახსნა. ფეხით მიუძღვებოდა წინ. როცა სამრეკლომონგრეულ პატარა ეკლესიას გასცილდა, სასაფლაო მოათვალიერა. სამი ახალი საფლავი შემატებოდა მზევადასულთა მდუმარე სამყოფელს. ცხენს აღვირი წაჰყარა და ნებაზე მიუშვა... დიდხანს იდგა საფლავებშუა თავშიშველი, ხელ ქვეული. მერე დაიჩოქა, ვეება მკლავები გაშალა, საფლავებს აქეთ-იქით გადასდო და პირქვე დაეცა. დიდხანს ეგდო ეგრე უძრავად. უცებ შეიგრძნო: სახეზე რბილი, ოდნავ ნოტიო, რაღაც სასიამო სიო შეეხო. ერთი წამით სული გატერინა. და მიჰხვდა: პაწაწკინტელა საფლავებიდან ამოსული, მამის მკლავებით გამთბარი ბავშვების თბილი სუნთქვა იყო. მწარედ დაიგმინა. აიწია, დიდ საფლავს გადააწვა, ახლა უკვე ორივე ხელი მას მოჰხვია და მარჯვენა ლოყით ზედ მიეწება...

დილით დასადავებული ცხენი ეზოში გაუშვა და სახლი გააღო.

სიცარიელე, გულის მომწყვლელი სიცარიელე! სიჩუმით სავსე მთელი ოთახი მიცვალებულმოპარულ საფლავსა ჰგავდა...

აუტანელი სიჩუმე კარის ოდნავმა ჭრიალმა დაარღვია.

- მშვიდობა სახლსა ამასა. მიიღე ჩემი გულითადი სამძიმარი, შვილო ჩემო, და ნუ დაივიწყებ, რო ღმერთი ყოვლად მოწყალეა.

ლევანმა მოიხედა. მღვდელი იყო.

- მადლობთ, მამაო, მგონი რაღაც უნდა მემართოს ღმერთისა თუ შენი.

- ღმერთი დიდი და სულგრძელია, შვილო ჩემო, მოცდა შეუძლიან. წირვის ფასი არ გადაგიხდიათ ჩემთვის, შვილო. მითხრეს მოვიდაო და მეც გეახელი.

ლევანმა ერთიც შეათვალიერა მღვდელი და ყველა ჯიბე მისთვის თვალსაჩინოდ გადმოაბრუნა.

- აი, სულ ეს არი ჩემი ქონება. თქვენს ჯიბეს თუ დავუმატებთ, თორემ, - მერე მთელი ოთახი ერთხელ კიდევ მოათვალიერა და ერთ კუთხეში ორიოდე მუჭა კარტოფილი შენიშნა. მივიწყებული ჩანდა, თორემ მისი რძალი ამას აქ როგორ გააჩერებდა. ეტყობა, სახლის დაკეტვისას ვერ შეამჩნია. სითბოში ალივებულიყო. - თუმცა იმ კუთხეში მგონი რაღაც შემორჩენია, ამ გავერანებულ სახლს.

მღვდელმა ნაჩვენებ ადგილს შეავლო თვალი. მერე ანაფორის ქვეშ ყოველ შემთხვევისთვის სატარებელი პარკი მოსინჯა და კუთხისკენ გასწია. სათითაოდ იღებდა წვრილსა თუ მომსხო კარტოფილს, გულმოდგინედ აცლიდა ღივებს და მშვიდად, საქმიანად ჰყრიდა პარკში. როცა მთელი კუთხე კარგად მოწმინდა, გაცლილი ღივები კუთხეშივე მიყარა და სახლი უჩუმრად დატოვა.

ლევანმა ზიზღით სავსე თვალი გააყოლა ღვთის კეთილ მსახურს. მერე ფანჯრის ჩარჩოზე იდაყვჩამოდებული დიდხანს გაჰყურებდა გავერანებულ ეზოს, სადაც თავისი ერთადერთი გადარჩენილი საკუთრება - ცხენი დაბალახობდა... აღარავინ იყო, აღარავინ ღონღილობდა ქვეყნად მის ბარობზე ამ პირუტყვს გარდა...

სახლიდან გამოვიდა, კარი გამოკეტა, ფიცრებაცვივნილი აივანი გაიარა და ორსაფეხურიანი კიბით ეზოში ჩავიდა.

ცხენმა ლევანს მიახლოებაზე თავი ასწია და, შაქრით გამასპინძლებას მიჩვეულმა, მარჯვენა ხელი მთრთოლვარე ლაშებით მოუსინჯა. ერთხანს უცქირეს ერთმანეთს კაცმა და პირუტყვმა. მერე ცხენმა ერთი ნაბიჯი წინ გადადგა, კაცს ყბა ყბაზე ოდნავ გაუხახუნა და თავი მხარზე მსუბუქად ჩამოადო. კაცმა კისერზე ხელი მოჰხვია, თავადაც მიეხუტა ყელზე და იგრძნო, უცრემლო თვალებიდან ცრემლმა როგორ გამოჟონა...

გიორგიმ მარანში იპოვნა ბიძაშვილი... მერე დიდხანს ჰყვებოდა მეჭურჭლე ავადმყოფობაზე, მკურნალობაზე, მიცვალებულის გაპატიოსნებასა, მიწას მიბარებასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქელეხზე.

– სამუშაო იარაღები არ უნდა გაგეყიდნათ. ფულს ისესხებდით და გადავიხდიდი.

– სამუშაო იარაღებიო?

– ჰო, ცული, ნაჯახი, ხერხი, ხელეჩო, ბირდაბირი, შალაშინები – ყველაფერი. არც ავეჯი უნდა გაგეშეტებინათ. შენ ხო იცი ჩემი ამბავი, – არავისი არაფერი შემირჩენია.

– რას ამბობ, ლევან, ფული რათ ვინდოდა, შენი ფული კიდევაც დაგვრჩა. ავეჯისა კი არაფერი ვიცი, – რა ხანია, მაღლა არ ავდივარ. ვცხოვრობ ჩემთვინ სახელოსნოში. იქავ მაქ ერთი ტახტი და ლოგინი, მიდგა ერთი სტოლი და ორი ჩემივე გამოჩორკნილი ჯორკო. იქ ჩამააქ ოლას ჩემთვინ საჭმელი. მარტო ვინმეს სტუმრობისას თუ დამიძახებენ მაღლა. სტუმარი კი, შენც კარგათ იცი, მაგის გადამკიდეს რამდენიმე წელიწადში ერთხელ თუ შამამიღებს კარებს.

– რამ გააავა ეგრე ეგ დედაკაცი?

– მოყვანის დღიდან ეგრე ღრჯუ არ იყო, მე მაგის საკუთარი ღმერთი და სალოცავები! ავეჯი არ ვიცი, ვის მიჰყიდა. შეიძლება თავისი პირველი ქმრისგან ნაყოლ გოგოებსაც წაუღო. როგორც სიკვდილისგან, იგრე მაგისგან არაფერია გასაკვირი. იარაღები კი მე მაქ.

– აკი გავყიდეო, ოლამ.

– გაჰყიდიდა კიდეც, სხვენში დამალული რო არ მეპოვენა. წვიმა ჩამოდიოდა და გატეხილი კრამიტის გამოსაცვლელათ ავედი. სხვენის ძირში ეწყო ყველაფერი.

– მადლობა ღმერთს, რო ეგ მაინც გადარჩენილა. ყავარი მინდა დავჩეხო, იქნება მანამდის მუშტარიც მიშოვნო, – მინდა საფლავებს ქვები დავადო.

– ვნახოთ, მივდგებ-მოვდგები. მაგრამ მარტო რას იზამ? ორ დღეში მოვრჩები შინაურ საქმეებს და წამოგყვები.

– არ დამჭირდები. ადამა ვნახე თეთრწყლებში. ხვალ გამოვა. ფსიტიანის ციხის გადაღმა ვიქნებით, ცივზე.

– არც ტახტი, არც ლოგინი, იმ ცარიელ ფიცრებზე როგორ დაიძინე წუხელ?

წუხელ შინ არა ვყოფილვარ.

– მაშ სად იყავ?

– ჩემ ცოლ-შვილში, – სასაფლაოზე.

გიორგის აღარაფერი უთქვამს, წამოდგა და საწნახელზე მჯდარს მხარზე შეეხო.

– ადექი, პური ვჭამოთ.

– არა, მშიან. ეხლა ჩემი ცული, ნაჯახი და ბირდაბირი გამომიტანე. უნდა წავიდე, ის ხე მოვძებნო, რომელიც ადამამ მიმასწავლა.

– მშიერი როგორ წახვალ?

– ღმერთმანი, არა მშიან. მიდი, დროით მომიტანე, სანამ დაღამდება, უნდა ავიდე. თუ ეხლავე წავალ, იქნება პოვნაც მოვასწრო.

მეჭურჭლემ კარგად იცოდა მისი ამბავი. ადგა, ყველა იარაღი მოიტანა და მის წინ დააწყო.

– ცალუღი, კეხი და თასმები უნდა მათხოვა, მარხილს ტყეშიც გამოვჭრი.

მეჭურჭლე ერთი საათის შემდეგ მოვიდა. საჭირო აკაზმულობა, ქალამნები და საგზლის აბგაც მოიტანა.

– აქ ოლას ხელი არაფერში ურევია. მე თითონ ჩავალაგე... თავიდანვე ეგეთი ღრჯუ იყო ეგ გამჩენძაღლი... შარშან, მარიამობას, ავათ გახდა. იწვა და იმ თავის ჩაქამებულ თვალებს აპყრიალებდა. არაფრით გაიკარა ახლო საჭმელი. ვეჯექი თავთით და ვეხვეწებოდი, – ცოტა რამე მაინც წაიციქნე-მეთქი. გამიკრა ჯამს ხელი და კერძი მე გადამასხა ზედა. არც თავათ მაგ ძაღლმა ჭამა და მეც უკერძოდ დამარჩინა. რაღას ვიზამდი, ავდექი და ცარიელ პურს დაუწყე ჭამა. უცებ ქორივით მეცა ხელში, წამგლიჯა პური და გარეთ ისროლა: როცა მე არა ვჭამ, შენ რა ჭირი და შავი ქვა გაჭმევს პურსა? ცეცხლათა და ლველფათ გექცეს, რაც შაჰჭამეო!.. ეგ ჩექმები ტყეში არ გამოდგება. აი, ქალმები მოგიტანე. ძველებია, ტყლაპები აქ წაგებული. ახლები არც მე მაქ. მთაში სასიარულოთ ქალმებს არაფერი ჰჯობია. მეც დიდი ფეხი მაქ, დამბალიც კარგაა და ჩაგეტევა...

ტყეში სასიამო სიგრილე იდგა. უზარმაზარი წიფლები ერთმანეთის გვერდზე ისე ავარდნილიყვნენ ცაში, ძირს სინათლის ჭიატის დაცემა ეძვირებოდათ. პატარ-პატარა ხევხუევებს დაესერათ იქაურობა. ზოგი მათგანი დამშრალიყო, ზოგზე კი კრიალა, ლიკლიკა წყაროები დიოდა ვეება ქვებსა თუ ფესვებს შუა. ბუერას, გვიმრას, ვირისტერფასა და ჯორის ძუას დაეფარნა ხევის კიდეები და ძირები. ძლივს შესამჩნევი ასასვლელ-ჩასასვლელები სერავდნენ მათ უსწორმასწორო ფერდებს. სიჩუმე, მოურევნელი სიჩუმე დაჰპატრონებოდა, ირგვლივეთს... ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს აქ აფარებდნენ თავს „გასული ბიჭები“. არც ერთი მათგანი აღარ იყო ცოცხალი. და, მემრე რა ბიჭები იყვნენ! – ამ წიფლებივით დიდრონები, ამ წიფლებივით ჯანღონით სავსენი, ამ წიფლებივით ამოლტილები!.. მარტო ქორჟიკა... ვაიმე ძმაო!.. ათას ცხრაას ოთხი წლიდან რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო ფშაველელი ავქსენტი სიდამონიძე. ცხრაას ხუთშივე გავიდა ტყეში, რადგან სდევნიდნენ. აქ შეხვდა ცხენის ქურდად შეცნობილ ხარებას და აქცია იმ კაცად, რა კაცადაც დაეცა მაღრანის ტყეში ცხენის ქურდადვე ცნობილ გოგია კენკიშვილთან ერთად. „პატარანიკად“ ცნობილი – ნიკა კასრაძე ველისციხეში მოკლა პოლიციამ... ეეჰ, ვინც როგორ დაახსომა ხალხს თავი, ლექსიც იგეთი გამოუთქო:

*ძმების ჩაგრული გულები*
*ძმის გულით უნდ დათბესა,*
*ქორჟიკა გადმოფრინდება,*
*წინ დაირეკავს ჩაფრებსა...*

პატარა ნიკა?

*დაუბერე ნიაო,*
*პატრა ნიკა მქეიანო,*
*საგარეჯო ამოვავდე,*
*ველიციხეი მივალო...*

მივიდა „ველიციხელი“ და – მოკლა პოლიციამ!..

„ვინაც აღიღოს მახვილი, – მახვილითვე წარწყმდეს!..“

ბოლოს მაინც მიაგნო მინიშნებულ წიფელს. ასეთი წიფელი არსად ენახა! პატარა ხევისპირს იდგა. იმსიმსხო იყო, სამი-ოთხი კაცი ხელს ვერ შემოაწვდენდა. ტოტები მხოლოდ დიდ სიმაღლეზე ეწყებოდა, ლარივით სწორად ადიოდა ცაში და წვერი, ალბათ, ღრუბლებზევით ჰქონდა აწვდილი.

„ჰაი, დედასა! – რა ვაჟკაცია!“

ლევანამ ირგვლივ რამდენჯერმე შემოუარა. მერე ერთხელ კიდევ აჰხედა მაღლა: „სიკვდილს კარგების მოძებნა უყვარდა მუდამაც!..“ ადგილის შერჩევას შეუდგა, საით უნდა წაქცეულიყო, რომ ხევს ასცდენოდა. „სჯობია, ეხლავე დავიწყო“ – საქმის გადადება არ იცოდა ლევანამ. ერთხელ კიდევ შემოუარა გარშემო. მერე კი იდგა და კარგა ხანს უყურებდა ხის ზავთიანობას... „არა, ადამას დაველოდები. გუშინდელი დღე ძალიან მურდალი მქონდა. წუხელაც ძილი არ მომკარებია. ვივახშმებ და დავიძინებ. ვახშამი? – მივდგებ-მოვდგები, არ შეიძლება სადმე სოკო არ იყოს. შევწვავ და დავნაყრდები“. უცებ ბიძაშვილის გამოტანებული აბგა გაახსენდა. მოჩხრიკა. ერთი პური, ორისამი თავი ხახვ-ნიორი და ერთიც ცხვრის ფეხი იყო. „ეს ყუმბარის ნატეხი“ ნაღდად პანკისელი ნათლიმამის ნასროლია, თორემ ოლა ცხვრის თავ-ფეხის გამკეთებელი და აქ გამომტანებელია?“ და ბიძაშვილი დაენანა. – თავლორ ცხენს თავიდანვე უნდა ლაგამის ამოღება. უნამუსო ვირს უნამუსოვე პალო სჭირდებოდა მუდამაც...

პური ხმელი იყო. ადგა, ღამისთვის შეშაფიჩხი მოაგროვა და პური ცეცხლზე გახუხა. ხელათვე გამოუყვანა წირვა მთელ საგზალს. მერე ცხენი წიფლის ამოჩრილ ფესვებს გამოაბა, თავქვეშ ფუტურო კუნძი დაიდო და მიწვა ცეცხლთან.

ალბათ, ბევრი რამ უნდა გამოსცადო, რო ცხოვრება ისწავლო და შეეჩვიო... შეეჩვიო თვით ცოლისა და შვილების სიკვდილსაც კი... მაგრამ მემრე რისთვისღა გინდა ან ცხოვრება, ანდა სიცოცხლე? არავინ არი ქვეყნად შეუმცდარი, მაგრამ ერთსა და იმავე საქმეზე ვინც ორჯერ შესცდება, უკვე უჭკუობის ნიშანია. აი, მაინც მიწია ყვავის ცოდომ!.. „ვინაც აღიღოს მახვილი, – მახვილითვე წარწყმდეს!..“ ალბათ, ეს შხამი უნდა დამელივნა, რო ამას მივხვედროდი. და ეხლა ამ ცისქვეშეთში ყველაზე მდიდარი კაცი ვარ ჩემი სიღატაკით... სიცარიელე, უსასრულო სიცარიელე ყოველი მხრიდან: სახლი – ცარიელი, ეზო – ცარიელი, ჯიბე – ცარიელი, გული – ცარიელი, სული – ცარიელი!.. ღმერთი არიო, ყბედობენ ანაფორიანები. ღმერთი რო იყოს, იმ უცოდველ ბალღებს მოჰკლავდა და მე – ყველაზე დიდ ცოდვილს, აქ დამტოვებდა? – ვაი, ჩემო პაწაწკინტელა ღლაპებო, ჩემო ერთი ციცქნებო, საადამიანოდ ნაშობნო და დასაზრდელებო. ვინ იცის, რა ხერხითა და რა ცხოვრებით უნდა გამოგესყიდნათ გზაარეული მამათქვენის ცოდვები... თქვე პატარებო, თქვე ერთიბეწოებო, თქვე მამის ღვიძლ-ხორცებო... ტურა, მგელი, კალია და კოლო-ბუზები უნდა თბებოდნენ მზეზე და თქვენ იმ გაყინულ სამარეში უნდა ართოღეთ სიცივისაგან? ვაი, თქვენს მამას, თქვე ბეჩავებო, უმამოდ დაყრილნო, უმამოდ წასულნო ამ უსწორმასწორო წუთისოფლიდან... განა რამდენ ხანს უყურებდით ცასა და ღრუბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს, ველ-მინდორს, მთა-ტყეს, რა უნდა დაგრჩენოდათ მამისათვის მოსაგონებლად? თუმცა ძალზე პატარები იყავით, მაგრამ, როცა შინ ვიყავი, ყველგან თან დამყავდით, რათა ადრე გაგმაგრებოდათ მუხლი, ადრე შეგეცნოთ ქვეყნად ავ-კარგი, ადრე აგხელოდათ გონების თვალი... სალანძილეში, სადაც ახო მქონდა გატეხილი, კარტოფილს ვიღებდი. ისინი კი - გოგოც და ბიჭიც, კრეფავდნენ ამოღებულ კარტოფილს. უეცრად ანებეს აკრეფას თავი, დადგნენ და გაოცებით დაიწყეს ტყისკენ ცქერა. და ძლივს აჩურჩულდა გოგო: „მამი, თოფი! მამი, თოფი!“ შევხედე და შიში, უზარმაზარი შიში ჩაჰსახლებოდა იმის ლამაზ ბალღურ თვალებს. სულ შეჰშლოდა მწყაზარი სახე და ერთსა და იმავეს განუწყვეტლივ იმეორებდა: „მამი, თოფი, მამი, თოფი!“ უცებ ჩემამდე მოვიდა ძროხის განწირული ბღავილი და ხმისკენ გავიხედე: მგლები დაჰხვეოდნენ ტყიდან გამოგდებულ ძროხას. ის იყო, უნდა წამოექციენათ, რო ვეცი იქვე, ხის ტოტზე დაკიდებულ თოფს... და იმ პატარა გოგომ პირველი სიკეთე ჩაიდინა თავისი ხუთი წლის ცხოვრებაში: ვილაცას, ვინ იცის, ერთ საწყალ დედაბერს, რომელსაც „თაგვნიც კი ყანას უმკიან,“ გადაურჩინა მარჩენალი ძროხა... ბიჭი? ბიჭი მთლად დაუბუმბლავი იყო ჯერაც. ძლივს მოათავა სამი წელი ქვეყნად მოსვლისა. როგორი ჭკვიანი იყო, როგორი ჭკვიანი! - თვლაც კი იცოდა: „ერთი, ხუთი, სამი, შვიდი...“ ეხლა კი წვანან, ისევ ერთად წვანან, დედის გვერდში წვანან. - დედისა... იმ კარგი დედისა, რომელიც უმადურმა, სხვა ქალის კაბის კალთას გამოკიდებულმა უნამუსო ქმარმა კარგა ხნით მიივიწყა... პატარა თინა, პატარა თინიკო... ჯერაც ბალღი იყო, უსუსური ბალღი და პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა ოქლაქი მეეტლე. შეუყვარდა და მერე როგორ! მთელი ორწელიწადნახევრის მანძილზე, - დილას, შუადღისას და საღამოს, სულ იმ ჩუმათხეველ ტიტიკოს გამოყვანილ წყაროზე იყო ატუზული, მისი ნაჩუქარი სურით გულსჩახუტებული, მის მოსვლას დანატრებული, მის მოსვლას ჩასაფრებული... ჰოი, რა გულუბრყვილობა, ჰოი, როგორი ბალღური დაჟინება, როგორი აუწონავ-გაუზომავი სიყვარული და ერთგულება იყო ჩაკირულ-ჩადუღაბებული იმ ლოდინში!... თავად კი, აინუნშიც არმყოფი, იმის გაუცნობიერებელი, შემთხვევით რა საუნჯეს გადაეყარა და როგორ აუარა გვერდი, - თბილისში იყო გადაკარგული და იქ ემალებოდა მისგან გაწბილებული კოწია ბოქაულს!... მეორედაც იმავ შემთხვევამ მიიყვანა იმავ წყაროზე: ღამით მოვიდა თეთრ-წყლებში. ფაიტონი ოსკანოვის სადგურში გააჩერა. სადგურის განმრიგე გააფრთხილა, - ჩემი მოსვლა შეუმჩნეველი უნდა დარჩეოს, მერე შიშველ ცხენზე გადამჯდარი ტყე-ტყე დაეშვა ჯანაანისკენ... გათენებამდე დარჩა დედასთან. გათენებისას იმ მიწის შესასყიდი ფული დატოვა, რომელიც მისი ბიძაშვილის გვერდით იყიდებოდა და კვლავ შიშველ ცხენს მოევლო ზურგზე. მაინც შეაგვიანდა ღამიანად ტყეში შესვლა. წყაროსთან მიახლოებისას ცხენმა წყლისკენ გაიწია და, ღმერთო, დალოცე ის წყაროც და ის განთიადიც! - იმ წყაროზე, ალბათ, იმავ წამს მოსულ თინას გადაეყარა!.. ოჰ, რა ლამაზი იყო იმ ხალისიანი, ნათელი დილის გარიჟრაჟზე! აშოლტილი, თითქმის დაქალებული, მისი ნახვის სურვილით გულგადალეული, მკერდში მის ნაჩუქარ სურაჩაკრული თინა... მერე კიი... მერე როგორ ემალებოდა იმ პირუტყვს, სიმდიდრით გაზულუქებულ იმ ცხოველს... მაინც დაიჭირეს, მაინც იმ მგელს მიუგდეს ჩემი ბატკანი. დროზე რო არ გამეგო,.. დროზე რო არ... ვინ იცის... ვინ იცის, იმასთან უფრო ბედნიერი ყოფილიყო, იქნებ სულაც გადარჩენილიყო იმ ოხერ ტიფსა და ოხრობას... ვინ იცის, ვინ იცის... ვაი შენ, ჩემო თავო, - რა მარგალიტი დავკარგე ღორმა! ვერ გავუფრთხილდი, ვერ მოვუარე, მემრე როგორ ვუყვარდი, როგორ ვუყვარდი!.. ბოლო წერილში მწერდა: „ოღონდ ჩამოდი, ოღონდ დამენახე, ოღონდ ჩემთან იყავ, - არაფერი მინდა შენი, მე შეგინახავ. ჭრა-კერვა ვიცი, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვა ვიცი, დღე და ღამე ვიმუშავებ, არაფერს მოგაკლებ...“ მართლაც კარგი ჭრა-კერვა და ფარდაგ-ხალიჩების ქსოვა ასწავლა იმ დალოცვილმა ჩუღურეთელმა დედაკაცმა. არაფრით ენათესავებოდა, მარტო მდგმური იყო, მხოლოდ მდგმური და ღვიძლი შვილივით შეიყვარა ლამაზი და მოკრძალებული თინა. ბალღების მოვლაში ხო დედაზე არანაკლები ზრუნვა აჩვენა. ძაან ღვთისნიერი ადამიანი იყო დალოცვილი... ეხლა კი... ეხლა... ცხენის ფრთქვინვისთვის აქამდე ყურადღება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუქცევია, ახლა კი, როცა ყურზე კვლავ მისი რბილი ქვიქვირი შეეხო, და ხიფათის მომასწავებელი ჩაფრუტუნება ჩაესმა, უმალ გამოერკვა. იგრძნო რომ ფეხზე ვიღაც ებღაუჭებოდა. თვალი გაახილა, მაგრამ სიბნელე ვერსად გატეხა. ოღნავ სულ ოღნავ, მინავლული ცეცხლის მბჟუტავ შუქზე მხოლოდ რომელიღაც ნადირის ლანდი გაკრთა და გადაიხაფრა. „ნამდვილად ტურა იყო. ალბათ, ვახშმის ნარჩენების იმედით მოვიდა. „ცულს ხელი უშვა, ადგა, გაქექა ნაკვერჩხლები და ფიჩხი მიაყარა. როგორც კი იქაურობა გაშუქდა, მიმოიხედა და და შეამჩნია, რომ ცხვრის ძვალი გამქრალიყო. „ზაფხულის მიწურულს შიმშილობა ნადირს არ უწევს. მგელი რო ყოფილიყო, ცხენს ეცემოდა. რამ გააბედვინა ცეცხლთან მოსვლა ტურას? იგრე რამ გააგულადა, რო ფეხზედაც მეჭიდებოდა? ერთი ვნახოთ ქალმანი. ოჰოო, ნახე რა უქნია! – ქუსლში წაგებული ტყლაპი ნახევრად გამოუძვრია“. ლევანამ მარჯვენა ფეხზე ქალამანი გაიხადა და ტყლაპი გაასწორა. იჯდა და ისევ იქით იცქირებოდა, საითაც ტურა წავიდა. როგორც კი ცეცხლი კვლავ მიინავლა, მოშორებით, სიბნელეში კვლავ დაჩნდა ორი წერტილი. მაშასადამე ნადირი შორს არ წასულა და ამაღამ ისევ ესტუმრება.

„ეეჰ, ძმობილო ტურავ, სადაც სამართალია, შენი მოსვლა ლევანას არც უნდა გაუკვირდეს. ვხვდები, შენ შიმშილმა კი არა, უფრო ნათესაობამ მოგიყვანა. ტყუილად არ არი ნათქომი: „წითელი ძაღლი ტურის ბიძაშვილია“. შენც ხო ჩემსავით არ დაგექცა თავზე ოჯახი? იქნებ მართლა მოგიკლეს სწორფერი? იქნებ ლეკვები წაგგვარეს ავმა კაცებმა? თუ სამძიმარის სათქმელად მოხველ? – „წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა“. მოდი, ტურიკო, მოდი, ნათესაურად მოვიკითხოთ ერთმანეთი. მეც ხო ძაღლი ვარ, შენი ბიძაშვილი? – შენსავით უპატრონო, უსახლკარო, ცოლმკვდარი და უშვილძირო ძაღლი... მაგრამ, თუ მხოლოდ შიმშილმა მოგიყვანა, დაიგვიანე. – განა ძაღლის ნაწოლ ადგილზე ნამცეცებს იპოვნი? შე ჩემსავით ბეჩავო და მიუსაფარო, ჩემთვის რა მაქვს, შენ რითი უნდა გაგიმასპინძლდე? თუმცა, დაიცა, ტყლაპი გყვარებია. ეხლავ მოგართმევ, ძმაო ტურავ. ნუ გერიდება: ეს ქვეყანა გამბედავებისა და თავხედებისაა. მოდი, ნუ მორცხვობ, თორემ ნამეტანი მორცხვობა კაცს ჰკლავს. მოდი, სანამ სხვა ტურა მოვა, თორემ ვერც იმის ძმობაზე ვიტყვი უარს და შენ ამ ტყლაპის ნახევარსცა უნდა დასჯერდე“. ლევანამ ტყლაპი იმ მხარეს ისროლა, საიდანაც ორი ციცინათელა წყვილად ანათებდა. ციცინათელები იმ წამსვე გაქრა. ლევანამ თავი ისევ კუნძზე მიდო.

მცირე ხნის შემდეგ ყრუდ, ძლიერ ყრუდ მოვიდა მახვილ ყურამდე რაღაც ღეჭვისა თუ ტლაკატლუკის მსგავსი ხმა...

კარგი, დაჩეხა ყავრად ეს წიფელი, გაყიდა და საფლავებს ქვებიც დააწყო, – მერე? მერე რაღა იქნება? რაღა უნდა იყოს მერე?.. ა-ღა-რა-ფე-რი, – აღარაფერი!.. ნუთუ აღარაფრის შემდეგ კიდევ არი რამ?.. სი-ცა-რი-ე-ლე. მხოლოდ და მხოლოდ სიცარიელე!.. სიცარიელის შემდეგ? რაღა იქნება სიცარიელის შემდეგ?.. ისევ და ისევ აღარაფერი! – აღარაფრის შემდეგ კვლავ სიცარიელე... და ეგრე, უსასრულოდ, მთელი ცხოვრების მანძილზე... მაშასადამე, მხოლოდ სიკვდილი გვიხსნის ყველაფრისაგან?... კაცი გზად დრო-ჟამისაგან გამოფიტულ თავის ქალას გადაეყარა. ქალას შუბლზე ეწერა: „გადამხდა გადასავალი, სხვა უარესსა მოველი“. კაცს გაეცინა, მე ამის დამწერის დედაც! რაც დაჰმართნია, იმაზე მეტს რაღას უნდა მოელოდესო?! ამოჰკრა ფეხი და სადღაც მყრალ წუმპეში ისროლა!... ნუთუ არაფრისა და სიცარიელის შემდეგაც შეიძლება მყრალი წუმპე სდარაჯობდეს კაცს?

როგორც კი ცხენის გამაფრთხილებელი ფრუტუნი გაისმა, ლევანა მიხვდა, რომ ისევ ტურა ეწვია სტუმრად.

– „ოჰოო, შენ, ეტყობა, არც ეგრე მორცხვი სჩანხარ, როგორც მეგონა. ძალიან, გყვარებია ქალმის ტყლაპები! დაიცა, სად გარბიხარ?.. აი, აჰა, ეს ტყლაპიც შენი არჩივი ყოფილა. დაიჭი და ღმერთმა შეგარგოს. აიღე, აიღე, მე კარგად ვიცი: როგორც ძილი რბილ ლოგინს არ მოითხოვს, ეგრე შიმშილი გემოვნებას არ დაგიდევს! აიღე და ნუღარას მომკითხავ, რადგან ეხლა მაგის მეტი სულს იქით აღარაფერი მაქვს გასაცემი. სული კი... სული ჯერ ისევ მე მჭირდება, რადგან თავად სიკვდილსაც ვაჟკაცურად უნდა დახვედრა. ვაჟკაცურად კი კაცი მაშინ ჰხვდება სიკვდილს, როცა სული კვლავ გააჩნია...“ სიკვდილი კი დილით მოვიდა!

როგორც კი ოდნავ გაცრიატდა ტყეში, ლევანა მიჰხვდა, რომ მზის ამოსვლის ჟამმა იძალა. ასადგომად აიწია და დიდად გაოცებული ადრჩა, სხეული რომ დამძიმებოდა. თავის სიცოცხლეში პირველად დაეზარა ხევში ჩასვლა და პირის დაბანა. ის მედუქნე გაახსენდა, წელიწადში ერთხელ, ისიც აღდგომის დილით რომ იბანდა პირს და თან ჩიოდა: ეს ოხერი, რა მალ-მალე მოდის აღდგომაო. ნაცარი გაქექა, ნაღვერდალი გააღვივა და ფიჩხი დააყარა. მერე ხევში ჩავიდა, პირი დაიბანა. ცივმა წყალმა თავისი ქნა, გამოაცოცხლა და სხეული კვლავ გაუხალისა. ხევიდან ამოსვლისას კიდევ რამდენჯერმე შემოუარა ირგვლივ იმ ხეს, რომლის ძირშიც ღამე ათია.

არა, ამოდენა ხე არსად ენახა!

„რა ცულმა უნდა მოჭრას ეს წიფელი? იმოდენა ყავარს დაჰყრის, ერთ სოფელს ეყოფა. დავიწყო? – ადამამა თქო, „დაიწყე და მეც მოვალო." – წიფელს ერთიც შეავლო თვალი. „დაცდა სჯობია". მივიდა და კვლავ ცეცხლთან მიწვა...

მაშინაც დიდი ცეცხლი ენთო. დიდი მუხის ქვეშ ენთო. მუხის უკან ეკლიანი ღობე გასდევდა. მუხის ძირი გამოფუღურავებული იყო და შიგ, მშრალ თივაზე ბავშვებს ეძინათ. ცხენიც ეხლანდელივით ხის ფესვზე იყო გამობმული გრძელი თოკით და ნელი ფრუტუნით დაბალახობდა. წინ, ცეცხლის შუქზე კარგად მოჩანდა კარტოფილის ამოუღებელი და ამოღებული ბუდნები. ტყეში სიჩუმე დასეირნობდა. მხოლოდ მაღლა ასული ნაპერწკლები ტკაცუნობდნენ დროდადრო.

თინამ ვახშმის ნარჩენები ისევ ხურჯინში ჩაალაგა, მუხის გამხმარ როკზე დაჰკიდა და მერე ნაბადში შემომიძვრა. როგორი გახარებული იყო, აღარ იცოდა, როგორ მომფერებოდა. ალერსად დნებოდა. მკოცნიდა, მეხვეოდა, სულში მიძვრებოდა, – ეგონა, სულ დავბრუნდი ქალაქიდან. სამუდამოდ დავბრუნდი. მე კი... მალე მოვიმწვანილე იქაურობა. ისევ მოვაწესრიგე უპატრონოდ მიგდებული ჩემი „საცდელი მეურნეობა" და კვლავ ჩემივე შექმნილი, აჯაგრული გველეშაპი დავუტოვე მცველად... რა იცოდა თინამ, რა ჯადო აქვს თბილისს. როგორი ჯაჭვით ვყავდი დაბმული. როგორ ვიყავი მიტყუპისცალებული... ჰო, რა ჭკვიანი იყო ის ცხონებული ოსკანოვი – მოყოყმანე ვაჭარი ვერც მოიგებს და ვერც წააგებსო... მეც ამ ყოყმანმა მიყო, ალბათ, ყველაფერი... იქნება ამას ღმერთი შერება? იქნებ? – ღმერთს არ უყვარს მოქიშპეები. რაც კაცისთვის საჭიროა, მან უკვე შექმნა და ახლა კაცის ჩარევას საჭიროდ არ სცნობს. მისგან „არასაჭიროს" გამოჩხრეკას არაფრით მოითმენს! დროდადრო ასაჯანყებლად გაღვივებულ სულს ნაცარს აყრის და ისევ მინავლავს კაცისვე სუსტი ნებისყოფის იმედით. და ისევ ახალ-ახალი „გასართობებით" ბალღივით ართობს, რათა გულისყური დაუჩლუნგოს, თავისი ჩანაფიქრი გადაავიწყ-გადააფიქროს. მაგრამ კაცს თუ დაბადებიდანვე ქუდბედივით დაჰყვა ანდა აეკვიატა სატანური რამე სურვილი, ამ სურვილის ჩამთესლებელი, – თავად სატანა აჯდება მხარზე, და შეიძლება იგი კაცი ქვეყნის შემოქმედს მისსავე სახლში აუჯანყოს. აუჯანყოს და სატანურად ჩააგონოს მისგან „გავარდნა!.." აბა, რა იყო ის „გავარდნა," თუ არ სატანური?.. იქნებ, გარდა სატანისა, თავად ღმერთიც ერია შიგა?.. უეჭველად, უეჭველად! – ღვინო არაფერ შუაში იყო. სხვა დროს ნაკლები არ დამილევნია, მაგრამ ის სახილველი, ის სახილველი!..

ედიშერ ამილახვარი იწერდა ჯვარს ზურაბ ვაჩნაძის ასულ მშვენიერ გულსუნდაზე. მთელ ქალაქში ლევანაზე კარგი ფაეტონი და ცხენები არავის ჰყავდა. ხალხი გაოცებული იყო არა მარტო ნეფე-დედოფლის სილამაზით, არამედ ფაეტონით, ცხენებითა და მეეტლითაც. ნაირ-ნაირი ყვავილებით მორთულ ფაეტონში ისეთი ქათქათა თეთრი, ისეთი თვალებბრიალა, მოუსვენარი, ცეკვაცეკვია მავალი, ისეთი ყელყარყარა დაღესტნური ცხენებიება, რომელთა დაწმენდილი, მოკლე ბეწვიც ლაქწასმულივით პრიალებდა. აკაზმულობა და მორთულობა ვერცხლის ნაყშებით იყო დაზარნიშული; ვერცხლისავე ორნამენტებიანი ბალთები ექვანსა და ექვანს შუა პიწკად ეკიდათ. სილურჯე შერეული ფაფარი საქოჩრედან ჯიდაომდე წვრილ-წვრილად ჰქონდათ გვერდზე დაწნული, რომლებშიაც წითელი ბაბთის ზონარები ჩაეყოლებინათ. ხოლო საქოჩრეზე სირაქლემას ნაზი ბუმბული ჯიღასავით ედგათ, ბოლოში შადრევანივით აფეთქებული! მეეტლე კი, თავად მეეტლე... ალბათ, არავის დაეხამუშებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თუ ნეფე და მეფაეტონე ერთმანეთს არა მარტო ტანსაცმელს, არამედ ადგილებსაც გაუცვლიდნენ... იქნებ ამიტომ იყო, რომ აღტაცებული ხალხი მარტო ნეფე დედოფალს კი არა, ცხენებსა და მეეტლესაც უფენდა ფეხქვეშ ყვავილებს...

ეკლესია მექორწილეთა და სეირის მოყვარულთა ჯგროთი იყო გაჭედილი. ლევანამ იდაყვებით გაიკვლია გზა და საკუთარ წმინდანს კელაპტარი დაუნთო. ხალხის დაუსრულებელმა ბუბუნმა, მღვდლის გაუგებარმა ტუტუნმა, სანთელ-კელაპტრების ფიფინმა, საკმევლის სუნმა და წმინდანთა ღვთიური შუქით მოსილმა სახეებმა უცნაურად იმოქმედა შეზარხოშებულ მეეტლეზე. საეკლესიო გალობისა არა გაეგებოდა-რა, მაგრამ, როგორც კი კანკელის მარჯვენა გვერდზე მდგარმა მგალობელთა გუნდმა დასძახა: „შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული, ნორჩი კეთილი, ედემში დანერგული, ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული...“ მიჰხვდა, რომ ფეხქვეშ ფილაქანი ეცლებოდა... ბანების გაბმულ გუგუნზე, რომელიც ამ საგალობელს ესაძირკვლება, ორი, – პირველი და მეორე ხმა, რაღაც გულში ჩამწვდომად მოედინებოდა. პირველი ხმა თუ მშვიდი, ნაკლებ მოძრავი იყო, მეორე საოცრად მოქნილი, ლაღად მოლივლივე, ჩუქურთმასავით ჩახვეული და მიმოქარგული. ხოლო ბანი, ყოვლის მომცველი ბანი, ხან შუშხუნა მაჭარივით ბუბუნებდა, ხან ბადიით მოყუდებულ ჯანაანურასავით მდორდებოდა და ხანაც ისე წყნარად ბიბინებდა, როგორც სტორის ხეობიდან წამოსულ ნიავზე ალაზნის პირას გაკიდებულ ხოდაბუნებში აყრილი ჯეჯილი. და, საბოლოოდ, ორივე ხმა, ამ დიდებულ ბანთან შეკრულ-შენივთული, ისე ენით უთქმელ, ისე სულის წამღებ მელოდიას გამოსცემდა, ლევანა სისხლხორცეულად გრძნობდა მისი სულის ყოველი ხვეული, ხორცის ყოველი უჯრედი როგორ თანდათან იწმინდებოდა ყოველგვარი უამური დანალექისაგან, როგორ კეთილშობილდებოდა, როგორ მაღლდებოდა და სააქაოდატოვებული სხვა, ჯერეთ უცნობ სიტკბო-სიამეთა ქვეყანაში თეთრი ნისლივით ფთილა-ფთილა გადადიოდა...

სმენადქცეული, მელოდიის რიტმ-ინტონაციას აყოლილ-დამორჩილებული, გონებაგარეტებული მისჩერებოდა წმინდა ნინოს ხატს, რომელსაც ვაზის ანასხლავი რქები საკუთარი თმის ნაწკეპით შეეკრა ჯვრის სახედ. ცისფერ ნათლით მოსილი, თავადაც თვალმოუშორებლად დაჰყურებდა ზემოდან მეეტლეს... და, როდესაც გუნდმა ერთხელ კიდევ დააგუგუნა „შენ ხარ ვენახი,“ ლევანამ აშკარად დაინახა, როგორ დაგრძელდა წმინდანის ხელი, ოქროთი მოვარაყებული ჩარჩოდან როგორ გადმოვიდა და ჯვარი, იმ ხელში ნაჭერი ვაზის ჯვარი, როგორი სიმძიმით დააწვა ხატის მაცქერალს პირდაპირ თხემზე, ქედი მოადრეკინა, ზურგში მოხარა და მუხლებზე დასცა... „შენ ხარ ვენახი...“ გალობდა გუნდი და მეეტლეს ყურები ჯერეთ გაუცნობიერებელი ხმებით ევსებოდა... და მიჰხვდა ლევანა, რომ ეს იყო ძახილი, შორეული ძახილი! – მას სავსე ალაზნის პირი, მწიფე ხოდაბუნები და უფრორე ჯანაანის ტანასუყებული, თვალუწვდენი ზვრები ეძახდნენ!..

და ეს იყო პირველი „გამოვარდნა!!!“

ახლა კი... ამ „გამოვარდნაზე“, ეს დიდი წიფელი უნდა მოჭრას, ეს დიდი წიფელი უნდა წააქციოს, რომ სამივე საფლავს ლოდები დაადოს, რათა მათი სიმძიმით კიდევ უფრო მაგრად ჩაჭუჭკოს მიწაში, კიდევ უფრო დააშოროს ისინი მიწაზე მავალ მამასა და ქმარს...

ერთბაშად ფეხზე წამოვარდა. აჩქარებით გაიარა მანძილი ხევამდე და კვლავ უკან გამობრუნდა. მერე ისევ ხევთან მივიდა და კარგა ხანს იდგა იქ, იმ გეზზე მომზირალი, საიდანაც, მისი აზრით, ადამა უნდა მოსულიყო.

ზურგიდან ცხენის ნელი ხვიხვინი შემოესმა. ახლაღა მიჰხვდა, რომ გუშინდელს აქეთ „ქორჟიკასთვის“ წყალი არ დაულევინებია. თავი სინანულით გადაიქნია, უკან გამობრუნდა, ცხენი ხევში ჩაიყვანა და გულხელდაკრებილი დიდხანს უცქერდა, როგორი მხიარული ლიკლიკით მოხტოდა წყლის ხავსით ჩაშავებულ ქვებზე დაუდგრომელი ნაკადული... მხარზე, ყურის ძირში ცხენის სველი ქვიქვირი იგრძნო. დაიხარა და ერთხელ კიდევ შეისხა პირზე წყალი. მერე ცხენი გაიყვანა და მცირე რამ ყალთაღზე მიუშვა საბალახოდ. უკან მობრუნებულმა შეგულებულ წიფელს ერთხელ კიდევ შემოუარა ირგვლივ. შედგა: ამას რა კაცი წააქცევსო და ცული ზედ მიაყუდა. „მოვა ადამა და ერთად დავიწყებთ“. ჩამქრალ ცეცხლთან ჩამოჯდა.

ხევის ნაპირს აყრილ ბუწკნარს თვალი გააყოლა და დიდხანს უცქირა. წუხანდელი ტურის გასაგისი არსად შეიგრძნობოდა გაახსენდა რომ ქალამნებში ტყლაპები აღარ ჰქონდა და მათ ნაცვლად თომი უნდა წაეგო. ადგა, ყალთაღზე ამოსული ჯაგების ძირში ბალახბულახი მიმოგლიჯა და გაცვეთილ საქუსლეებში ჩაფინა. მერე კვლავ დაჯდა ნაცეცხლართან და ისევ ბუწკნარს მიაჩერდა. წუხანდელზე მეტად მოუნდა ღამის სტუმართან გასაუბრება. თავისი, გულში ჩაღეღებულ-ჩაბალღამებული ნაღველის კვლავ ამობღერტვა-გაზიარება.

ტურა არ ჩანდა.

უეცრად ფეხზე წამოვარდა, ეცა ცულსა და ისეთი ძალით დაუშინა წიფელს ძირში, რომ ცულის ხმა, ალბათ, ფსიტიანის ციხის ნანგრევებს თავზე გადასდიოდა და სადღაც, შორს, თურდოს გადაღმა იცარებოდა. ხელის სიფართე ნაფოტები ფრიალ-ფრიალით ცვიოდა აქეთ-იქით და გამწარებული კაცის ბოღმას მიწასა და ხე-ქვას ურევდა.

თოფის მოულოდნელმა გრიალმა შეაჩერა ეს გააფთრება. ტყვიისგან მომსხვრეული ტოტი ჩამოვარდა და მხარზე დაეცა.

ლევანა შედგა, მაღლა აიხედა, მერე გამოერკვა და თვალები მოწკურა: მის წინ, რამდენიმე ნაბიჯზე კაცი იდგა. კაცი ახოვანი იყო, შავი ჩოხა ეცვა და ნაბდის ქუდზე მეტყევის ნიშანი ეკეთა.

კაცმა რაკი ნახა, რომ ხის მჭრელმა ყურად იღო მისი მოსვლა, თოფი კონდახით კუძის ნამწვზე ჩამოდო, ლულაზე ხელები ჩამოაწყო, ზედ განიერი ნიკაპი დააბჯინა და მუშტრის თვალით დაუწყო მზერა.

– შენ რაო, ყრუვათ დაიბადე თუ დღეს გაგიწყრა ჩემი გამჩენი? ნახევარი საათია, გიყვირი და გონთ ვერ ჩაგაგდე. არა, იგრე, რო ვთქოთ, მადაც კაი გქონია და კაი ხის შარჩევაცა გცოდნია. რაო, ძალიან მოგწონს? – მაგეითანა ხეს მთელ ცივ-გომბორზე ვერსად იპოვენი, მაგრამა... მაგარი ის არი, ე ტყე მაყაშვილებისაა, რუისპირელი მაყაშვილებისა... ახლა მე შენა, მაგ ცულ წაგართმევ და უკითხავათ აქ შამოსვლელისთვინ კაი ვირიცემასაც აგაღებინებ. აბა, მაიტა აქ ცული!

ლევანა იდგა გაუნძრევლად და უცქერდა ნაუცბათევად გამოცხადებულ თოფოსანს. ონდავ მოწკურული თვალები არც მოუშორებია და არც დაუხამხამებია. ეგრე უცქირა, უცქირა და მერე ისევ ხეს მიუბრუნდა.

– ერიჰააა! როგორც ეტყობა, ღმერთს სიყრუის გარდა, მუნჯობაც დაუნათლებია შენთვინა. ვერ გაიგე, რა გითხარი?! - ეხლავე აქ მაიტა ცული და სამადლობოთ უკან, დიდ ლოყაზე მაკოცე, რო ცოცხალ გიშვებ!

ლევანა შედგა. მძიმე ცული ყუით ძირს ჩამოდო და გრძელ ტარზე ვეება ხელები ერთმანეთზე დააწყო. მცირე ხანს უტყვად უცქირა. მერე თქვა:

– სალხინო საქმემ არ მომიყვანა აქა. ეს ხე მჭირდება, უნდა მოვჭრა. ტყე უზარმაზარია და ღმერთს ორიოდე კაცისთვის არ გაუჩენია. წადი შენ შენთვის, ძმაო, შეიძლება სხვაგან სადმე მართლა გადაეყარო იგეთ კაცს, რომელიც თოფის გატკაცუნებაზე ცულსაც მოგცემს და... უკანალსაც. ეს ერთხელ მიპატიებია, რაც იკადრე და რაც მაკადრე. – შებრუნდა და კვლავ დაუშინა ცული...

ტყის მცველი მოულოდნელობისაგან ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე გონს მოეგო და სიბრაზისაგან სახეშეშლილმა თოფი აიტაცა.

– ჰაი, მე შენი ცოლი და დედა! შე ბოზი შვილო და მთხოვრი შაქნილო! – ეხლა გიტირებ მკვდარსა და ცოცხალ!

თოფის ჩხაკუნზე ლევანამ ყური ისე ცქვიტა, როგორც სალაშქრო ცხენმა ბუკის ხმაზე. თვალის დახამხამებაზე ისკუპა და მოქნეული ცული პირდაპირ დაეშვა მეტყევის თავზე.

მეტყევე მარჯვე გამოდგა; რაკი ლულაში ახალი ვაზნის ჩადება არ დასცალდა, შხუილით წამოსულ ცულს მაღლა, გარდიგარდმო აწეული თოფი დაუხვედრა.

ცულის დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, დამხვდურს ორივე მკლავის ძარღვები დასწყვიტა და თოფი ხელიდან გააგდებინა.

მეტყევეს მეორე მოქნევისთვის აღარ დაუცდია. შებრუნდა და თავქვე ისეთი სისწრაფით დაეშვა, ჩოხის კალთები ყორნის ფრთებივით გაშლილი წაიღო.

ლევანამ ცული მიაგდო და უკან გამოენთო. ხევის პირს მისულმა თვალი ჰკიდა, შავჩოხიანი ხევის თავზე როგორ ავარდა და წინ შემოყრილი ადამა კინაღამ ხევში გადაჩეხა...

* * *

*ვოვო:* ბატონო ლევან, ნუთუ მართლა მოჰკლავდით იმ კაცს, რომ არ გაგქცეოდათ?

*ლევანა*: (კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ) ვინ იცის, იქნებ მომეკლა კიდეც, თუ დავეწეოდი.

*ვოვო*: ვერ დავიჯერებ, ლევანა პაპავ, ვერ დავიჯერებ, რადგან თქვენ ახლაც გულს გიწყლავთ, სადღაც, მიკარგულ ადგილას, მიკარგულ ხეზე მაბუდარი ყვავის ცოდვა.

*ლევანა*: იმ ყვავს ჩემთვის არასოდეს შეუგინებია ცოლი და დედა. არც ჩემი უდღეური ლაპების საფლავები წაუბილწია უშვერი სიტყვით, იმ საცოდავმა რამდენჯერმე მხოლოდ პური მომტაცა აბგიდან, რადგან თავადაც ჰშიოდა.

*ვოვო:* სხვა დროსაც თუ გქონიათ ასეთი შემთხვევა, ბატონო ლევან.

*ლევანა*: (დიდხანს ფიქრობს.) ერთხელ ჭიჭალას სამჭედლოში ბარს ვაწკეპინებდი, ქორიაანთ ლეგა რო შემოვიდა... სამი ძმა იყო ბარდიაშვილი. აკლებული ჰქონდათ მთელი სოფელი განსაკუთრებით ლეგა იყო თავმხელაღებული. ალაზნის პირას, იმათ მომიჯნავეთ, ორი დღიური მიწა მქონდა ნაყიდი და, რადგანაც ქალაქში ვიყავი გადაკარგული, იმის წართმევა ჩაედოთ გულში... მაშინ სოფლებში კლუბები არ იყო და ხალხის თავშესაყრელი სადალაქო და სამჭედლო იყო. განსაკუთრებით სიცივეებში ვიყრიდით ხოლმე თავს სამჭედლოში... შემოვიდა ლეგა, დამინახა თუ არა, მომადგა და მეუბნება: „შენ ეე, კოჟას ბიჭო, ემანდ რო ხალხს ეფარები, გგონია დამემალები?"

*ვოვო*: ერთი წუთით. რატომ ეძახდნენ მამათქვენს კოჟას? მე ასე ვიცი, - თედო ერქვა.

*ლევანა*: სოფელში უფრო მეტად მეტსახელებით იხსენიებენ ერთმანეთს.

*ვოვო*: რატომ ეძახდნენ კოჟას?

*ლევანა*: კოჟას პაპაჩემს ეძახდნენ. მამაჩემსაცა და მეც კოჟას ბიჭებს გვეძახიან.

*ვოვო*: მაინც რატომ შეარქვეს?

*ლევანა*: პაპაჩემი, როგორც კი მოიცლიდა, გვიან შემოდგომასა და ზამთრის პირზე, სანამ ლათვები დაიძინებდნენ, იმათზე დადიოდა ხანჯლით სანადიროდ.

*ვოვო*: დათვის ტყავებს ყიდიდა და იმიტომ დაარქვეს „კოჟა"?

*ლევანა*: შეიძლება, მაგიტომაც. მაგრამ მე უფრო სხვა მგონია:

*ვოვო*: ყურმა ხომ არ მომატყუა, მგონი ასე თქვით: ხანჯლით დადიოდაო.

*ლევანა*: არ მოუტყუებიხართ. უთოფოდ, ხანჯლით დადიოდა მხოლოდ.

*ვოვო*: როგორ, ბატონო ლევან, დათვზე ნადირობა თოფიანისთვისაც ძალზე საშიშია, და უცებ, - ხანჯლით? მარტოდმარტო ხანჯლით?

*ლევანა*: პაპაჩემი ძაან მძლავრი კაცი ყოფილა. უშიშარი. მარცხენა ხელზე ხარისა და კამეჩის გამხმარ ტყავს იხვევდა და დათვთან პირისპირ მიდიოდა. მარცხენა მკლავს პირში მისცემდა, მარჯვენათი კი ხანჯალს გულში... ვინ იცის, იქნებ მკლავზე დახვეული ტყავის გამოც დაარქვეს „კოჟა".

*ვოვო*: შეიძლება, შეიძლება... მაპატიეთ, რომ მოყოლა შეგაწყვეტინეთ. მერე? - ვიღაც ლეგა გეუბნებოდათ: ვერ დამემალებიო.

*ლევანა*: ჰო, დიახ, - „მაგ ხალხს რო ეფარები, გგონია დამემალები? შენ აქ შენს კინტოებში ხო არა გგონია თავი? - დიდ მუხასთან აღარ დაგინახო ჩასული, თორემ დაგიჭერ, იმ მუხაზე თავდაყირა ჩამოგკიდებ და კალიასავით თითო-თითო თითს გამოგაძრობ!" უცებ დავყრუვდი! დავმუნჯდი! დავბრმავდი! სისხლმა ამასხა თავში! - რაც ბალღობიდან გამოვედი, არ მახსოვდა, ვინმეს ეგეთი სიტყვა გაებედნა ჩემთვის. - თანაც საჯაროდ! ხელში ნაჭერი ტარი უცებ ვატაკე ნაღვერდლებში და ქურიდან გავარვარებული ბარი გამოვიღე... ლეგა მიჰხვდა, რო ფინთათ იყო საქმე. უმალ შემობრუნდა და გავარდა გარეთ. გავედევნე... სოფლის ბოლოზე დამიჭირა ხალხმა...

*ვოვო*: რომ დასწეოდით, თქვენ იმ ბარს შეურჭობდით?

*ლევანა*: ალბათ, მეორე მხარეს გავახედებდი...

*ვოვო*: ჩემთვის ერთი რამ გაურკვეველია, ბატონო ლევან.

*ლევანა*: ბრძანეთ.

*ვოვო*: თქვენ, რომელიც ტყეში მაწანწალა, მშიერ ტურასაც კი უკანასკნელი ტყლაპებით აპურებთ და თავად, ფაქტიურად, ფეხმიშველად დარჩენასაც არ გაურბიხართ, როგორ უნდა მოჰკლათ ადამიანი, ჩემთვის წარმოუდგენელია.

*ლევანა*: (დიდი ხნის დუმილის შემდეგ) ყოველ ქურდს, შვილო, თავისი საქციელის გამართლება მოეპოვება. ამიტომ თავის მართლებას არც შევეცდები... კაცის ბუნება კატის თვალებივით ცვალებადია. როცა რისხვა წინ

უსწრებს ჭკუას, მაშინ ადამიანი შეიძლება ნადირ-ფრინველზე უარესად მოიქცეს კიდეც, რადგან სიბრაზე ცუდი მრჩეველია. კაცი ცალ-ცალკე, კეთილად და ბოროტად არ იბადება. უდიდეს ბოროტს უდიდესი სიკეთის ჩადენა შეუძლიან. ეგრევე უდიდესი სიკეთის ჩამდენს უდიდესი ბოროტებისა... მე შენ თავიდანვე გითხარი, შვილო, არც იგეთი კარგი კაცი ვარ, როგორც გაზეთებში სწერენ-მეთქი. მე უწყინარ რამეს თუ გავიხუმრებდი, თორემ სხვას არასოდეს დავცინებდი, არც მარტოს და არც ხალხში გარეულს. ჩემი ამგვარი ქცევა იმის მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რო ისინიც იგრე მომქცეოდნენ, როგორც მე იმათ ვექცეოდი... მშიერი შემხვედრია და ლუკმა გამიყვია; ტიტველი შემხვედრია და - გამიხდია და იმისთვის ჩამიცმევნია; დაჩაგრული შემხვედრია და - იმისი დამჩაგრავი დამიჩაგრავს; გაჭირვებულს გადავყრივარ და - მხარი მიმიცია; - რად უნდა გაველანძღე ვინმეს მარტოდ თუ საჯაროდ... გაბრაზება კი, გაბრაზება მართლა ცუდი ვიცოდი. ძალიან ცუდი. - ვერ ვიტანდი უსამართლობას...

*გოგო*: კარგი, ლევანა პაპავ, დღეს ამით მოვათავოთ. რაც ჩავიწერე, ამას ქაღალდზე გადავიტან. თქვენც დაისვენეთ. დღეს იმდენი უარყოფითი განცდა და მოგონება გქონდათ, კარგი იქნება, რომ განიმუხტოთ. ოღონდ ერთი რამ მაინც უნდა გკითხოთ: თქვენს სიზარმაცეს ვერავინ იტყვის, განაზრახსაც უყოყმანოდ ასრულებთ. მაშ, რატომ იმ საღამოსვე არ დაიწყეთ იმ დიდი წიფლის მოჭრა ან მეორე დღეს ადრიან დილითვე? თქვენმა მეგობარმა ადამამაც ხომ დაგიბარათ: დაიწყე და დილაზე მეც მოვალო? შეგეშინდათ, რომ მარტო ვერ მოერეოდით? რომ გაგიჭირდებოდათ იმოდენა ხის მოჭრა?

*ლევანა*: მშიშარა კაცი ვერასდროს ვერ აღწევს საწადელს. ღირსეულ მოწინააღმდეგეს კი, თუ შენაც კარგი ვაჟკაცი ხარ, არ უნდა დაუკარგო თავისი ღირსება... პირველივე თვალის შევლებით გულმა არ მომცა იმასთან შეტაკება. დამენანა იმისი მოჭრა. დამენანა, როგორც კარგი ვაჟკაცი, მთელი ტყის მშვენება, ქარ-წვიმასთან და თოვლყინვასთან ამაყი მეომარი... ამადაც ვყოყმანობდი, ამადაც ვუვლიდი გარშემო ხშირხშირად. არ მინდოდა ეგრე კარგისთვის ჭრილობის მიყენება...

* * *

დიდხანს იჯდა ლევანა დაფიქრებული გოგოს წასვლის შემდეგ. რაღაცნაირად გააუფერულა ის დღე საუბრის დამთავრებამ. მის მახვილ ყურს არ გამოჰპარვია, ორჯერ სიცივეშეპარული ხმით როგორ უთხრა: „ბატონო ლევან" მას შემდეგ, რაც მოისმინა ტყის მცველთან შეტაკება და ჭიჭალას სამჭედლოდან გამოვარდნილი ლეგას დაღევნება... ახლა იმ კარგი გოგოს თვალში მესისხლე მხეცად იყო, ალბათ, გააზრებული. იმდენი სიკეთის მოქმედი, თავისისაც სხვათადმი მიმკერძოებელი, - კაცი, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეეწირა რაღაც ახლის შექმნისათვის, მოყვასისად საზრდელად და სულმოსათქმელად... ნუთუ მართლა იმის გულგვამში თვლემდა მხეცი, რომელიც მზად იყო მისივე მსგავსი არსების სისხლის სასმელად? და მწუხარებით ჩაჰკიდა თავი, რადგან იაზრა: თუ დაეწეოდა, შეიძლება მართლაც მოეკლა. და სხვა ცოდვეებთან ერთად ეს ორი ცოდვაც, - შესურელებელი, მაგრამ გულს განზრახული, მაინც ცოდვად უნდა მიეთვალა, რომელიც, სხვა დანარჩენ ცოდვებს ემატებოდა... საკუთარ თავზე გამწარებული მეხსიერებიდან სხვა ცოდვების ამოქექვასაც შეუდგა ახლა. და ამოტივტივდა რუსის გოგო, რომელმაც კარგა ხნით დაავიწყა ჯანაანი და ცოლ-შვილში დაბრუნება... ლამაზი იყო ის დაწყევლილი! - ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისას ტანი ისე ჰქონდა აყრილი, როგორც ვერხვის შიმელას ალაზნისპირა ჭალაში. ერთად ყოფნისას ცეცხლოვანი ალერსით სწვავდა და ჰბუგავდა თავის მეეტლეს. სადავის თასმასავით მოქნილი ზედ ისე ეკვროდა, როგორც იორღას ფლოქვს რუსული ნალი. და დიდხანს, დიდხანს „ზღვად ცურავდა ნეტარებისა," სანამ მის ღალატს გაიგებდა წაპწიასაგან.

ჩაი უყვარდა ლევანას ძლიერ. შაითანბაზარში ყველს იყიდიდა. ყველი ცხვრისა უნდა ყოფილიყო, თანაც თუშური. იქიდან ქაფიანიძეების თონეს გამოუვლიდა და იმ ყველს ცხელ-ცხელ რაჭულ ლავაშში სიგრძივ გახვევდა. მერე დაჯდებოდა ტრაქტირში და ზოგჯერ მთელ სამოვარს მარტო დაცლიდა, რომელშიაც თითქმის ერთი სურა ჩადიოდა.

ასევე სვამდა ჩაის ლევანა, როცა ტრაქტირში კატია შემოვიდა და წინ აესვეტა.

– ლევან ფეოდოროვიჩ, სად დაიკარგეთ? მთელი თვეა დაგეძებთ, ვერსად მოგკარით თვალი.

– ოჰ, კატენკა, შენა ხარ? ვლადიკავკავს ვიყავ და სულ შენა განატრობდი. იცი, როგორ მიყვარხარ? ღმერთმანი, თუ ჩემს სიკვდილამდის იცოცხლებ, შენზე უეჭველად დავქორწილდები.

კატიამ სიამით გაიღიმა და თავისი უბადლო კბილები გამოაჩინა.

მეეტლემ ასწია მდუღარე ჩაით სავსე ქაფქაფა ჭიქა და გოგოს შეასხა სახესა და თვალმიმტაცად მოღეღილ ქათქათა მკერდზე...

მას შემდეგ აღარ გაჰკარებია აღარც იმ გოგოს, აღარც იმ ტრაქტირს.

და დიდხანს, დიდხანს ჰკლავდა სინანული იმ აუტანელი ღალატისა და კატიას ლამაზი სახის დაფუფქვისა...

მაშინ იყო, რომ თითქმის ყოველ მეორე კვირას მოსდიოდა საბრალო თინას გულისმომწყვლელი ხვეწნა-მუდარით სავსე წერილები, რათა თავის მამადანატრებულ ბალღებსა და ქმრის სიყვარულით გაუმაძღარ ცოლს დაჰბრუნებოდა... ვინ იცის, ვინ იცის, იქ რომ ყოფილიყო, მათთან ახლო რომ ყოფილიყო, ის რუსის გოგო რომ არ გასტკბობოდა, ადრინდელივით მალ-მალე რომ მოენახულებინა თავისი სახლ-კარი, იქნებ ის დიდი სიყვარულის ნაყოფი, თავისი ყველაზე ძვირფასი განძი – თავისი ბალღები და ძაღლივით ერთგული ცოლი გადაერჩინა...

და მოულოდნელად უნებური ოხვრა აღმოხდა.

– რა იყო, ლევანა პაპავ, რა გაქვს საოხრო?

ჩხიკვი მოსულიყო და გვერდით მისჯდომოდა.

– ცოცხალ კაცს საოხრო მუდამაც ექნება, მაგრამ შენ გირჩევნია, შენს საკუთარ „საოხროს" მოუარო. როდის მოხვედი, რო ვერა გავიგე-რა?

– ჩემ ბალღობისას, ჯღარბიაანთ ბალი რო დამწიფდებოდა, ჯღარბი სუ ქვეშ ეჯდა ყარაულათ. დღისით, მზისით ზედ იგრე ავეპარებოდი, ჯღარბი მაშინ იგებდა, როცა მაღლიდან ბლის კურკებს დაუშენდი ხოლმე.

– საწყალი ჯღარბი, კაი კაცი იყო. ნეტა მე და შენაც მოგვეყარა იმოდენები.

– აბა, ჯღარბის ხნისა როგორ გახდება, თუ შენნაირი დამჟავებული ცხვირ-პირით დაჰხვდება კაცი კაცს. – რაო, ისევ ყვავის ცოდომ გადაგძალა?

ლევანა მდუმარედ უმზერდა იმ ადგილს, სადაც ჩხიკვი იჯდა. მერე ერთიც ამოიოხრა და თავი მძიმედ გადაიქნია: ჩხიკვთან ახლა იმის განდობა არ ეგებოდა, რაზეც არცთუ დიდი ხნის წინ ფიქრობდა.

– ყვავისამ არა, გულში უფრო დიდმა ცოდომ, – საერთო და ქვეყნის დამანგრეველმა ცოდომ იძალა. აი, იქიდან რო იწყება: ვირი მოგებაზე წავიდა და ნალებიც იქ დაყარაო.

– ამ ბოლო დროს ძალიან დაგჩემდა გამოცანებით ლაპარაკი. ეგ რომელიღა გამოცანაა?

– ეს ის გამოცანაა, ეს შენგან მოყოლილი გამოცანაა, პაპაშენმა ვარდისუბნის სამჭედლოში რო მოჰკრა ყური. აი, ყარაჯალელი თათრები ხევსურების გასარეკად და იმათი საძოვრების წასართმევად რო წავიდნენ თეთრ-წყლებში. შენ რო ყოველ მოყოლაზე ჰხითხითებ და ჰქირქილებ.

– ოჰო-ჰო-ჰო-ჰო! – მოდი და ნუ გაიცინებ! – გავიხედე და თავქუდმოგლეჯილი გამორბის ერთი თათარიო, – პაპაჩემმა ყური კი არ მოჰკრა, თავისი თვალით ნახა, კაცო! – გამორბის თათარი და გამოცვივდა სამჭედლოდან ხალხიო: „რა ამბავია, სად გარბიხარ ყონაღო?" „ოო, კასო, კასო, რა ყოფილან ეს ხევსურები, კასო! – თუ კაი ბიჯი არ იყო, თოფი არ ესროლოს, კასო". „მემრე, შენ რა მოგარბენინებდა, ხო ჰნახე, რო ხევსურები მხოლოთ კაი ბიჭებს ხოცავდნენ? ეგენი ქვეშაფსიებს არც წინათ ერჩოდნენ". „ეე, რას ამობ, კასო, ნასიბას მოგლეს, ბაშირას მოგლეს, უსუფას მოგლეს, მაჰმადას მოგლეს, არდაფას მოგლეს, ღურბანა მოგლეს, ორუჯას მოგლეს, – რას კაი თათარი იღო, სუ მოგლეს და მოგლეს, – მე იქ რაღა მინდოდა, კასო!" – და, ისევ გზაზე გაენთოო... – იღრიჭებოდა ჩხიკვი.

– მართლა სასაცილო იქნებოდა, სატირალი რო არ იყოს, ბალღო.

– რას ლაპარაკობ, ლევანა პაპავ, ხანდახან გამაგიჟებ ხოლმე. რა არი აქ სატირალი?

– ოო, შვილო, სატირალია და მემრე როგორი! სატირალია იმიტომ. რო ეგ ყველაფერი

ჩვენი გაუნათლებლობის, ჩვენი ეროვნული შეუგნებლობის, თავათ ვინ არი, რას წარმოადგენს, ვის ჯიშ-ჯილაგს ეკუთვნის და რა მოვალეობა აწევს კისრად ამ ჯიშ-ჯილაგის წინაშეს, იმისი უცოდინრობის სარკეა... შეიძლება შორიდან, ზედაპირულად სასაცილო იყოს, მაგრამ, აბა, ახლო მივიდეთ და შიგ კარგა მივიხედ-მოვიხედოთ, რა მოხდა სინამდვილეში!

– რა უნდა მამხდარიყო? – ის მოხდა, რაც წელანა ჰთქვი: ვირი მოგებაზე წავიდა და ნალებიც იქ დაყარა.

– არა, შეილო, სინამდვილეში ის მოხდა, რო იმ სამჭედლოში თავმოყრილ ვარდისუბნელებთან მივიდნენ თათრების მოციქულები და უთხრეს: თქვენც ჩვენსავით იმ საძოვრების მომიჯნავეები ხართ, რომელიც ხევსურებს უჭირავთ, მოგვეხმარეთ, ხვალ დილით ხევსურებს დავეცეთ, იქიდან გავრეკოთ და ის საძოვრები ჩვენ დაგვრჩებაო. თუ არ წამოხვალთ, ჩვენ მაინც წავალთ და მემრე არ იყოს ლაპარაკი, რატო წილი ჩვენც არ დაგვიდეთო. ვარდისუბნელებს გაუხარდათ: წავიდეთ, სახვალიოდ იარაღი გავამზადოთო. ის იყო, შეთანხმდნენ, რო თელაველი არტისტი გიორგი ჯანდიერი შემოსეწროთ. „თქვენ ხო არ გაჰგიჟდით, ხალხო, ხევსურებიც თქვენსავით ქართველები არიან, თათრებს როგორ უნდა მიეხმაროთ იმათ წინააღმდეგ?“ მართლა, კაცო, დახე მაგ ყურან-ძაღლებს! – კინაღამ არ შაგვაცდინესო! უარი უთხრეს და ისინიც წავიდნენ... ეს ცხრაას ცხრამეტ წელში იყო, მენშევიკობისას... თათრების წასვლის შემდეგ, საღამო ხანს, თელავიდან შინ მიმავალმა თეთრ-წყლების კომისარმა, – ლევან გოგოჭურმა შეიარა იმ სამჭედლოში. ცხენს წინა ფეხზე ნალი ასძრობოდა. მჭედელმა იმავ წამს აცნობა თათრების განზრახვა. ლევანას ნალიც დაავიწყდა და თავიც. უმალ მოახტა უნალო ცხენს და შეუსვენებელი ჭენების შემდეგ შევარდა თეთრ-წყლებში! მაშინვე დაგზავნა ხალხი ხევსურთა სოფლებში, თითონ, დარჩეული ბიჭებით, იმ ღამესვე თურდოს ხეობიდან სალებლამდის ყველა ტყიდან გამოსასვლელი ყელი შეკრა. ყველგან ორ-ორი საყუჩი გააკეთა, შიგ იგეთი ამოსხარტული ბიჭები ჩასხა, ას ნაბიჯზე ავშარის რგოლში ტყვიას რო აძვრენდნენ. აყუდებულში, ყველაზე მაღალი კლდის თავზე მზირი დასო. უამრავი ფიჩხი დაახვავებინა ნიშნის მისაცემად... დილასვე, – თერთმეტ-თორმეტ საათამდის მოთავდა ბრძოლა. ძალიან ეცადნენ თათრები, მაგრამ იმათმა სიმრავლემ ვერ გატეხა ხევსური! – როგორც კი ცხრამეტამდის ყველაზე მაგარი თათარი „შასწირეს“ თავიანთ ხატს გუდან-ხახმატის ჯვრის ყმებმა, თავდამსხმელთ მაშინვე იშელიპეს ქუდები და გაენთნენ თურდოზე!.. უფრო დიდი ზარალი ექნებოდათ, გაგა არაბულს რო არ გაეფრთხილებინა მომხდურნი. მაგათ ერთი ძაან მაგარი ჯეილი ჰყავდათ მზირად დასმული. დაბალი, განიერი, მარჯვე და დათვივით ღონიერი. გადადგა თურმე კეტამზე ბინდბუნდში და გასძახა: „ჰაი, თქვე მწერელტყვე თათრებო, არც არა ძმობა გცოდნიათავ და არციარა სტუმარ-მასპინძლობაი. შამაგვეხვეწეთავ, მიგიღეთავ, და ეხლ ჩვენ სახ-კარიც მაგინდათავ?! ხთის მადმ, გაბრუნდითავ თორ ღედას გიტირებსთავ ხევსური!..“ პირველივე ტყვიით ქუდი გაუხვრიტეს გაგას. „აეხლ ქვე მაგისხლეტავთ ღედასავ თოგოთ ნახშირაული! – ხლა ეგრ კი არა, მე გაჩვენებსთავ, რა ხელ უნდა ხლაი!“ – იქვე წაუწვა, ჯერ ერთი თათარი დააყირავა და მემრე მისცა ფიჩხს ცეცხლი!.. მეორ-მესამე დღეს მაყვალზე გასული დიაც-ყმაწვილი სად აღარ პოულობდნენ იმათ გადაყრილ იარაღსა და უპატრონოდ მიტოვებულ დაჭრილებს. ბევრი გადაარჩინეს სისხლისაგან დაწრეტასა და შიმშილ-წყურვილით სიკვდილს...

– მემრე ეგ არი სატირალი, კაცო?

– ეგ კი არა, სატირალი ის არი, რო სროლის ხმა სად აღარ ისმოდა, მაგრამ არც რუისპირელები, არც იყალთოელები, არც სხვა ახლომახლო სოფლები არ მიჰშველებიან თეთრ-წყლებს. მთის გადაღმიდან, – გომბორიდან ჩამოეშველნენ უცხო ტომელნი – რუსები და ზედ მიმდგარ ვარდისუბნელებს ხელიც არ გაუნძრევიათ, როცა იმათ თანამოძმეებს, იმათ სისხლს და ხორცს სეტყვასავით ახლიდნენ ტყვიებს თათრები. მიშველებას ვინ ჩივის, ის არტისტი, – ჩუმათხევლების სიძე რო არ შესწრებოდათ, ხევსურებს თავად უპირებდნენ ამოჟლეტას თათრებთან ერთად!!! გესმის შენ?! – ქართველები ქართველებსვე უპირებდნენ ამოჟლეტას თათრებთან ერთად!!! – აი, რა არი სატირალი, შე უბედურო!.. და ჩვენ თუ როდისმე დაღუპვა გვიწერია. სხვა რამეზე რო არაფერი ვთქოთ, ეს გულგრილობა და ერთიმეორის მხარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოუდგომლობა დაგვღუპავს მარტო...

– რა არი, ლევანა პაპავ, როცა ვინმეზე ჰჯავრობ, მაშინვე მე მეცემი ხოლმე? როდის ეგ ამბავი მოხდა და როდის მე მეჩხუბები. რომელი იყალთოელი ან ვარდისუბნელი მე მნახე? ან იქნებ რუისპირელი გგონივარ? ე რამდენი ხანია, რაც მამლგომიხარ და, საცა რამ ჩვენ უგერგილობასა და სირეგვნეს გაიგებ, სუ მე უნდა წამამკიდო ხოლმე ზურგზე. აბა, მე რა უნდა ვქნა, თუ ღმერთს ეგრე უჭკვო და გაუგებარი გაუჩენივართ? ვიცი, განა მართლა იგრე უტვინოცა ვარ, რო არ ვიცოდე, ბოლოს სად უნდა მიგვიყვანოს ამან, მაგრამ მარტო მე და შენ რას ვიზამთ?

– მარტო ცოდნა არაფერს ნიშნავს. – ეგეც დანაშაულია, რო იცი და სხვას არ ასწავლი, არ ჩააგონებ.

– აბა, როცა ხელში ღვინისა და არყის ჭიქა უჭირავს, ნავთიანის ბიჭი მაგის მამსმენია?

– შენც ადექი და გაერიდე ეგეთ ხალხსა, რას გადაეკიდე? შენ ნავთიანის ბიჭი ისევე გჭირდება, როგორც ძაღლს მეხუთე ფეხი. მიჰხედე შენს საქმეს: ან სწავლა გაარძელე, ან დაქორწილდი. ბალღების კეთება სასიამოვნოც კია, – შენს მემრე, შენი მხრიდან საქართველოს დამცველები ეყოლება... შენ გგონია, მტერი მარტო გარედან მოდის? შინ ჩასახლებული მტერი ბევრად უარესია! აგე, თათრები შუაგულ კახეთში ცხოვრობენ, მაგრამ თავიანთ მეზობლებს, – შენს ჯიშ-ჯილაგს თავზე დაესხნენ მიწა-წყლის წასაგლეჯად!.. ჩემ ბალღობაში გომბორში სამი თათარი იყო. ნახშირსა სწვავდნენ და ჰყიდიდნენ. აბა, ეხლა ნახე, – იგრე გამრავლნენ, თითქმის ნახევარი გომბორი თათარია!.. დავით აღმაშენებელმა, როცა საქართველოს კუთხეებს ერთ საქართველოდ ჰკრებდა, ყველაზე ბოლოს თბილისი აიღო. და, იცი, რათა? – იმათა, რო შიგნიდან არავინა ჰყავდა მხარის მიმცემი, რადგან მაშინ ქალაქში ქართველობა ცოტა იყო. იმდენად ცოტა, რო ორსამ ქართველზე ასი უცხო ტომისა მოდიოდა. დიდი უმეტესობა არაბები, სპარსელები, თათრები, სომხები და სხვა უამრავი ჭრელი ხალხი ცხოვრობდა.

– კაცო, ლევანა პაპავ, მიკვირს და გამკვირვებია, საიდან იცი ამდენი ამბები?

– საიდანა და წიგნებიდან. გარდა მაგისა, შენ ტოლობას შენსავით ნავთიანის ბიჭთან კი არ გადავდიოდი ალავერდს არყის ჭიქით, გარშემო სულ ნასწავლი, ქვეყანამოვლილი ხალხი მეხვია. მეც ბევრი მივლია და ბევრნაირ კაცსაც გადავყრივარ. გამიცვნია, დამლაპარაკებია, დავლაპარაკებივარ და, ეგრეა ყველაფერი. მთავარია, გაინტერესებდეს, გულით გეწადოს მცოდნე ხალხთან ახლო ყოფნა და თავადაც ცოტა მაინც გეცხოს ის მადლი, რომლის გულისთვისაც ღირს ყურის გდება.

– და თანაც ერთი ცალთვალა ყვავის ცოდო გედოს კისრად. – ვაი, რა საცოდაობაა!..

– აბა, ჩხიკვო, ეხლა აიბარგე აქედან და საღამომდის თვალით აღარ დამენახო. ერთი უყურე ამ ავაზაკს!..

– რათა, ლევანა პაპავ, ძმები არა ვართ?

– შენ ხო იცი, რო შატაბუტა ხალხი არ მიყვარს?

– მაშ, ჩვენი ამდენი ხნის ძმობა უნდა გაიყაროს?

– არა, მაგრამ არც სიტყვის გატეხა მიყვარს. აბა, ორევუარ საღამომდის!

– მოდი, ლევანა პაპავ, შენვე გყვანდეს ის შენი ყვავი, მე კი ქაქუცაზე მომიყევი, სიღნაღის ციხიდან როგორ გაიქცა.

– არა. საღამომდის შენთან უმძრახათა ვარ. – გადაბრუნდა ლევანა და თავი მუთაქაზე მიდო.

– კარგი, ეგრე იყოს. მეც ავდგები და საღამომდის ნავთიანის ბიჭთან ავალ. – მოკლას ხარი თივამ!..

„ქაქუცაზე ნებავს მოყოლა... ბოთლს როგორ იდგამდა თავზე და უზურგო სკამზე გაშლილ, ხანჯალდარჭობილ ბალდადზე როგორ ცეკვავდა... სულელი!..

ის გოგო კი ჭკვიანი იყო და სულ სხვა რამ აინტერესებდა ქაქუცასი...“

* * *

ფიჩხის ნათრევი იმ ადგილს შეწყდა, სადაც ტყე თავდებოდა.

მგზავრი შეჩერდა, ხელი მოიჩრდილა და მწვანედ ახავერდებულ მთის წვერს გახედა.

მზე სანახევროდ ჩაჰფარებოდა ცივს. მისი დაღლილი, ულონო, გაცრეცილი სხივები უნიათოდ ანათებდნენ იალაღს. აქა-იქ შემორჩენილი ხეები თანდათან კარგავდნენ უზომოდ დაგრძელებულ ჩრდილებს და ზოზინით, უნდომლად, მაგრამ განგებისაგან ოდითგანვე დადგენილი მარადიული კანონის ძალით მაინც მქრქალდებოდნენ, ითქვიფებოდნენ საღამოს ბინდისთვის დამახასიათებელ ერთ-

ფეროვან სიმრუშეში. სადღაც შორს, მწვერვალის ძირში ქოხის მსგავსი რაღაც მოჩანდა. მის გარდა, თვალსაწიერზე არც სულიერი, არც უსულო, არავინ და არაფერი ილანდებოდა. აშკარად დასტყობოდა იქაურობას შემოდგომა: არსად ცხვრის გნიასი, არსად ნახირის ბღავილი, არსად მეცხვარისა და მენახირის საღამოსპირა შეძახილები.

სიშიშვლე.

სიცარიელე.

სიმარტოვე.

მიიხედ-მოიხედა.

ბილიკიდან მოშორებით ეგდო ნათრევი ხე. ახლოს მივიდა, გასინჯა. გრძელი, მკლავის სიმსხო, ქლიავზე ჩამოხლეჩილი ტოტი იყო. ფოთოლნაცვეთი წვეროკინების ვარჯი აღლნახევრის სიგანეზე გაეშალა. ერთხანს უცქირა, მერე მიმხვედრი ღიმილით გაიღიმა და გამობრუნდა. კვლავ იმ ადგილას მივიდა, სადაც ბილიკი საძოვარზე შედიოდა და თითქმის უმალვე იკარგებოდა. აქედან თხლად, აქა-იქა მოჩანდა მარტოხელა ხეები. ხეებს იქით, მწვერვალამდე, ხელისგულივით სუფთა იალაღი მიუყვებოდა. დაიხარა, მიწას დააკვირდა. ერთხანს წაკუზულმა იარა, მერე წელში გასწორდა, ერთხელ კიდევ გაჰხედა ცივის წვერს და მიწას ჩაჩერებული დაიძრა. სამასიოდე ნაბიჯს შემდეგ კვალი გაქრა, წაიშალა. ეს ან ნაძოვარზე წამოსულმა მოლმა ჩანთქა ან საღამოს ბინდმა გაქნა თავის სალებავში. მგზავრმა კიდევ ერთხელ გაჰხედა იალაღს და კვლავ წინ გასწია.

ორი წიფელი ერთმანეთს ოციოდე აღლით ემანძილებოდა. გასცილდა პირველს, მიუახლოვდა მეორეს და ხის უკანიდან თოფიანი კაცი გამოვიდა.

– არ გაინძრე! ასწი ხელები!

მგზავრი შედგა, კაცს შეხედა და უსიტყვოდ მიაჩერდა.

ამავე წამს ბეჭზე თოფის ლულა იგრძნო და ვიღაცამ შთამბეჭდავად წაიღრინა:

– ასწი ხელები, თორემ გესვრი, შე შობელძაღლო!

– იარაღი გაქვს? – იკითხა წინამ.

– სანამყენე ჯიბის დანა.

– დააგდე ძირს.

დაკეცილი დანა მიწაზე დაეცა.

– გაიარე! – ახლა ორივე ზურგში მოექცა.

გზა გაიწელა. ირგვლივ სიჩუმე იდგა. მგზავრს მხოლოდ თავისი ფეხის ხმა ესმოდა, მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილო ჩანდა, რომ უკან მოეხედნა. კარგად იცოდა, ის ორი კაცი ფეხდაფეხ მოსდევდა.

ბინდბუნდში იალაღზე მდგარ უკანასკნელ ხის ტანს ვიღაც მოსწყდა, მგზავრისთვის არც შეუხედავს, ათი-თორმეტი ნაბიჯით წინ წავიდა და თანაც დროდადრო აქეთ-იქით ისეთი უცნაური ოკრო-ბოკროთი დახტოდა, ხანდახან ისეთ მალაყებს გადადიოდა, გაოცებული მგზავრი უნებურად შედგა.

– იარე! – უმალ მისწვდა უკანიდან ღრენა. – ეცადე, ფეხი იმის ნადგამში ჩასდგა, თორემ ნაღმი ნაფლეთებად გაქცევს.

და მიჰხვდა მგზავრი, რომ თავადაც ასეთი მალაყებითა და ხტუნვა ხტუნვით უნდა ევლო წაღმა-უკუღმა.

მახვილ ყურს შორიდან სიმღერისა და ღრიანცელის ხმა ყრუდ შემოესმა. რაც უფრო უახლოვდებოდა მთის წვერს, ღრიანცელიცა და სიმღერაც უფრო გარკვევით ისმოდა. მალე ამ ხმაურს ჩონგურის ხმაც გაერია და, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრმა იგრძნო, ბანაკს მივუახლოვდიო, არც კაცის ჭაჭანება ჩანდა სადმე და არც კაცთა სადგომისა.

გორაკს რასმე შემოუარეს და საღამოს მოძალებულ ნისლში ცრიატი შუქი დაჩნდა. მგზავრი მიჰხვდა, ამ შუა იალაღზე ბუნების ნაცუდლუტარი ღარტაფი იყო. თითქოს იახსარ-კოპალასგან იავარქმნილი დევთა ნასახლარიაო, ისე შემორტყმოდა პატარ-პატარა გორაკები ამ ღარტაფს.

წინ მიმავალმა გრძლად დაუსტვინა. მოძალებული ხმაური შეწყდა. გორაკებში შესასვლელი ყელი გამუქდა და მგზავრმა შუა ღარტაფზე დანთებული შუქი დაინახა.

ცეცხლს იარაღიანი ხალხი შემოსხდომოდა...

იჯდა ლევანა ხმაამოუღებლად და იცდიდა. მიუხედავად ამდენი არსანახავის ნახვისა, ამდენი შემსვლელ-გამომსვლელისა, ამდენი მტყუან მართლის განკითხვისა, ამდენი ცრემლისა და მუდარის ცქერა-სმენისა, ფიქრობდა, ფიქრობდა და მაინც ვერ მიხვედრილიყო, რატომ დასჭირდა თელავის მაზრის მილიციის უფროსს მისი ღლევანდელი გამოძახება. ნუთუ ყველაფერი ასე გაუთავებლად რომ გრძელდებოდა, მის შესაგონებლად იყო გაანგარიშებული?.. მაგრამ რა უნდა შეეგო-

ნებინათ ამით და რატომ? – რა სურდა მისგან მოუხელთებელ ყაჩაღთა ამ ძილდაუძინებელ მადევარს?.. იჯდა დარკინულ ფანჯარასთან და ნაღვლიანად გაჰყურებდა დილეგად ქცეულ, ოდესღაც მაგარ, ვახვახიშვილთა გაუტეხელი ციხის დასავლეთ გოდოლს, სადაც ახლა შუბოსანი მეციხოვნის ნაცვლად შამხ-ანიანი მილიციელი იდგა. იქ, იმ ერთი ბეწო ოთახში, ოთხმოცამდე სული, მათ შორის ორმოცდაათამდის ქალი: ჩოლოყაშვილნი, სულხანიშვილნი, ავალიშვილნი, მელვინეთუხუცესნი, – ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მთელი სანათესაო, – უსაბნოდ, ულეიბოდ, დღე-ღამ ერთიმეორეზე ისე იყვნენ მილაგებულნი, როგორც სახლის კედელში გვზად დაყოლებული ბრტყელი ქვის კახური წყობა. ქვეყნის მოღალატეთაგან ყველაზე დიდ პატივში ქაქუცას ცოლი, – ნინო მელვინეთუხუცესი ჰყავდათ. დაკითხვაზე გამოძახებულს საათობით უხდებოდა მუხლჩაუკრეფავად ფეხზე დგომა. და მხოლოდ გვიან, გატანჯულ-გასავათებული ბრუნდებოდა უკან თავის მშიერ-მწყურვალ ბღარტებთან. ერთ დღესაც მის უფროს გოგოს, შვიდი წლის „ციცნას“, ნება დართეს, მილიციიდან ევლო სკოლაში. სამი დღის მერე ბალღი ორმა მილიციელმა მილიციის უფროს ჭურღულიას კაბინეტში შეიყვანა.

– ოო, ეს რა კაი გოგო ყოფილა, როგორი ლამაზი, რატომ ადრე არ მითხარით, თუ ასეთი ჭკვიანი გოგო იყო? – აბა, ერთი ორივე მუჭა გამოსწიე. – ჭურღულიამ ვეება ხელი დასცა მაგიდაზე დახვავებულ კანფეტების გროვას და გაოგნებულ ბალღს პაწაწინა მუჭაში ძალით ჩაუტენა.

ლევანა გაოცებით უმზერდა ჭურღულიას უნაკლო კბილებს, რომელთა სიქათქათეს ბევრი ქალი შეიშურებდა.

ბავშემა უნდობლად აჰხედა კეთილ ძიას და ლამაზი, შავი თვალები უჯერმაჯერად შეანათა.

– ნუ გეშინია, ჩაიყარე ჯიბეში და, თუ მუდამ კაი გოგო იქნები, მაგაზე უფრო მეტს მიიღებ.

გოგო, თითქოს ბოლო სიტყვები არც გაუგიაო, გაცინებულ კაცს კვლავ გაოცებით უყურებდა.

– აბა, ახლა მითხარ, მამა სახლში როდის მოდის ხოლმე, რა დროს მოდის?

ბავშვი ღელავდა. დანდობილ მზერაში მაინც აშკარად ეტყობოდა ყოყმანი. მერე გამშრალი, სიცივისგან დამსკდარი მტკიცედ-მოკუმული ტუჩები მძიმედ გახსნა და წყნარად თქვა.

– მამა სახლში არ მოდის. დიდი ხანია, არ მინახავს.

– ოო, აი, შვილის მოსიყვარულე მამა! განა შეიძლება, რომ ასეთი კარგი, ლამაზი, ჭკვიანი ბავშვი მამამ ხშირ-ხშირად არ ნახოს?

– არა, ღმერთმანი, რამდენიმე წელია, მამა არ მინახავს.

– თამრიკო, აბა მისმინე, თამრიკო: შენ უკვე დიდი გოგო ხარ, უკვე სკოლაში დადიხარ, ერთი სიტყვით, მოსწავლე ხარ. მოსწავლეს კი არავითარ შემთხვევაში ტყუილი არ შეეფერება. აბა, მაშ მითხარ, ბოლოს როდის ნახე მამა?

– დიდი ხანია, მამა არ მინახავს.

– მაინც რამდენი ხანი იქნება? – ერთი კვირა, ორი კვირა, სამი კვირა, ერთი თვე, ორი თუ სამი?

გოგომ ერთი ხელით მეორის თითებზე დაფიქრებით დაიწყო ჩამოთვლა. თვლის დროს კანფეტები ძირს ჩამოუცვივდა.

ჭურღულია დაიხარა, ღიმილით წამოკრიფა და მზრუნველი მონდომებით კვლავ ჩაუყარა ხელებში.

ნელა დაითვალე, კამფეტებს ნუ აბნევ, სჯობია წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო. აბა, მითხარი, რა ხანია, რაც მამა არ გინახავს?

– დიდი ხანია, ნამდვილად დიდი ხანია.

ჭურღულია გადასწვდა და კანფეტები კიდევ ჩაბღუჯა.

– აჰა, ჯიბე მაჩვენე, უჰ, ეს რა პატარა ჯიბე გქონია, – ერთი მუჭის მეტი არც კი ეტევა შიგ. ჰოო, კარგია, კარგი, აბა, ახლა მითხარ, ბოლოს როდის ნახე მამა?

– მამა? მამა... ერთი... ორი... სამი... – ბავშვი კვლავ თითებზე ითვლიდა, – სამი წელია, მამა არ მინახავს.

ჭურღულიას სიცილი არ შეუწყვეტია, კვლავ მოთმინებით წამოკრიფა თვლის დროს ძირს ჩამოყრილი კანფეტები და ისევ ჯიბეში ჩაუტენა.

– სამი წელი ძალიან შორია, აბა, ყველაზე ახლო მითხარი, როდის ნახე?

ბალღი გაუბედავად მიუახლოვდა და ყოყმანითა თქვა:

– ამაზე ახლო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურღულიას ახლა უკვე ძალდაუტანებლად გაეცინა.

– არა, მეტი არ გინდა, მანდედან მითხარი, რა ხანია, რაც მამა არ გინახავს.

– სამი წელია, მამა არ მინახავს.

მილიციის უფროსმა სიცილი მოსხიპა, თვალებში რისხვა ჩაიყენა, მაგრამ გონს მალევე მოეგო და ისევ გამოიდარა.

– თამრიკო, აი, აქ დაყრილი კანფეტები სულ შენია. ამათ გარდა, ერთ ლამაზ, ზიზია წითელ კაბასაც გიყიდი, თუ მეტყვი, ბოლო დროს როდის მოვიდა მამა შენს სანახავად და სად მოვიდა?

– არ ვიცი, მართლა არ ვიცი. მამა სახლში არ მოდიოდა.

უფროსს მოთმინებამ უღალატა.

– იტყვი თუ არა, შე ძაღლის ლეკვო ბოლოს და ბოლოს, იტყვი თუ არა?!

– აკი ვამბობ, აკი ვამბობ, არ მინახავს-მეთქი?

– მაშ, არ გინახავს?

– არა, არა, დიდი ხანია, არ მინახავს.

– მაშ, რაკი არ გინახავს, ეხლა სულ ვეღარ ნახავ. – წაიყვანეთ ეს გოგო და ეზოში რომ დიდი კასრია, იმ კასრში ჩააგდეთ და ცეცხი წაუკიდეთ!

ორმა მილიციელმა აქეთ-იქიდან დასტაცა ხელი და, როგორც ქორმა წიწილა, ისე მოიტაცა. კასრს რომ მიუახლოვდნენ, უფროსის ხმა დაეწიათ.

– მოიცათ, ეგ აქ მოიყვანეთ და მაგისი უმცროსი და მომგვარეთ!

ფერდაკარგული, აწივლებული, შიშისაგან გათავებული ბავშვი უკანვე მოაბრუნეს და მალე პატარა, სამი წლის მშვენიერი გოგო შემოიყვანეს.

– აუჰ, ეს რა გოგო მოსულა, კაცო! რა გქვია, პატარავ?

– ქეთი.

– უჰ, ეს რა ლამაზი სახელი ჰქონია. კამფეტი გიყვარს?

– დიახ.

– აი, კამფეტი აიღე.

ქეთიმ ერთი კანფეტი აიღო.

– კიდევ შეიძლება?

– როგორ არა, შენისთანა კაი გოგოსათვის ყველაფერი შეიძლება. აიღე.

ქეთიმ მეორე კანფეტიც აიღო.

– ეს დედას. შეიძლება ბებოსთვისაც ავიღო?

– მაშ, მაშ! – ბებოსთვისაც შეიძლება.

ქეთიმ მესამე კანფეტიც აიღო.

– სხვებისთვისაც თუ შეიძლება, სხვა ბავშვებისთვის?

– სხვა ბავშვებს ჩვენ დავუძახებთ და თვითონ წაიღებენ...

მთელია ამ ხნის განმავლობაში ლევანას არ გამოჰპარვია, უფროსი და როგორ ცდილობდა, ჩუმად, ჩაციებით თვალის დაუხამხამებლად უმცროსი დის ყურადღების მიქცევას. თანაც ამ მზერაში ცუდად დამალული წუხილი ჩანდა, რადგან ვერაფერს აგებინებდა.

ჭურღულიამ იღროვა და ჰკითხა:

– აბა, ქეთი, ყველაზე კაი გოგო, მამა თუ გინახავს თქვენთან სახლში?

– არა, მამა სახლში არ მინახავს.

– აბა, კარგად მოიგონე, იქნებ სხვაგან სადმე გინახავს მამაშენი?

– ჰო, ვნახე.

ჭურღულია გაიბადრა.

– ო, რა გოგო ყოფილა ეს ქეთი! როგორ ყველაფერი ახსოვს, შეხედეთ! აბა, სად ნახე და როგორ ნახე?

– ვიღაც კაცმა წამიყვანა ტყეში და იქ ვნახე.

უფროს დას ფერი სულ დაეკარგა.

ჭურღულია მთლად ღიმილად იქცა.

– აი, კიდევ აიღე კამფეტები. აიღე, აიღე, ნუ გერიდება. ეგრე. აბა, ახლა მითხარ, როგორ ნახე, – რა ეცვა, რა ეხურა...

ბალღმა კანფეტები მუჭით მკერდზე მიიკრა.

– როგორ ვნახე და... აი... თეთრ ცხენზე იჯდა, თეთრი ჩოხა ეცვა, ოქროს ქამარხანჯალი ეკეთა...

– რა ერქვა იმ კაცს, ცხენზე რომ იჯდა, კაი გოგო?

– თეთრი გიორგი.

ჭურღულიას სახე ისე დაეღმიჭა, თითქოს მაჟალო ჩაკბიჩაო.

– ახლავე მოიყვანეთ დედამისი!

კაბინეტში ნაკვთად კარგი, ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. ქალს არც სილამაზე აკლდა, ალბათ, არც სინაზე, მაგრამ ახლა კუშტი, ცივი და შეუვალი იყო.

– შენ ქვად ხარ ნაქცევი, მაგრამ შვილები შესანიშნავი გყოლია. აი, ამბობენ, მამა ვნახეთო.

ქაქუცას ცოლს ამ ცნობამ შინაგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრწოლა მოჰგვარა, მაგრამ თავი შეიკავა და სცადა, გარეგნულად არა დასტყობოდა-რა.

– მე არაფერი მითქვამს, დედი, ტყეზე ქეთიმ თქვა. – უფროსმა გოგომ შეშინებული თვალი მიაპყრო დედას.

იმედმოცემულმა ქალმა უბრალოდ წაილაპარაკა:

– ბავშვები ყველგან ბავშვები არიან. რაც სახლიდან გავიდა, ქაქუცა მე თავად არ მინახავს, ბავშვები საიდან ნახავდნენ?

მილიციის უფროსი მის გასამტყუნებლად უმცროს გოგოს მიუბრუნდა.

– აბა, გენაცვალე, გაიმეორე, სად ნახე მამა?

ბავშვმა ფანჯრისკენ მიიხედა.

– იქ, აი, იქ.

მილიციის უფროსს მოთმინება დაელია.

აქ რა უნდოდა მამაშენს შე ლაწირაკო, როდის ნახე აქ მამაშენი?

– ხვალ. – ისე უზრუნველად უპასუხა ქეთიმ, თითქოს მისი ღრიალი არც გაეგონოს.

სასოწარკვეთილი ჭურღულია გამწარებით გაბრუნდა თავისი სკამისკენ და ბრძანა:

– დედა დააბრუნეთ უკან... ეს ლეკვები კი ბნელ სარდაფში ჩაყარეთ, რომ იქ ვირთაგვებმა გამოხრან!..

დიდხანს დადიოდა გააფთრებული ჭურღულია წინ და უკან. გაძლიერებულ ცეცხლზე შემომდგარი საპურწყლე ქვაბივით თუხთუხებდა. დააფრიალებდა ცარიელ სახელოს ძალოვან ტანზე მოცემულ შავი ტყავის კურტაკისას და ბოლოს იქვე მდგარ მილიციელებს უყვირა:

შემოიყვანეთ ის ბებერი ძუკნა, – ქაქუცას დედა!

გაიარა ათიოდე გრძელმა წუთმა და კარი ხელახლა გაიღო.

კედელზე მიყუდებული ძელივით მდუმარე და უძრავი ლევანა ფანჯრიდან კარისკენ ერთბაშად შემობრუნდა და კვლავ გაირინდა.

პატიმარი სამოცი-სამოცდახუთი წლისა იქნებოდა. თმა თეთრი, მტკიცედ მოკუმული, უფერული ტუჩები, შუბლი შეკრული, სახე გაქვავებული. თაფლისფერ თვალთა უტეხი მზერა მილიციის უფროსის თავს ზემოთ გადადიოდა და კედელსა ჰხერეტდა.

ჭურღულიამ უცქირა, უცქირა და დიდ შეურაცხყოფად მიიღო ლევანას თანდასწრებით პატიმრისგან არად ჩაგდება. მაინც თავი შეიკავა და წყნარად ჰკითხა.

– ბოლოს და ბოლოს, არც ეხლა იტყვი, დედაკაცო, სად არის შენი შვილი?

„დედაკაცი“ არ შერხეულა, არც სახის რომელიმე ნერვი შესთრთოლებია, არც ის მრისხანე მზერა მოუცილებია იმ ამოჩემებული წერტილისათვის. იდგა ასე, მიწის ძირას გადარჩენილი სახლის დედაბოძივით და მის ირგვლივ „რა ხდებოდა“ არად ჩამგდები.

ჭურღულია აირია.

– შენ რა, მთლად დაჰყრუევდი, დედაკაცო? არ გესმის რას გეკითხებიან: სად არის შენი შვილიო?

„დედაკაცმა“ მზერა ჩამოაბრუნა ძირს და თავის წინ მჯდომს ისე დაჰხედა, როგორც ყორესთან დალაგებულ ქვების გროვას.

ახლა კი ბიჯაგრა მილიციის უფროსი, ფეხზე წამოვარდა და მაგიდას მძლავრი მუშტი ისე დასთხლიშა, კინაღამ ჩაამტვრია.

– თქვი, სად არი შენი ყაჩაღი შვილი, თორემ გიგოს გორაზე დავასუქებ მატლებს თქვენი მძორით!

„დედაკაცს“ ამაყი სახე კიდევ უფრო მოუქურუხდა.

– გინდაც ჰიცოდე, როგორ ფიქრობ, გეტყვი, სადაც არი? რას მომდგომიხარ და ჩამციებიხარ? ის იქ არი, სადაც უნდა იყოს! ის მგელია, თქვენ ძაღლები; წადით და, თუ შნო გაქვთ, დაიჭირეთ! მაშინ თქვენც გეცოდინებათ, სადაც იქნება და მეც!..

ჭურღულიას რისხვა უეცრად ჩაცხრა. დედაკაცს თვალი აარიდა, გუშაგებს უთხრა, ეგ გაიყვათ, ძმა მომგვარეთო და ლევანას მიუბრუნდა.

– აი, ხომ ნახე შენი თვალით, ჯერ დედა თქვი და ახლა ამისი შვილი რაღა იქნება. დედას ვუტირებ, ჭაჭასავით გამოვწურავ მაგათ სახლობას.

მალე ორმოც წლამდე კაცი შემოიყვანეს. კარგი აღნაგობისა იყო, შვინდისფერი ჩოხა ეცვა, ფეხთ უძიროები, ბოლო ღილკილომდე შეკრული მეწამული ფერის დარაიის ახალუხი, მაღალ ყელს უჩენდა, შავად დატალღული ზიგზაგობდა კოხტად დავარცხნილი თმა. თეთრ-მოყირმიზო ლამაზ სახეზე კეთილშობილური სიმშვიდე და თმენის შეძლება განფენილიყო.

– დაჯექი შაქრო, – თბილად თქვა ჭურღულიამ.

- მადლობთ, ბატონო, თქვენ ისე მიმაჩვიეთ ფეხზე დგომას, ციხეშიაც კი მეუხერხულება იატაკზე ჯდომა.

- თუ ჭკუით მოიქცევი, ეგ უხერხულობა მალე გაიფანტება. დაჯექი.

პატიმარი დაჯდა.

- აბა, რას იტყვი, გუშინდელ ამბავზე?

- რა უნდა ვთქო, - ორთავ ხელის თითები ერთმანეთში გაუყარა ტუსაღმა. - განა გუშინვე არ გაგეცით პასუხი მაგაზე?

- მე რომ ეგ მაკმაყოფილებდეს, მაშინ აქ, ხმელი პურისა და წყლის ამარა კი არა, მატანში იჯდებოდი გაწყობილ მაგიდასთან და შიშხინა მწვადების სუნით გექნებოდა მოხიბლული ეგ თავადური ყნოსვა.

- გითხარით და მორჩა. არ მინდა ქაქუცასთან შეხვედრა. აქ, ციხეში მირჩევნია ყოფნა. ძალიან კარგად ვიცი, რა შარიანი ხალხიცა ხართ. შევხვდები და მეტიც რა გინდათ, მაშინვე იმას წამომკიდებთ: შენ ძმას ხშირ-ხშირად ჰხვდებიო. არა, დიდი მადლობელი ვარ, არ წავალ იმის სანახავად. ასჯერაც რო ძმა ვიყო, თუ იმისთვის უკუღმართს დამაბარებთ, შეიძლება ცოცხალმა ვეღარც გამოვასწრო იქიდან.

- არა, ნურაფრისა გეშინიან, ორ სიტყვას ეტყვი და მეტი არც არი საჭირო. ეტყვი და პასუხით დაბრუნდები. დაბრუნდები და, ცოლშვილს გეფიცები, ჩემი კაბინეტიდანვე წახვალ შინა და შენი შემწუხებელი მხოლოდ მაღლა ღმერთი გეყოლება.

მთელი ნახევარი საათი კიდევ დაიხარჯა ხვეწნა-დაპირებაში და მოტყდა ბოლოს ტუსაღი.

- კარგი, მოველაპარაკები.

-ეგრე. საღამოს მოხვალ ჩემთან და გაემგზავრები.

როგორც კი ყველა გაისტუმრა, რამდენჯერმე კიდევ დაარტყა ბოლთა გრძელ კაბინეტს, მერე ლევანას წინ შედგა და განივრად გაილაჯა.

- მორჩა, ყოველგვარი საშუალება ამოვწურე. ვინც კი მივუგზავნე, უკან ცოცხალი აღარავინ დაბრუნდა. ამას წინათ კაცი მოვიდა და თქვა: ქაქუცა ამა და ამ ადგილს უნდა იყოსო. ერთ მილიციელს მონადირის ტანსაცმელი გადავაცვით, ძაღლი მივეცით და იმ ადგილებში გავგზავნეთ დასაზვერად. სამი დღის მერე ვიპოვნეთ მკვდარი თავის ძაღლიანად. ძალიან გამოცდილი ჩეკისტი იყო. მოეკლათ და ის ძაღლიც ზედ წაეკლათ (აფსუს, რა ძაღლი იყო!). ვინც კი მივუჩინეთ, უკან არავინ დაბრუნდა ცოცხალი ერთის გარდა. ისიც შეშინდა და გამოიქცა, თორემ არც იმისი დაბრუნების იმედი გვქონდა. მაინც რაღაც გარკვეული ცნობები მოგვიტანა. მე მას ოცდახუთი კაცი გავატანე, ქაქუცას სახლობის დასაპატიმრებლად გავგზავნე მატანს. ვფიქრობ, იმასაც უნდა ჰყავდეს ჩვენში ჯაშუში. ილტოსთან დაახვედრა შვიდი კაცი. თორმეტი მოგვიკლეს, ხუთი დაატყვევეს, მთელი იარაღი და ცხენები ხელთ იგდეს და უზიანოდ თვალს მიეფარნენ. ის კი, იმათთან შეგზავნილი ჩეკისტი, ისე იყო დაცხრილული, მთელ ტანზე ადგილს ვერ უპოვიდი გაუჩვრეტავს. ტყვიებით თავი ისე ჰქონდა გათქვეფილი, იმისი ტვინი ოთხ-ხუთ მეტრზე იყო გაძაბული, რადგან ცხენიდან გადმოვარდნისას ფეხი უზანგში დარჩენოდა გაჭედილი...

ჭურღულიამ მცირე ხანს შეიცადა. ჩუმი დაკვირვებით გამოცდილი ჩეკისტის ალღოთი ცდილობდა ლევანას სახეზე წაკითხვას, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მონაყოლმა, გარნა ლევანას სახე შეუვალი იყო. არც აღელვების, არც აღშფოთების, არცა პროტესტის ნატამალი შეინიშნებოდა. კრინტიც არ დაუძრავს. იჯდა უძრავად და უცქერდა შავი კურტაკის ცარიელ სახელოს. ეს იმ ბრძოლის სახსოვარი იყო, შარშანწინ საკუთრად ქაქუცას ტყვიამ რომ უწია უზუნდარას ხევში. მაუზრის ტყვიებმა მარჯვენა ხელის წინამხრის ძვალი ისე დაუმსხვრიეს იდაყვამდე, ქალაქის საუკეთესო ქირურგებმაც ვერა უშველეს-რა სანამ მთელი მკლავი ძირში არ წაათალეს. მაინც ძალიან გაუმართლა, რადგან ჩოლოყაშვილმა არ იცოდა, თუ ჭურღულია ცაცია იყო.

- აქ მყავდა, ა, აქ მყავდა გამოჭერილი ის თავადის ნასხლეტი! მსხვილი, გრძელი თითები ისე მძლავრად მოკუმშა, სახსრებმა ტკაცატკუცი დაიწყო, ოზაანში, იქაურ რევკომთან შეტაკების გამო, დავიჭირე და სატუსაღოში ვუკარი თავი. სწორედ მაშინ თბილისის ჩეკადან მოვიდა საიდუმლო ბრძანება, რომ თუ სადმე, ჩვენს მაზრაში ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი გამოჩნდებოდა, სასწრაფოდ დამეპატიმრებინა და თბილისში გადამეგზავნა. ჩვენს რიგებში მოღალატე აღმოჩნდა. ეს ბრძანება დამალეს, ჩეკას კი ექვსი კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაესხა, მილიციას იარაღი აჰყარა და კარგადაც მიბეგვა. თვითონ ქაქუცა კი, თბილისში გადასაყვანად მიმავალი, დერეფნიდან გაექცა ექვს გუშაგს თვალსა და ხელს შუა - სამიოთხი მეტრის სიმაღლე კედელს ისე გადაევლო, მხოლოდ წამითღა მოჰკრეს თვალი! მას შემდეგ  წავიდა და წავიდა! თურმე ჩვენების მოსვლის პირველი დღეებიდანვე დაუწყია თბილისსა, ქართლსა, კახეთსა, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ორგანიზაციების შექმნა და ხალხის დარაზმვა ჩვენს წინააღმდეგ. პირდაპირი კავშირი ჰქონია დასავლეთ საქართველოს პირწავარდნილ ყაჩაღებთან, - გოგი ღლონტთან და მანწკავასთან. მანწკავა „ჩონის" უფროსი იყო ზესტაფონში. შარშანწინ გაიქცა ოზურგეთში და ღლონტს შეუერთდა. ღლონტის ცოლი უარესია ღლონტზე. ხალხს იმისი უფრო ეშინია, ვიდრე ღლონტისა. კაცივით იცვამს შარვალს, კაცივით ზის ცხენზე. უძიროების ლეკვერთხებში აქვს ნაგნის ვაზნები. ორი წლის წინ ჩაიგდეს ხელში ჩვენებმა. გამოამწყვდიეს ოზურგეთის ციხეში. უჩუმრად გატეხა ფანჯარა, მეორე სართულიდან ნაწვიმარ მილით ჩამოვიდა ძირს და გაიქცა. შავ დღეში ჰყავს იქაური კომუნისტები. იხელთებს დროს, შევარდება ორასკაციანი ბრბო მაზრაში, დაიჭერს ღლონტის ცოლი იქაურ კომუნისტებს, შეაჯდება კისერზე, და გაჰყავს და გამოჰყავს ასე, ბაზრის იქით რომ ჟუზის წყალია, იმაში, ხოცავს ხალხს სიცილით... ერთი, ამ ქაქუცას საქმე გადამაწყვეტინა ჩემებურად და მერე მე ვიცი! - ჩავალ ოზურგეთს და ვაჩვენებ ღლონტსაც და მის ცოლსაც, რავარც უნდა მოჯდომა სხვის კისერზე!..

ლევანა კვლავ ჩუმათ უმზერდა ამ კაცის შავ კურტაკს, ლაჯებშუა შავტყავგამოკერებულ გალიფეს, შავად გაკრიალებული ქრომის ჩექმებს, მარცხენა თეძოზე დაკიდებულ მაუზერს და თანდათან ეძალებოდა სევდა, თანდათან ერეოდა ნაღველი... განა საბრალო თინა გაუძლებდა იმ წამებას, რასაც ქაქუცას ცროლი იტანს? განა ოდესმე შესძლებდა, თუნდაც პირველი სართულის ფანჯრის გამტვრევას და იქიდან გაქცევას?.. ბავშვები? - ნუთუ მისი შვილები ოდესმე მოიქცეოდნენ ისე, როგორც ქაქუცას შვილები მოიქცნენ მის თვალწინ?.. მერე სად წაიყვანეს ისინი? - სადღაც ნესტიან სარდაფში ჩაყარეს, ვირთაგვებთან, ობობებთან და ათასგვარ ჭია-ღუასთან ერთად... ორი პატარა დაუბუმბლავი ბღარტი. მთელი ღამით იქ ყოფნით ხო დაუსკდებათ შიშისაგან თავიანთი პატარა გულები? რა დანაშაულისთვის უნდა დაისაჯონ ეგრე უღმერთოდ? იმ დანაშაულისთვის, რომელიც მათ არ ჩაუდენიათ? როგორ უნდა გადაიტანონ ხვალამდე ეს ღამე? ყველაფერს რო თავი დავანებოთ, ხო დაცივდებიან და დაავადდებიან ეგრე ჩვილები? როგორ შეიძლება, ბავშვებს ეგრე მოექცე ზრდასრული და გონთმყოფი კაცი, თუნდაც მტრის ნაშიერთ?..

- შენ რა, ჩაგეძინა? - თანაც ასე კურდღელივით თვალგახელილს? რამდენი ხანია, ვლავლავებ, არ გესმის ჩემი ლაპარაკი?

ლევანამ თავი ასწია, მოლაპარაკეს დააკვირდა და მერე ხარივით დიდრონ, ბღღვრიალა თვალებში მიაჩერდა.

- დიახ, გისმენთ, ამხანაგო ჯუგუ.

- ცუდად ხომ არა ხარ?

- არც იმდენად, ბალღი და დიდი ვერ გავარჩიო ერთმანეთისაგან.

ჯუგუმ თვალები დაეჭვებით მოჭუტა.

- მაშ რა დაგემართა, არ მისმენდი?

- სმენა ორმაგდება, როცა მოსასმენი სასიამოა. ბრძანეთ, რა გნებავთ.

„ახირებული კაცია... უფროსების ნებიერი... მუდამაც ახირებული იყო..." - არ ჩასძიებია მილიციის უფროსი ლევანას ნათქვამს. გვერდზე გაუარა, მივიდა თავის მაგიდასთან და დაჯდა.

- ჩოლოყაშვილის ბანდამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ბოლშევიკურ მთავრობას. საკმარისია, ხევსურეთის ამბოხება გავიხსენოთ. გასული ზამთარი ჩეჩნეთში გაატარა. იქ ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს და დიდ პატივსაც სცემენ, არა მარტო როგორც მეომარს, არამედ როგორც რუსების დაუძინებელ მტერსაც. მაგრამ წოვათას გადასასვლელი, ალაზნისთავი და ორწყლის მაღალი ისე შევკარით, არა მგონია, წელს გაბედოს იქით გადასვლა... ცნობები გვაქვს: წელს ჩვენს მაზრაში გადაიყრის ზამთარს. მაგრამ სად, მარტო ეშმაკმა თუ იცის. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაგნოთ მის ბინას და გავანადგუროთ. მაშინ აღარც შენ მოგიხდება მაგის კვალზე წანწალი და ჩვენც დავისვენებთ... ახლა ყური კარგად დამიგდე: დილას, ადრიანად, ერთი ჩვენი კომუნისტი მოვიდა: წუხელ დეკეული თუ მოზვერი მომპარესო.

მე მაშინვე მემცხეთა, - ქაქუცას ხალხი იქნებოდა-მეთქი, რადგან ვიცი: ისინი სხვას, თუ თავად არ სცეს პატივი და, თვითონვე არ გაატანეს საკლავი, არც წაართმევენ და არც მოჰპარავენ. იმათ მხოლოდ კომუნისტებისა ან კომკავშირელებისა მიჰყავთ. ეს მესამე შემთხვევაა ამ ორ კვირაში და სამივეჯერ კომუნისტებისგან წაიყვანეს. ქურდი არ დაგიდევს, ქურდისთვის ერთია, ვისი მიჰყავს და ვისი არა, მისთვის მთავარი ნაქურდალია. ეს კი, აგერ უკვე მესამე შემთხვევაა, რაც ჩვენიანისა მიჰყავს. წინა ორისა ჩემმა მეკვლეებმა გეში ვერ აიღეს. შენ კი, როგორც ვიცი, ცხენები ბევრჯერ დაგკარგვია და ბოლოს მაინც გიპოვნია. შენ არაფერი შეგეშლება. იქნებ ჩვენი, ბოლშევიკური ძალაუფლებისთვის შენებურად გაისარჯო და მიჰყვე ნაკვალევს...

ლევანა არცთუ დიდი გულისყურით უსმენდა მოსაუბრეს, მაგრამ მისი ტუჩების ცმაცუნს მაინც დაკვირვებით მისჩერებოდა და გუნებაში ცდილობდა გაეგო, საით უბერავდა ამხანაგი ჯუგუ ჭურღულია. მხოლოდ ეს წაილაპარაკა უწადინოდ:

- ეხლა სამხრობაა გადასული, იმ მოზვერსა თუ დეკეულს უკვე ჩაილურის წყალი აქვს დალეული.

- საქმე მოზვერი არ არის, - ჩურჩულზე გადავიდა მილიციის უფროსი, - ჭირსაც წაუღია მოზვერი თუ დეკეული! შენ ამ ნაკვალევმა ქაქუცას საზამთრო ბინა უნდა გაპოვნინოს. ნაწვიმარი რომ ყოფილიყო, ადვილად მიაგნებდნენ მეკვლეები, მაგრამ იმისმა ნაკვალევმა ეზოდან სასოფლო გზამდის გაიყვანა ისინი. იქ კი მთელი სოფლის ათასობით პირუტყვი დადის, - მიდი და იპოვნე ნემსი თივაში.

- და შენ გგონია, მე გავუგებ თავ-ბოლოს მაგ აჭინჭყლულ ანაბეჭდებს?

- რის ანაბეჭდები, რა ანაბეჭდები, - ანაბეჭდებთან რა მესაქმება? მე ჩვენი კომუნისტისა და ბოლშევიკური სამშობლოს ბედი მაწუხებს. მაგ საქმეს, ჭინჭყლია თუ კვალია, შენს მეტი ვერავინ აართმევს ნიშანს. დანამდვილებით გეტყვი: თუ ძალიან ეცდები, არაფერი დაგიდგება წინ. მახსოვს, ცხრაას ცხრამეტში წაპწიას რომ ცხენები დაეკარგა, შენ აპოვნინე.

- მე არა, კოდელმა-ნინომ აპოვნინა, - მკითხავმა.

- ჩემი კოდელ-ნინო შენა ხარ. დაიხსომე: ეს პარტიული დავალებაა! შენზე დიდი პარტიული კახეთში აღარავინ გვყავს. - ავქსენტი სიდამონიძე აღარ არის ცოცხალი.

- ვთქვათ-და მივაგენი, ქაქუცას ის მოზვერი ვაზლევვინო თუ მივეპარო და ყურში მარილი ჩავაყარო?

- ლევან, ეს ხუმრობა არ არის.

- არც მე ვხუმრობ. ჩვენ არ ვიცით, რამდენი კაცი ჰყავს და აქედან რამდენი უნდა წავიყვანო. ძალიან ბევრი დაგვჭირდება და თანაც ჯარის ნაწილი. - ქაქუცა მწიფე მსხალი არ არი, გაარხიო და კალათში ჩაგივარდეს.

- ლევან, კარგად მომისმინე: ამჯერობაზე ჯარი არ დაგვჭირდება. შენ გზადაგზა ნაკვალევი დატოვე და დილას მე ამოვალ ჯარითა და ჩვენი ხალხით. შენი მოვალეობა ქაქუცას რაზმში შეღწევაა. მისი ნდობის მოპოვება. ვითომ ჩვენ გაგვექეცი და იმას მიეკედლე. ვიცი, უარს არ გეტყვის და სიხარულითაც მიგიღებს. ეს ისე ვიცი, როგორც აი, ამ ცარიელი სახელოს ასე ფრიალს არ შევარჩენ. მიდი, ეძებე და გახდი „შეფიცული“;

- მერე? - გავიწყდებათ ჩემს წინამორბედებს რა დაემართათ? - ახლა მე მსვამ ქაქუცას მაუზრის ლულაზე?

- ლევან, ჩემამდეც არის მოსული, რომ ქაქუცა სიკვდილს გყავს გადარჩენილი.

- რაო? მაგით გინდა აღვირის დაჭერა? ეგ ამბავი მენშევიკ-ბოლშევიკებამდის მოხდა, ხოლო პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ბოლშევიკებს ქართული ცხენოსანი ათასეულის მეთაურის, გენერალ წულუკიძის მოადგილედ გყავდათ ავჭალაში... იგრე რო, ამხანაგო ჯუგუ, ნურც იფიქრებთ, რო კიდევ როდისმე დღევანდელივით გაამჟავნოთ თქვენი ბალღური ფახიფუხი, თორემ დავიხურავ ქუდსა და წავალ. მე თქვენ იგრევე მჭირდებით, როგორც ბრმას ფარანი.

„მართლა უცნაური კაცია, ამასთან დაყვავებით თუ გაიტან რამეს, თორემ...“

- ლევან, კაცო, როგორ არც კი გამოარკვევ, ნამდვილად რა გითხრეს, რა არა, მაშინვე რად იცი ხოლმე ხმალზე ხელის გავლება? უბრალოდა ვთქვი, შენი ძველი ნაცნობია-მეთქი, - მორჩა და გათავდა... ხომ მართლა კარგად გიცნობს? გიცნობს და, ალბათ, ისიც კარგად იცის, რომ პირდაპირი ხარ და არ მოატყუებ. ნურც შენს პარტიულობას

გაუმხელ, თორემ ყაჩაღია და არ დაგინდობს. მე კი ხვალ ერთ ასეული ჯარს წამოვიყვან, პარტიულ-კომკავშირელებიც ბლომად არიან, რომელთაც მაგაზე კბილები აქვთ დალესილი... ეხლა კი ერთ რამეს გაგანდობ: ქაქუცას თავისთვის დიდი ჯილდოა დანიშნული... ლევან, მაგ ჯილდოს მისაღებად მე შენზე უკეთესი არ მეგულება. ამას გარდა, ჩემი მხრით გპირდები; როგორ იარაღსაც ინატრებ, ისეთ იარაღს გაძლევ! საჩუქრად! მე ხომ ვიცი, რომ გიყვარს კარგი იარაღი... ამას გარდა, ერთ რამეს გირჩევ ძმურად. თუ ძმურად არ გინდა უფროსის დავალებად ჩათვალე მაშინ: ხვალ თუ ჯარით არა გამოვიდა-რა, შენ დარჩი მაგათთან, როგორც ერთ-ერთი „შეფიცული". დარჩი და ისე მოაწყე, მაგ ბანდის დიდი ნდობა მოიპოვო. მთელი წელიც რო გავიდეს, იქიდან მაშინ უნდა წამოხვიდე, როცა ქაქუცას თავს აბგაში ჩააგდებ, ჩამომიტან და, აი, ამ ჩემი მაგიდის შუშაზე შემოსდებ.

- მაინცდამაინც შენი მაგიდის შუშაზე?

- სწორეთ ამ შუშაზე.

ლევანას ცალყბად გაეღიმა. ჭურღულიას ცარიელ სახელოს ქეშად გაჰხედა და მერე ღიმილიც გაიქრო სახიდან.

- ერთი წლის შემდეგ ან ცოტა უფრო ადრე თუ ჩემი თავი ჩამოგიტანეს და ამ შუშაზე შემოგიდეს?

მილიციის უფროსმა საღი ხელი აასავსავა.

- არა, ლევან, შენ თუ იქ შეაღწიე, თუ მართლაც გულით მოიწადინე, ეშმაკს დააწვენ და ანგელოზს აზობინებ.

- შენ გავიწყდება, პატივცემულო ჯუგუ, რო ქაქუცას ჩემზე ადრე ბევრი სხვა ჩემზე უკეთესები შევუგზავნეთ, მაგრამ ჯერ მაღაროს კარში, შემდეგ ორწყლის მაღალთან ჩვენცა და რუსის ბატალიონებსაც წითლად გვაღებინებდა თეთრ არაგვს. მას მემრე, სადაც კი მივადექით, გვქუჟა და გვქუჟა. როცა გვეგონა, ალყა დავარტყით და ვერსად წაგვივაო, ალყასაც არღვევდა და ხალხითაც მრავალს გვაზარალებდა. შენ კი იმ კაცს როგორ დაიჭერ, სპარსეთიდან მტერს დამსხლტარმა მთელი ესკადრონით მარტოდმარტომ რო გადალახა მესოპოტამიის უდაბნოს ქვიშები და ლიბანთან უდანაკარგოდ შეუერთდა ინგლისელებს? შენ იმ კაცის მომტყუებელი ხარ?

- ეეჰ, მე რომ თქვენს მაგიერ ხევსურების ერთი ოცეული მყოლოდა, აქამდის ჩოლოყაშვილის ხსენებაც გაქრებოდა საქართველოში.

- მაგაში მეც გეთანხმები, მაგრამ ის ხევსურები შენ არასდროს გამოგყვებოდნენ.

- რაო? რატომ გგონია?

- იმიტომ, რომ ქაქუცას ისინი რუსების წინააღმდეგ მიჰყავდა, ჩვენ კი მათ ქართველების, თავისი ხალხის, თავისი ჯიშ-ჯილაგის წინააღმდეგ უნდა გავძღოლოდით. ხევსურები თავისუფალი, დაუმორჩილებელი ხალხია. მათთვის არც თავადი არსებობს და არც გლეხი. არც არსებობდა ოდესმე. იმათ კანონებისა არა გაეგებათ-რა. მხოლოდ ხატსა და ადათს უხრიან თავსა. მათთვის პარტიები და მთავრობები არაფერს ნიშნავს. დასაბამიდან მხოლოდ ერთს უსმენდნენ, - მეფეს საქართველოსას. იგრე რო, იმათ შეგნებაში ორად იყოფა ქვეყნიერება: ქართველებად და არაქართველებად. თუ არა მტრობ, არაქართველსაც ძმად მიიღებენ, ხოლო თუ ქართველს მტრობ, - მტერი ხარ ხევსურისაც!.. აი, ამიტომ არ გამოგყვებიან.

ჭურღულიამ თავი ვერ შეიკავა, კბილები გააკრაჭუნა და წაისისინა:

- არაფერია, ცოტაც დამაცადონ, ავალ მთაშიც და ვაჩვენებ, როგორც უნდა ყაჩაღთან, მკვლელთან, წითელი საქართველოს მტრებთან ძმობა და თანადგომა. გამოზაფხულდება თუ არა, მაგ ხევსურებსაცა და ფშაველებსაც მოვათვინიერებ, როგორც წესია.

- მე კი არ გირჩევ. იქ ამსვლელს ბევრს დააცვდა კლანჭები. სანამ ქაქუცას არ მოვიშორებთ, ასვლა შეიძლება ადვილიც იყოს, მაგრამ იქიდან ჩამოსვლა...

- შენ რა, წინასწარ მთარსავ?

- არა, გაფრთხილებ.

- გაფრთხილება შენთვის შეინახე. წადი ეხლა და გაემზადე. - ძნელ საქმეზე გგზავნი.

- შენ კი მგზავნი, მაგრამ მე მივდივარ? - მცირე ხნის შემდეგ თქვა ლევანამ.

- როგორ თუ არ მიდიხარ?

- იგრე. არ მინდა, იმ ვირს დავემსგავსო, მოგებაზე რო წავიდა და ნალებიც იქ დაყარა.

- ეს როგორ?

- აი, იგრე! - არ მინდა. ჩემი წინამორბედების ბედი გავიზიარო. ქაქუცა რო ეგრე ადვილად ენდობოდეს ვინმეს, აქამდის ძლებსაც ვერ მოიტანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სხვას შეიძლება არა, მაგრამ შენ უნდა გენდოს.

– არა. ზოგჯერ ნადირის ნაცვლად თვითონ მონადირე ებმება ხოლმე თავის დაგებულ ხაფანგში.

– ლევან, ჩვენ ორნი ვართ. არავინ დავასწარი აქ ამ საუბარს, გარეთ სადმე რომ არ გაჟონილიყო. ნურაფრის დარდი ნუ გექნება.

– არა, ლევანა მხოლდ ბრძოლაში ჰკლავს და – თანაც მტერს. მუხანათობა ჩემი საქმე არ არი, მე ღმერთი არა ვარ, კაცი ჯერ სიკვდილს გადავარჩინო, მემრე კი მოვკლა, თანაც ღალატით. არა, ეს ჩემი საქმე არ არი.

ჭურღულიას მოთმინება ელეოდა.

– შენ ლევან, მოდი ამ ალთაბალთას თავი დაანებე. ეს პარტიული დავალებაა, – მორჩა და გათავდა!

– არა, შეიძლება მორჩა, მაგრამ არ გათავებულა. მე ამ საქმეში უჯოხო ბრმა ვარ – არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია.

– მე კი არ მეგონა, მშიშარა იქნებოდი.

ლევანამ ღანანებით გადაიქნია თავი.

– რას იზამ, ყვავისგან ყვავის განსხვავება არ არი ადვილი.

– და, ვინც განასხვავებს, მესამე ყვავი თვითონ იქნება.

– რო განასხვავო, არწივის თვალია საჭირო. თქვენ თუ გგონიათ, ქაქუცას მოტყუება ისევე ადვილია, როგორც ქვაზე კვერცხის გატეხვა, სცდებით.

– ლევან, ვიცი, რომ ძალიან ძნელ საქმეს გავალებ, მაგრამ ბოლო იმედი ახლა შენა ხარ. ეს აზრი თბილისიდან მოდის, შენი ძველი ძმაკაცებიდან.

– ვინ ძმაკაცებიდან?

– ვინც პარტიაში მიგიღო.

– მაშასადამე, ნაღდ სიკვდილზე მგზავნის?

– რათა სიკვდილზე? იმასაც და მეც დიდი იმედი გვაქვს, რომ თავსაც გადაირჩენ და ბევრ პარტიულ და კომკავშირელსაც იხსნი იმ სიკვდილის ანგელოზის ტყვეისაგან.

კაბინეტში სიჩუმე დაგუბდა. ლევანამ ფანჯარას თვალი მოსწყვიტა და ჭურღულიას თვალი თვალში გაუყარა.

– მაშინ მხოლოდ ერთი პირობით წავალ.

– რა პირობაა?

– უდანაშაულო ხალხი უნდა გაუშვა ციხიდან.

– რომელი უდანაშაულო?

– ქაქუცას მთელი სანათესაო.

ჭურღულია ფეხზე წამოვარდა.

– შენ ხომ არ გადაირიე ჯანაშვილო? ეგენი რომ ახლა გავუშვა, ხვალვე ნახევარი მაინც შეუერთდება ქაქუცას რაზმს.

– მაშინ თურმე ჩემზე მეტად შენ ყოფილხარ მშიშარა.

– აბა, აბა, ეგენი არ იყოს, ჯანაშვილო! ყველა-ყველა და, შენ მაინც არ გესწავლება, როცა საჭიროა, ჭკვიანი ქორი თავის კლანჭებს მალავს.

– ეს შენ, მაგრამ მე არაფერი მაქვს დასამალი, – პირდაპირ გეუბნები: არ წავალ, თუ ქაქუცას ცოლ-შვილს მაინც არ გაუშვებ ციხიდან.

ჭურღულია მაგიდას გაერიდა და ორიოდე ბოლთა კვლავ დაარტყა ოთახში. მერე მივიდია ლევანასთან ახლო, დაიხარა და მაგიდის კიდეს იდაყვით დაეყრდნო.

– მე რომ ისინი გავათავისუფლო, შეიძლება ისე გადაიმალონ სადმე, იმ შენმა კოდელ-ნინომაც ვეარ მიაგნოს. მე ისინი ქაქუცას მისატყუარადა მყავს. იმას რჯულად აქვს ღამით ციხეზე დაცემა და პატიმრების განთავისუფლება.

– მაშ, რაკი ეგრა, აღარც მე მივდივარ, აი, ჩაიბარე! – მოიხსნა შაშხანა და სავაზნეები და მაგიდაზე დააწყო. – ეხლა შეგიძლიან დამხვრიტო. – მე იმ ბალღების წვალებას ვეღარ ვუყურებ.

– შენ იმათ ყურებას არავინ გაძალებს.

– ამის მემრე ვერც დამაძალებთ.

– თუ დამჭირდა, დაგაძალებ კიდეც.

ლევანამ მოიხედა და მრუდედ გაიღიმა.

– გაქირიანი ვირი სახეზე მუდამ თვინიერ გამომეტყველებას იღებს ხოლმე.

– დაიცა, ნუ მიხვალ, ლევან, თბილისიდან მოდის ეს რჩევა.

– თუნდაც ყარა-ყორუმიდან მოდიოდეს, ჩემი საქმე არ არი.

– ჩეკას ეგრე ნუ ეხუმრები, ლევან.

– მე არ ვეხუმრები, მაგრამ, დაე, ნურც ის გამეხუმრება. მე ლევანა ვარ და ჰაერზე არ ვისვრი სიტყვებს. შეგიყრიათ აქ ბალღაუჭები და ყოველ დილა-საღამოს გულებს უხეთქავთ საცოდავებს. რა ნამუსით მოგდით ეგა, – აბა, თქვენი შვილები იყვნენ მაგათ ადგილას.

– კარგი, მობრუნდი. მობრუნდი-მეთქი!.. მოდი, დაჯექი... თუ წახვალ, ბალღებსა და

ქაქუცას დედას გავუშვებ. იმის ცოლს კი ვერ შეველევი. - აქ უნდა მოვიდეს ქაქუცა და, თუ შენ გადაგირჩა, აქ უნდა გაებას ოთხივე ფეხით ხაფანგში...

* * *

მიწური იმდენად დიდი იყო, თავში, კედელში გამოჩრილ ქვაზე დადგმულ სანთლის შუქს ბოლოში უჭირდა გაღწევა. დასავლეთით, - თურღოს მხარეს, შიგ მიწურში, წვივის სიმაღლეზე ეხი გამოეკვეთათ. ეხში, როგორც ეტყობოდა, ჯერ თივა დაეგოთ, მერე ზედ ნაბადი გადაეფარებინათ. თავში ნამორი იდო მუთაქასავით. მუთაქის ზემოთ მოკლე, უცნაური თოფი, ბუდიანი მაუზერი და აშურმიანი ხმალი ეკიდა. ეხის შუა კაცი იჯდა. კაცს გრძელი წვერ-ულვაში ესხა, თავზე კრაველის ფაფახი ეხურა, შავ ჩოხაზე წვრილი ვერცხლისბალთებიანი ქართული ქამარი ერტყა, ქამარზე უბრალო, უსამკაულო ხანჯალი ეკიდა.

ლევანა ამ კაცის სპილენძისფრად შერუჯულ სახეს დააკვირდა.

კაცი წამოდგა. მაღალი იყო, ბეჭგანიერი. წელი გიმნაზილე გოგოსავით წვრილი, მიხრა-მოხრა მოქნილი, ხოლო ნაბიჯი კატასავით რბილი და გამოზომილი. ორსამჯერ აუარ-ჩაუარა მოსულს ზურგიდან.

- ლევანამ თავი შეიკავა. შინაგანი დაძაბულობა და სიუხერხულე არ გამოუმჟღავნებია, გუმანით გრძნობდა კეფაზე მიწურის პატრონის გამჭვალავ მზერას. იჯდა და თოფს მისციებოდა. ასეთი თოფი არსად ენახა.

მიწურის პატრონმა სიარული შეწყვიტა, მივიდა და სტუმარს წინ ჩამოუჯდა.

- ეს თოფი... ამერიკული ათსასროლიანი ავტომატია. მთელ საქართველოში ორადორია. - ერთი თბილისში ჩეკას უფროს გულბანიძეს აქვს... შარშანწინ ავჭალიდან თორმეტი კაცით წამოსულს მუხრანში მომიხდა ბრძოლა გეურქასა და საქულას რაზმთან. დიდხანს ყაჩაღობდნენ და სძარცვავდნენ ხალხსა. ქორწილებიდან გამოჰყავდათ პატარძლები და პატრონების თვალწინ საჯაროდ აუპატიურებდნენ. მეთაურები, ერთი მე და მეორე სამამ, ჩემმა თანაშემწემ ჩამოვყარეთ ცხენებიდან. ბევრი სროლის დროს დაეღუპათ, დანარჩენი - თხუთმეტი კაცი შევკარით და სოფელს ვუთხარით მილიციაში ჩაებარებინათ. ხალხი იგრე იყო გამწარებული, არა მგონია, მილიციამდე მიეღწევინებინათ... მაშინ ავართვი ეს თოფი საქულას. მაუზრის ვაზნებიც ადგება. ავტომატურია... შენ სადაური ხარ და რამ მოგიყვანა ჩემთან ვაჟკაცო? მე ერთ კაცს ვიცნობდი... მხოლოდ იმას შეეძლო ეგრე მშვიდად შეეყო თავი მგლის ბუნაგში. ძალიან მაგონებ იმ კაცს, ძმობილო.

- სანამ დაილაპარაკებდით, სიარულზე გიცანით, ბატონო ქაიხოსრო. თქვენმა ხმამ კი საბოლოოდ დამარწმუნა. მაგრამ ამოდენა წვერ-ულვაში... რაზმში ერთი დალაქი მაინც უნდა იყოლიოთ. ოღონდ იგეთი, რომლის სამართებელსაც შეიძლება ყელი ანდო.

- ლევან! ვერ წარმოიდგენ, ლევან, როგორ გამახარე! - ქაიხოსრომ გრძელი, ხმელი, მძლავრი თითები სტუმრის გაწვდილ ვეება მარჯვენას შემოაჭდო. - საიდან, როგორ? მე შენ ხშირად გიხსენებდი. და ვფიქრობდი: ცოცხალი რომ ყოფილიყო, უეჭველად მომძებნიდა-მეთქი.

ლევანა დუმდა. კარგა ხანს იყო ჩუმად. მერე მძიმედ დაილაპარაკა.

- გეძებდი, რა თქმა უნდა, გეძებდი. ბევრჯერ ძალიან ახლოსაც ვიყავი. მაგრამ არ მოვსულვარ შენთან.

- რატომ, რამ შეგიშალა ხელი?

- კომუნისტობამ, - თქვა კვლავ წუთიერი დუმილის შემდეგ.

მასპინძელი ფეხზე წამოდგა. სანთლის შუქში ისე გაიელვა თვალებმა, კაცი მოულოდნელად გველს რომ დაადგამს კუდზე ფეხს.

- შენ... ლევან... კომუნისტი?!

- დიახ... სარაყამიშთან ბრძოლის დროს, კომუნისტი ვიყავ.

მასპინძელი ისე მძიმე-მძიმედ ჩაიკეცა მუხლებში, თავის ტახტზე ისე მძიმე-მძიმედ დაეშვა, სტუმრისთვის დაეჭვებული მზერა არ მოუშორებია.

- ხუმრობ, ლევან?

- არა. ხუმრობაც მარილივით ზომაზე უნდა.

- და მე დამდევდი მოსაკლავად?

- ეხლაც შენს მოსაკლავადა ვარ გამოგზავნილი.

- გაგიჟდი, ლევან?

- შენ იცი, რო არასდროს ვტყუი.

- მაინც, რას მიჩივი?

- შენ ყაჩაღი ხარ და ბოლშევიკების დაუძინებელი მტერი.

მასპინძელს მზერა ცივი და უნდო გაუხდა,

თუმცა მასში საკმაო დოზით მაინც გამოსჭვიოდა ეჭვი.

– და მიუხედავად იმისა, რომ ლევანა ხარ, ეგრე დანდობილად შემოხვედი ვეფხვის ბუნაგში?

– თუ ვეფხვის ბუნაგში არ შეხვალ, ვერც იმის ბოკვრებს დაიჭერ.

– მეც რომ არ ვიყო, განა ჩემი ბოკვრების დაჭერა ეგრე ადვილია?

– ვიცი, ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი.

– რა გაქვს მხედველობაში?

– შენი დიდი წინაპრებისგან გადმოცემული მემკვიდრეობა.

– რა მემკვიდრეობა?

– მე ერთი ლეკი ძმობილი მყავდა. იტყოდა ხოლმე: ის რა გულადია, რომელიც თავისი საქციელის შედეგზე ფიქრობსო. მე დაუფიქრებელ კაცად არ გიცნობ, მაგრამ სხვაგან სხვარიგად ფიქრობენ.

– სად და რას ფიქრობენ ჩემზე, იმაზე მაინცადამაინც დიდად არ ვწუხვარ.

– მისმინე, ქაქუც, თელავში დიდი ხაფანგი გაქვს დაგებული. მთელი შენი სანათესაო ციხეში ჰყავთ გამომწყვდეული. მათ შორის შენი ცოლიც.

ქაქუცა წამოდგა. ახლა უკვე მცირე აჩქარებით გაიარ-გამოიარა. მერე შედგა. კარის წირთხლს ორივ ხელით მიეყრდნო და იქიდან იღლიის ქვეშ გამოხედა სტუმარს.

– ვიცი. ყველაფერი ვიცი. მთელ საქართველოში მაქვს კავშირები.

– ბალღების ამბავი?

– ეგეც ვიცი. – ხმაში ძნელად შესამჩნევი მღელვარება შეეპარა. – მაგრამ... როცა ხევსურეთში დაჰქროდნენ ჩემი შიკრიკები და ხალხს ასაჯანყებლად მოუწოდებდნენ, მაშინ ჩეჩნეთშიც მყავდა კაცი გაგზავნილი, რათა ისინი ამ ბრძოლაში მოგვეხმარებოდნენ, რადგან ჩვენი ბრძოლა რუსთან მათი ბრძოლაც იყო. ჩეჩნებს მოხმარებაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ ფრთხილობდნენ: ჩვენ ხევსურებთან სისხლი გვაქვს საძებნი, ვაითუ სადმე ხეობაში შეგვიტყუონ და ამოგვხოცონო. იმ დროს ბარისახოში იდგა ჩემი რაზმი. მასპინძლად გოგოთური მყავდა. კაი ყმის ბადალი და დიდი ქართველი პატრიოტი. იქაურ ხევსურებს თუ რამე სჭირდათ სამტრო-სასიცოცხლო ქისტებთან, ეს სულ გოგოთურის შვილ სულხანაურისაგან სჭირდათ!.. დიდი მოკეჭნავე და დაუძინებელი მოსისხლე ყოფილიყო. ქისტებისა სულხანაური. უკანასკნელად ქისტებში ჩასულს სხვა რომ ვერავინ მოენადირებინა, ერთი მოლა დაეჭირნა, თავი მოეჭრა. თან წამოეღო და თავისი ქავ-ციხის ყორის ძირში ჩაეფლა. თავათ ჭრილობა გაჰღიზიანებოდა და სულეთს ამოღებული ხმლით მისვლოდა თავის წინაპრებს... აშას უჩიოდნენ ხევსურებს ქისტები... როცა აბიკა ჭინჭარაულსა და ჩემს თანაშემწეს, – ალექსანდრე სულხანიშვილს ჩეჩნეთს ვგზავნიდი ელჩებად, ხნიერი ხევსურები დასხდნენ საფიხვნოდ: ასე დამოძღვრეს ელჩები: „უთხროდით ქისტებს: ეეხლ დავივიწყათ ერთურთის მტრობა. რუსებ გავრეკათ აქაით, თორ თუ ხევსურეთს შამავას, მემრ თქვენკენაც გარდმაჩინდების. რუსი ჩვენ ორივეს მტერ ასა. ეეს ყველაი კარგად უთხროდით ქისტებს...“ ამ ლაპარაკში გოგოთური სადღაც წავიდა. მე აინუნშიც არ ვიყავი, რომ სულხანიშვილს ორი ბალღი, – ბიჭი და გოგო მოუყვანია. თან ერთი ხურჯინიც მოაყოლა. „აი, შენ კვნესამე, ეს ბალღებ ჩემ შვილ სულხანაურისანი არიან. აეს ციხე და ამ ორ ბალღ გარდა არაფერ დაშჩა სულეთს ჩასულსა. ჩვენ ქისტებს სისხლ გვმართებს. წაიღ ეს ხურჯინ, წაიყვა ეს ბალღებ და ქისტებს მიჰგვარე იმათი სისხლის სანაცვლოდ“. გადაირია სამა! წამოდგა უზანგებზე და ლამის გაცოფთა! – „რას ამბობ, კაცო, ამ უდღეურ ბალღებს იმათთან როგორ მატან?!“ – უფროსი იმათში სამი წლისაც არ იქნებოდა (ამის თქმაზე ქაქუცას კინაღამ ხმა ჩაუწყდა). მივვარდი დაფეთებული! – „რას შვრები, გოგოთურო! მაგათ ვინ გიჟი წაიყვანს ქისტების საფლავზე დასაკლავად?!“ „რა უყოთ, ქაქუცავ, სამშობლოს უჭირს. ქისტებ უსისხლოდ მხარს არ მოგვაბმენ.“ – თქვა გოგოთურმა და ამ ნათქვამს გულიც თან ამოაყოლა... თითქმის მთელი ერთი საათი დამჭირდა, რომ გოგოთურისთვის ეს აზრი გადამეთქმევინებინა... აი, ასეთები არიან ხევსურები! და, ვინც იცის, ხევსურისთვის, ბიჭის სახით, გვარის ერთადერთი გამგრძელებლის სახით რას კარგავს, მხოლოდ ის მიჰხვდება, ბებერი ხევსური სამშობლოსთვის რას იმეტებდა!.. და, შენ რა, გგონია, კახელებს სამშობლო ხევსურებზე ნაკლებად უყვართ? მე კი, ჩემი სეხნიის, – თეიმურაზ I მთავარსარდლის, დაღესტნის გამტეხის და მიმლეწ-მომლეწის, სააკაძის ტოლფარდი მხედართმთავრის, – ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პირდაპირი, შთამომავალი ვარ! ეს უნდა იცოდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტებმა! - ქა-ქუცას თვალები უკვე ცეცხლს აკვესებდნენ. - შენ კიი... ამაღამ ჩემი სტუმარი იქნები. ხვალ დილით სალ-სალამათი წახვალ აქედან. - ბარი-ბარში ვიქნებით. რაფო! ჰეი, რაფო!

ვიღაცამ კარი შემოგლიჯა.

- აქა ვარ, ბელადო! - თქვა ღია კარში ჩამდგარმა.

- რაფიელ, უთხარ მალაქიას, ვახშამი მოგვიტანოს. თუ არ გაგვითავდა, ღვინოც მოაყოლოს.

- ემსააჩი, ბელადო!

სუფრას ორნი უსხდნენ. ტაბლაზე ცხელ-ყაურმიანი ბადია იდგა, დიდ-დიდ ჯამებზე ახლად ამოყრილი ხაშლამა ორთქლავდა, სველი ხელადა პატარა ყანწის გვერდზე ჭიატობდა. იქვე ეყარა ახლად გამომცხვარი ხმიადის ნამტვრევები.

- ეხლა ისევ ორნი ვართ, ლევან. მე ფიცი მაქვს მიღებული, რომ ღვინო მხოლოდ სამი ეს პატარა ყანწი დავლიო საახალწლოდ, აღდგომასა და მარიამობას. დანარჩენ დროს აკრძალული გვაქვს სხვა რამ სასმელი. წყლის გარდა. დღეს მე პირველად და, ალბათ, უკანასკნელად ვარღვევ ამ ფიცს შენდა საპატივცემულოდ. ხვალ ვეტყვი მიზეზს ჩემიანებს და შემინდობენ. ლევან, მე შენ ყოველთვის მიყვარდი. ცოცხალი არ მეგონე, თორემ თავად მოგძებნიდი. როცა სააქაოსკენ მოვბრუნდი, მაშინ მითხრეს, დღეს აქ ყოფნას ვის უნდა ვუმადლოდე. მაშინ მიამბეს იერიშზე გადმოსულ თურქებს დაჭრილი როგორ გამომგლიჯე. როგორც ქაჯი, ისე ტრიალებდა მოზღვავებულ დამხღურთა შუა და ხიშტითა და კონდახით აქეთ-იქით აფენდა ასკერებსო. ერთი კაცის ამგვარი ბრძოლა ჯერაც არავის ენახა და, ეხლაც არ იციან, სად და როდის მიიღე ასეთი წვრთნა. ჯანი და სისხარტე შენი არავის გაჰკვირვებია, მხოლოდ გაუსროლელად თოფის ხმარებამ გადარია მნახველები!.. მერე, დაფეთებული თურქები რომ გაეცალნენ ურუსების დასახმარებლად გამოგზავნილ შაითანს, შენ ამიტაცე მიწიდან და გულზე ახუტებული შეუსვენებლივ მატარე ჰოსპიტალამდის... და ეხლა, ეხლა... იმავე სიცოცხლის წასართმევად მოხველ, რომლის დასაცავადაც საკუთარი სიცოცხლე არ დაჰზოგე „კართალ იუვასთან..." მე არა ვმალავ, დიდი მტერი ვარ კომუნისტებისა, მაგრამ შენ, - ლევან ჯანაშვილი, - კომუნისტი?!.

ლევანამ თვალი-თვალში გაუყარა შეფიცულთა ბელადს.

- დიახ, - კომუნისტი! მაგრამ ნაღდი კომუნისტი! - კომუნისტი, რომელიც: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე" - ძილშიაც მას დუდუნებს!" კომუნისტი, რომელიც პარტიაზე მაღლა თავის ერსა და კაცობას აყენებს... მე კარგ ხალხში გავიზარდე, მაგრამ ჩემი უპირველეი აღმზრდელი მაინც ვაჟა-ფშაველა იყო. იმან მაზიარა ნამდვილ პოეზიას და... კაი ყმობასაც. როგორც ჩემი მასწავლებლისთვის, იგრევე ჩემთვის, არაფერს ნიშნავსვინმეს შთამომავლობა და ქონა-არქონა. - მიმიფურთხებია იმ კეთილშობილისთვის და იმ გლეხისთვისაც, ვინც პირადს საქვეყნოზე წინ დააყენებს. მე თუ გულზე არა მომხვდებარა, ვერც ჭურღულია და ვერც ჩოლოყაშვილი თავის დაკრულზე ვერ მაცუნდრუკებს. კარგად მესმის შენი, ქაქუცავ, შენს ხელში მხდალიც კი მამაცდება, რადგან შეგიძლიან წინამძღოლობა. სამი წელია, რაც მაგათა სწვრთნი. სამ წელიწადს ქვაც კი გათბება, თუ გამუდმებით ზედ იჯდები...

ბელადს მოსაუბრისთვის თვალი არ მოუცილებია. მძიმედ ამოიოხრა და თავი დანანებით გადაიქნია.

- რას არ მივცემდი, ლევან, შენ რომ კომუნისტობისაგან გაძრცვილიყავი.

- არაფრის მიცემა არ დაგჭირდება. მე უკვე გაძარცული ვარ. ჩემი კომუნისტობის დამამტკიცებელი საბუთები ჭურღულიასთან ინახება ცეცხლგამძლე ყუთში.

- ეგ წენგო გაგიძვრია, შიგნით თავათ კაკალს როგორი გული აქვს?

- გულს ჯერ ჭია არ გაჰკარებია... მისმინე, ქაქუც, შენ ხევსურეთსა და ხევსურებთან ბევრი რამ გაკავშირებს. ერთი იმათებური კაი ლექსიც გემახსოვრება. აბა, ყური კარგად დამიგდე.

კაი ყმა, მგელი, არწივი, -
არც ერთ არ გაიწურთნება:
მგელი არ მაჰშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა,
არწივი - არწივობასა, -
მთის ყურეთ ნადირობასა...

გახსოვს?.. გახსოვს. ეხლა მომისმინე: მე იმ პირობით დავთანხმდი ჭურღულიას შენს მოკვლაზე, თუ დედაშენსა და ბალღებს ციხიდან გაანთავისუფლებდა. მანამდე აქეთ ფეხი არ გამომიდგამს, სანამ ჩემი თვალით არ ვნახე, როგორ ჩასხეს ისინი „მალაკოს" ეტლში და როგორ გაგზავნეს აწყურისაკენ.

შენი ცოლი, ძმა და ნათესავები შენთვის დაგებულ ხაფანგად დატოვეს. არაფრით არ დამანება ჭურღულიამ. იმედი აქვს, რო ვაჟკაცობა გიღალატებს, გულს აჰყვები და იმათ გასანთავისუფლებლად ციხეს დაეცემი. ეხლა კიდევ უფრო კარგად დამიგდე ყური: თუმცა დეკეულისა თუ მოზვრის კვალი ფიჩხმა წაშალა, სამაგიეროდ თავათ ფიჩხმა დატოვა წაუშლელი კვალი. ჭურღულია მილიციელია, მაგრამ უჭკვო არ არი. სადაც მე მივხვდი, სად უნდა მეძებნეთ, იგრე ჭურღულია მიჰხვდება და ხვალ დილით, ადრიანად, კომკავშირელ-კომუნისტებით, რომელთა ჯოგიც გაძლიერებული იქნება მილიციითა და ჯარისკაცთა ერთი ან ორი ასეულით, დაგვეცემათ თავზე. მე არ ვიცი, რამდენი კაცი გყავს, მაგრამ ალყაში მოგაქცევს და სიმამაცე ვერას გიშველით. - გარშემო შიშველი იალაღია. მხოლოდ ნისლი თუ გიპატიებთ ცოცხლად დარჩენილთ. მე აქ ბალღობის დროიდან მინადირნია. მემრე საყავრე ხეებიც მიჩეხნია. ალყის გარღვევა მხოლოდ ფსიტიანის ციხისკენ გასვლით გადაგარჩენთ. ციხის უკან, თრიმლის ბუჩქებში, ბილიკივით რამ ჩასდევს ფრიალოს. ძალიან ძნელი სავალია, მაგრამ ჩასვლა შეიძლება. მემრე იქიდან თურდოში გახვალთ, ქაჯიან ხევს გადაივლით და ტყეს შეეფარებით. ტყე-ტყე ივლით, თეთრ წყლებს ზურგიდან შემოუვლით და იმას იქით კი, ივრის პირამდის, სულ გაბაბული ტყეებია... ეხლა კი წავალ. სიბნელისა არ მეშინიან, - ღამე მგელივით ვხედავ.

- იარაღი გაქვს? - კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ქაქუცამ.

- რომც მქონოდა, განა შენი მზირები რამეს შემარჩენდნენ? - შარვლის უბეშიც კი გადამითვალეს ძაფები. ერთი სანამყენე დანის გარდა არაფერი მგდებია ჯიბეში.

- მაშინ ეს წაიღე, - ფეშქაში მითქომს. - კედელზე გარჭობილი ჩხირიდან ბუდიანად ჩამოხსნა მაუზერი. - წეღან შევნიშნე, რამდენჯერმე როგორ გააპარე თვალი მისკენ.

- ცუდ ადგილს გიკიდია. ავ კაცს შეუძლიან ადვილად მისწვდეს, თუ გულში მურდალი განზრახვა აქვს ძმად შემოპარულს.

- ძაღლი ძილშიაც ღრინავს. აი, ქაქუცამ ჩოხის სახელო გადაიწია.

- ლევანას მარცხენა თვალის კილოსთან წვრილ ნაოჭთა კვანძი შეეკრა.

- არც ეგრე ადვილი ყოფილა შენი მოკვლა, ქაქუც, როგორც მე და ჭურღულიას გვეგონა.

- ეგ არაფერი, აბა ამას შეჰხედე. - ქაქუცა მივიდა, ეხის მოპირდაპირე კედელზე ბაწრით დაკიდებული მელაკუდას გამხმარი კონა გადასწია. ღვიძლის წამლად სახმარი ბალახის თავები ნაგნის ლულას ფარავდა. კონის მარცხნივ ძნელად თუ შეამჩნევდა ვინმე წვრილ ნაჩვრეტს, რომელშიაც მშიერი თაგვიც ძლივს გაძვრებოდა.

- ოჰოოო! - თქვა ლევანამ. მოწონების ნიშნად ტუჩები მაგრად მოკუმა და თავი გვერდზე ოდნავ გადახარა. - მტრობას ვინ ჩივის, შენთან სტუმრობაც კი არც ეგრე უსაშიშრო ყოფილა.

(გაგრძელება იქნება)



გ. აფციაური. „ტბები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გივი ჩილუნაძე



* * *

ვერ შევაჩვიე თვალები ნისლებს,
ეს სტრიქონებიც ივსება სევდით
და მივაბიჯებ მდუმარედ ისევ
ამ არეული დროების გვერდით...
აღარც ის ძველი ოცნება ახდა,
მხოლოდ გარდასულ დღეების კვალი
ბრუნავს მდუმარედ ფიქრებში ახლა,
როგორც ფერადი მძივების რკალი...

* * *

ვცდილობ, გავცილდე ბინდიან ბექობს,
ფითრდება ფიქრი... შორს დგანან მთები,
ჩემს ირგვლივ ისევ დუმილი მეფობს,
დუმილში დნება დრო დანანებით...
დუმილი ლამბავს მდუმარე ლანდებს
და ღამეებში მიჰყავს გუნდებად,
დუმილი დუმილს აქრობს და ბადებს,
დუმილი დუმილს ესაუბრება.
დუმილში წვება მთები და ველი,
დუმილში... ისმის ხმაური გულის
და გული ელის,
ყოველ წამს ელის,
თუ ვინ დაარღვევს ამ უძრავ დუმილს...

* * *

გარინდებულა მზის დასავალთან
ცის კიდე – ჩემი ბავშვობის სარკე,
ავარჩევ ჩავლილ სანუკვარ წამებს
და სანუგეშოდ ვინახავ ცალკე...
ვეძებ ხსოვნაში მრთალად დარჩენილ
დღეთა, ღამეთა და ფერთა ასლებს –
ზოგს წვიმიან ნისლს შემოვაცილებ,
ზოგსაც დროისგან გაჩენილ ხავსებს.
მათ ვეფერები და ვუალერსებ,
როდესაც აწმყო სევდასლა მასმევს
და მაინც მივალ მომავლისაკენ
იმედით სავსე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ისევ გავიჭერი მთებში და
ნისლი მოვიხვიე ზამთრის,
სადაც სიხალისე ფრთებს შლიდა,
ახლა მონატრება დათრთის.
ქარებს ქარაფებზე აშლილებს
ფიქრი გავადევნე ლანდად,
თითქოს ძველებურად მამშვიდებს
ბინდის მოქანავე ფარდა.
სანამ მდუმარება შემშლიდეს,
მინდა, ჩემს ოცნებას ჰგავდე,
თეთრი ფანტელებით შენ შლიდე
გულში შემოპარულ დარდებს.
ციდან – ოცნებათა პეშვიდან –
მწვდება იმედების ნართი,
სულშიც, მონატრებულ მთებშიდაც
თეთრი სიმშვიდეა ზამთრის...

* * *

ახლა ხომ იმის გარკვევა არ ღირს,
რატომ ხარ სხვაზე მცირე ან მეტი,
ამ უფერული დღეებით დაღლილს
რაც უნდა მეთქვა, ვერც იმას გეტყვი.
ახლა ოცნება სინანულს ერთვის,
აღარვის ეხვდები ღელვით და თრთოლვით,
შენც ზედმეტი ხარ ხანდახან ჩემთვის,
როგორც აპრილში მოსული თოვლი.
ნაზი ხილვებიც სიცხადეს კარგავს,
შენ კი არ გკარგავ, იცოდეს ღმერთმა...
იქნება ესეც ვერ გითხარ კარგად,
იქნება ესეც არ უნდა მეთქვა...

* * *

მომძებნის ზოგჯერ ნეტარი განცდა
და ამქვეყნიურს ჩამომხსნის ნიღაბს,
მივდივარ თვალით უხილავ წამთან –
გადავიხედავ სამყაროს მიღმა.
ნისლი უცნობი და შორეული
უნაზეს სხივად ჩამოიქნება,
იქცევა ხილვა სიზმარეული
ცისფერ ოცნებად, ფერად ფიქრებად...
ო, ზეციერო, მადლობას გწირავ,
მომაკლდეს თუნდაც პური და წყალი,
ასეთი განცდა მარგუნე წილად,
ასეთი წამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკო ყიფიანი

## კუდი

მეტი მოცდა აღარ შეიძლებოდა. ექიმთან უნდა მივსულიყავი. შინიდან გამოვედი და ამბულატორიისკენ გავწიე. გაზაფხულის გრილი დღე იდგა. ღამე იწვიმა და ცა ახლაც მოღრუბლული იყო. ამოტეხილ, ასფალტდაგებულ შარაზე გუბეები გაჩენილიყო და ფრთხილად მივაბიჯებდი. მანქანას რომ არ გავეწუწე, ნელი სიო უბერავდა და, როდესაც ხეების ქვეშ გავივლიდი, მეცემოდა ფოთლებიდან ჩამოცვენილი წყლის წვეთები. ბალახი გაცოცხლებულიყო. ღობეების ძირას ლაპლაპებდა, როგორც ზურმუხტი. ამბულატორიის კიბეს მივადექი. ხარიხები ავიარე და პარმაღზე ავედი. შევედი კორიდორში. თეთრად შეღებილი კარი ოდნავ შეეღოთ იმის ნიშნად, რომ ექიმი იქ იყო, კარის გვერდით, კედელზე შავი დაფა მიეკრათ, რომელზეც ეწერა: ექიმი ანდუყაფარ რუხიშვილი. დავაკაკუნე.

– მობრძანდით, – მომესმა შიგნიდან.

კარი შევაღე და შევედი. წაკითხულმა სახელმა და მოსმენილმა ხმამ ისეთი შთაბეჭდილება შემიქმნა, რომ კაბინეტში დამხვდებოდა მთასავით მამაკაცი, მაგრამ ეს შთაბეჭდილება ერთ წამსაც არ გაგრძელდა. მაგიდასთან იჯდა დაბალი, გამხდარი, ნაადრევად გაჭაღარავებული ახალგაზრდა კაცი და მიყურებდა დამფრთხალი თვალებით. ჩვენი სოფლის ექიმი აქამდე არ მენახა. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მან ამ ამბულატორიაში დაიწყო მუშაობა. სოფელში ბევრმა არ იცოდა, რომ ახალი ექიმი მოვიდა ძველის ნაცვლად და საერთოდ უექიმოდ არ დავრჩით. თურმე ისე შეიპარებოდა და გამოიპარებოდა ხოლმე, ფუქსავატი ახალგაზრდებიც ვერ ამჩნევდნენ, მიწყივ ამბულატორიის წინ მდგომნი და მსხდომნი. მივესალმე. მომესალმა. მგონი, უსაშინლესი სენით შეპყრობილი გაწუხებთ-მეთქი. დაჯდომა შემომთავაზა. მისი მაგიდის წინ დადგმულ სკამზე დავჯექი.

– აბა, ახლა მითხარით, რატომ გგონიათ, რომ უსაშინლესმა სენმა შეგიპყროთ? – მკითხა.

მეც ვუთხარი. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ეს საოხრე სასქესო ორგანო პათოლოგიურად გამეზარდა და ტაბიკივით ზორბა გამიხდა. ერთი პირობა დავაპირე მედიკოსთან მისვლა, მაგრამ ნაიანა ისე დამიტკბა, გადავიფიქრე. ის წყეული კახპა რას არ მომცემდა, რომ ჩემი სამმხრიანი მედალი მისთვის მეთხოვებინა. აქტიურობის მხრივაც, თუ არ გამიუკეთესდა, არ გამუარესებია. რიღასთვის მივსულიყავი ექიმთან? უზომო პრეზერვატივები სად იყიდებოდა, მეკითხა? ისე მეჯავრებოდა დამცავი რეზინი, საღეჭს არ ვღეჭავდი. მერე შევამჩნიე, კუკუზნაკი მიგრძელდებოდა და ბალნით მემოსებოდა. ჯერ ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ, რა ვნახე, დუნდულებს ჩამოსცდა, ამბულატორიაში წამოსვლა ვიკადრე. ანდუყაფარი ყურადღებით მისმენდა.

– ტკივილს გრძნობთ? – მკითხა, თხრობა რომ დავამთავრე.

არა-მეთქი, მივუგე.

– აბა, რამ შეგაშფოთათ?

– როგორ თუ რამ! – ხმა ავიმაღლე, – ვკუდიანდები! გესმით თუ არა? ვპირუტყვდები!

– გაიღიმა.

– ჩვეულებრივი ატავიზმია, – თქვა.

– ატავიზმი დედის მუცლიდან დამყვებოდა. ეს კი ახლა გამომდის.

– შეძენილიც არსებობს. ზოგს რქები ამოსდის და ზოგს ტერფი უფლოქვდება.

– სასქესო ორგანოზე რაღას იტყვით?

– ხელს ხომ არ გიშლით? პირიქით, თქვენი კახპა ყველაფერს გაძლევთ.

– რა გარანტია მაქვს, რომ ტერფიც არ გამიფლოქვდება და იმ გლეხის შვილივით არ დამემართება, რომელიც იზრდებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩლიქოსანი ხდებოდა?

- არ გაჩლიქოსნდებით, მაგრამ მაინც, დამშვიდებული რომ იყოთ, დღეში თითო აბი დეკამევიტი მიიღეთ ყოველი შემთხვევისათვის.

- როდემდე?

- ზაფხულის ბოლომდე. ეს ორგანიზმს გააძლიერებს და დაიცავს მომდევნო ატავიზმებისაგან.

ათლარიანი დავუტოვე და ამბულატორიიდან გამოვედი. თქორი წამოსულიყო. დანამულ მოედანზე ჩემს მეტი არავინ ჩანდა. კინოთეატრის ეზოსკენ გავეშურე. ჩვენი სოფელი ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლაა. ზაფხულობით დამსვენებლებით გაივსება ხოლმე. წინათ დღე არ გავიდოდა წელიწადის ამ დროს ფილმი რომ არ გაეშვათ. ახალგაზრდას შეეძლო გართობა. ახლა ადგილობრივი მოყვარულები თუ დადგამენ სპექტაკლს. ინდური სიმღერები მომენატრა. კინოთეატრის ეზო გადავჭერი, ავუყევი ფოლორცს და ერთ ჭიშკართან შევჩერდი. ქუჩის კარი შევაღე და ეზოში შევედი. მავთულის ბადეს იქით, ბაღს რომ ეზოსგან ყოფდა, რამდენიმე გვირილა დაერგოთ. ყვავილის მოწყვეტა და მისი პირში გაჩრა მომინდა. პარმაღზე ავედი და კარზე დავაკაკუნე.

- ვინ არის? - გაისმა ნაიანას ნამძინარევი ხმა.

- მე ვარ! - მივუგე და კარი შევაღე.

უნდა გენახათ, ჩემმა დანახვამ როგორ გაახარა. უმალ წამოხტა, შეკივლა და ჩემკენ გამოქანდა მხოლოდჩაცმული ღამის პერანგიდან მოსარხევლების ჩენით. იატაკზე გულალმა დამცა. ზედ გადამაჯდა და ამუშავდა თავგამეტებით. ბოლოს მაინც ის აღმოჩნდა ზურგზე. მერე მის ლოგინში ვიწექით. შარვალი არ გამიხდია, მხოლოდ ელვა მქონდა გახსნილი. ვლაპარაკობდით.

- კბილებიც რამხელა გქონიაო, - მითხრა უცებ.

უნდა მეთქვა, შენს შესახრამუნებლად-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რა საძაგელია ხორცი და გადავიფიქრე, წამოვდექი, სარკესთან მივედი და ჩავიხედე. გამწვეტიანებოდა ყურების ზედა ნაწილები. თითქოს ტყის ბინადარი ქაჯი ვიყავი. კბილები დავკრიჭე. ნაიანა არ ტყუოდა. თუ კიდევ გამიდიდრონდებოდა, ველარაფერს დავღეჭავდი ბალახის მეტს. ხვალიდან აუცილებლად უნდა დავიწყო დეკამევიტის მიღება-მეთქი, გავიფიქრე.

თქორი თქეშად იქცა. მესმოდა, თვითმკვლელებივით როგორ ენარცხებოდნენ წვიმის წვეთები ნაიანას სახლის თუნუქის სახურავს. ლოგინს დავუბრუნდი და განვაგრძ
მისი პატრონის გართობა. როგორც ცარიელ
თუნუქზე ვერ აღმოაცენებ ბალახს, ისე ი
ოხერს ვერ ათქმევინებ „კმარას", გაღალება
მდე არ წამოვსულვარ. კარგა ხანს ერთო
ბოდა ნაიანა. მისი სახლი საკმაო მანძილი
არის ჩემისაგან დაშორებული. როცა ჩემ
ფოლორცში ავუხვიე, ხამლები და შარვლი
ტოტები საკმაოდ ამოთუთხნული მქონდ
ნაიანას უბანში ძირითადად დამსვენებლებ
უდგათ აგარაკები. ჩემსაში კი ამსოფლელებ
ცხოვრობენ. ამსოფლელია დიმიც. რომელი
წინ შემომხვდა. მეზობლებიც ვართ. მის
სახლი ჩემი სახლის გვერდით დგას. ლეგ
კვართი ეცვა. მაღალია და ხეხელა. მაგარ
სუნთქვა აქვს. მთელი დღე რომ არბენინ
არ დაიღლება. ხეხელაა და იმიტომ, სქელ
კაცი უცებ ილექება. დიდი, წვეტიანი ცხვირ
თითქოს კიდევ უფრო გაზრდოდა, ალბა
იმიტომ, რომ ძალიან გამხდარიყო. ვუთხარ
კიდეც, რა სალამი დავამთავრეთ:

- რაღაც გამხდარი მეჩვენები.

- ხორცს ველარ ვჭამ, ყარანს ვენაცვალ
- მიპასუხა. - გაჭირდა ცხოვრება. მე კი ყო
ველდღე თუ არ ვჭამე ხორცი, ჩემს თავ
აღარ ვგავარ.

გამიკვირდა, გულს რომ არ ურევდა ხორ
ცი და შინ შევედი. მეორე დღეს რაიონი
ცენტრში წავედი, რადგან ჩვენი სოფლი
აფთიაქში დეკამევიტი არ აღმოაჩნდათ. მოვი
მარაგე აბები და იმათი მიღება დავიწყ
ამის მიუხედავად, ყურის ბიბილოები მაინ
გამიქრა და ყურები წვეტიანები გამიხდ
მერე პინოქიოს გადავემსგავსე და დავემს
გავსე პუიპნპმს, რომელიც გულივერმა აღწ
ერა. ორივე ტერფი გამიფლოქვდა, ხელებ
კი ისე დამიკოტიტდა, კალამი ძლივსლა მიჭი
რავს. ასოები ვეება ოკრობოკრო გამომდი
და ზოგი მთელ გვერდს იკავებს. ჩანდა, დე

კამევიტი არ მშველოდა. გაგულისებული ანდუყაფარის გასალანძღავად გავქანდი. ამბულატორიას მივადექი, კიბე ავირბინე, კორიდორში შევვარდი და თეთრად შეღებილი კარი შევაღე. ჯერ მეგონა, კაბინეტში არავინ იყო. შემდეგ თვალი მოვკარი ვირთხას, რომელიც ექიმის სკამიდან მაგიდაზე ახტა, რათა დამენახა.

– როგორც ხედავთ, მე თქვენზე ადრე დამეწყო ატავიზმების შეძენა, – დაიწრიპინა ვირთხამ, – თქვენი კუდი მნახველებში ზიზღის გრძნობას მაინც არ აღძრავს!

– განა ვირთხაც იყო ადამიანის წინაპარი? – ვიკითხე.

– ჩემო კარგო, ვირთხა ბევრად უფრო ახლოს დგას ადამიანთან, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. ერთმა იტალიელმა მეცნიერმა ვირთხის სასქესო უჯრედებისაგან სრულიად ნორმალური ადამიანები მიიღო, – მითხრა ანდუყაფარმა და თათი მაგიდის წინ დადგმული სკამისკენ გაიშვირა, – დაბრძანდით. რატომ არ შეიძლება, რომ მისი სასქესო უჯრედებისაგან ადამიანი მილიონი წლის წინათაც მიეღოთ? ვირთხაც ისეთივე დაავადებებით ავადდება, როგორითაც ადამიანი; ვირთხაც ისევე იკვებება მრავალფეროვანი საკვებით, და ისევე მიმართავს გაჭირვების წუთებში კანიბალიზმს, როგორც ადამიანი; ვირთხაც ისეთივე დიდი მოყვარულია მაკინტლობისა, როგორც ადამიანი; ვირთხაც ისევე სარგებლობს კანალიზაციით და ცივილიზაციის სხვა მიღწევებით, როგორც ადამიანი; ვირთხაც ისევე ტკბება ჰომოსექსუალიზმით, როგორც ადამიანი; ვირთხაც ისეთივე სიცოცხლისა და ბრძოლისუნარიანია, როგორც ადამიანი; ვირთხაც ისევე აგროვებს მარაგ, ამის საჭიროება არის თუ არა, როგორც ადამიანი. დამეთანხმებით, მსგავსება დიდია. რამდენ ადამიანს მიუგავს ეშვები ვირთხის კბილებს! რატომ არ ჯდებით?

მაგიდას მივუახლოვდი. სკამის ზურგს ხელი მოვკიდე და უკან გამოვწიე, მაგრამ არ დავმჯდარვარ.

– დეკამევიტი რომ დამინიშნეთ, იცოდით, რაც მელოდა? – შევეკითხე.

– რა თქმა უნდა, – მიპასუხა, – მოხუცი დარვინი ცდებოდა, ადამიანთა წინაპრებად მხოლოდ მაიმუნებს რომ მიიჩნევდა. სხვა ცხოველებმაც ისეთივე დიდი როლი შეასრულეს ადამიანების შექმნაში, როგორიც მაიმუნებმა. როდესაც ევოლუციაზე ლაპარაკობდა, დარვინს ნიცშესავით ისიც უნდა ეთქვა, რომ ყოველი მაღლა ატყორცნილი ქვა უეჭველად დაბლა ჩამოვარდება და ადამიანიც, რა მიაღწევს თავისი განვითარების გარკვეულ წერტილს, ახლა ქვე დაიწყებს დაშვებას და ისევ ის გახდება, რაც იყო. ჩანს, წინა საუკუნეებში ადამიანმა უკვე მიაღწია განვითარების უმაღლეს საფეხურს და ახლა უკან ბრუნდება ვირთხისკენ, სახედრისკენ, მაიმუნისკენ და სხვებისკენ.

– თქვენ მე მომატყუეთ! – შევყვირე, რადგან გაოცებამ გამიარა და რისხვა კვლავ დამიბრუნდა, – რატომ მაშინვე არ მითხარით? თავიდანვე რომ გეთქვათ, სხვა ექიმს მივმართავდი! იქნებ იმას ეშველა?

– ვერც ის გიშველიდათ, – მომიგო, – ეს დაავადება არ გახლავთ და ამიტომ არც მკურნალობას ექვემდებარება. თქვენ ვერ ხედავთ, თორემ ყველას დაეწყო გაცხოველება. ვინ კუდს მალავს შარვალში და ვინ რქებს ქუდში.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვირთხის ნამდვილი წრიპინიდა აღმოხდა, გადახტა მაგიდიდან და პლინტუსს უკან გაჩენილ ნახვრეტში გაუჩინარდა.

ამბულატორიის პარმაღზე გამოვედი. ჩამოვყარე ყურები და ჩამოვუყევი კიბის ხარიხებს. ჩემს ფოლორცში დიმი დამხვდა შინისაკენ წაჩანჩალებულს.

– სად იყავი? – მკითხა ეს-ესაა ერთმა დეკეულმა გიკითხა.

– ვინა?

– შაქმა, რა, ახლობელი ვარო. რამე ხომ არ გადავცე-მეთქი. ნუ წუხდებით, კიდევ გამოვივლიო. გათქვირებულ თეძოებზე მოკლე ქვედა კაბა ლამის შემოასკდა. სად პოულობ ეგეთ კუდიანებს, შე ეშმაკო?

თურმე შედარებას აკეთებდა. მე კი მეგონა, ნაიანა ძროხად გადაიქცა-მეთქი.

– მე არ ვპოულობ, კუდიანები თვითონ მპოულობენ, რადგან მათზე დიდი კუდი მე მაქვს, – მივუგე.

გაიცინა.

– შენც დიდი ხუმარა ხარ, – მითხრა, – მოდი, ჩემსას შევიდეთ. კაი ცხვრის ხორცი მაქვს. დავლიოთ.

ცხვრის ხორცი არ მინდოდა. მაგრამ ამ კაცს ჩემი ხუმრობა მოეწონა და უარს ხომ არ ვეტყოდი? შევყევი. აბა, მე ხორცს პირს დავაკარებდი? იმასაც და იმის მჭამელ დიმისაც თვალს ვარიდებდი, მწვანილს მივეძალე. ღვინოს ესვამდით დიდი ჭიქებით, რომლებსაც მასპინძელი პირამდე ალიცლიცებდა. ვატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობდი, ვთვრებოდი. სად შემეძლო ქონით ყელჩაპოხილი დიმის მიყოლა? როგორ ჭამს-მეთქი ხორცს, მიკვირდა. უცებ ექიმის ნათქვამი გამახსენდა, ყველას რომ დაწყებული აქვს გაცხოველება, დიმის დიდ ცხვირს თვალი შევავლე და იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რა ცხოველს ეყვარებოდა ლეში ასე ძალიან. მან ამ დროს ძვალს დაუწყო ხრა. დავინახე მისი ღოჯები და მივხვდი, რა ამბავიც იყო მის თავს. შეცდომა გამორიცხული იყო. ჩემს წინ გამგელებადაწყებული იჯდა. გამიხარდა, ასეთი მიხვედრილი რომ ვიყავი. სიხარულს შიში მოჰყვა. შემეშინდა, ამასაც არ ჰქონდეს შეტყობილი არაფერი და აქ იმიტომ არ ვყავდე შემოყვანილი, რომ დამათროს და შემჭამოს-მეთქი. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, თავისთვის როგორ მეშველა. ჩლიქოსანი რომ ვიყავი, ამას წყალი არ გაუვიდოდა, მთავარი იყო, ისეთ ცხოველად ვჩვენებოდი, როგორსაც ვერ მოერეოდა. ასეთი იყო კამეჩი. იმისთვის უნდა მიმებაძა. დავიწყე ქშენა და თვალების ბრიალი. დიმიმ მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო:

– ეს იმ ლეკვს გაუმარჯოს, რომელიც საკბილოს შამბნარიდან ლომის ბოკვერივით უთვალთვალებს, დაე, ის საკბილო სუსტი და უჭკუო ყოფილიყოს, ასეთი უკეთესად შეერგება!

– იმ ბატკანს გაუმარჯოს, გზაზე მზირად მჯდომარე გველს რომ ჩლიქით თავს დაუნაყავს! – ვთქვი, თითქოს სწორედ სუსტი და უჭკუო ედღეგრძელებინოს და არა მისი მდევნელი.

ჭიქა დავცალე. პირში მთელი კონა მწვანილი ჩავიტენე და გავიჭიმე, რათა დიდი გამოვჩენილიყავი. მე ხომ კამეჩი ვიყავი? დიმის სადღეგრძელო არ შეუსწორებია. ალბათ, ჩათვალა, რომ ჩხუბის მიზეზს ვეძებ და განგებ იმად გადავაკეთე-მეთქი ნათქვამი. თუ ჩხუბის ეშინოდა, მოგებული მქონდა ის რაუნდი. თავდასხმას ველარ გაბედავდა, რადგან ჩემი კამეჩობა ირწმუნა. შევხედე. ილიმებოდა.

– ხორცს რატომ არ ჭამ? – მკითხა.

– ბიჭის გაკეთება მინდა და იმიტომ.

– ხორცის მჭამელი ბიჭს ვერ გააკეთებს?

– ვერა.

– გამოდის, რომ ცხრა ძმა ხერხეულიძის მამა ვეგეტარიანელი ყოფილა, – თქვა დიმიმ.

– აქტის წინ არ უნდა ჭამო ხორცი, – ავუხსენი.

– უხორცოდ რიღას თავი გექნება? ძუ იყოს და, თუ ხვალს არ დავაგდებინებ, ნახავ. დავუშვათ, ეგრეა. ახლა რატომ დაიწყე ძოვა? ამაღამ შავთვალას ჩაეხუტები?

– აბა, მძოვარი ვარ? – მივუგე და სიმღერა შემოვძახე:

*„ატირდა შავთვალა ცხვარი:*
*ვივა – ვიორგი მკვდარია.*
*ვაიმე, ჩვენო პატრონო,*
*ვიღამ გაგვიღოს კარია?“*

შევატყვე, ცხვრის ხსენება ესიამოვნა. გადავწყვიტე, ეს სიმღერა თავიდან დამეწყო. ასეც მოვიქეცი. დიმი გაბადრული მისმენდა. უცებ ჩემი ხმა ველარ ვიცანი, დავუგდე ყური და თავზარი დამეცა. სიმღერა ყროყინში გადაზრდილიყო და ვყროყინებდი მონდომებული. გავჩუმდი. დიმი ფეხზე წამოდგა.

– ბრავო, ბრავო, ყარან! მოდი, ერთი, გულში ჩაგიკრა!

საშინელი აზრი მომივიდა, კერძოდ, ის, რომ თუ გადავეხვეოდი, ღოჯებს ყელში ჩამასობდა და სისხლს ამომწოვდა. წამოვხტი სკამიდან და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. დიმი კი უკან მომყვებოდა და მომყვიროდა:

– მოიცადე, წამსვლელ-დამრჩომი არ გვიდღეგრძელებია!

ჩემს ეზოში შევვარდი, პარმაღზე ავირბინე, ზედა სართულზე შევიჭერი და კარი გასაღებით შიგნიდან ჩავკეტე. გული ამოვარდნას ლამობდა. დასასვენებლად ტახტზე ჩამოვჯექი და ჩავფიქრდი. ვვირდებოდი. მართალია ყველა გაცხოველდებოდა და არავინ დარჩებოდა ჩემი ორთვალაში შემბმელი, მაგრამ მაინც არ მინდოდა ვირობა. ბალახისმჭამელი ვიქნებოდი. მე კი მინდოდა, ხორცისმჭამელი ვყოფილიყავი. არ მინდოდა, დათვის ან მგლის ლუკმა გავმხდარიყავი. შევუკურთხე ჩემს წინაპრებს.

ორი დღე ცხვირი არ გამიყვია გარეთ. მერე ნაიანა მოვიდა. ჯერ მეგონა, დიმიმ ხმა დაიწვრილა და ნაიანობას ჩემობს, რათა კარი გავუღო-მეთქი. ხელს ვერ შემოყოფდა, ამიტომ ნაიანამ რამდენიმე წვრილმანი გაიხსენა ჩვენი ინტიმური ურთიერთობიდან. შემოვუშვი. შემოვიდა თუ არა, მაშინვე ეს მკითხა:

– რა დაგემართა?

ვუთხარი, რომ რაც დამემართა, ახალი არ არის. ჯერ კიდევ ჰერმან ჰესემ დაწერა მოთხრობა, სადაც აღწერილია ადამიანის გადაქცევა საშიშ პრიმატად, მაგრამ ახლა დაწყებული იყო მასობრივი გაცხოველება და, როგორც ირკვეოდა, მხოლოდ მაიმუნები

არ იყვნენ ჩვენი შორეული წინაპრები. ვუამბე, თუ როგორ მივედი ექიმთან კუდის გამოსვლის დაწყებით შეშფოთებული და როგორ გავხდი მოწმე ადამიანის გაცხოველებისა, რადგან იმ საცოდავს თურმე ჩემზე ადრე დასწყებოდა ჩემსაზე უფრო საზიზღარი კუდის გამობმა. ვუთხარი, რომ უდავო იყო ზოგიერთების გახორცისმჭამელება, ამიტომ გარეთ გასულს საფრთხე მელოდა. ნაიანა შეწუხებული მისმენდა. შემდეგ ყელზე ჩამომეკიდა და ტირილით მითხრა:

– წამოდი ჩემსას! ჩაგკეტავ და ისე გაგიფრთხილდები, როგორც მიუწდომელ განძს! არაფერი მინდა შენგან ტრფიალის მეტი!

ჰოი, დედებო, ქვეყნის სახედველებო! თქვენ რომ არ იყოთ, რა გვეშველებოდა? არ იქნებოდა არც დანდობა, არც მშვიდობა, არც ტრფიალი, არც ხუმრობა და არც ცრემლი იქნებოდა, რომელიც კორიოლანუსისნაირ მხეცსაც გულს მოულბობდა! თქვენ სიყვარულიც იცით და მეგობრობაც, კაცები კი ოდენ თავკერძა ცრუპენტელები არიან და ზარატუსტრას არაფერი გაეგებოდა! უთქვენოდ დედამიწა იმ პლანეტას დაემსგავსებოდა, რომელზეც ცოდვებისათვის დასჯილი სულები დაუსხამთ!

ნაიანას სიტყვებმა გული ამიჩუყა და მეც ვიტირე. შემდგომად ამისა ავიღე მცირეოდენი რამ და მისას გადავბარგდი. იქ ერთი გოგო დამხვდა. ან მხატვარი იყო, ანდა ფეთხუმი, რადგან ჯინსის შარვლის ტოტზე, მარცხენა მუხლს ზემოთ, წითელი ლაქა ეცხო, საღებავისა თუ სისხლისა. შარვალი კი მუქი ლურჯი ეცვა. რაც შეეხება სილამაზეს, იგი არ აკლდა. მაღალსა და ტანწერწეტს შავი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა.

– ეს თეაა, – გამაცნო ნაიანამ – ესეც ჩვენთან ერთად იცხოვრებს.

თეამ ვარდივით ბუნჩულა ხელი გამომიწოდა. სიამოვნებით ჩამოვართვი. დავიწყე მათთან ერთად ცხოვრება. ჩემი თავი ოქროს ვირი მეგონა, ფერიების დედოფალმა რომ შეიყვარა, სამწუხაროდ, ვარდის შეჭმა ვერ მიშველიდა!

ერთ დღეს ეზოში ვიყავი და ბალახს ვწიწკნიდი. ყურები არა მხოლოდ გამეზარდა, არამედ გამიმახვილდა კიდევაც, ამიტომ ზედა სართულიდან ნაიანას და თეას ხმა მომესმა.

– ნუ ტირი, – ეუბნებოდა ნაიანა, – შენი უშნო ქმარი ამდენი ცრემლის ღვრად არა ღირს.

– ნერვები მეშლება იმ თოხლო პაპაზე, – სლუკუნებდა თეა, – არც დაფიქრებულა, ისე გამომაგდო.

– ნუ იმლი, როგორ ფიქრობ, რისთვის მოვიყვანე ეგ წყეული ულაყი. მთელი ხმით რომ ყროყინებს მეორე სართულზე, მთლად რომ გადაძოვა ჩემი ეზო, რომელიც მაგის მოყვანამდე მწვანეთი იყო დაფარული? თავისი ტვინისთვის. შნოიან კაცებს შევაჭმევთ ჩუმად და ცოლებად დავუსხდებით.

– თუ მაგის ტვინს ეგეთი ძალა აქვს, რატომ არ კლავ? რაღას უცდი? – ეკითხებოდა თეა, რომელსაც ხატვისა არაფერი გაეგებოდა.

– მთლიანად გავირებას მაგისას. მაშინ მივეპარებით მძინარეს და ყელს გამოვჭრით.

– ჩემს ქმარს რომ შევაჭამო, რა მოუვა?

– ისეთი მორჩილი გახდება, შენს საყვარლებს სიგარეტის საყიდლად გაეგზავნება. მაგრამ ნუ გავაფუჭებინებთ შენს უშნო ქმარს. არ გირჩევნია, შნოიან კაცს დაუჯდე ცოლად?

– არა, არა, ამბობდა ფეთხუმი, – შეუბრალებლობისათვის სამაგიერო უნდა გადავუხადო.

– შენი საქმისა შენ იცი. მე კი შნოიან კაცს გავყვები.

გაიგეთ, რას მიპირებენ ეს ძუკნა ძაღლები? მართალია, ჯერ კუდები არ გამოსვლიათ, მაგრამ რა დიდი ქადაგ-მკითხაობა უნდა, ორივენი ძუკნები გახდებიან? ოჰ, დედებო! ვინც თქვენ გენდობათ, უარესიც დაემართება! განა თქვენი გულისთვის არ იწყება ომები. ინგრევა ქალაქები და იღვრება სისხლი? თქვენ ძმადნაფიცებს ერთმანეთს გადაჰკიდებთ და საწყალ კაცებს წაჯეუკუჯექის ცეცხლს აუნთებთ, პირმზე ქმარს დუხჭირ საყვარელზე გაცვლით, მერე ამ უკანასკნელსაც მიატოვებთ და თქვენი საუკეთესო მეგობრის მეუღლეს გაჰყვებით! – თქვენი კბილები მარგალიტებია, გული კი ნახშირი!

ახლა ზედა სართულზე ვარ. ნაიანას მიერ ჩემთვის გამოყოფილ ოთახში. სახლის უკან შემაღლებული ადგილია. ამ ოთახის ფანჯარა იმ მაღლობს გადაჰყურებს, ვისკუპებ ფანჯრიდან და ტყეში გავიქცევი. იქ ბლომად იქნება მწვანე ბალახი და შეიძლება დედალი ვირიც ვიპოვო, მაგრამ, ვაგლახ, ხორცისმჭამელებიც იქნებიან და, ვინ იცის, ვინ შემახრამუნებს, მგელი თუ მელისფერი დიმი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ილია ბარამიძე

## შეშლილი

როცა გაქრება ცა ლურჯი
და მთებს ღრუბლები ფარვენ,
ქარი ქუჩებში აქუჩებს
ოქტომბრის მიმქრალ ქარვებს,
გადაუფრენენ სივრცეებს
კაჭკაჭები და ჭკები,
შორ გაზაფხულებს იხსენებ
და ფოთოლივით ჭკნები.
იმედი – არავითარი!
ეჭვი თუ გაგკრავს წამსვე –
ან მოსვლით რა მოიტანე,
ანდა რა მიგაქვს წამსვლელს.
ვინ არის იგი, მომავლის
საწუხარზე რომ არ წუხს?
– შეშლილი! – სამასწლოვანი
ყვავი იძლევა პასუხს.

## კაენ!

მე გირჩევ, თუკი შენთვის მაშველი
ადამის ძისგან მიიღებ თათბირს:
პოეტი არის, კაენ, ძმა შენი,
ნუ მოჰკლავ, მისი წამებით დატკბი.
სავსეა მისი გული, მფეთქავი,
განცდებითა და ტკივილით მხოლოდ.
შეჰყვარებია შენს ძმას ღმერთქალი
და სიყვარული მოუღებს ბოლოს.
კაენ, პოეტებს ისედაც კლავენ
გრძნობები, შენთვის ასე უცხონი.
პოეტს მკვლელის ძმად ნუ აქცევ, კაენ,
ცხონდი და მასაც სული უცხონე.

## დილის ცა

საოცარია ცა იგი,
სულს არ სჭირდება სხვა რამ,
როცა ცის ცივი ციაგი
ცარგვალს ეცემა ცვარად.
საოცნებოა, როცა ცა
ალმაცერობს და ელავს,
ფაცხის სარკმელზე მოცოცავს
ცვარი ქცეული ცრემლად.
დილის ცამ იცის ლიცლიცი,
ჩაცმით მოცილემ ციცრის,
დილის ცამ სიცილიც იცის,
დილის ცამ კოცნაც იცის.
ცამ რა არ იცის, ვინ იცის,
ცაზე ოცნებებს წერენ.
ღმერთო, ამავსე დილის ცით
და არ დამცალო მერე.

## გაქცევა

გავექცევი წამებას და
გადავფურცლავ „სალამბოს“
ან ღვთაებრივ ზმანებათა
პოეტს – ედგარ ალან პოს.
ჩემი მიხმობს სამანები,
ვთხოვ ცოლსა და მერე შვილს –
ყველამ თავი დამანებეთ,
ახლა ყველა შემეშვით.
არ მჭირდებით არავინ დღეს,
სული სხვაგან გადარბის,
ის „ყორანი“ დამავიწყებს
ამ საყორნე ძვალს და რბილს.
დარდმა მომკლა შენმა, წუხელ,
სახლო, უპურისფულოვ,
მაგრამ დღეს ნუ შემაწუხებთ,
თუმცა, ვიცი, ვრისკულობ.
შინაურს თუ გადამთიელს
გთხოვთ, ჭორებს ნუ შეთითხნით.
მოდით, ყველამ მაპატიეთ,
მოგიკვდებით ერთი დღით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## დაკარგული სტრიქონი

წუხელის ისე შემაცბუნა უცაბედმა სტრიქონმა,
თითქოს ქარში საქათმეზე ქორმა გადაიქროლა.
წავიდა და დაიკარგა. დილა სხვაა, ღამე სხვა,
ამიტომაც დილისათვის მსურდა ლექსში ჩამესვა.
დილით ველარ გავიხსენე ღვთისგან გამოგზავნილი,
მახსოვს მხოლოდ, ცის ტატნობზე წკრიალებდა ზარივით.
იქნებ იმ ერთს სხვა სტრიქონი ვეღარ შეცვლის ვერც ერთი,
იქნებ ის სტრიქონი იყო, დღემუდამ რომ ვეძებდი.
აღარ ვიცი, როგორ ვკადრო საყვედური მაცხოვარს,
თუ ღირსმყო და დამასიზმრა, რად არ დამამახსოვრა.

## კახეთი

კერას წითლად ანათებს წმინდა ალი წალმების,
უსაშველოდ სანატრელ კახეთს მივესალმები,
მტერთან დაურიდალს და მოკეთესთან მორიდალს
და სულსპეტაკს, ვითარცა ნიავს ცივგომბორიდან.
კახეთს მივესალმები, მთვრალი ამ ლამაზი ცით,
მტრის წინ დაუჩოქებელს, დამჩოქებელს ვაზის წინ.
ვინ ჩაუდგა ტიტანთა ძალა შორი მითიდან -
იმდენ მტერს ვით იტანდა, ამდენ სტუმარს ვით იტანს!
მუდამ გაუნელებელ სიყვარულად ვიტვირთებ
ღურუჯისპირს ღურაჯთა მოღარაჯედ მიჯრილ მთებს,
მზერას მოვაჭრევინებ კახურ მოჩახჩახე მზეს
და თბილისურ ღამეებს ფიქრში გავლევ კახეთზე.

## ნერონი

რომ არ დამეწვა მე რომი,
რომ არ მერქმეოდა ნერონი,
სხვას ენერონა, მე რომ არ,
რომს უნერონოდ ერომა,
სხვა მხარეს, სულ სხვა რომებთან
სხვა მაინც ინერონებდა.
ვერ უშველიდა დაცვა და
სხვა რომს სხვა მაინც დაწვავდა.
რომ არ დამეწვა მე რომი
ისტორიიდან წამშლიდით...
. . . . . . . . . . . . . . . . . .
სადაც ილია არსებობს
არსებობს ბერბიჭაშვილიც.

## სოფლური იდილია

ვდგები ცისკარზე ადრე,
კარ-მიდამოში ვმეფობ.
საზიზღრად მომენატრეთ,
უსაზიზღრესო ძმებო!
სული, სხეულის თრევით
დაღლილი, ეძებს წამალს.
თითქმის ყოველდღე ვთვრები,
- პაწა დავლიოთ, ძამა!
სად ჩრდილი მათრობს ხეთა,
სად - წიფლის ალი, ხმელის,
და ოთხმოცი წლის დედა
ალიონამდე მელის.
და მამისეულ ქოხთან
წუმწუმა ლექსებს ვაკმევ.
მეტი რა უნდა მოხდეს,
„მიდის ოპერა „ლაკმე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავთო ნიქაბაძე

## ფარაჯაზე მინაწერი ლოცვა

(დოკუმენტური ჩანაწერები აფხაზეთის ომზე)

ეძღვნება საშკა იოსელიანს,
მალხაზ ცისკაძეს,
ირაკლი ამირეჯიბს და სხვებს.

ჭადრაკის სასახლეში ხალხს თბილი ტანსაცმელი მოჰქონდა მეომრებისათვის, მოჰქონდა ვისაც რა შეეძლო. ზოგი თანხას აგროვებდა, რათა მეომრებს სიგარეტი და კონსერვები გვეყიდა. აუარება ხალხმა მოიყარა თავი. მაშინ მთელი ქალაქი აქ იყო. დარიგებული საჩუქრებიდან ზოგს რა ერგო, ზოგს რა. ერთი მე დავრჩი თბილი ტანსაცმლის გარეშე. დავიბენი, რა მექნა, არ ვიცოდი. მთელი ჭადრაკის სასახლე მოვიარე და მაინც ვერაფერს მივაგენი. იმედი გადაწურული მქონდა, როცა უეცრად ერთ პატარა, ლამაზად შეკრულ ფუთას მოვკარი თვალი. გასაოცარი ის იყო, რომ ამ შეკვრას ახლოსაც არავინ ეკარებოდა; ალბათ, ნაღმისა ეშინოდათ. გავბედე, ფრთხილად მივუახლოვდი და შეკვრა გავხსენი. ეს იყო ჯარისკაცის ფორმის ახალთახალი სრული კომპლექტი. რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა მარჯვენა გულის ჯიბესთან დამარცვლული ბავშვური ხელით ლამაზად გამოყვანილი ქართული ასოებით მინაწერი ლოცვა-კურთხევა ამოვიკითხე. ჩემო პაწია უცნობო, ასე მგონია, სწორედ ამ ფარაჯამ და მასზე მინაწერმა ლოცვამ გადამარჩინა, სხვაგვარად ვერ ამიხსნია ჩემი ცოცხლად გადარჩენა ამ ომში.

ასე რომ, თქვენი მონა-მორჩილი, განგების ძალით ჯარისკაცის ახალი ფარაჯით შემოსილი მეომარი, მხედრიონის მრევლი გავხდი. მართალია, ჩემთვის არც მედალიონი, არც იარაღი მოუციათ, სამი წლის მანძილზე თვითმარქვია მხედრიონელი ვიყავი. სად არ ვიომე, იარაღი კი ტელევიზიასთან, ყოფილი პრეზიდენტის მებრძოლებთან შეტაკების დროს მერგო. ამ შეტაკების დროს (ტელევიზია, ზუსტად არ მახსოვს, მგონი, ქობალიას ჰქონდა დაკავებული) მოწინააღმდეგის ტყვიამ ერთი მებრძოლი იმსხვერპლა. ქართველმა ქართველს ესროლა და სისხლიც დაიღვარა. ამის შემხედვარემ გონება დავკარგე. აღარ მახსოვს, ტელევიზიის შენობაში როგორ აღმოვჩნდი, არც ის მახსოვს, ვის ვურტყამდი, ფაქტი ერთია, ხელიდან გამომგლიჯეს ვიღაც მეომარი. გონს რომ მოვეგე, ჩემი საქციელის შემრცხვა, შემრცხვა მხოლოდ იმიტომ, რომ უიარაღო მეომარს ვურტყამდი, თუმცა მეც უიარაღო ვიყავი. ჩემი პირველი „ტროფეიც", ალბათ, ამ მეომრის უპატრონოდ მიგდებული ავტომატი იყო. იარაღი იქვე მიგდებულ ზეწარში გავახვიე და ტელევიზია დავტოვე. არ ვიცოდი, რა მექნა. გადამეგდო ავტომატი თუ შემენახა. მეომა თუ ჩუმად, აბრეშუმის ჭიასავით პარკი მომექსოვა და საკუთარ ბუნგალოში ძილისთვის მიმეცა თავი, უკეთეს დროს დაველოდებოდი – სხვამ იომოს, მე კი დავიცდი-მეთქი. ამაზე ვფიქრობდი და თან ვგრძნობდი, სიწითლე და სირცხვილი უფსკრულისაკენ მიმაქანებდა. უცბად წავიბორძიკე, მაგრამ გულთან მიხუტებული, ზეწარში გახვეული ავტომატი მიწაზე არ დამიგდია. გამოვერკვიე, მხოლოდ ახლა შევნიშნე მოქალაქეები, ზოგი შეშინებული მიყურებდა, ზოგს ეცინებოდა, ზოგი კი ეჭვით მიცქერდა. ალბათ, სასაცილოდ გამოიყურებოდა მეომარი, რომელსაც ზეწარში გახვეული, გულში ჩახუტებული ავტომატი სახლისკენ პარვით მიჰქონდა. სახლს მივუახლოვდი თუ არა, შევბა ვიგრძენი და აკაკი ბაქრაძისეულმა „სულის ზრდამ" თითქმის ხმამაღლა ხორხიდან

ამომძახა: „ავთო, ამოთქმულ სიტყვას ძარღვი არ უნდა გაუწყდეს, თორემ სისხლისგან დაიცლები და სამუდამოდ უკვალოდ გაქრები“. ჩემს სიტყვას არც ძარღვი გაწყვეტია და არც სისხლისგან დაცლილა. ვიომე, მაგრამ სანამ ვიომებდი, საქართველოს ერთ-ერთ დელეგაციასთან ერთად საკუთარი სურათებით ბედის საძებნელად გერმანიაში ამოვყავი თავი. ოჯახებში გაგვანაწილეს. მე რობერტ და ანა-მარია ანგელების ოჯახში დამაბინავეს, სადაც მართლაც რომ ანგელოზის სული ტრიალებდა. საკუთარი შვილივით მიმიღეს. ოთხსართულიან სახლში ერთი სართული ჩემთვის გამოყვეს და ამ ტერიტორიის სრულ ბატონ-პატრონად მაქციეს. ამ პატივისცემის აღწერა, განცდები, რაც მე აქ, უკვე გაერთიანებულ გერმანიაში განვიცადე, შორს წაგვიყვანს. ეს ცალკე საუბრის თემაა. ერთი კია, ერთხელ, სადილობისას ბატონმა რობერტმა ასეთი შეკითხვა დამისვა: პრეზიდენტად ვის ისურვებდი საქართველოში, შევარდნაძეს თუ გამსახურდიასო. არც დავფიქრებულვარ, მოკლედ მოვუჭერი, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს-მეთქი; გაუხარდა, სკამიდან წამოდგა და ჭიქა ღვინით შემივსო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მასპინძლის ამ საქციელის ახსნა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შევძელი. საღამო ხანს, ბინაში მარტოდ დარჩენილმა ტელევიზორი ჩავრთე. ტელეეკრანიდან ქაშუეთის ეკლესიის გუმბათის უკანა მხარე ვიხილე, ცეცხლის ალში გახვეული. ქუჩაში გვამები ეყარა. თბილისში ძმათა მკვლელი, სამოქალაქო ომი დაწყებულიყო. ამის მნახველი გულ-ნაბადის აკვრას შევუდექი.

უიკ-ენდიდან დაბრუნებულ მასპინძლებს შინ საქართველოსკენ გასამგზავრებლად გამზადებული ფერდაკარგული საზარბაზნე „ხორცი“ დახვდათ. ქალბატონ ანა-მარიას თვალებზე ცრემლი შევნიშნე, ბატონი რობერტი გახევებული იდგა. რაც იმ საღამოს გავიგე, მათ, კარგა ხანია იცოდნენ და მიმალავდნენ.

შევყურებდით სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს და, ალბათ, ერთი აზრი გვაწუხებდა. შევხვდებით კი კიდევ როდესმე? მაინის ფრანკფურტის აეროპორტში უცხო თვალი ერთ, ფრიად კურიოზულ სურათს შეამჩნევდა: ერთ მხარეს ორი გერმანელი ერთ ქართველს აცილებდა, მეორე მხარეს კი საქართველოდან ჩამოსული ქართველები მიდი-მოდიოდნენ და ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდნენ. ერთს საომრად აცილებდნენ, მეორეს - მშვიდი ცხოვრებისთვის ეპატიჟებოდნენ. ორივეს ქცევას თავისი გამართლება ჰქონდა. ეს ტრაგიკომედია ყველა ერის ცხოვრებას ახასიათებს. ამ ახალგაზრდებიდან ერთს ქართული გენი უნდა დაეცვა, მეორეს სამშობლოდან მოშორებით უნდა შეენახა იგი. ნეტა, რას ფიქრობდა ეს ორი გერმანელი: ჰელმუტ სტოიტერმანი და რობერტ ანგელი? - არ ვიცი. მე კი ვნატრობდი: ღმერთო, დამიხსენი ძმათა მკვლელი ომისგან!

ასეც მოხდა. განგებამ დამინდო. თბილისის ომში მონაწილეობა არ მიმიღია.

ომი და შიში განუყოფელი ნაწილია ერთი მთლიანისა, მაგრამ ეს შიში თუ ბოლომდე გაჰყვა მეომარს, ის სასიკვდილოდ განწირულია. დროზე უნდა ჩამოიცილო; თუ ვერ მოერიე, სხვა უნდა დაგეხმაროს. ეს სხვა ამ ომში მეთაური უნდა ყოფილიყო, რომელიც არ გვყავდა. სანთლით საძებნი იყო ლეიტენანტი. აქ ყველა რიგითი ჯარისკაცი ან გენერალი იყო. სახელდახელოდ 10-20-კაციანი ჯგუფები იკრიბებოდა, ხოლო ვინ ვინ იყო ამ ჯგუფში, ვერ გაიგებდი.

ყაჩაღი, მკვლელი, პატიოსანი, ლაჩარი, გულადი, უცოდინარი, მცოდნე, მოღალატე, ერთგული - ერთ დევიზს ეფარებოდა - მამული ენა, სარწმუნოება!

სად არ ვიომე: მერკულა, ოჩამჩირე, ტამიში, გაგრა, სამტრედია, სოხუმი... ყველგან ერთი ხელწერა, ღალატი, უცოდინრობა და შედეგად - გვამები. გამონაკლისი იყო წალენჯიხის ომი. როგორ წაშლის ცნობიერებიდან ეს პატარა ქალაქი იმ საშინელ დღეებს და როდის მიეცემა დავიწყებას, არავინ იცის. აქ ომის ბოლოს დღეებს ჩავუსწარი.

ტელევიზიით გამოაცხადეს: ბატონი ჯაბა იოსელიანი ალყაში იმყოფებაო. ქობალიას ფორმირებებს ქალაქი აეღოთ და იოსელიანს განადგურება ემუქრებოდა. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდებოდა, საგანგებო რაზმი ჭადრაკის სასახლესთან სახელდახელოდ შევიკრიბეთ. ავტობუსებში ჩავსხედით და კურსი წალენჯიხისკენ ავიღეთ. საღამო ხანს ჩავედით. იოსელიანი, მგონი ბუცხრიკიძის ფორმირებამ გადაარჩინა. აქ იყო ბატონი კვანტალიანიც. ქობალიას რუს ინსტრუქტორებს სწორად ჰქონდათ გათვლილი რეგიონიც და ქალაქებიც. სამოქალაქო ომი, რომელიც თბილისში დაიწყო, მხოლოდ და მხოლოდ სამეგრელოში უნდა გაგრძელებულიყო და არა იმერეთში, სვანეთში, გურიაში და ა. შ. თუმცა ამ რეგიონებსაც არ დაჰკლებია დამსჯელი ხელი.

საჭირო იყო სამეგრელოს დაწიოკება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბევა, დანგრევა, რათა საქართველოს ხელისუფლებას ამ რეგიონში გამოჩენის უფლებაც არ ჰქონოდა. ყველაფერი პრეზიდენტ შევარდნაძეს უნდა დაბრალებოდა. ასე იყო დაგეგმილი რუსეთის ანალიტიკურ სპეცსამსახურებში და აასრულეს კიდეც. მაგარმ შეცდნენ. ამ ამბის მომსწრე მეომარი ერთ საღამოს ტყვიამ დაინდო, დაინდო და მოწმე გახდა იმ ძარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობისა, რაც ამ პატარა ქალაქში დატრიალდა. ომის დამთავრების შემდეგ უკვე მეორე დღეს წალენჯიხას კალიასავით მოედო ქართულად მოლაპარაკე უცხო ურდო. ბევრს ჩემთვის სანატრელი მხედრიონელის მედალიონიც ეკიდა. ვერც იოსელიანი მისი ჯგუფით, ვერც კვანტალიანი, ვერც ბათიაშვილი, ვერც მე ჩემს ბიჭებთან ერთად ვერაფერს გავხდით ამ ურდოსთან. პირველად ვინატრე სოსო ჯუღაშვილი. ათ დღეში ქალაქი გაძარცვეს და, როგორც გამოჩნდნენ, ისევე გაუჩინარდნენ, თან ნაძარცვიც გაიყოლიეს. ზემოთ მოგახსენებთ, ერთ საღამოს ტყვიამ დამინდო-მეთქი, თუ როგორ - მოგახსენებთ:

მხედრიონელები ოჯახებში იყვნენ განაწილებული, ჩვენც ერთ ოჯახში დავბინავდით სკოლის პირდაპირ, ქალაქის ცენტრში. მასპინძელმა კარგად მიგვიღეს და დაგვაპურეს. ჩვენ ჯგუფში ხუთი მეომარი ვიყავით: კობა, მიშა, ბაძაღუა, დანელია, „ნარიოკა“ - იგი შემდეგ ოჩამჩირეში ნაღმზე აფეთქდა.

ჯგუფის ნაწილი დღისით ოპერაციებზე გადიოდა, ღამით კი მორიგეობდა. ერთხელ, (არ მახსოვს ომის დამთავრების მერამდენე დღეს) მასპინძლის ეზოში ვიჯექი. მგონი ავტომატს ვწმენდდი. ეზოში წალენჯიხის მკვიდრი შემოვიდა და მორიდებით მთხოვა, წართმეული მანქანის დაბრუნებაში დავხმარებოდი. მანქანა როგორც გაირკვა, ახალი წართმეული იყო და ქალაქიდან ჯერ არ გაეყვანათ. ბოლმა მახრჩობდა ამ ძარცვაგლეჯის შემხედვარეს. ახლა კი მომეცა შესაძლებლობა, ერთ კაცს მაინც დავხმარებოდი. ბიჭებს არაფერი ვუთხარი. ავტომატის ჩახმახი შევამოწმე და მანქანის პატრონი წინ გავიძღოლე. შუბლზე რა მეწერა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია - მანქანა იმ წუთში დამიბრუნეს და ბოდიშიც მომიხადეს. მანქანაში პატრონი ჩავსვი და მეც ჩავუჯექი, მისივე თხოვნით მანქანა ჯვარის გზას გავუყენეთ. გადავმალეთ. იმავე ღამეს ჩემი და ბაძაღუას მორიგეობის დროს, ტყვიამ ჩვენს შუა გაიწუილა და მძინარე წალენჯიხის მყუდროება დაარღვია. ბაძაღუამ მაჯობა, თავის დაწევა მოასწრო. ვფიქრობ, მაინც დაგვინდეს, უბრალოდ, გაგვაფრთხილეს. ერთხელაც მორიგეობიდან გვიან დავბრუნდი, ოთახში შევედი. უკუნი სიბნელე იდგა. მეომრების უდარდელი ხვრინვა ისმოდა. ჩემს საწოლს ჩუმად მივეპარე და ის იყო, უნდა ჩავწოლილიყავი, რომ უცბათ ჩემს საწოლში ავტომატმოღერებული მეომარი დავლანდე - ჩემკენ მოემართა. სისხლი გამეყინა, საკუთარი თავი გამოვიგლოვე და სიკვდილს შევურიგდი. მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ნაცნობმა ხმამ გონი მომიბრუნა. კობას ხმა ვიცანი: „ავთო, შენა ხარ?“ ამ სამმა სიტყვამ გაყინული სხეული გაალღო და მთელი საღამო ძარღვებში საკუთარი სისხლის საამო მოძრაობას ვგრძნობდი. კობამ ავტომატი დაუშვა, საწოლი დამითმო და გარეთ გავიდა. იქვე კარებთან წამოწვა და მაშინვე ჩაეძინა. ჩემი ერთგულების ჯერიც დადგა. მთელი ღამე თვალს რული არ მივაკარე. კობას ერთგულებაზე ვფიქრობდი და იმაზეც, ჩაუტანდნენ თუ არა პრეზიდენტ შევარდნაძეს სწორ ინფორმაციას.

გაგრა.

მეომრებმა ერთი თვის განმავლობაში განუწყვეტლად ღვარეს სისხლი. მსხვერპლი ყველა ფორმირებამ თანაბრად გაიღო. ქალაქი მოსახლეობისაგან დაცლილი იყო. რუს, აფხაზ, ჩეჩენ და სომეხ „ბოევიკებს“ თავიანთი გასაკეთებელი უკვე გაეკეთებინათ. ოჯახი არ დარჩენილა ვინმე არ მოეკლათ. ცოტა მოგვიანებით თბილისში, სასტუმრო „ივერიაში“ მცხოვრები შორეული ნათესავი მოვინახულე. ჩეჩნებმა ამ მოხუცს საკუთარი ხელით დააწვევინეს სახლი. მეზობელმა აფხაზმა კი გაგრიდან გააპარა იგი. მოკლედ, გაგრაში მხოლოდ საავადმყოფოებსა და სასტუმროებში თუ ნახავდით, ისიც კანტიკუნტად, მომსახურე პერსონალს. ადგილობრივი მოსახლეობა, ვისაც კი ომი შეეძლო, ქალაქში დარჩა. მათ შორის გაგრელი ექიმი თემურ მოსიავაც იყო, რომელიც შემდეგ ჩვენი ჯგუფის მეომარი გახდა. ასე ემატებოდნენ ჩვენ ჯგუფს მეომრები. ლევან ლორთქიფანიძე (ექიმი), ილო ონიანი (სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი), კერესელიძე (სახელი არ მახსოვს, ვიცი მხოლოდ, რომ პროფესიით კბილის ტექნიკი იყო). გვყავდა ერთი კახელი მეომარიც (გვარი არ მახსოვს) - პროფესიონალი ტანკისტი. სანამ ტანკს მიუჯდებოდა, „უაზის“ მარკის ავტომობილით დავყავდით ოპერაციებზე, ცოტა მოგვიანებით სანატრელი ჯავშანტრანსპორტიორი ჩააბარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან, უკვე სოხუმში გავიგე, რომ იგი მტრის ყუმბარამ იმსხვერპლა, ჩვენი მოვალეობა გაგრის დაცვა იყო. ქალაქი კი იყო ჩვენი, მაგრამ შემოგარენი მტერს ეკავა. ჩვენი ჯგუფი, მგონი, სოფელ განთიადთან ერთ-ერთ ქედს იცავდა. აქედან ბილიკი ქალაქში შემოდიოდა. 19 მხედრიონელი შეიწირა ამ ქედმა. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ერთხელ, წვიმიან დილას, როცა სანგარში მწოლიარეს მომშივდა, სანგრიდან თავი ამოვყავი და ის იყო, კონსერვის ასაღებად გადავიხარე, რომ სნაიპერის ტყვიამ დაიწივლა და სანგრის უკან ხის ტოტი მოგლიჯა. სანგარში ჩავძვერი და შუა დღემდე თავი არ ამომიყვია. ვუყურებდი, კონსერვის კოლოფის ცქერით ვიკლავდი შიმშილს. ჩვენმა კახელმა ის ადგილი, საიდანაც მესროლეს, იმ დღეს თავისი ჯავშანტრანსპორტიორის ყუმბარებით გადახსნა.

მეორე თუ მესამე დღეს ისევ ჩვენი ჯგუფი მორიგეობდა. ბიჭები ზემოთ ქედზე ავიდნენ და სანგრები გაინაწილეს. მე ქვევით, ზურგში დავრჩი. ქედზე ასასვლელი ბილიკი უნდა დამეცვა, თან სოფლიდან დასალევ წყალსაც ველოდებოდით.

შებინდდა. სოფლიდან ამომავალ ბილიკზე ორი მეომარი გამოჩნდა. ხვნეშით მოჰქონდათ წყლით სავსე ბიდონი. მე რომ დამინახეს, გაუხარდათ და ნაბიჯს აუჩქარეს. მეც მათ შესახვედრად გავემართე. მივუახლოვდით თუ არა ერთმანეთს, მანდარინების პლანტაციიდან გვესროლეს. გადავრჩით. იმ საღამოს კი აშკარად ინადირეს. ალბათ, სნაიპერი იყო. არც ერთი გასროლა ავტომატის გასროლის ხმას არ ჰგავდა. ოთხი საათი ადგილზე არ გავჩერებულვარ. გაჩერება სიკვდილის ტოლფასი იყო. დავიღალე. იძულებული გავხდი, მიწაზე დავწოლილიყავი და შამფურზე წამოცმული მწვადივით მეტრიალა. ზემოთ ბრძოლა უკვე დაწყებული იყო. მე კი არც ბილიკის დატოვება შემეძლო და არც უაზროდ სროლის ატეხა. პანიკას გამოიწვევდი და იქნებ ჩემიანის ტყვია მომხვედროდა ქედიდან. იყო შემთხვევები, როდესაც უვიცობისა და ბედის უკუღმართობით ერთმანეთს ვესროდით.

ბოლოს, როგორც იქნა, ქვემოთ, სოფელში ეულად დარჩენილი ჯიშიანი მამლის ყივილმა მზე გამოაღვიძა, იმანაც აღარ დაახანა, ამოანათა და ქედზე ზავის მანდილი გადმოაგდო. გათენდა. სროლა შეწყდა. თავი ავწიე. გორაკს ნატყვიარი სხეულიდან ბოლი ასდიოდა. ვიღაც კვნესოდა, ვიღაც იგინებოდა. ჩამეძინა.

აღარ მახსოვს, ვინ გამომაღვიძა. ნაწამები, უძინარი მეომრები ხარბად შეექცეოდნენ საუზმეს. მეც შევუერთდი. ჩვენი მხრიდან იმ საღამოს არავინ დაჭრილა, არც დაღუპულა. მტრის მხრიდან კი დახოცილებიც იყვნენ და დაჭრილებიც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმავე დღეს მხედრიონის რომელიღაც ჯგუფიდან ბიჭები ჩუმად, დაუკითხავად შეიპარნენ ტყეში ნადავლის წამოსაღებად. შეიპარნენ და ნადავლთან ერთად მუცელში მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლიც ამოიყვანეს. ის მეომარი შემდეგ მე და კერესელიძემ ვინახულეთ საავადმყოფოში. მგონი, გადარჩა.

მე და კერესელიძეს ამ ქედზე ერთი სასაცილო ამბავიც შეგვემთხვა.

ქალაქში ორი დღე დასვენების უფლება მოგვცეს. ჰოდა, დავეხეტებოდით აღმა-დაღმა. ქალაქი სავსე იყო სხვადასხვა ფორმირებებით და ტექნიკით. საკვირველი ის იყო, რომ აქ ქაოსში წესრიგის არანაირი ნიშანი არ შეიმჩნეოდა. არანაირი პატრული ქალაქში არ იყო. კომენდანტის საათი საერთოდ არ არსებობდა. ჩინეთის დესანტი რომ გადმოესხათ, იმათაც არ შეეკითხებოდნენ, ვისი დავალებით ან რისთვის იყვნენ აქ, ამ ორომტრიალში მოსულები. ასე რომ, მე და კერესელიძეს ყაჩაღობის ფართო ასპარეზი გვქონდა, მაგრამ ვერ „ვიყოჩაღეთ“. ხეტიალში შემოგვაღამდა. დაღლილები ვიყავით, მაგრამ ქედზე მყოფ მეომარ ბიჭებზე ფიქრი მოსვენებას არ გვაძლევდა. ჰოდა, გადავწყვიტეთ, ისევ მათთან ავსულიყავით. ქედამდე შორი მანძილი იყო. მანქანა უნდა მოგვეძებნა. ბედად ტრასაზე ახალთახალი „გაზ-24“ გამოჩნდა აფხაზური ნომრებით. კერესელიძემ ხელი აუწია და მანქანაც გაჩერდა. შიგ ორი გაგრელი იჯდა. იარაღი არ ჰქონდათ. სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ. თხოვნა შეგვისრულეს და ფრონტის ხაზისკენ გზას მანქანით გავუდექით. ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი, რომ მანდარინის პლანტაციებში გამაყრუებელი სროლა ატყდა, მძღოლმა მანქანა გააჩერა და შიშით გადმოგვხედა. მძღოლის მეგობარს უკან გადმოჯდომა ვთხოვე. მე წინ უნდა გადავმჯდარიყავი, ავტომატი საქარე მინიდან გადმომეყო და ასე სროლით იქნებ გავმძვრალიყავით. კერესელიძემაც იგივე გააკეთა. უკანა კარის ფანჯრიდან ავტომატს ლულა გადმოაყოფინა და ჩახმახს რამდენჯერმე გამოჰკრა თითი. სროლა ცოტა ხნით შეწყდა. მძღოლი და მისი მეგობარი ხმას ვერ იღებდნენ. ბოლოს მძღოლმა გაბედა და გვთხოვა: მანქანას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც გაუფუჭდა და კაპოტს ავხდით, უარი არ მითქვამს. მანქანის კარი გააღო, მეგობარიც მიჰყვა, მიჰყვა და ორივენი სიბნელეში გაუჩინარდნენ. ვისხედით მე და კერესელიძე ახალთახალ „გაზ-24“-ში და, არ ვიცოდით, რა გვექნა. ხმაამოუღებლად გადმოვედით მანქანიდან. ქედს გამთენიისას მივაღწიეთ. ერთი საათის შემდეგ მხედრიონის დასახმარებლად რომელიღაც სამხედრო ფორმირება შეუერთდა. ჯავშანტრანსპორტიორზე ახალგაზრდა ლეიტენანტი იჯდა და გახარებული იძახდა: აფხაზების ახალთახალი „გაზ-24“ ჩამივარდა ხელშიო. კერესელიძის სახეზე ჩემდამი მომართული უშმაწური სიტყვების კორიანტელი ამოვიკითხე და გამეცინა, იმანაც გადაიხარხარა. ალბათ, ჩემს შუბლზეც იგივე წარწერა ჩანდა. გვიყურებდა ლეიტენანტი და ვერ მიმხვდარიყო, რა იყო ჩვენი უაზრო ხარხარის მიზეზი. ასე დავკარგეთ ნადავლი, ახალთახალი მანქანა მე და კერესელიძემ. იმავე დღეს ამ ფორმირების ერთი მეომარიც გავიცანით, გვარად დადიანი, ბიზნესმენი. ქალბატონ ნინელი ჭანკვეტაძის ნათესავად გაგვაცნო თავი. ტყვია-წამლის უქონლობას უჩიოდა ჯარისკაცი. იქვე მიწაზე უპატრონოდ დარჩენილი ტყვია ვიპოვე და საჩუქრად გავუწოდე. სიხარულით გამომართვა და სათუთად შეინახა. ტყვია-წამალი მიწაზე უხვად ეყარა. ამკრეფი არ ჩანდა, ერთეულების გარდა. ჩვენი ვერტმფრენი გაგრას ტოვებდა. ვერტმფრენში აწ განსვენებულმა ჩაკვეტაძემ პარლამენტის წევრმა და მხედრიონელმა ჩაგვსვა. ჩვენი ჯგუფი ქალაქს ტოვებდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ქალაქი ერთ საათში აიღეს. პრეზიდენტს, ალბათ, მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს. გაგრაში ღალატი ზეიმობდა. თბილისის რესტორნებში კი დაღუპულების სადღეგრძელოებს განსხვავებული სასმისებით სვამდნენ.

სოფელი მერკულა – უფრო სწორად, ორი სოფელი: ერთი აფხაზური, მეორე ქართული – ორივეს მერკულა ჰქვია და ერთ სოფლად ითვლება. აფხაზური კოხტა ოდები, მოვლილი ეზოებით ხელუხლებელია, ოღონდ ცარიელი: აფხაზები გახიზნულები არიან.

ქართული ალბათ, არანაკლებ ლამაზი ოდა-სახლები, ჯარგვალ-ფაცხები – დანგრეული, სახურავახდილი, მინაჩალეწილი. აქა-იქ შემორჩენილა ხელუხლებელი სახლი. ქართველს უფლება არა აქვს, აფხაზური სახლები დაანგრიოს, აფხაზური ოჯახი დააწიოკოს, დააობლოს. ქართველს უფლება აქვს მხოლოდ ქართველს წაართვას, უმუხთლოს, დაასმინოს, ზურგში ესროლოს, შემდეგ კი... შემდეგ კი ფეხზე წამოდგეს და ადღეგრძელოს იგი, პატივი სცეს, ცამდე აამაღლოს და კერპად გაიხადოს. ყივჩაღის სისხლმა იყივლა ამ ომში. ნიღაბი ჩამოიხსნა. მონური სულის პატრონებმა თავისუფლება ვერ აიტანეს და მისგან ოტებულნი სხვას ეყმნენ. ისინი ყველგან იყვნენ: მხედრიონში, გვარდიაში, პოლიტიკურ პარტიებში, უშიშროებაში და თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოებაშიც. „აპა რავა! ავთოია“ – ასეთი პასუხი მივიღე ქუთაისის გვარდიის ჯარისკაცისგან შეკითხვაზე „ავიღებთ, კუჭუნა, მერკულას?“ კი ავიღებთ, მაგრამ, ვაი ასეთ აღებას; სოფელში არავინ იყო და უკან გამოვბრუნდით. ქართული ჯარის კიდევ ერთი მახასიათებელი ნიშანი ამ ომში: დაკავებული ტერიტორიების უყურადღებოდ მიტოვება. არანაირი გამაგრება და წინ წაწევა. ერთი ნაბიჯი წინ, ორი - უკან. ასე ვიარეთ თბილისამდე, მაგრამ, სანამ ჩამოვიდოდით, მერკულა ყელში გვქონდა გაჩხერილი და უნდა მიგვეხედა.

ისევ იყივლა მამალმა, ამჯერად უჯიშომ. მზემაც ზანტად ამოანათა. საწოლიდან თავი წამოვწიე. შარას გავხედე. სოფლის მტვრიან გზას მწყობრი ნაბიჯით მოარღვევდა ხაკისფერი, ერთ მუშტად შეკრული მასა და ორივე მხარეს ასევე მწყობრად ანაწილებდა მტვერის კორიანტელს. ვერცხლისფერი მტვრის ფონზე ხაკისფერ ფორმაში გამოწყობილი ჯარის ნაწილის რიხიანი მწყობრი ნაბიჯი გულს მიკეთებდა, ყველანი მომცრო ტანის, თითქმის ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ნეპალი და გურკები გამახსენდა და ჯარს ეჭვის თვალი შევავლე (აქ ხომ ყველაფერია მოსალოდნელი), მაგრამ თვალების ფორმა ქართული ჯიშისა ჰქონდათ. ხმაც რომ ამოიღეს, ბავშვობის სოფელი ფარცხანაყანევი და გოგისვანიძეების რესტორანი გამახსენდა. ნერწყვი მომადგა. უჯიშო მამალს ვყარაულობდი მთელი დღე. ვერ დავიჭირე. დავიღალე. ასე დაღამდა. შუაღამეა. გამაყრუებელი სროლის ხმამ და ყვირილმა გამომაღვიძა. საცვლებისამარამ და ფეხშიშველმა ავტომატს წამოვავლე ხელი და გარეთ გავვარდი. ბიჭებიც გამოცვივდნენ. სულ თხუთმეტნი ვიყავით. მაშინვე მექანიკურად, სანგრებში ჩავცვივდით. ის იყო, ცეცხლი უნდა გაგვეხსნა, რომ ჩვენი ჯარის ნაწილი ვიცანით. გზააბნეულები ყვირილით მორბოდნენ უკან, წინ ტანკი მორახრახებდა. კინაღამ გადაგვთელეს. რომელიღაც მეომარმა იმარჯვა, ტანკს ავტომატის ჯერი მიუშვა და ყვირილითა და ხელების

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქნევით წინ დაუდგა. ჩვენც ამოვცვივდით. სანამ ავტომატის პატრონტაჟი არ დავცალეთ, ეს აგორებული მასა ვერ გავაჩერეთ. აფხაზები გვიტევდნენ. ჯარისკაცები დავაწყნარეთ, ათ-ათი კაცი ჩავიბარეთ და გზის ორივე მხარე გავამაგრეთ. მოულოდნელად ტყვიის სეტყვა უკანა მხრიდანაც წამოვიდა; მგონი ალყაში მომწყვდევას გვიპირებდნენ. სასწრაფოდ ათიოდე ჯარისკაცი შევარჩიე და სოფლის უკანა მხარეს გავცვივდით. შარაგზაზე მსუბუქი ავტომანქანა ჩვენკენ მოჰქროდა. ჯარისკაცები გავაფრთხილე, არ ესროლათ. მანქანამ დაამუხრუჭა; გენერალი ვაშაკიძე ვიცანი. ამ სიტუაციის შესახებ ოჩამჩირეში უკვე ყველაფერი იცოდნენ. ვაშაკიძეს მდგომარეობა ავუხსენი და ისიც დაწყნარებული უკან მიბრუნდა. საღამოს წვიმა დაიწყო. ჯარისკაცები სასაფლაოსთან გავანაწილე და აფხაზურ ცეცხლს ჩვენი ცეცხლი შევაგებეთ. მთელი ღამე წვიმას ავტომატის კაკანი ერთვოდა. აფხაზებმა სოფელში შემოსვლა ვერ გაბედეს. უჯიშო მამალს დილით არ უყივლია, სამაგიეროდ, ფერდაკარგული იოსელიანი ყვიროდა. იქვე იდგა დასავლეთ საქართველოს სარდალი (ვისაც ეს ჯარი ებარა), ვაჟკაცი და საქმის მცოდნე კი ჩანდა ეს კაცი, მაგრამ ეს ბავშვები ვინ ჩააბარა ამ დალოცვილს, ეს იყო გასარკვევი. ვეღარ მოვითმინე და გაწუწულ ჯარისკაცებს გამოვესარჩლე. იოსელიანს სიბრაზემ გადაუარა. ჯარისკაცებმა შვებით ამოისუნთქეს და სველი ფარაჯებიდან ამოძურწულ ორთქლს ამოხვნეშაც გაატანეს.

შუადღე გადასულიყო. ქართული სოფლის განაპირას ათიოდე მეომარი მოტიტველებულ ადგილზე, წრეში ვიდექით. იოსელიანი სოფლის მეორე ნახევრის აღების გეგმას ადგენდა.

ჩვენ ვუსმენდით.

უცბად, „ტკაც!“ და სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ ჩემსა და იოსელიანს შორის (ერთმანეთის პირისპირ ვიდექით) ჰაერი გააპო და გვერდით მდგომ მეომარს ყელი გაუხვრიტა.

ირგვლივ მყოფთ ფარაჯები სისხლის წვეთებით შეგვეღება. წითელ ჭიამაიებს ჰგავდნენ წვეთები. „ჩვენ გავიმარჯვებთ!“ - ეს იყო დაჭრილის ხრიალით ნათქვამი ბოლო სიტყვები. არ ვიცი, გადარჩა თუ არა.

იმავე საღამოს გამწარებულებმა მერკულა დავიბრუნეთ. ბავშვები დენთის სუნს და ავტომატების კაკანს უკვე შეჩვეულები იყვნენ. ერთი კვირა ვიდექით მერკულაში; გამარჯვების შემდეგ, გამომშვიდობებისას ოჯახის მასპინძელს - ვახტანგ ქობალიას ფაცხაში მიგდებული ფერდებშელეწილი სპილენძის თუნგი ვთხოვე საჩუქრად, ნატურმორტისთვის გამოვიყენებ-მეთქი. ქობალიას გაოცებისგან ენა დაება, წამით შეჩერდა, ნატურმორტი, ვერ გაეგო, რა იყო, მაგრამ სპილენძის თუნგს მივარდა და სიხარულით ხელებში შემაჩეჩა. მოხუცს თვალებიდან ცრემლი სდიოდა: თან უხაროდა, თან ტიროდა. უხაროდა, ალბათ, იმიტომ, რომ რაღაც მაჩუქა. ტიროდა, ეგებ იმიტომ, რომ ვტოვებდით. შემდეგ ვის დარჩა მერკულა, ვერ გეტყვით. ომმა მონასტრული, დუმილის დაცვისა და საიდუმლოს შენახვის ტექნიკა გამომიმუშავა.

სოფლის მტვრიან შარაგზას ჯარისკაცებისთვის კორძიანი ხელი ჩაეკიდა და ფეხაკრეფით, ჩუმად, მორჩილი, დასიცხული პირუტყვივით მიერეკებოდა ოჩამჩირისკენ. უჯიშო მამლის ყივილი გვაცილებდა. უხაროდა უჯიშოს. ასე ვიარეთ ოჩამჩირემდე. ქალაქში გამეფებული განუკითხაობის აღწერას აღარ შევუდგები. ვინ არ იყო აქ. პოლიცია, მხედრიონი, გვარდია, ყაჩაღთა ჯგუფები, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქობალიაც, თავისი მეომრებით.

ქალაქი ჭრელ მანტიაში გახვეულიყო და ამ სიჭრელეში მოკიაფე სხვადასხვა ფერის მიხედვით ცალ-ცალკე იკრიბებოდა მრევლი. რაზე ბჭობდნენ, რა გეგმებს ადგენდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ვერ გაიგებდით. ამ პიროვნებებს უკვე ჩაებღუჯათ დიდი პოლიტიკური საჭე, სხვა დანარჩენი კი, რაც მთავარია, ძირითადი - საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა, - ალბათ, წერილმან ამბებად ეჩვენებოდათ.

ერთადერთი პიროვნება, რომელიც ამ სიჭრელეს არ გაჰკარებია, პრეზიდენტი შევარდნაძე იყო. ხაკისფერ უპატრონო ჯარისკაცებს კი შუბლზე „ლა მორტ“ ეწერა. მთელი თვე ითარეშა ოჩამჩირეში ყაჩაღთა ერთმა ჯგუფმა. ბოლოს მკვლელობებიც მოხშირდა. აქ კი ბიჭების ერთმა ჯგუფმა ფაქტზე წაასწრო მკვლელებს, თავი თვითონაც მკვლელებად გაასაღეს და რაღაც მაქინაციებით ორივე ჯგუფმა ოჩამჩირის სამხედრო შტაბში ამოჰყო თავი. იქ რა მოხდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი კი ვიცი - მამულაიშვილი გამოექცა მკვლელებს შტაბიდან და ღამის სამ საათზე ჩვენს ოთახში შემოვარდა: გაიღვიძეთ, „მოროდიორებმა“ შტაბი აიღეს და ქალაქიდან გაქცევას აპირებენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში მე, სიკო, ვანო და დანელია ვიყავით. ორი წამი დაგვჭირდა გონს მოსაგებად. შიშველი ფეხები ჩექმებში ჩავყავი, ჯარისკაცის ფარაჯასა და ავტომატს ხელი დავტაცე და გარეთ გავვარდი. დანარჩენები უკვე გარეთ იბრძოდნენ. მკვლელებს ჯავშანტრანსპორტიორის გატაცება და ქალაქიდან გასვლა უნდოდათ, მაგრამ მამაზეციერმა დასაჯა ურჯულონი. იმათ ერთ-ერთ მეომარს ხელში ყუმბარა აუფეთქდა. ამ არეულობით ისარგებლა ჯგუფმა და ყველა დაატყვევა. პირველი შემთხვევა იყო, როცა მკვლელები გაასამართლეს. აქ დაიჭრა პირველად ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შვილი. დაჭრილს მოვეფერე და ჩაი დავალევინე, შემდეგ აღარ მინახავს. ჩვენი გზები გაიყარა. მე ტამიშში ამოვყავი თავი, ტამიში-სასაკლაო. რუსეთის ავიაციამაც არ დაკლო ხელი ამ ქართულ მიწას. ნაცარტუტად აქცია სოფლის ერთი ნაწილი და შეტევაზე გადასული ლანჩხუთის, რუსთავის, ბორჯომისა და თბილისის მხედრიონის ნაწილი ორ წუთში გადამწვარი სოფლისკენ მოაბრუნა. პირველად გამოვცადე, რა ძალა ჰქონია ავიაციას. გზააბნეულ, მოფუსფუსე ჭიანჭველებს ვგავდით, ბუდეს რომ დაუნგრევენ და ისინიც უხმოდ, საცეცებით ერთმანეთს ატყობინებენ. რატომ? იმიტომ, რომ რუსი გენერლის ერთი ჯგუფისა და არძინბას აზრით, არ შეიძლება ქართული მიწის ამ ნაწილზე ბუდის გაკეთება. არა. ამ „არას" წაშლას კი მოახერხებს ქართველი ერი გენერლების შუბლიდან, მაგრამ ჟურნალისტი ხოლოდოვის, და არა მარტო ხოლოდოვის, მკვლელობას კი რუსმა ერმა უნდა მიხედოს. ისიც ისეთივე მეგობარია ჩემთვის, როგორც საშკა იოსელიანი, ნუკრი ცისკაძე, ომარ ჯიბუტი, ლატარია, ყორანაშვილი და სხვა მოკლული თუ უგზოუკვლოდ დაკარგული. ჩემთვის სიმართლისათვის მებრძოლი რუსი და უკრაინელი, ბელორუსი და სომეხი, თათარი და ამერ-იმერი - ყველა ერთია.

მერამდენეჯერ ვუტევთ ტამიშს, უკვე აღარ ვითვლი. აქ დაიჭრა თორნიკე ბერიშვილი, იოსელიანის დაცვის ერთ-ერთი წევრი - „წესრიგა". აქ დაიღუპა პირველად სნაიპერის ტყვიამ საშკა იოსელიანი. დადიოდა ფრონტის ხაზზე მოხეტიალე რაინდი მარტოდმარტო კინოაპარატით ხელში და აღნუსხავდა ყველაფერს, რისი დანახვაც უბრალო მოკვდავს არ შეეძლო. აქ გადაღო პირველად ავტომატი ექიმმა ლევან ლორთქიფანიძემ და დასტაქრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. საჩუქრად კი ერთ-ერთი დაჭრილის სხეულიდან ამოღებული მტრის ტყვია დაიგულა. ლევანის მარჯვენას უმადლოდა ეს მეომარი გადარჩენას. აქ აფეთქდა ნაღმზე დუშეთიდან წამოსულ ექიმთა ერთი ჯგუფი. მგონი, აქ დაეღუპა ძმა და ბიძა ლანჩხუთის მხედრიონის მეთაურს.

აქ, ამ ომში გაუჩნდა ბზარი ჩემი გამარჯვების რწმენას. მსხვერპლი ჩვენთან უფრო მეტი იყო, ვიდრე მტერთან. აქ შეუერთდა დენთის სურნელებას ხრწნადი სხეულის სუნი.

თავით ფეხამდე ტალახში ამოსვრილი მეომარი ფრონტის ხაზიდან მარტოდმარტო, კოჭლობით მოათრევდა წყლით სავსე ჩექმებს და იარაღს (სამხედრო ნადავლს), მაღლობი ამოიარა და ნაწილს მიუახლოვდა თუ არა, იქვე ჩამოჯდა, ჩექმები გაიხადა, წყალი გადმოასხა, ისევ ჩაიცვა და წელში გაიმართა. უკან მოტრიალდა და ცხედრებით მოფენილ ტამიშს დაბლობს მაღლობიდან გადმოხედა. ისევ მოტრიალდა და გზა გააგრძელა. გამარჯვებულს გამარჯვებისა შუბლზე არა ეწერა-რა. ეს საცოდავი ჯარისკაცი მე ვიყავი. რაც უფრო მოკლე იყო ბრძოლით გაველილი ბილიკი, მით უფრო მეტი იყო დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ყველაზე გრძელი სოხუმისკენ მიმავალი, ჯარისკაცის ჩექმებით გატკეპნილი ბილიკი იყო. აქ გამობრწყინდა ჭეშმარიტება მთელი თავისი სიმშვენიერით, აქვე ბევრისთვის (ჩვენდა საუბედუროდ) ბურუსით შეიმოსა იგი.

„ყველაფერი ბურუსით არის მოცული"-ო - ეს იყო ფილოსოფოს დავით თევზაძის პირველი სიტყვები, რომლითაც მან მომმართა საქართველოს ერთ-ერთ აეროდრომზე. რიგითმა და პოდპოლკოვნიკმა ერთმანეთი მოვიკითხეთ და გადავკოცნეთ. მის პროფესიონალიზმში, ვაჟკაცობასა და ერთგულებაში ეჭვი არასდროს შემეპარება იმიტომ, რომ კარგა ხანია, ვიცნობ - რაგბს ერთ გუნდში, თბილისის „სპარტაკში" ვთამაშობდით.

თვითმფრინავი, რომელშიც ჩვიჯექი, ჯარისკაცებით იყო სავსე. მგონი „ავლანელებიც" იყვნენ. რომელიღაც ალყაშემორტყმულ ფორმირებას უნდა დავხმარებოდით. თვითმფრინავში გამოკეტილები მთელი დღე უქმად ვისხედით. ბოლოს დიდი თხოვნისა და ძალისხმევის შემდეგ, თვითმფრინავი დავტოვეთ. ქვემოთ ჩამოვედით. მაშინ დავინახე იქვე მარტოდ მდგომი დანაღვლიანებული პოდპოლკოვნიკი - ბატონი დავით თევზაძე. გამეხარდა, მივედი და ვუთხარი: დათო, ასე რატომ გვაყოვნებენ, ხომ დაიკარგა ამდენი ხნის განმავლობაში ეს ტერიტორია-მეთქი? სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედ მაშინ აღმოხდა ზემოთ ხსენებული სიტყვები. ხელი ჩავიქნიე. როდის გავფრინდით, აღარ მახსოვს.

თბილისის აეროდრომიდან მილიციის თანამშრომელი თვალებზე ცრემლმომდგარი მაცილებდა – მერაბ რუხაძე. იქვე იდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მეორე თანამშრომელი, უცნობი მამაკაცი, თუმცა ერთხელ უკვე მყავდა ნანახი ქალაქ ფოთში, ნავსადგურის უფროსის კაბინეტში. მაშინ ნავსადგურის უფროსს პირადობის მოწმობა გავუწოდე და ვთხოვე, კატარღით ფოთიდან სოხუმში გადავეყვანე. საომრად მარტო მივდიოდი: ნავსადგურის უფროსმა პირადობის მოწმობა გადაიკითხა, ფეხზე წამოდგა, რაღაც გაუკვირდა, დამლოცა და ერთი რიგითი მილიციელის თანამშრომელი თან გამაყოლა მეგზურად სოხუმამდე. აეროდრომზე ახლა სწორედ ეს მამაკაცი იდგა. მხოლოდ ეს ვიცი – შინდისფერი, უცხო მარკის ავტომანქანა იქვე ჰყავდა გაჩერებული. მადლობის მეტი რა მეთქმის მათ მიმართ. ორივე ერთნაირი განცდით მაცილებდა. ერთი მეგობარი, მეორე – უცნობი; თან – თვითმარქვია მხედრიონელს – მილიციის თანამშრომლები. ალბათ, არის რაღაც ისეთი, ამ სისხლით გაჟღენთილ ქართულ მიწაზე, რაც ზოგჯერ ნაცნობს და უცნობს, მტერს და მოყვარეს გვაერთიანებს, ერთ ბედ ქვეშ გვაყენებს. ალბათ, ამიტომაც გვეცილებიან ამ კურთხეულ მიწა-წყალს.

მხატვრებს, პროფესიიდან გამომდინარე, ერთი თვისება აქვთ: წაკითხულისა თუ დანახულის ცნობიერებაში აღბეჭდვა, მისი გაანალიზება, შემდეგ კი ამ ფენოტიპის ტილოზე გადმოტანა და ფართო საზოგადოებისთვის ჩარჩოთი თუ უჩარჩოოდ წარდგენა.

ამჟამად იმას აღვწერ, რაც სოხუმში ვნახე. ანალიზი კი თქვენთვის მომინდვია. საითაც უნდა მიეპყრო მზერა შინაურის თუ უცხოს, ბროუნის მოძრაობას დაინახავდა სოხუმის ყოფაში. მტრის დაზვერვა უკვე იყო ქალაქში და შიშით თუ თავისი უვიცობით გაბრუებული ქართული ჯარი 10-20 კაციანი ჯგუფებით სოხუმის ხან ერთ, ხან მეორე უბანში გადაჰყავდა და იქ ხოცავდა ჩუმად და უმტკივნეულოდ. ასე მოკლეს ბატონი ქ. შარტავა.

სოხუმის ერთ-ერთ მოედანზე მხედრიონს ტყვია-წამალს ურიგებდნენ. იქვე, შორიახლოს კოტე გაბაშვილი დავინახე. ერთმანეთს მივესალმეთ. თქმით კი არაფერი გვითქვამს. ტყვია-წამალი გავინაწილეთ და ასიოდე მეომარი სასწრაფოდ სოხუმის ერთ-ერთ უბანში გადაგვიყვანეს, საიდანაც თავდასხმას ელოდებოდნენ. მოასფალტებული გზა მაღლა გორაკებისკენ მიიკლაკნებოდა. ამ გზამ ჩაგვკიდა ხელი მე და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას. აქ იყვნენ პაატა მილორავა, ნუკრი ცისკაძე, ვალერი ვაშაკიძე, ლევან ლორთქიფანიძე და მხედრიონის ძველი მეომრები. გზამ ერთ-ერთ სოფელთან მიგვიყვანა. ქვემოდან, გზის მარცხენა მხარეს, სასაფლაო მოჩანდა, მარჯვენა მხარეს კი ქართული ოდა-სახლები. სოფელში ასვლამდე შევისვენეთ. ჯგუფებად დაგვყვეს და პოზიციები გაგვინაწილეს. წინამძღოლობა მხედრიონის რომელიღაც ჯგუფმა ითავა, სასწრაფოდ წინ გაიჭრა და ჩვენც მივყევით. ჯგუფი ისე სწრაფად მოძრაობდა, გზის მოსახვევში მისი კვალიც კი გაქრა. დაბნეული მიბობღავდა ქართული ჯარი შარაგზაზე, პირველი ჭრილობაც ამ შარაგზამ მიიღო. თითქოს სხეული ეტკინაო, სასწრაფოდ აიბერტყა ყუმბარის ნამსხვრევები და მეომრებს გაუნაწილა. ერთი ასეთი ნამსხვრევი ქერათმიან მომცრო ტანის მეომარს მოხვდა და ფეხი მოაგლიჯა საცოდავს. უკვე საკმაოდ შეთხელებული ჯარი გზის ორივე მხარის გაყოლებაზე თხრილში გადაეშვა. დაბომბვა უკვე კანტიკუნტად, მაგრამ მაინც გრძელდებოდა. მე ვაშაკიძესთან ერთად გზის მარცხენა მხარეს – სოფლის სასაფლაოზე აღმოვჩნდი. აქ აღმართული მარმარილოს სვეტები საკმაოდ კარგი საფარი აღმოჩნდა. ათიოდე წუთის შემდეგ დაბომბვა შეწყდა. ის იყო, საფარიდან გამოსვლას ვაპირებდით, უეცრად მოპირდაპირე მხრიდან ისეთი ტყვიის წვიმა წამოვიდა, რომ თავი ვერ ავწიეთ. ავტომატის კაკანი სულ უფრო ახლოვდებოდა. დღესაც არ ვიცი, ქართველ მეომრებს ეცვალათ მხარი თუ აფხაზები გვიტევდნენ. ვალერი ვაშაკიძემ გადმომხედა, რა არ ამოვიკითხე მის თვალებში: ხვეწნა, მუდარა, ბრძანება, მაგრამ არაფერმა გაჭრა, მაინც ჯიუტად ვიყავი გადაფარებული ვიღაცის საფლავს, თითქოს მზად ვიყავი მისი ძვლების დასაცავად სიცოცხლე გამეწირა. ავტომატის კაკანი ძლიერდებოდა და ტყვიამ მარმარილოს სვეტებს შორისაც მონახა გასაძრომი. დაღუპვა გარდაუვალი იყო. მაშინ კი მოვეგე გონს, ჩემი თავი ჯანდაბას, მინისტრს რაღას ვერჩოდი. იძულებული გავხდით უკან დაგვეხია და უკვე გზის მარჯვენა მხარეს გადავსულიყავით. აქ სახლებში მოვნახეთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სხვა წევრები. მხედრიონიდან მე, ლევანი და ნუკ-

რი შემორჩით (არ მახსოვს, შეიძლება სხვაც იყო). ეს პატარა ორსართულიანი სახლი, რომელიც შემდეგ ციხე-სიმაგრეს დაემსგავსა და რომელმაც სულ ბოლოს ოთხი მოკლული მოისაკლისა, ექვსი დაჭრილის და ერთი თქვენი მონა-მორჩილის თავშესაფრად იქცა. ტყვიამ მხოლოდ ავთო ნიქაბაძე, ამ სტრიქონების ავტორი დაინდო. დაინდო მხოლოდ იმიტომ, რომ, ალბათ, იმ პაწია ბავშვის ხელით ლოცვა-მინაწერი ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა. უკვირდა პაატა მილორავას, მიკვირდა მეც. არც ერთი ნაკაწრი სხეულზე, მხოლოდ მეორე დღეს თბილისში გაირკვა, რომ კონტუზირებული ვიყავი. იძულებული გავხდი, ქალაქის პირველ საავადმყოფოში მემკურნალა. ჯერ კი, როგორც მოგახსენეთ, ბიჭები ზემოთ ხსენებულ სახლში შევიკრიბეთ. შუადღე გადასულიყო. სროლაც შეწყდა. რამდენიმე მეომარი გარეთ გავედით და ადგილმდებარეობის დათვალიერებას შევუდექით. გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ სახლებში ხუთ-ხუთი, ზოგან უფრო მეტი მეომარი გამაგრებულიყო. რა ფორმირება იყო, ვერ გავარკვიეთ. ჩემი აზრით, ძირითადად ადგილობრივები იყვნენ. აქ შარაგზაზე გამოჩნდა ერთი რუსი, სოხუმში მცხოვრები მეომარი, წარმოშობით ციმბირელი, გვარად, მგონი, კრიუკოვი (სოხუმის დაკარგვის შემდეგ ორივენი ცალ-ცალკე, შემთხვევით და ბედის განგებით „არამიანცის“ საავადმყოფოში აღმოვჩნდით. კრიუკოვი გამართულად ვეღარ მეტყველებდა - თავში იყო დაჭრილი და ენას უკიდებდა. მგონი, აზროვნებაც უჭირდა). კრიუკოვს გამოვკითხე სიტუაცია. მანაც იმ მხარეს გაგვიყვანა, საიდანაც მოწინააღმდეგეს ველოდით. სოფელი მთავრდებოდა. გზა ორ გორაკს შუა იჭრებოდა და მოსახვევში უჩინარდებოდა. მარცხნივ, ტრიალი მინდვრის ბოლოს, გორაკის ძირში სკოლის თუ კლუბის ნახევრად დანგრეული შენობა იდგა. ეს იყო ბოლო სიმაგრე ქართული ჯარისა. გზაზე მტრის აფეთქებული ჯავშანტრანსპორტიორი იდგა. ამ შენობაში სამი თუ ოთხი ჯარისკაცი და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უცნობი დამხვდა. ერთი შავმაისურიანი ბორჯომის მხედრიონიდან იყო (თავი ასე გაგვაცნო), ორს გვარდიელის ახალთახალი ფორმა ეცვა. პირველად ვნახე სრული სამხედრო აღჭურვილობით (ავტომატი, ყუმბარმტყორცნი, ჯავშანჟილეტი, ჩაჩქანი და სამხედრო დანა) ქართული არმიის ჯარისკაცები. აშკარად ეტყობოდათ, რომ სამხედრო წესდების ფრიადოსნები იყვნენ. დამტვერილი, დენთის სუნისგან გაჟღენთილი სამხედრო ფორმის საკინძეც კი შეკრული ჰქონდათ ამ სიცხეში. იქვე ქვაზე კი უცნობი იჯდა. არც იარაღი ეჭირა ხელში, არც მეომარს ჰგავდა. გამოველაპარაკე. რაღაც მიკიბ-მოკიბა, ჩემს კითხვებს თავი აარიდა. სახე და თვალები ნაგვის ბუნკერში დაბუდებულ, რაღაცის თუ ვიღაცის მომლოდინე შეშინებულ ვირთხას მიუგავდა. უნდა დამეხვრიტა, მაგრამ ვერ გავბედე, მე ხომ რიგითი ჯარისკაცი ვიყავი. მოკლედ, შევცდი. კრიუკოვს ვუთხარი, უკან ბიჭებთან მივბრუნდეთ-მეთქი და შარაზე გავედით. მხარზე გადებული მტრის ჯავშანტრანსპორტიორიდან მოხსნილი ტყვიამფრქვევი კრიუკოვს ხენეშით მოჰქონდა. მივეხმარე, გზა გავაგრძელეთ. იგი მიამბობდა თუ როგორ აჩეხა ნაჯახით ორი რუსი დაქირავებული ჯარისკაცი, სანამ იარაღს იშოვიდა. რუსების, ჩეჩნების, აფხაზების დაქირავებული ჯგუფები კარგა ხანია თავისუფლად დათარეშობდნენ სოხუმის ირგვლივ მდებარე სოფლებში. ერთხელაც კრიუკოვს წყაროსთან შეხვედრიან. რუსებს გახარებიათ თანამოძმის ნახვა და საუბარი გაუბამთ. კრიუკოვს არ მოსწონებია მათი მსჯელობა, არ დაუყოვნებია და თავები ნაჯახით წაუცლია, კოკა წყლით აუვსია და უკან გამობრუნებულა იარაღით ხელში. ერთხელაც, მტრის შემოტევის დროს, სანგარში უიარაღო ქართველი მეომარი უნახავს, სახლში შესულა და ნაალაფარი თოფი „ჰოლანდ-ჰოლანდი“ ჩაუბარებია. ამით იომე დროებითო, მტრის შემოტევის დროს ისე აორთქლებულა თოფთან ერთად ეს კაცი, რომ ამ სიმართლისა თვითონაც აღარ სჯეროდა უკვე. ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი, თუ ეს სამართალია. სისხლისგან იცლებოდა ქალაქი, ამ „ქართველს“ კი მაინც ყაჩაღობისკენ ეჭირა თვალი. საუბარში ჩათავდა გზა. სახლს მივუახლოვდით. მეზობლის ეზოში ხალხი შეკრებილიყო; ეტყობოდა, ვიღაც თვითმარქვია სარდალი, როგორც ყოველთვის გამარჯვების გეგმას ადგენდა. მეომრები ფაციფუცობდნენ, ხელებს იფშვნეტდნენ და, მგონი, ნანატრი ოცნების მოლოდინში იყვნენ. მარაქას მეც შევუერთდი. გაირკვა, რომ მოვლენილი სარდალი გამარჯვების გეგმის შედგენის მაგივრად ძროხის დაკვლის გეგმას სთავაზობდა მეომრებს, თანაც ფრონტის წინა ხაზზე. კრიუკოვს ყველაფერი მოვუყევი და ვკითხე, ხომ არ იცნობდა მეომრის ფორმაში გამოწყობილ ამ სატანას. არა, არ მინახავსო, იყო სოხუმელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი. მან ტყვიამფრქვევი ჩვენთან დააბინავა და გარეთ გამოვიდა. სატანაზე ნადირობა გადაწყვიტა, ალბათ. ხანმოკლე აგიტაციის შემდეგ დამშეული მეომრები მიხვდნენ, რომ თავი მარყუჟში ჰქონდათ გაყოფილი და ცეცხლის დანთებას და ძროხის დაკვლას საკუთარი სიცოცხლე ამჯობინეს. ბრბო დაიშალა. მზეც დაიღალა ჩვენი ყურებით, გორაკებს მიღმა ჩაცურდა და ძილს მისცა თავი. დაბნელდა. მთვარის მორიგეობამ მოაწია. ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამოჩნდა და არემარე გაგვინათა. სიომაც დაუბერა და ხრწნადი გვამების სუნი ჩვენს პატარა სიმაგრეში შემოაპარა... ამით, ალბათ, ჩვენდა სასიკეთოდ გვაფრთხილებდა, დაღლილებს ღრმად რომ არ ჩაგვძინებოდა. სიოს, თაგვებზე მონადირე კატის სიფრთხილით, უცნობი შემოჰყვა. ხელში თეთრი ზეწარი ეჭირა. გვამების ასაკრეფად გვეპატიჟებოდა უიარალო უცნობი. ხმა არავის ამოუღია. გარეთ გავყევი. „ტრიალ, განათებულ, გვამებით მოფენილ მინდორზე თეთრი ზეწრით ხელში მშვენიერი სამიზნე ვიქნები სნაიპერისთვის“ – ხმამაღლა ნაფიქრალმა უცნობი დააფრთხო და, როგორც შემოიპარა, ისე ჩუმად, ფრთხილად გაიპარა. უკან დავბრუნდი და მიწაზე წამოვწექი. ბიჭებიდან ზოგი ძილს ებრძოდა. ნახევარი საათის შემდეგ კი სოფლის განაპირას მდებარე დანგრეული სკოლისა თუ კლუბის შენობაში გაცნობილი, შავმაისურიანი მხედრიონელი შემოვიდა და საბრძოლო დავალება გაგვაცნო. ჯგუფი გამოფხიზლდა, ტრიალი, აყროლებული მინდორი ფეხაკრეფით გადავიარეთ და ნაცნობ შენობას მივადექით. მეთაურმა აქ დარჩენა გვიბრძანა. რაში გამოიხატებოდა საბრძოლო დავალება, ვერავინ გაიგო. შენობაში შევიპარე. ბუნკერის ვირთხისა და იმ ორი ჯარისკაცის ბედიღბალი მაინტერესებდა, რომლებიც წინა დღით ვნახეთ მე და კრიუკოვმა, ვირთხა გაპარულიყო. ის ორი ჯარისკაცი კი ვიღაცას ჩაეყლაპა, ალბათ, ღალატის წყალობით. შენობიდან გამოვედი. ბიჭები, როგორც დავტოვე, ისევ იმ პოზაში იდგნენ გაქვავებულები. ამის დანახვაზე უნივერსიტეტის სამხედრო კათედრა გამახსენდა. თვალწინ წარმომიდგა პოდპოლკოვნიკი ოსმანოვი და მოსკოვიდან მოწვეული მაიორი ფროლოვი. გამახსენდა სამხატვრო აკადემიის სამოქალაქო თავდაცვის პედაგოგი ლასკალი და ისიც, რომ ჩემი რუსული სამხედრო წიგნაკით უფროს ლეიტენანტს ჯარის ქიმიური ნაწილის ოცმეთაურობაც შემეძლო თურმე. გზააბნეულ მეთაურს ეს ყველაფერი მოვახსენე და ახლა მე დავუწყე გამწარებულმა მტკიცება, რომ ამ შუაღამისას ჩვენს აქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა. მშვენიერი სამიზნე ვიქნებოდით გაპარული ვირთხისათვის. ამას რომ ვუხსნიდი შავმაისურიანს, გვერდით მინისტრი ვალერი ვაშაკიძე მედგა. ალბათ, იმასაც, ნახევარ საქართველოსთან ერთად, რუსული სამხედრო ბილეთი ჰქონდა სახლში გამოკეტილი. ვიღაცის დავალებით დანიშნული მეთაური შეშინდა და ისიც დამარცხებული ტოვებდა ქართველთა გვამებით მოფენილ, განათებულ, ტრიალ მინდორს. ამასობაში ჩვენს ჯგუფს წითლად მოელვარე მგეზველი ტყვიების წვრილმა ზოლმა რამდენჯერმე გადაუარა თავზე. ვირთხა წუხდა, რომ საკბილოს უშვებდა ხელიდან და ბუნკერიდან ნიშანს აძლევდა კოლეგებს. ჯგუფი გამთენიისას დანაკარგის გარეშე მიბრუნდა თავის ძველ, პატარა ციხესიმაგრეში. უკვე თენდებოდა, ძილი არ მეკარებოდა და მეზობელი სიმაგრეების დათვალიერება გადავწყვიტე. ერთ-ერთი ეზოს ჭიშკარი შევაღე და სახლის წინ სკამზე ჩამომჯდარი უცნობისკენ გავემართე. უცნობს ჯარისკაცის ფორმა ეცვა, ავტომატიც იქვე კედელზე ჰქონდა მიყუდებული; თავი მაღლა აეწია და, ალბათ, მზეს დროზე ამოსვლას ევედრებოდა. მივუახლოვდი და გვერდით მივუჯექი. ჩეჩნებმა და აფხაზებმა ამოწყვიტეს მთელი სოფელი, მოსახლეობას ახალგაზრდა ქალი მოუძღოდა წინ იარაღით ხელში. არ დაინდო ურჯულომ არც ბავშვი, არც ქალი და არც მოხუცი: ამოჟლიტეს სუყველანიო, ყვებოდა სვანი და უცრემლოდ თვალდაშრეტილი ტიროდა. რომელ სოფელში დატრიალდა ეს ბარბაროსობა, არ მიკითხავს. ხმა ვერ ამოვიღე. ან კი რით უნდა მენუგეშებინა. კარგა ხანს ვისხედით ასე. ორივენი უაზროდ ვიყურებოდით მაღლა, მწვანედ შემოსილი გორაკის მწვერვალისკენ და, ალბათ, მზის ამოსვლას ველოდებოდით, რათა ჩამოვარდნილი სიკვდილნარევი სიჩუმე როგორმე დაგვერღვია. ასეც მოხდა. ამოანათა. „გათენდა!“ – ვთქვი და სვანი დავტოვე. გზას სახლისკენ გავუყევი. ავისმომასწავებელი სიჩუმე მაცილებდა. ეზოები მოყაყანე ჯარისკაცებისაგან დაცარიელებულიყო, ალბათ, სძინავთ, გავიფიქრე და ჩვენს სიმაგრეს გავხედე. იქაც სიჩუმე ჩამოწოლილიყო. მაგრამ, კარგად რომ დავაკვირდი, შევნიშნე, ბუხრიდან ბოლი ამოდიოდა და ცისკენ ტაატით მიიკლაკნებოდა. ამის შემხედვარემ კინაღამ გონება დავკარგე და სახლისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიქეცი. შევედი თუ არა, ეს სურათი გადამეშალა თვალწინ: ძროხის დაკვლის უკვე ნაცნობი ორგანიზატორი რკინის ღუმელთან მიმჯდარიყო და ისედაც გამოტენილ ღუმელს ძალით ატენიდა შეშას. ღუმელზე გვერდებშელეწილი გამურული ჩაიდანი ქშინავდა და თითქოს იხვეწებოდა, - ხალხო! გადმომდგით, ხომ ხედავთ, წყლისგან ვიცლებიო. დარბაზში ღუმელისა და ამ უცხო კაცის გარდა ვერავინ დავინახე. აირია მონასტერი. ყვირილი და დედის გინება მესმოდა მხოლოდ. უცხოს ვიღაცამ ავტომატი წაართვა, მგონი, ხელიც გაარტყეს. როგორ მინდოდა, კვამლი უკვალოდ გამქრალიყო. ის კი თითქოს ჯიუტობდა, სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. ბოლი, ალბათ, სოხუმიდანაც მოსჩანდა. ბიჭები გამოფხიზლდნენ. გადაწყდა, შტაბში ვალერი ვაშაკიძე და ლევან ლორთქიფანიძე ჩასულიყვნენ. დამხმარე ძალისა და ტექნიკის გარეშე, ამ მოზღვავებული ვიგინდარების იმედად სოხუმის შემოსასვლელს ვერ დავიცავდით. მათ ჯერ წასვლა არ უნდოდათ, მაგრა ბოლოს მიხვდნენ, რომ ასე უაზრო სიკვდილს, მხოლოდ ავტომატით ხელში, აზრი არ ჰქონდა. წავიდნენ. ზუსტად 10 წუთის შემდეგ ყუმბარის ხმამ ყველანი მიწას გაგვაკრა. საფარი მოვძებნეთ, იარაღი მოვიმარჯვეთ და უმწეოებმა სიკვდილს თვალებში პირნათლად ჩავხედეთ. „ბიჭებო, ყუმბარა ჩვენს ეზოში ჩამოვარდა“ - ჩამესმა ნუკრი ცისკაძის სიტყვები და თავი ავწიე. იგი კართან იდგა და სადღაც შორს, შორს იყურებოდა, თან, ეტყობოდა, რაღაცაზე ფიქრობდა, ალბათ, სახლში დატოვებულ ფეხმძიმე მეუღლეზე. „დაწექი“ ესღა მახსოვს, რომ დავუყვირე და ანაზდად ჩვენი სიმაგრის რკინის ფართო კარს გავხედე. დენთის სუნი და ცეცხლის ალი შემოვარდა რკინის კარის ქვედა ღრიჭოდან. ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს. სახლის მასირებული დაბომბვა დაიწყო. გარეთ როგორ აღმოვჩნდი, არც ეს მახსოვს. პაატა მილორავას ხმამ გამომარკვია. დაჭრილებს სახლი დაეტოვებინათ და გვერდით სახლში გადასულიყვნენ. პაატა ჭრილობებს თავისი ხელით იხვევდა. ჩემი უვნებელი გადარჩენა გაუხარდა და მთხოვა, სახლიდან ბიჭების ავტომატები გამომეტანა. მაშინვე შევტრიალდი, ავტომატებს ხელი ვტაცე და უკანვე გამოვბრუნდი. ყურში ვიღაცის კვნესა ჩამესმა. ავტომატები ბიჭებთან დავყარე და ისევ მოვბრუნდი. კართან ნუკრი ცისკაძე კვნესოდა; მძიმედ იყო დაჭრილი, მთელი სხეული სისხლით ჰქონდა მოსვრილი, ცერა თითი კი კანზე ეკიდა. - მომაჭერით! - მეხვეწებოდა. თხოვნას ყურადღება არ მივაქციე და გარეთ ხოხვით გადმოვიყვანე. ფეხზე ვეღარ დგებოდა. დაჭრილებს ჩავაბარე და ისევ უკან შევბრუნდი. სამი მოკლული დავთვალე.

სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდათ. სასწრაფო დახმარების მანქანა გვჭირდებოდა. ჩემს გარდა ჯგუფიდან ყველა დაჭრილი და მოკლული აღმოჩნდა. დრო აღარ ითმენდა. ფეხზე დგომა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ დაჭრილს შეეძლო; თან გავიყოლე და სოხუმისაკენ დავეშვით. დაბომბვა დაიწყო. ბომბავდნენ ქალაქის მხოლოდ იმ ნაწილებს, სადაც ქართული ფორმირებები იყო ლოკალიზებული. განკარგულებებს უკვე რაციით შეიარაღებული ვირთხები იძლეოდნენ. პრეზიდენტზე დანირობა კარგა ხნის გამოცხადებული იყო. ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩვენი დაზვერვა (თუკი საერთოდ არსებობდა და თუ საერთოდ ხელმძღვანელი ჰყავდა!) არასდროს ყოფილა. მტრის დაზვერვამ პრეზიდენტის ესკორტის გადაადგილების ყველა მარშრუტი ზეპირად იცოდა. ორჯერ კინაღამ საწადელსაც მიაღწიეს, ორჯერ ასცდა შევარდნაძის მანქანას ქვემეხის ყუმბარა. ვერ გათვალეს; ალბათ, მძღოლმაც ივაჟკაცა.

როგორც იქნა, ქალაქამდე მივაღწიეთ. დაჭრილთან ერთად რომელიღაც ფორმირების შტაბში შევედი. რაციასთან მჯდომ სამხედროს სიტუაცია ავუხსენი და მედიკამენტები და მანქანა ვთხოვე. მომისმინა და ყოველგვარი რეაქციის გარეშე თავისი საქმე გააგრძელა. ალბათ, სოხუმის ერთი ნაწილი უკვე აღებული იყო. დაჭრილი ჭრილობებს თვითონ იხვევდა. გარეთ გამოვედი. ქართული ჯარი დაჭრილებთან ერთად ვიწრო ზოლად, ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად ერთი მიმართულებით - აეროპორტისკენ მიიწევდა. სასწრაფო დახმარების მანქანა ჩვენი პოზიციებისკენ დაიძრა, მე და დაჭრილი კი სხვებს შევუერთდით და გზა მათთან ერთად გავაგრძელეთ. რაიკომის შენობას მივუახლოვდით. ნაცნობი სახეები დავინახეთ და გადავწყვიტეთ, შენობაში შევსულიყავით. შენობაში ლევანი და ვალერიც გამოჩნდნენ. ტიროდა მინისტრი - მისი მეგობარი ნუკრი გარდაცვლილიყო. მანქანას დაჭრილ-დახოცილები უკვე ჩამოეყვანა. ვიღაცის კაბინეტში შევედით. სადაც სამოქალაქო პირები და სამხედროები ირეოდნენ. შარტავას ელოდნენ. არ იცოდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მასზე უკვე ინადირეს და საწადელსაც მიაღწიეს. დროის რაღაც მონაკვეთში კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. ვალერი ვაშაკიძე შემოვიდა. მიცვალებულთათვის საველე სასახლე არ ჰქონდათ. ჰოსპიტალიდან უნდა მოეტანათ. ჯერ არავინ იცოდა უკვე შევიდა თუ არა ჰოსპიტალში რუსულ-აფხაზური ჯარი. ჰოსპიტალი სოხუმის განაპირას იდგა. სიჩუმე ჩამოვარდა. არ ვიცი, სიჩუმე რა დროს დავარღვიე - ნებართვა ვითხოვე, ჰოსპიტალში გავეშვი. ჩვენი ჯგუფის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევროსანი ჯარისკაცი ამომიდგა მხარში. კაბინეტში მყოფ სამხედროებს ერთი საშუალოზე ცოტა მაღალი, გამხდარი მამაკაცი გამოეყო და, მე წავიყვანთო, გვითხრა. გარეთ გამოვედით. მანქანაში ჩავსხედით და „ჟიგულის“ მარკის თეთრმა ავტომობილმა ჰოსპიტლისკენ აიღო გეზი. ქალაქის ეს ნაწილი უკვე მკვდარი იყო. ასწლოვანი ევკალიპტების დაჭრილ სხეულთა დენთნარევი სურნელება სუფევდა ირგვლივ. ნატყვიარი ფოთლებით მწვანედ დაფარული, სისხლით მოსვრილი გზა გვედო წინ. გაჭვარტლული, მინაჩალეწილი, ალაგ-ალაგ თეთრ ლაქად დარჩენილი კორპუსები. სიკვდილნარევი სიჩუმე და ამ სიჩუმეში გადაჭარბებული სიჩქარით მავალი მანქანის ძრავის გუგუნი. მხოლოდ ეს მახსოვს გზის ამ მონაკვეთზე. როგორ შევასრულეთ ეს დავალება და როდის მოვბრუნდით მკვდარი ქალაქის ამ ნაწილიდან, არ მახსოვს. არც ის მახსოვს, მშვენიერი ქართულით მოლაპარაკე ეს ლამაზი არსება როდის მოხვდა ჩვენს მანქანაში. ვერ წარმოვიდგინე, როგორ უნდა გაემეტებინა ვინმეს 19 თუ 20 წლის ქართული გენის მშვენება ამ სასაკლაოზე გამოსაშვებად. მანქანა, როგორც შემდეგ მძღოლისა და ამ ქალიშვილის საუბრიდან გაირკვა, პრეზიდენტ შევარდნაძის რეზიდენციას მიადგა. გოგონა მანქანიდან გადმოვიდა. ჩემდაუნებურად ჩემი ჯარისკაცის ფარაჯაზე მინაწერი ლოცვა გამახსენდა. ჩუმად გავიმეორე და თვალებით ამ პატარა, ლამაზ არსებას გავატანე. ალბათ, პრეზიდენტის ამალიდან იყო. ჩვენი მძღოლიც პრეზიდენტის დაცვიდან იყო. არ მახსოვს აეროპორტში როგორ აღმოვჩნდი, როდის მოვნახე ბიჭები. მხოლოდ ის მახსოვს, ღამით ყველანი ერთად ვიყავით, დაჭრილებიც და დახოცილებიც. აეროპორტს ბომბავდნენ. აფეთქდა ჯარისკაცებით სავსე ქართული თვითმფრინავი, რომელშიც თედიაშვილის ვაჟიშვილი იჯდა.

ჩვენი აფრენის შემდეგ ზღვის ღამეული მწარე სიჩუმე ჩამოწვა ქართული მიწის ამ ნაწილზე. ვუყურებდი დაჭრილ-დახოცილ მეომრებს და საქართველოს ისტორიაზე ვფიქრობდი. წინაპართა აჩრდილებს დავეძებდი ჟამით გაყვითლებულ ფურცლებზე. აი, რა ეწერა იქ. სამმა თაობამ ვიომეთ. ბაბუა - I მსოფლიო ომის მონაწილე, რომანოვების დინასტიის უკანასკნელ იმპერატორს ემსახურა მანჯურიასა და ჩინეთში, შემდეგ პოლონეთში. ომის დამთავრების შემდეგ ახალმა მთავრობამ კომუნაში უკრა თავი. 30 ჰექტარი მიწა წაართვეს და მითრიდატე პონტოელის სატახტო ქალაქ არქეოპოლისში (სოფ. ნოქალაქევი) წაბლის ხისგან აგებული ჯარგვალიღა დაუტოვეს.

მამა - II მსოფლიო ომის მონაწილე, კავკასიის მისადგომებს იცავდა. ომის დამთავრების შემდეგ - მედლები, ინვალიდობა, კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება და სიღატაკე ხვდა წილად.

მე კი, აფხაზეთის ომის მონაწილეს სოფელ მერკულაში მცხოვრები ვახტანგ ქობალიას მიერ ნაჩუქარი სპილენძის გვერდებჩალეწილი თუნგი, ჯარისკაცის ფარაჯაზე ბავშვის ხელით მინაწერი ლოცვა-კურთხევა და შიმშილი მერგო წილად.

ქალაქში მთელი თვე ხეტიალისას მხოლოდ ერთხელ მომეცა შესაძლებლობა, შიმშილისაგან თავი დამეღწია. ახლობელმა მითხრა: შევარდნაძესთან მიდი, დაგეხმარებაო. თუმცა ეს ფრაზა მან ომის დაწყებამდე მითხრა, მაშინ მომერიდა, ახლა - მით უმეტეს. სიტყვა „თხოვნა“ უცხო ხილი აღმოჩნდა ჩემთვის და, ალბათ, ჩემი წინაპრებისთვისაც. დამარცხებული და იარაღაყრილი რა პირით მივსულიყავი ან რა მეთხოვა. ხელი ჩავიქნიე და თავი, ვისაც ვეომებოდი, იმას შევაფარე.

არც ამ პატარა თავგადასავლის დაწერას ვაპირებდი, მაგრამ ერთმა ფრაზამ, რომელიც ომის დამთავრრების შემდეგ ტალახივით მესროლეს, მაიძულა, სიმართლე მეთქვა. ამ ფრაზით მე თურმე ერის მოღალატე ვყოფილვარ. რას იზამთ, ასეთია ქართული ხასიათი. დაე, მკითხველმა განსაჯოს, ვინ ვინ იყო ამ ომში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული მესხეთი

# მესხეთი - მენაპირე ქვეყანა

## ინტერვიუ თსუ ახალციხის ფილიალის რექტორ მერაბ ბერიძესთან

*ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში მკითხველი შეხვდება საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ორგანიზაციაში გაერთიანებულ ავტორებს, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებენ ნაწარმოებებს ყოველკვირეულ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში" და რომელთა კრებულებიც ქვეყნდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის მესვეურთა ხელშეწყობითა და თანადგომით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის დირექტორის მერაბ ბერიძის სახით ჩვენმა ჟურნალმა შეიძინა ერთგული მეგობარი, ვისი მეშვეობითაც რეგიონში ავტორებთან ერთად მკითხველი და დამფასებელიც მოგვიმრავლდა. თსუ ახალციხის ფილიალს სულ ახლახან შეუსრულდა ათი წელი. ბატონ მერაბის უდავო დამსახურებაა ის, რომ სასწავლებელი გადაიქცა რეგიონის კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრად.*

მერაბ ბერიძეს ესაუბრა მწერალი ჯემალ ქირია.

*- ბატონო მერაბ! ძნელბედობის ჟამს მოგიწიათ მოღვაწეობამ. ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო ნგრევასა და სისხლისღვრაში იშვა. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. საქართველოს ისტორიაში მშვიდობიანი აღმშენებლობის წლები მუდამ მცირე იყო. ბევრმა ვინმემ მოისურვა ჩვენი დაბეჩავება, მაგრამ გავუძელით, გადავრჩით და აქამდე მოვედით. დარწმუნებული ვარ, დღესაც გადავრჩებით, თუ, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანი ჩვენს საქმეს გულწრფელი შემართებით მოეკიდებით. ახლა რომ გიყურებთ, ის მესხი კაცი მაგონდება, საქართველოს გარე საზღვარს ხმლით რომ იცავდა. კუთხე, სადაც დაიბადეთ და დაკაცდით, ერთ-ერთი ურთულესი რეგიონია. მესხეთ-ჯავახეთის ძლიერება საქართველოს სიძლიერეა, ამ მხარის აყვავება საქართველოს აყვავებას ნიშნავს...*

- მართლაც, ერთი შეხედვით არის სირთულეები, ჯერ ტერმინთან დაკავშირებით მოგახსენებთ: დღეს ვხმარობთ სამცხე-ჯავახეთს, ისე დიდი ცოდვა არ არის, ისტორიულ მესხეთში ყოველთვის მოიაზრებოდა სამცხე, თუმცა მესხეთი ყოველთვის, როგორც ადმინისტრაციული და ეთნიკური ტერმინი, უფრო ტევადი იყო. მის შემადგენლობაში შედიოდა სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლ-არტაანი, აჭარა, ერუშეთი და ა. შ. თავისთავად მესხეთის ამ კუთხეთა ჩამოთვლაც კი აშკარას გახდის სირთულის სიღრმე-სიგანეს.

სამცხე-ჯავახეთზე რომ საუბრობენ, პირველ რიგში

აღნიშნავენ, რომ სირთულეს ქმნის მისი მრავალეროვნება. ასეთი განსაზღვრება ხელოვნურია. არ არის სამცხე-ჯავახეთი მრავალეროვანი. აქ ცხოვრობს ორი ერი – – ქართველები და სომხები. ქართველთა და სომეხთა თანაცხოვრება და თანაარსებობა ათასწლეულებს ითვლის, ასე რომ, ამაში ახალი არაფერია; მართალია, სამცხე-ჯავახეთში სომხები 1828 წელს ჩამოსახლდნენ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვქონდა მეზობლობის დიდი ტრადიცია, ამიტომაც სირთულე იქმნება მხოლოდ მაშინ, როგორც კი მესამე ერი და მესამე ენა ჩაერევა საქმეში. ქართველებმა იცოდნენ სომხური, სომხებმა – ქართული. პრობლემებიც არ არსებობდა.

დღესაც, თუ რაიმე გაუგებრობაზეა ლაპარაკი, ენობრივი ბარიერის გამოა. წარმოიდგინეთ, კარი-კარში ვცხოვრობთ და ნაკლებად ვიცნობთ ერთმანეთის მწერლობას, ლიტერატურას, თეატრს, სიახლეებს. დასავლეთ ევროპელისთვის ასეთი რამ ხომ წარმოუდგენელია. იტალიაში გამოსული ახალი ფილმი თუ ახალი წიგნი ასევე ახალი უნდა იხილოს ფრანგმა... იმიტომ, რომ მათ ერთმანეთის ენა იციან.

*– ჩვენ რა გვიშლის ხელს, რომ ერთმანეთის ენა ვიცოდეთ.*

– არასწორი სახელმწიფო და რეგიონული პოლიტიკა ანდაც ადგილზე საქმისადმი ადმინისტრაციულად გამრუდებული დამოკიდებულება. ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა გაუცხოებულია ქართულის არცოდნის გამო. როგორც კი მესამე ენის პრობლემა მოიხსნება, ჩვენ ბევრად უკეთ გავუგებთ ერთმანეთს და სამხრეთი კიდევ მრავალჯერ იტყვის თავის სიტყვას.

ბევრად მეტი სირთულეებია მესხეთში სხვა კუთხით. გახსნილ საზღვრებს გახსნილი პოლიტიკა მოჰყვა. თურქეთი არ მალავს თავის ზრახვებს, რომ საქართველო განიხილოს ერთ ეკონომიკურ რაიონში. ამ შემთხვევაში ეკონომიკას ახლავს კულტურული ექსპანსიის საშიშროება. აქ კი უნდა შევასრულოთ აუცილებლად მენაპირე ქვეყნის როლი. თურქეთის გზით საქართველოში წამოსულ ევროპელს ეკონომიკურად განსხვავებული ქვეყანა შეიძლება არ დახვდეს, მაგრამ, კულტურულად განსხვავებულიც თუ არ ვიქენით, დავღუპულვართ და ეგ არის.

*– ჩვენ ერთმანეთი დედაუნივერსიტეტში გავიცანით. მაშინ პირველად ჩამოყალიბდა ტოპონიმიკის ლაბორატორია. თვით სიტყვა „ტოპონიმიც“ კი ბევრისთვის იმ დროს უცხო იყო. გახსოვთ, ცხადია, ფარნაოზ ერთელიშვილი, ბესარიონ ჯორბენაძე... ამათ იღვწლივ როგორი ნიჭიერი კოლექტივი შეიკრა. ჩემი აზრით, ეს ლაბორატორია არ იყო მორიგი სამეცნიერო დაწესებულება, მასში იმთავითვე დისიდენტური სულისკვეთება ჩაიდო, რადგან იგი ემსახურებოდა ეროვნული მეობის თვითშეცნობას. დარწმუნებული ვარ, მსგავსი წრთობა კაცს საკუთარ ფუძესთან აახლოებს. სამშობლოს ყოველი გოჯის შეცნობა ხომ ადამიანში ღრმა პატრიოტიზმს ნერგავს, მის გულში აღანთებს სამშობლოს მსახურების წყურვილს.*

– სწორი ბრძანდებით. ტოპონიმიკაში და, საერთოდ, ონომასტიკაში მუშაობა განსხვავებულ დამოკიდებულებას მოითხოვს საქმისადმი, ასევე დიდ როლს თამაშობს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. თითოეული სახელის კვლევისას ხვდები ისეთ ისტორიულ, გეოგრაფიულ და ენობრივ პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით გაახლოებს საკუთარ და არა მარტო საკუთარ ფესვებთან. ამ მხრივ მესხეთის ტოპონიმიკა გამონაკლისი არ არის. აქ ფენა-ფენაა დაშრევებული ქართულის გარდა – სპარსული, არაბული, თურქული, ბერძნული, სომხური, რუსული სახელები, რომელთაგან ყველა სუბსტრატით არ აიხსნება და ენობრივი კონტაქტების შედეგიც არის. ყველაზე ძველი და განსაკუთრებული ინტერესით საკვლევია საერთო ქართველური ძირები. ახალციხის სიახლოვეს არის ერთი უბრალო, სხვათაგან არაფრით გამორჩეული ნასოფლარი ტობა, რომელიც 1944 წლამდე სოფელი იყო. ხან რას უკავშირებს ხალხური ეტიმოლოგია ამ სახელს და ხან რას. ამ დროს ის ერთ-ერთი უძველესი სახელია, რომელიც ასაკით სამი ათას წელს გასცილდება. რაც შეეხება ტოპონიმიკის ლაბორატორიას, იგი მართლაც „მორიგი“ არ იყო, მაგრამ მაშინ სწორედაც ეროვნული ნიშნით შექმნილი რომელიმე რგოლი, ამ გადასახედიდან რომ ვუყურებთ, გარკვეულ პატივში იყო. დღეს ეს ნიშანი თითქოს ყველა დაწესებულებას აქვს, არადა ეროვნული შინაარსიდან ყველაფერი თითქოს დაიცალა. სამოცდაათიანი წლების ბოლო საერთოდ იყო ეროვნული აღმავლობის პერიოდი. რაც აკრძალულია, ტკბილია. ეს ის პერიოდია, როდესაც დედაუნივერსიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა სამხრეთ საქართველოს – გახსოვთ, ალბათ, ძეგლებზე მუშაობა, სკოლებში გასვლები, კონფერენციები, სესიები, კარგი წლები იყო...

*– ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოა. მახსოვს, ასპინძაში ჩემი პირველი სტუმრობა*

*– შენი და ქალბატონ ნათელას ქორწილში. შესანიშნავი დრო გავატარეთ. თითქოს ყოველივე სულ ახლახანს იყო! თურმე რა დრო გასულა, ბიჭები უკვე დაკაცდნენ, შვილიშვილიც გყავთ...*

– დრო მართლაც ბევრი გასულა. ეს იყო 1973 წლის შემოდგომა. მე და ჩემს მეუღლეს ცხოვრება ვარდისფრად არასოდეს გვესახებოდა, მაგრამ მაშინ მაინც სხვა იყო, რადგან ჩვენს გარშემო ძირითადად მეგობრები იყვნენ. ის იყო, დავამთავრეთ უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ არ გვეთმობოდა მეგობართა წრეს ერთმანეთი დასაშორებლად, ამიტომ ჩვენი ქორწილი მხოლოდ ქორწილი კი არა, ერთგვარად ჩვენი კურსის ერთად შეყრის კიდევ ერთი კარგი საშუალებაც იყო. ვიყავით ლაღები და დამუხტულები, რომ უნდა შეგვექმნა ოჯახი და ყველაფერი მიგვეცა სამშობლოსთვის. გვინდოდა, გვყოლოდა ექვსი ვაჟი. იმ მუხტს დღესაც არ გაუვლია. ექვსის ნაცვლად, სამწუხაროდ, სამი ვაჟი გვყავს. ხუთნი გავხდით. აკაკისა არ იყოს, ხუთი ქართველი „ცოტა საქმე არ არის". ეს გვაცოცხლებს და გვასულდგმულებს, რომ ნათესაური ერთიანობა გადამწყვეტია საქართველოსათვის. მე არ მწამს იმ ოჯახისა, რომელშიც შეიძლება იყოს პარტიული დაპირისპირებულობა. ეს აბსურდია, უბრალოდ, სხვა ბევრი ძაფი გაწყვეტილია ასეთ ოჯახში და პარტიული ნიშანი მხოლოდ საფარველია. ოჯახის ერთობას ქმნის სისხლის, ხორცის და ტრადიციის ერთიანობა. ზოგი ფიქრობს, რომ ტრადიცია მხოლოდ ათასი წლის წინათ დაკანონებული რამ არის. ტრადიცია უნდა თავად შევქმნათ. ჩვენს ოჯახში არის ტრადიცია, რომ თუ რომელიმე ჩვენგანს გაუჭირდება, ყველანი მასთან უნდა ვიყოთ. სიგარეტი არ უნდა მოსწიოს არც ერთმა წევრმა და ვერც მწეველ რძალს აიტანს ჩვენი ოჯახი. უახლოეს ნათესაურ კავშირებს განსაკუთრებულად ვუფრთხილდებით. დაუშვებელია ოჯახის დანგრევა და, თუ განსაკუთრებული სიყვარული არ არის, 25 წლის ასაკამდე ადრეა ცოლის შერთვა.

უფროსი ვაჟისგან შვილიშვილი შეგვეძინა. მე მიხარია, რომ რძალს ჩვენი ოჯახის ტრადიციების პატივისცემა და გაფრთხილება შეუძლია. ისიც სამხრეთელი ქალია, კარგი ოჯახის აღზრდილი, მაგრამ ვთვლი, რომ მისი საბოლოოდ ოჯახის დედად ჩამოყალიბება მაინც დედამთილთან ხდება, რადგან ბერიძეთა გვარს ამრავლებს და „კერა მოითხოვს".

მთავარი მიზანი შვილის აღზრდაა, ყველაფრის თავი და თავი დედაა ოჯახში. ქართულმა ენამ შესანიშნავი სიტყვა შექმნა ოჯახის დედის აღსანიშნავად. ეს არის მეუღლე. დღეს, ალბათ, აღარც კი უნახავს ბევრ მეუღლეს უღელი, რომელიც განსაკუთრებული ჯიშის ხისგან კეთდებოდა. მეუღლე უღლის გამწევს ქვია. უღელს ორი ხარი ეწევა. აი, ასეთი ღრმა შინაარსი დევს უღელში, რომელსაც ცოლ-ქმარიც ეწევა. სწორედ მეუღლეობა გამიწია ჩემი ოჯახის დედამ. მახსოვს, ჩემო ჯემალ, იმ ჩემს ქორწილში წვიმიანი დღე იყო, ტალახიანი გზა დაგვხვდა თბილისიდან ჩასულებს, პატარძალს რომ დავავლე ხელი და შევიყვანე სეფაში. აი, იმ გოგო-ბიჭიდან დღეს უკვე შუახნის, ცხოვრების სიმძიმეზე დაფიქრებული, სამშობლოს წინაშე მოვალეობაშეულახავი და მომავალზე მზრუნველი ორი პიროვნება დგას ისევე ერთად, როგორც მაშინ სჯეროდათ ერთად ყოფნისა და მომავლისა.

*– ისევ უნივერსიტეტის ფილიალს, მინდა, მივუბრუნდე! რამდენიც დღეს უმაღლესი სასწავლებელი დაფუძნდა, იმდენი ჭეშმარიტი მეცნიერ-მასწავლებელი რომ მაინც გვყავდეს, რა გვიჭირდა. ჩვენი საზოგადოება ერთგვარი ირონიით აღიქვამს დიპლომის მაძიებელთა არმიებს, მაგრამ მაინც, ყოველგვარი ირონიის გარეშე, რამდენიმე სერიოზული, მაღალი დონის სასწავლებელიც დაარსდა. ალბათ, ბუნებრივი შერჩევის კანონი თავისას იზამს, ძლიერნი უფრო გაძლიერდებიან, სუსტნი განქარდებიან.*

– ჩვენ „მომრავლებულთა" რიცხვს არ ვეკუთვნით. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გაიხსნა ჩვენი ფილიალი. მაშინდელი აღმავალი ეროვნული მოძრაობის და უკვე მომწიფებული აზრის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვენთან ერთად ბევრი ფილიალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა მხოლოდ ჩვენ ვიყავით. მე რამდენადაც ვიცი, რვათაგან ჩვენღა შემორჩით ისტორიას. ამის უმთავრესი მიზეზი იყო სწორი პროგნოზი, რომ უარი ვთქვით დაუსწრებელ, დროებით სწავლებაზე (ასე იყო განათლების სამინისტროს ბრძანებაში). ჩვენ დავიწყეთ რეალური საფილიალო საქმიანობა. ჩვენამდე იყო სოხუმის ფილიალი, მაგრამ მას განსხვავებული სისტემა და სხვა მიზანი ჰქონდა. დავიკავეთ პრინციპული პოზიცია, რომ ფილიალი უნდა იყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე იდეურად, კადრობრივად და ფინანსურად დამოკიდებული. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ ვიმეორებთ თბილისის უნივერსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტის სპეციალობებს. რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე, გვაქვს ჩვენი განსხვავებული სახე. მაგ.: პედაგოგიური ფაკულტეტი, გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი, უცხო ენათა ფაკულტეტი, რომელზეც უცხო ენის გარდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობასაც ეუფლება სტუდენტი და ბევრი სხვა.

ჩვენს მეცნიერთა სამეცნიერო კვლევებში სჭარბობს ადგილობრივი თემატიკა. გვაქვს კონტაქტები სომხეთის, თურქეთის, საბერძნეთის, ერაყის უნივერსიტეტებთან. ფილიალმა იტვირთა, სამეცნიეროს გარდა, კულტურული და ინტელექტუალური ჰეგემონობა სამხრეთ საქართველოში. რომ არა ბიუროკრატიული ღობე, რომლის გარღვევა, ბნელი ძალების გამო, ძნელია უაღრესად, ახალციხე იქცეოდა საუნივერსიტეტო ქალაქად რეალურად, რასაც შედეგი 21-ე საუკუნეში მოჰყვება. ჩვენი გათვლები არ არის ექსპერიმენტული, ამიტომ არც „განქარებას“ ვაპირებთ.

*- „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“ - მესხეთ-ჯავახეთი ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის ძირძველი კერაა. შოთამე რომ არაფერი ვთქვათ, გრიგოლ ხანძთელი ხომ იყო... დღეს ეს მხარე არ არის ისეთი მონოეთნიკური, როგორიც, ალბათ, შოთას დროს. სხვა ერისადმი შემწყნარებლობა ქართველი კაცის ბუნების ნაწილია. მომავალ საქართველოში ყველა ეროვნების წარმომადგენელი თავს საქართველოს შვილად იგრძნობს, ოღონდ მანამდე დიდი გზა უნდა გავიაროთ. აქ ცოტა როდია ისეთი სოფელი თუ ქალაქი, სადაც ქართულის მცოდნე თითზე დაითვლება. რა თქმა უნდა, ჩვენ არავის ვაძალებთ, საკუთარი ენა და კულტურა დაივიწყოს, მაგრამ სახელმწიფოს სიმტკიცის ერთ-ერთი ფუძეა ერთიანი საკომუნიკაციო სივრცე, რაც მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როცა მის ყველა მოქალაქეს თუნდაც საურთიერთობო ქართული ეცოდინება (სხვათა შორის, მე, როგორც მწერალს, სხვა ინტერესიც მალაპარაკებს - დიდად ბედნიერი ვიქნებოდი, ქართველ მკითხველთან ერთად არაქართველი მკითხველი თუ მოვევიმრავლდებოდა).*

– სამცხე-ჯავახეთში სომხურმა მოსახლეობამ რომ ქართული არ იცის, ამაში „დამნაშავეა“ რუსული ენა, ჩვენ და სომხებს საურთიერთობო ენად რომ გაგვიხდია. ქართველმა და სომეხმა ერთმანეთის ენა უნდა ისწავლონ ისევე, როგორც ფრანგებმა და იტალიელებმა იციან ერთმანეთის ენა, გერმანელებმა და ინგლისელებმა. ბატონო ჯემალ, საინტერესო პრობლემას „ჩაავლეთ“. მთარგმნელობითი საქმიანობა რომ მოწესრიგებული იყოს, წარმოიდგინეთ, რამდენი მკითხველი შეემატებოდა ქართულ მწერლობას სომეხთა სახით და პირიქით. ჩვენი უნივერსიტეტი ბევრს მუშაობს ამ კუთხით. ჩვენს ლიტერატურულ წრეში, რომელიც იმდენად პრაქტიკული დანიშნულებისაა, რომ შეიძლება, „სახელოსნოც“ კი ვუწოდოთ, დიდი ადგილი უკავია მთარგმნელობით საქმიანობას. ვთარგმნით ინგლისურიდან, თურქულიდან, სომხურიდან, ბერძნულიდან და რუსულიდან. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სომხურიდან თარგმნას. გვყავს ძალები საიმისოდ, რომ ითარგმნოს ქართულიდან სომხურადაც. ასე რომ, ქართულ-სომხური ურთიერთობა, ვფიქრობთ, საინტერესოდ წარიმართება სამცხე-ჯავახეთში. რაც შეეხება ქართული ენის სახელმწიფო ფუნქციას, ბევრ რამეში ჩვენი პოლიტიკოსები არიან დამნაშავეები. გარდა ზემო მითითებული რუსული ენისა, ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ სიძლიერეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამასთან ერთად, ადმინისტრაციისთვის ქართული ენის ცოდნა აუცილებელ მოთხოვნად უნდა იქცეს. ყველა ტრაფარეტი - საგზაო თუ სარეკლამო ცენტრალიზებული წესით უნდა კეთდებოდეს. ქართული ენის სწავლების პრეზიდენტის პროგრამა წესიერად უნდა განხორციელდეს და ისევ ვიმეორებ - მთავარია, ჩვენს შორის არ იდგეს რუსული ენა და ყველაფერს ეშველება.

ჩვენს ფილიალში ბევრი სომეხი სტუდენტი სწავლობს. მათ სომხური ან რუსული სკოლა დაამთავრეს. ქართული ენის კაბინეტში ისინი გადიან სპეციალურ კურსს. თუ საუნივერსიტეტო განათლება კიდევ უფრო გაძლიერდება ახალციხეში, თუ ზოგიერთი ადმინისტრატორი დაიოკებს კერძო, პირადულ ვნებებს და საქვეყნოდ იაზროვნებს, კიდევ უფრო გაღრმავდება ქართულ-სომხური კულტურული კონტაქტები, რაც ორივე ერისთვის სასიკეთო შედეგებს მოიტანს - ჩვენ გავამდიდრებთ ერთმანეთს, შედეგად მოვა ახალი, დიდი ხელოვნება, ლიტერატურა...

ბატონო ჯემალ, თქვენ მონოეთნიკურობაზე მიუთითეთ, მე სომხურ-ქართულ ურთიერთობებზე ვისაუბრე, რადგან არც ისე მრავალეროვანია სამცხე-ჯავახეთი, როგორც ხშირად ხატავენ ხოლმე. გამოკვეთილად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთი არის ორენოვანი კუთხე საქართველოსი და ამიტომ გავამახვილე ყურადღება ამ ორი ეროვნების თაობაზე.

*- რაკი მწერალი და მკითხველი ვახსენე,*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მოდი, ლიტერატურაზე ვისაუბროთ: რუსთაველის კუთხეში, ბუნებრივია, ლექსი არ ჩამქრალა და არც არასოდეს ჩაქრება. თუმცა, ცხადია, იმისი პრეტენზია არავის ექნება, რომ ის საჯილდაო ქვა ასწიოს, რასაც დიდი წინაპარი იოლად ათამაშებდა. და მაინც, როგორია დღევანდელი მესხეთ-ჯავახეთის ლიტერატურული პანორამა?*

– დიდი ლიტერატურა უნდა მოვიდეს. უღრუბლო ციდან წვიმა არ იცის. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს პრეტენზია, რომ შექმნას საფუძველი დიდი ლიტერატურის მოსვლისთვის. რომ არ ყოფილიყო სერაპიონ ზარზმელი, გრიგოლ ხანძთელი, არ იქნებოდა რუსთაველი. განვლილი 10 წლის განმავლობაში გვქონდა ცდები ლიტერატურული ცხოვრების გარკვეული გზით წარმართვისა, რასაც ფილიალის ლიტერატურული წრე ახორციელებდა. გამოიცა რამდენიმე კრებული, გამოდიოდა ლიტერატურული ალმანახი „სიტყვაჲ" და სხვა. უნივერსიტეტმა უკვე გაავლო თავისი ხნული. მესხეთში, როგორც ყველგან, გამოდის წიგნები, ყველა, რა თქმა უნდა, მაღალი დონისა ვერ იქნება, მაგრამ მათ გამოცემას ავტორებს ვერავინ დაუშლის. იქმნება ლიტერატურული ფონი, რომ უკეთესი გამოიკვეთოს. ვფიქრობთ, სერიოზულ საქმეს გააკეთებს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი" (რედაქტორი ა. ბერიძე), ის მთარგმნელობითი საქმიანობა, რაზედაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. დადგება დრო, როდესაც სომეხი და ქართველი ლიტერატორები მესხეთში ენობრივადაც გაუგებენ ერთმანეთს, მოსალოდნელია თურქული ლიტერატურის გავლენა, თანამედროვე ბერძენი მწერლები... ყოველივე ამას დაემატება ევროპული ლიტერატურა, რუსული და, ვფიქრობ, დიდი მწერლობაც მოვა. ოღონდ ყველაფერს დიაპაზონი სჭირდება, ფართო ხედვა, დანახვა კარგისა და სწორი მიმართულება...

რუსთაველი სწორედ იმით იყო ძლიერი, რომ მისი თვალსაწიერის არეში ერთნაირად იყო მოქცეული, როგორც „ვისრამიანი", ისე ჰომეროსი, პლატონი, დიონისე არეოპაგელი... სპარსული, არაბული, ჩინური, ანტიკური ლიტერატურა, ჩვენ ჯერ დასაწყის, ყველაზე დაბალ საფეხურზე ვართ ამ მიმართულებით. სამაგიეროდ, მდიდრები ვართ თანამედროვე რუსული და ევროპული მწერლობით, ასე რომ, თუ ახალციხელ მეოცნებედ არ მომნათლავთ, საჯილდაო ქვისთვის კუნთებს ვიმაგრებთ.

ამ ჩვენს საუბარს, როგორც შევთანხმდით, ტექსტებიც მოჰყვება და მკითხველი თავად გაერკვევა მათ ავ-კარგში. ერთი რამე კი აქვე მინდა აღვნიშნო, ფილიალი და მისი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ნიჭიერმა ადამიანმა მოახერხოს თავისი შემოქმედების რეალიზაცია. ეს ეხება არამარტო მხატვრულ ლიტერატურას...

*– მამა რა აზრისაა შვილის შემოქმედებაზე?*

– ზვიადს ყველა მონაცემი აქვს საამისოდ, რომ დიდ ლიტერატურას შეეჭიდოს. დღეს გაახალგაზრდავდა აღიარებაც, შედეგებიც. პრაგმატულმა ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ფალსიფიცირებული მწერლობის პროპაგანდა, საკუთარის არცოდნის გამო უცხოურით დაბრმავება. მე ვფიქრობ, ჩემი ვაჟი სწორ გზაზე დგას, როდესაც ეძიებს საკუთარ ფესვებს. საქართველო თავისი კუთხეებით, შესაბამისად, ხასიათებით, სხვადასხვა კუთხის ტრადიციებით უნიკალურია. თითო კუთხე ამ მხრივ – პროტოტიპთა სიმრავლით, ორიგინალობით, ნატურით – ბევრი დიდი ქვეყნის ტოლფასია. ამიტომ, თუ ზვიადი ღრმად ჩასწვდება ზოგად ქართულ ხასიათს, სხვა ხასიათების წვდომაც გაუადვილდება. მთავარია, უცხოურს გამოკიდებულს საკუთარი ხელახლა აღმოსაჩენი არ შეექმნას.

*– ბატონო მერაბ! ჩვენი ჟურნალის სახელით მინდა, მადლიერება გამოვხატო იმ სანაქებო ურთიერთობის გამო, რაც ფილიალსა და ჟურნალს შორის ჩამოყალიბდა. „ცისკარი", თქვენი მეშვეობით, პოპულარულია ახალციხეში!*

– სხვაგვარად არც შეიძლება, ჩვენი თაობა ხომ ცისკრელების თაობაა. სტუდენტობის დროს და შემდეგაც „ცისკარი" ჩვენი საყვარელი ჟურნალი იყო. ჩვენ საკუთარი სახსრებით, ლიტერატურით დაინტერესებულ სტუდენტებს და თანამშრომლებს გამოვუწერეთ „ცისკარი" და „ლიტერატურული მესხეთი". ლიტერატურულ წრეზე ვიხილავთ ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს. მოკლედ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ვუდგავართ „ცისკარს" მხარში, ჩემი აზრით, ასევე, „ჟურნალი" გვიდგას მხარში, ჩვენი ახალგაზრდობა კითხულობს მას. საქართველოში რამდენი უმაღლესი სასწავლებელია, ყველას შეუძლია მსგავსი რამის გაკეთება – თითოეულმა მათგანმა 50-იოდე „ცისკარი" რომ გამოუწეროს სტუდენტებს, შედეგი ბევრად უფრო დიდი იქნება, ვიდრე დახარჯული ფული.

*– მადლობას მოგახსენებთ საუბრისთვის და გისურვებთ, შემდგომაც ასეთი წარმატებით გვეწაფოთ თქვენ და თქვენს უნივერსიტეტს თქვენი კუთხის, საერთოდ, ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავთანდილ ბერიძე



***

სამი კაცი მიდიოდა,
სამი ფიქრი, სამი დარდი,
ქარი ქროდა და ციოდა,
შენ კი ქარიშხალსა ჰგავდი.

არავისი არ გესმოდა,
შენი საქმის იქით მეტი...
სამი დარდი მიდიოდა
სამი სახლის ნათლის სვეტი

### ოფელია

მენანება, ყველაფერი მენანება,
ისიც, ისიც, სხვისი რომ ხარ, ოფელია,
ვერ მივყვები მე შენს ქუჩას ნება-ნება,
უშენობით უდაბური სოფელია.

### ახლა შენც იცი

ახლა შენც იცი, რომ აღარ ვჩქარობ,
დრო მოვა, ვიცი, ისევ შევხვდებით,
იცოდე, მართლა არაფერი ხდება უბრალოდ,
იცოდე, მართლა არაფერი ხდება შემთხვევით.

## ვლადიმერ ველიჯანაშვილი



რეზო გვირჯიშვილი.
„SOS“

***

შენ ჩემი სული გიჭირავს ხელში,
როგორც გაშლილი ალუბლის ტოტი,
და აფრიალებ, აფრიალებ
ამ აუმღვრეველ, უსასრულო სამყაროს
უკიდეგანო სივრცეებზე.

ჩემი სული - გაშლილი ალუბლის ტოტი.

ქარი სიმღერას მიკარნახებს
და წვიმა მეტყვის
გაზაფხულის უცნაურ ზღაპარს,
როცა ფერდობზე აფეთქდება შენი იელი,

როცა უფსკრულებს მიმოივლის
სამყაროს თვალი.
მე კი, განძრცვილი სწორედ მაშინ

შენგან და შენგნით,
გემუდარები... დამიბრუნე, დამიბრუნე
იისფერი ხსოვნის საღამო!

## ნათელა მელიქიძე



### ეს რამხელა სიყვარული შეგძლებია

ისე მოხვედი, როგორც გელოდი,
გამოგივლია გრძელი შარაგზა.
თავად დაღლილი მე რომ მშველოდი,
სათქმელი თვალებს დასცდათ ანაზდად.

ჩემს გათოშილ გულს, ყინულ-თოვლიანს,
შენი სიტყვები რარიგ ათბობდა.
მე ხომ ამდენი არ მითხოვია,
სულ მცირე სითბოც გადაადნობდა.

## მაყვალა დავითაძე



* * *

ამ მონატრებას პეშვებით შევსვამ
და დავეწევი იმედს ოცნებით,
გზა აღარა ჩანს, ფიქრიც გამრუდდა,
უფლის ხმა მშველის უხმო ლოცვებით...
ამ მონატრებას ვინატრებ შენსას,
მაგრამ იმედში იმედს ვერ ვკვირტავ,
უფალო, გვედრი, გადამარჩინე,
მე ხომ ქალი ვარ, ღალატს ვერ ვიტან!

* * *

მთვარე ანათებს ღრუბელს,
არ ეკითხება მიწას,
სიკვდილი ერთხელ მომკლავს,
ამაზე მეტს რას მიზამს.
სულში მეღვრება სევდა,
თვალში მიკრთება ცრემლი,
არსით არ არის შველა,
არსით არაფერს ველი.
ამგვარ წამების გზაზე
ისევ უფალი მიცავს,
ყველა დავკარგე ერთად -
ცაც და ცოდვილი მიწაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამაზ კორშია.
დეკორაციული მოტივი

## ბექა ჯანაშია

***

მხატვარი დაწვავს ფერებს ტილოზე.
სახელოსნოში ჩამოდის წყალი...
და ოცნებების სანაპიროზე
შინ დაბრუნდება უთუოდ მთვრალი.
მაგრამ დახატავ მინდვრის ყვავილებს,
იმ პორტრეტებსაც დაედო მტვერი,
გახედე გარეთ, წვიმას აპირებს,
დღეს ვარსკვლავებსაც ეცვლებათ ფერი.

## ავთანდილ ივანიძე

### აღარასოდეს გადაშლი

ნელა, ტაატით გაივლის წლები
დავიწყებათა ჩრდილის ზმორებით,
ჩემს თავს ფიცულობ, მაგრამ დადგება
დრო, როცა აღარ გემახსოვრები.
დღეს ჩემი ლექსიც გხიბლავს ძალიან,
ჩემს ყოველ სიტყვას გულში იკონებ,
დადგება დრო და - უფრო მწარეა -
მერე სრულიად არ მომიგონებ.
ცდუნებას, ვიცი, ვერც შენ გაუძლებ...
აგიტირდება ჩვილი კალთაში,
და ჩემს ნაჩუქარ რვეულის ფურცლებს
აღარასოდეს აღარ გადაშლი.



ლელა ფერაძე.
ნარცისი

## ცაცულინა მალაზონია

### სევდა

წავიდა ღამე, უსამკაულო, უვარსკვლავო და
უმთვარო ქვრივი,
გზებზე დატოვა სველი მანდილი და ალვის ხეთა
მთვლემარე მწკრივი,
გადაიარა მარდი წვიმებით მთები, კოშმრებით
გადარეული,
და ცის მიწის დასალიერში ელვამ მოცელა მისი
სხეული.

მე კი ვუსმენდი ჯიუტად დუმილს, მძივებად
ასხმულს გულის სიმებზე,
მწუხარე ჩურჩულს მარტის წვიმების და
გაფრენილი სულის იმედებს,
ვუსმენდი აქვე, ხსოვნის ტილოზე თუ როგორ
კვნესდნენ ფერთა ქარები...
მისი ხელები აშლილ საწოლზე ეყარა, როგორც
ხელთათმანები.

## დავით ფონიაშვილი

### თუ არ...

თუ არ გიგრძვნია დილის სუსხი, ღამის სიცივე,
ყელში ბოღმა და ხვალინდელზე ფიქრის სიმძიმე -
თუ არ წაგართვეს საკუთარი სიტყვა სათქმელი,
სხვას მიაწერეს შენი გარჯა, შენი საქმენი,
თუ უმწეობით არ იბღავლე, როგორც ცხოველმა,
და არ გასცინა გაჭირვებას შენსას ყოველმა,
მოძმეთა შენთა ორპირობას თუ არ გამოცდი
ანდა მათივე გულქვაობით თუ არ გაოცდი,
მაშინ, ძმობილო, ვერც გაიგებ და ვერც ამოხსნი,
საიდან ჩნდება სიღატაკე კაცთა რაობის
ანდა რად აძლევს ადამიანს ასეთ უფლებას
ზეცის უფალი - უმაღლესი ხელისუფლება.

## უჩა ღონღაძე

### წუხელ...

წუხელ შენი სახე დამესიზმრა,
ვითომ თეთრ ფურცელზე გხატავდი...
ცეცხლის მზე იყავი ალანძული.
სხივებს უგზო უკვლოდ ფანტავდი...



*გიორგი აფციაური.*
*„თეთრი ყანები"*

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი აფციაური.
„ზღვის ზედაპირზე“

წუხელ შენი სახე დამესიზმრა,
ვითომ გისველებდი წამწამებს...
ტანჯვის დედა იყავ დაშანთული,
მკერდი გიტიროდა ნაწამებს...

წუხელ შენი სახე დამესიზმრა,
ვითომ ყვავილები ცვიოდა...
თამარ-ქალი იყავ, დედოფალი,
გული - საქართველო გტკიოდა...

ვითომ ცირაც იყავ „მამლუქიდან“,
„ხვიჩას“ ხელსახოცზე ქარგავდი...
წუხელ შენი სახე დამესიზმრა,
ცისკრის ყვავილებში გკარგავდი!..

## ელისო კევლიშვილი

* * *

ო, არ ვიცი,
რა ვუწოდო გრძნობას,
გრძნობას, რომელიც კამათს მიბედავს,
ჭეშმარიტება თუ თვალთმაქცობა,
მოვა დრო,
როცა ჯვარზე გამიყვანს...
ნეტავ, ნიჭია სიყვარული
თუ უნიჭობა?
იქნებ სისუსტე ან სიძლიერე?
იქნება ბედის არის მასხრობა.
დროში თანდათან მოიხნიერებს.
ნეტავ, ნიჭია სიყვარული
თუ უნიჭობა?

## მაია ქუქჩიშვილი



* * *

გახუნებული სიცხადის ფიქრი
რომ მიბრუნდება ჩუმად და ნელა.
როდესაც მხოლოდ ქარია გარეთ,
როდესაც ცივა და როცა ბნელა...
როცა შორსა ხარ და მენატრები...
და როცა მხოლოდ სევდაა ზღურბლთან,
მე მინდა, ჩემი სუნთქვა და ფიქრი
იქცეს შენს ფიქრად, იქცეს შენს სუნთქვად...
სად გაქრა შენი ფერმკრთალი სახე,
ვნება სიჩუმის და ფოთოლცვენის?!
ან ის სიზმრები, ერთად რომ ვნახეთ -
შორს გაფრენილი ბავშვობა ჩვენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ნიკოლოზ ალელიშვილი

***

ხოხობის ფერი დაჰკრავს ჯავახეთს,
მდინარის პირას მღერის ტირიფი,
მე შენზე ფიქრი მალხენს, მალაღებს,
შენკენ მომაფრენს ყველა ბილიკი.
მთლად გადამრევენ, ვიცი, ეს მთები,
ნაგვირისტები სხივით დილის მზის:
შენი თვალების ქამანდს ვნებდები,
შებორკილი ვარ მათი თილისმით...



## მამიკონ ფარმანიანი

### საქართველოა სამშობლო ჩემი

საქართველოა სამშობლო ჩემი,
ვიწრთობი მისი მზის სიკაშკაშით,
ზეცად ვმაღლდები ნეტარი ფრენით,
თავი მგონია მეშვიდე ცაში.

როცა დავდივარ ქართველთან ერთად,
ყველაფერი მაქვს ღვთით ნაბოძები.
ერთად გვატაროს ნიადაგ ღმერთმა,
ძმურ სიყვარულის სიამით ვთვრები!

მეგობრად მარად მყავდეს ქართველი,
სიკეთისათვის გულანთებული:
გზას გამინათებს ძმობის ნათელი,
მისი ავ-კარგით მითრთოდეს სული.

როცა ვნახულობ ძველ სვეტიცხოველს,
მე მხიბლავს მისი ნატიფი ქვები,
ვეამბორები მის კუთხეს ყოველს
ასე უსაზღვრო ზეშთაგონებით:

ქართველის ხელით დამმარხონ, მინდა,
მსურს, იქაც გამყვეს სიწმინდე ჩვენი:
იმან დამინთოს სანთელი წმინდა,
ამიგოს წესი, როგორც ძმას შვენის.

თარგმნა: არსენ კარაპეტიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ უჩემოდ როგორა სძლებ...

## (მესხური ხალხური პოეზია)

* * *

მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა.
მოეკვდები, ჯავრი ჩამყვება
სამი ლამაზი ქალისა.

ერთია მეტად ლამაზი,
მეორე - ლერწამტანისა,
მესამე - ძუძუკოკობა,
დამყენებელი თვალისა.

* * *

როგორ გაქო, როგორ გაქო!
დიდი სპილოს ძალა გაქო,
მოიხედე, მოიხედე,
ალმასისა თვალი გაქო,
მჭრელი ხმალი გარს გარტყია,
მარჯვნივ ლახტი ხელთა გაქო;
ცხარე ომში რო შეხვიდე,
სიკვდილისგან ზნე არ გაქო,
მტერსა ისე შემოუქნევ,
შიში, რიდი არა გაქო.

* * *

ლამაზო, ყელი ბროლს გიგამს,
შუბლი - თრიალეთ მინდორსა.
გადაგხატვია თვალ-წარბი,
ვერ მოგეკარე, ვარ შორსა.

* * *

ფერი მიგიგავს ღვინოსა,
ჭიქაში მდგომიარესა,
სასუფეველი რათ უნდა
შენს გვერდით მწოლიარესა.

* * *

ქვეშ მიმინო-შევარდენი,
მაღლა იბუდებს ვარია.
ტანად ალვის ხეს ვამგვანე,
შენა გაქვ შავი თვალია,
გიშრისა თმასა გირხევდა
ზემო და ქვემო ქარია.
ღმერთმანი, ჯერ არ მინახამს
შენი ბადალი ქალია.

* * *

წუხელ ვნახე სიზმარი
შენი ვაჟკაცობისა.
ალის ახალოხი გეცვა,
შიგნით მოვი პერანგისა,
ლამაზად ცხენზე იჯექი,
მუხლი გქონდა შავარდნისა,
თოფი გეკიდა, დამბაჩა,
ტუჩი გქონდა ხორასნისა.
სანადიროდ გასულიყავ,
მტრები გეხოცა ქართლისა,
საყდარში მიბრძანდებოდი,
მთებმა დაიწყეს ბიბინი,
მაღალმა ღმერთმა მაჩვენოს
შენი წითელი გვირგვინი!

* * *

ნეტამც იყვეს, მამკლას ვინმემ,
ასო-ასოთ დამჭრას ვინმემ,
ეკლის კონად გამაკეთოს,
მაღალ ღობეზე დამდოს ვინმემ.
თავზე ცეცხლი მამიკიდოს,
ფეხებამის დამწვას ვინმემ,
სუყველაფერსაც მოვითმენ -
საყვარელთან დამსვას ვინმემ.

* * *

ლამაზო, საყდარს წავიდეთ,
დავლიოთ ხატის ნაბანი,
ნეტავი, როდის გვეღირსოს,
ერთად გვებუროს საბანი.

* * *

ნეტავი ქალო, ფიფქი მქნა,
ხევ-ხევ ჩამოვყვე ნიავსა,
არცა-რა შენ დაგიშავო,
არც თავს მივცემდი ზიანსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მინდვრიდან მოხვალ შენ, ქალო,
ამომავალი მზე ხარო,
ნეტა იმ ბიჭის დედასა,
რომლის მკლავზედაც წევხარო.

* * *

ნეტავი რათმე მაქცია,
ბულბულათ გადამაქცია,
ბულბულის ენა მასწავლა,
ამ ბაღებს შემომაჩვია.
ვარდმა გასძახა ბულბულსა,
ეგ ბაღი დამიცალეო,
განა სხვა ბაღი არ არი,
რა ჩემზედ მოიცალეო.

* * *

ამომავალ მზეს გამსგავსებ,
მინდვრად რომ მოეფინება,
ნეტავი, ქალო, შენს ქმარსა,
რა ტკბილათ დაეძინება.

* * *

ნეტავჰ, მანატრა, მანატრა.
კოშკი ამაშენებინა,
შიგ ლამაზი გოგო მომცა,
თეთრად გამათენებინა.

* * *

გოგოვ, ეგრეთი ლამაზი
ნეტა, რამ გაგაჩინაო,
ნეტავი შენთან მარტოკა
მთად სადმე დამარჩინაო.

* * *

სურვილი გახელებულა,
ავდგე, წავიდე წყალზედა,
მოვკლა წითელი კალმახი,
შევწვა ცეცხლისა ალზედა,
დავჯდე და მარტო შევჭამო,
ლამაზი ქალის ჯავრზედა.

II ვარიანტი

წამო, წავიდეთ წყალზედა,
მოვკლათ წითელი კალმახი,
შევწვათ ცეცხლისა ალზედა,
დავჯდეთ და მარტო შევჭამოთ
იმ ლამაზ ქალის ჯავრზედა.

* * *

„სულიკოჯან, სულიკო“
საიდან რა მოსულიყო.
შევხედე, ციხის კარებზე
ლამაზი გამოსულიყო.
ფეხებზე ეცვა ქოშები,
სვეტივით ამოსულიყო.
ნეტავ, მეც მასთან მამყოფა
სულიც იქ ამოსულიყო.

* * *

ქალო, ეგეთი თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირია,
გადაგხატვია თვალ-წარბი,
სარკეს მიგიგამს პირია.

II ვარიანტი

საყდარო, გიხდება თეთრი კირიო,
გაქ წითელი ლოყა, თეთრი პირიო,
მე შენთვის ვისწავლე საზი-სტვირიო.

* * *

მეცხვარე ვიყავ, ცხვარში მეძინა,
სარკე-საბარცხელი ხელში მეჭირა,
ლამაზ ჩიევლო, ბევრი ეტირა,
„ნუ სტირი ლამაზო, შეიკარ წელი!“
ასტირდა ლამაზი, გადმიგდო ყელი.
– ნუ სტირი ლამაზო, არა ვარ მტერი.
შევიყრი ყოლთ-მაჯებს,
შევკრამ ანთარსა,
გამვლელ-გამომვლელს უყენებ თვალსა,
არ ვიტყვი ტყვილსა, ვიტყვი მართალსა,
ლოყები მიგიგამს ვაშლის ნათალსა.

* * *

აქედან ვერა გხედამ
ნისლისა და ბურისაგან.
შენ უჩემოდ როგორა სძლებ,
მიკვირს შენი გულისაგან.
ხელმანდილს გამოგიგზავნი
ოქრომკერდით მოქარგულსა:
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა,
შენგნით დამწვარ-დადაგულსა.

* * *

ქალო, შენი ქალამანი
წყალს მიჰქონდა მდინარესა,
დავიჭირე, მოგიტანე,
ჩაგეხუტე მძინარესა.

მოამზადა: გივი ახვლედიანმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზვიად ბერიძე

## გალავანი

### გაკვეთილი

მარხვის პირველი მძიმე კვირა დასრულდა და მონასტერი სამჯერად კვებაზე გადავიდა, უცხიმო წვნიანი და მოხარშული კარტოფილი უფრო ნოყიერმა კერძებმა შეცვალა. „ჩვეულებრივად სატრაპეზოში დახლთან იდგა და თავის რიგს ელოდა, როდესაც სამმოს ერთ-ერთმა წევრმა უხეშად გვერდზე გასწია, თავის ლანგარზე კერძები დააწყო, - მოეხეტებიან აქ ვიღაც-ვიღაცებიო, - ჩაილაპარაკა მორჩილის გასაგონად, ზიზღნარევი თვალებით უშიშრად შეხედა, და ძმებს შორის გაუჩინარდა. ასეთმა საქციელმა რიგში მდგომი მორჩილი შეაკრთო, მისი აზრით, სულიერების ტაძარში ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო, შეუძლებელი იყო, ტაძარში სულის ღირსება ვინმეს შეელახა, ასე მიწიერად დაემცირებინა, აქ ხომ არ არსებობდა ღვარძლი, აქ ხომ ყველა სტუმართმოყვარე იყო, ბიწი არ უნდა გაჰკარებოდა აქაურობას... რატომ ხდებოდა მონასტერში ამგვარი რამ? პირი გაუშრა, ენა ნაფოტივით ეგდო პირში, სახე ალეწოდა და ჩაცვენილ თვალებს ნაღვლელი მომატებოდა, იმ წუთს საჭმლის ხსენებაზე გული ერეოდა. სატრაპეზო დატოვა, დაცემულს კარგად ესმოდა, ღმერთი გამოცდას უწყობდა, ისიც იცოდა - აღსარებაზე მისულს იმავეს ეტყოდნენ და ყოველივე ამის წამალი და შევება ლოცვა იყო. ისევ იმ სენაკში ავიდა, ტუალეტში კვლავ ვიღაც ჩაკეტილიყო, გაგუდული ოთახის სარკმელი ღია იყო, ცხელოდა. გონება ქარიან ტყესავით შრიალებდა, სარკმელი აღარ ყოფნიდა სიცხეს. ფანჯარა მთლიანად გამოაღო და ცივი ჰაერი კარგამლილი გადმოიღვარა ოთახში. რა კარგია ხოლმე, მცირე შევებას რომ გაგრძნობინებს ზამთრის სუსხი. თავმოყვარეობა შელახულს სწავლა კვლავ უნდა განეგრძო, კვლავ უნდა ეარსება იმ ადამიანებს შორის, სადაც ვიღაცას შეეძლო ისევ დაემცირებინა და მისი სიამაყე ფეხით გაეთელა. ზურგს მეუფის ლოცვა-კურთხევა უმაგრებდა და თხოვნა - არ შემარცხვინო, ახლა ყველა განსაკუთრებულად მოგაქცევს ყურადღებასო. რადაც უნდა დაჯდომოდა, უნდა მოეთმინა, აქ ბევრი ქართველი არ ყოფილა და იქნებ ბოლომდე გაეთავისებინა არსი მონასტრული ცხოვრებისა.

„რომ გაუგო რუსეთს, უნდა გაეგო ლავრას, რომ შეიცნო ლავრა, ყურადღებით უნდა ჩააკვირდე მის დამაარსებელს“.

მისი დამაარსებელი უძვირფასეს სანაწილეში იწვა, იწვა უდრტვინველი, უძრავი, ახალს არაფერს ეუბნებოდა მორჩილს, თითქოს საფიქრალი საგანიც წაერთმია მონასტერს მისთვის; ყოველდღიურობის ნიშნები დამჩნეოდა ყველაფერს, ნესტის სუნის მსგავსად, იდუმალი თავისში დაემარხა და ზედმეტად იოლად აღსაქმელი გარედან ხავსით დაფარულიყო, მორჩილს არ სურდა, ელიარებინა, რომ ის ზღაპრული სამყარო ჩვეულებრივ ცხოვრებად ექცა და ნელ-ნელა თავადაც ასეთივე ხავსით იფარებოდა.

* * *

მონასტერში ონკანის წყალი არ ისმეოდა, ამიტომ წმინდა წყალი მოჰქონდა სამრეკლოს გვერდზე წყაროდან. წყაროსთან კვირა დღეს დიდი რიგები იდგა. სამწუხაროდ, ამ წყალს ცისტერნებში ასხამდნენ და მერე იქიდან ხმარობდნენ. მათარაავსებული ზაქარია უკან ბრუნდებოდა, როდესაც მოპირდაპირე ქუჩაზე ორი კაცი დაინახა და რამდენიმე ქართული სიტყვა მოესმა, მათგან კვიპაროსებისა და საფლავების გრძელი მესერშემოვლებული ბაღი ჰყოფდა, მორჩილმა თავადაც აუჩქარა ნაბიჯს. კარგად მიაყურადა, იმერლები იყვნენ, ალბათ, სატვირთო მანქან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მძღოლები, შორ გზაზე საუბრობდნენ. გამოლაპარაკება მოუნდა, გაუსწრო კიდეც, თვალებში ჩახედა ორივეს, სურდა გაეჩერებინა, ეკითხა რაიმე, მაგრამ რა?

„მომენატრა სეირნობა რუსთაველზე, უბრალოდ ლამაზი საღამოები (ეს ეშმაკი მაცდუნებს), სიყვარული, სითბო (ვნებათა ბრალია), კარგად ვხვდები, გგონიათ, არ ვიცი კანონი, მაგრამ მე ამ კანონის ნაწილად ვერ შევიქმენი. მასწავლიან, რაც სჭირდება ადამიანს სულიერი სრულყოფის მისაღწევად. ალბათ, ძალიან ჯიუტი სული მაქვს, აქამდე რომ ვერ მოიდრიკა...“

* * *

„დედა, დღეს შენი დაბადების დღეა, სუფრასთან ვზივარ თქვენთან ერთად და პირველივე ჭიქას ზანზალაკივით ვაწკარუნებ. უცნაურია, იმ ყვავს დავემსგავსე, ზამთარში ნაცრისფერ ხეზე რომ ჩამოჯდა და მწვანეს ამოსვლას დაელოდა“.

კიდევ ერთი საღამოს კარი დაიხურა და მძიმედ შეაბიჯა ღამემ, მუშებმა თავიანთ იარაღებს თითქოს ძილი ნებისა უსურვეს და ჭიქები გააღვიძეს, ფანჯრის საპირისპიროდ ხატმწერებმა შუქი აბდღვრიალეს, მთელი დღე რაღაცას აკეთებდნენ ხატვის გარდა, იმ წუთშიც ტელესკოპებით შეიარაღებულნი მთვარეს უყურებდნენ, აქეთ ოთახში ქარს სახურავი აეხადა და მაგიდასთან მჯდომ მორჩილს თავზე ათოვდა, კედლები, საწოლები, კარადა, მაგიდა, სკამები, ფეხმძიმე გოგოს დაწკრიალებული ოთახი ახლად აყვავებული ალუბლის ყვავილებით მორთულიყო, ოღონდ, მსგავსად გაზაფხულისა, ნაზ სურნელებას სულაც არ აფრქვევდნენ. ზაქარიას ხელი თეთრ ფურცლებს დაჰკანკალებდა და კალმის წვერის გაყოლებაზე ახალი სტრიქონები ჩნდებოდა.

„მშვენიერი ხატწერის ჯგუფია ჩემი ფანჯრის წინ, მთვარეს უყურებდნენ ტელესკოპებით, ერთი ორჯერ ჩემს წვანეფარდებიან ფანჯრებსაც შეავლეს თვალი, მე მაგიდასთან ვზივარ და ხელოვნების მუზებს ვაფრთხობ, ხან კალმით, ხან ფუნჯით.

ხეებს დღისით თოვლი შეადნა, შემდეგ ისევ ყინვამ მოუჭირა და წყალი ყინულად აქცია, ნიავის წამოქროლაზე ტოტებზე შეყინული წყალი იმტვრევა და კაკუნის მაგვარ ხმებს გამოსცემს. აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს და ვცდილობ ამ საღამოს აღწერას. თეთრი ფურცლები იალაღებივით არის, თავისუფლებით აუვსია მაღალ ღმერთს, ზედ, რაც გინდა, დაწერე. თეთრი ციებ-ცხელებით იპარება გონებაში ეს საღამო, შემოსასვლელში მდგარმა ძველმა საათმა სპილენძის ენა შეარხია და სარვისნახევრო ჩამოჰკრა. ჩემი საათებიც ნერვების მომშლელად წიკწიკებენ, იმდენად გაზანტებულან, კაცს დამტვრევას მოასურვებენ. კარი ოდნავ ღიაა, გეგონება, მასპინძელმა ცოტა ხნით ოთახი დატოვაო; შესაძლოა, ვიღაცის ცნობისმოყვარე მზერამაც შეაკრთოს წამით სიმყუდროვე და წითელ ნოხდაგებულ დერეფანში გაუჩინარდეს. ჩემს მფარველ ღვთისმშობლის ხატს ადგილი შევუცვალე, კახეთშიც მიფარავდა ყოვლად წმიდა, რამდენიმე სამყარო ერთ მონოლითად იქცა თავში, თვალს დასვენების საშუალება არ აქვს, გონება კი ახალ-ახალ სახეებს უმატებს გარდასულსა თუ აწმყოს. სადგურიდან მატარებლის კივილი ისმის, მალე მძიმე ბორბლები რკინის ლიანდაგზე დგაფადგუფით გაივლის, მერე მათ სიჩუმე მოსრავს, ზარების რეკვით აცილებს სამრეკლო. საღამოს ლოცვა დასრულდა, სასტუმროს შესასვლელი კარი ნერვულად იწყებს გაღება-დახურვას, იქვე მჯდომი ფეხმძიმე გოგო ქსოვას განაგრძობს, ყველას გულთბილი ღიმილით იღებს და აცილებს. დედამისი მორიგეა და ოთახებს უვლის, ბებიაქალი ფუსფუსებს და სარეცხს ახარისხებს საერთო სამრეცხაოში წასაღებად. სტუმრად ჩამოსული მონაზონი ფანჯარასთან დგება და ხალხის თვალიერებას იწყებს. რა მწირია და მრავალფეროვანი მისი გართობა, ფსკვნილის თამაშით მლოცველს უფრო წააგავს, ვიდრე ცნობისმოყვარე დამკვირვებელს, დერეფნის დასაწყისიდან დეზების საზეიმო წკარუნით, სამხედრო ნაბიჯით დიდულვაშიანი ხმალჩამოკიდებული კაზაკი საზეიმო მარშით მოდის, ღვთისმშობლის ხატთან ჩაჩოქილ, მლოცველ ბერთან წამით ჩერდება, ზევიდან დაჰყურებს და ისევ დერეფნის თავში ბრუნდება. ამას არ ახლავს არც ერთი ბგერა, ისმის მხოლოდ სარეცხის შრაშუნი და მძიმე ნაბიჯები. ოთახში ვბრუნდები, ვიღაც გაჭირვებული კვლავ ტუალეტშია ჩაკეტილი და გულს მიწუხებს. მასაჟისტი ქალის პატარა ბავშვი საშინელი ხმით ყვირის, უაზროდ დაბოდიალებს. ყველაფერი ხელახლა იწყება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახშამი დასრულდა. გაურეცხავი ფინჯნები მაგიდაზე ტყუილად ელიან შველას, მატარებელი ისევ გავიდა, კიბეზე ვიღაც ამოდის, სიცილი მოჰყვა ნაბიჯებს, კარი დახურეს. ტუალეტთან ორი ქალი შეხვდა ერთმანეთს, მათი საუბარი საიდუმლოა. ჯერ არც ისე გვიანია, მაგიდასთან ვზივარ და გამლილ ველებზე ნაკვალევს ვტოვებ, ჩემს სამყაროს ახლად ნანახ სივრცეებს ვუმატებ. კარზე მიჭედებულ ლურსმანზე წყვილდაკარგულ ხელთათმანს ვკიდებ, კარგი ადგილი მოეძებნე. ვაღებ კარს, სადაც ჭუჭყიანი თეთრეული სუნთქავს. სარკეში ვიყურები და წვერს ვივარცხნი. ვამოწმებ, ფული ადგილზეა თუ არა. გაფრთხილდიო, მითხრეს. მეც ეჭვი მეპარება, საფულეს ვხსნი. ტელეფონი რეკავს დერეფანში; ნეტავ, თბილისი იყოს. პირსახოცი უკვე გასარეცხია. ქალაქსაც არ სძინავს. მეც, მაგრამ ჩვენ გალავანი გვყოფს. რა უცნაური კოქტეილია, - მე, გალავანი, ქალაქი, მოღიავებული ალაყაფის კარი, ზურგს უკან მდგარი მეუფის კურთხევა და რწმენა. გალავანს გარეთ ავტობუსი გახრიგინდა, სახელოსნოში შუქი ჩამქრალა. სამაგიეროდ ვარსკვლავები ბრწყინავენ ცაზე. ოთახი დალაგებულია და ნოხიც სუფთაა, ლოგინი ხელოვნების ნიმუშს ჰგავს. დაცლილი შავი კალამი ადგილს წითელს და მწვანეს უთმობს და ისეთი გამჭვირვალეა, მეცინება. მალე ლურჯიც დამეცლება, მომიწევს სხვა ფერით გაგრძელება. გიორგი არ ჩანს. ალბათ, თავის რეფერატზე მუშაობს. დამცხა, ფეხზე ბათინკები მაცვია, ოთახი თბება. სარკმლიდან მუშების ღრეობის ნაწყვეტები მოაქვს სიოს. ჩემს სტუმარს რაღაც დარჩა ცელოფნით. რამდენმა ადამიანმა იცხოვრა აქ ამ ხნის განმავლობაში. საათი რვაჯერ რეკავს, მისი ხმაც მიწყდა. კალამი იცლება, ცოტაღა დამრჩა და ავდგები, გამოვიცვლი, მცხელა. კალამი იცლება. ტელეფონი რეკავს. ნეტავ, თბილისი იყოს. ნახვამდის, არ მეძინება. ვიღაც კიბეზე ამოდის, ნაბიჯი მსუბუქია, არც დეზების წკარუნი მოსდევს, მას უსაზღვროდ ლურჯი თვალები და ნაზი ხელები აქვს, ის ყველაზე ლამაზი გოგოა, დღეს კაცმა მტრედებს აჭამა, პურის ნამცეცები თოვლზე იბნეოდა და გათავხედებული მტრედები თავზეასხდებოდნენ. მტრედებს და იმ კაცს ერთნაირი თვალები ჰქონდათ. ის მორჩილია, თუმცა მთლიანად ჭაღარა და ცხოვრებისაგან დაღლილი.

ცოტათი მოვეშვი, აღარ ვნერვიულობ. უკვე გულის ბაგაბუგიც მესმის, კარს ბოლომდე ვხურავ და ურდულს ვკეტავ.

## ჩაი ტარაკნებით

დილის ტრაპეზიდან ბრუნდებოდა, სენაკის კარი ღია დახვდა, ოთახში სამი ღვთისმსახური ფუსფუსებდა. ერთი, ყველაზე მაღალი, რომლის მოყვითალო პირსახე და ზომაზე მეტად მაღალი ყვრიმალები ვიწრო თვალებს გაესრათ, ბრძანებებს იძლეოდა და ემჩნეოდა, უპირატესი იყო. მას რუსის გარეგნობა არ ჰქონდა. არც შემცდარა მორჩილი ზაქარია, ჩუვაში იღუმენი, ჩებოქსარის სამების წინამძღვარი სავატი ერთი შეხედვით ცივსისხლა ადამიანს ჰგავდა. შესვლისთანავე გამარჯობა უთხრა მასპინძელმა. იღუმენის ასკეტური სიცივით ნასროლმა მზერამ და თავის დაკერამ ადგილზე გააქვავა, და პირველი შთაბეჭდილებაც არასასიამოვნო დაუტოვა. ზაქარია კიდევ ერთხელ დაუფიქრდა თავის მდგომარეობას. ორი ადამიანისათვის განკუთვნილ ოთახში ზედმეტად ბევრი ხალხი იყო. „ძალიან ბევრნი არიან", - გაიფიქრა დამხვდურმა. ფიქრი დასრულებული არ ჰქონდა, რომ ახლად მოსულები შეტრიალდნენ და მკვირცხლად დატოვეს ოთახი, თითქოს მიუხვდნენო მასპინძელს გულისთქმას, შემდეგ ნაცნობი სიჩუმე ჩამოდგა თავისი მოსაწყენი ქვენების ჟღარუნით. სარკმელს იქიდან მუშების ხელსაწყოების ხმა შემოდიოდა. მონასტერში სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, ამ ხმაურის გამო ხშირად კეტავდა მორჩილი გრილი ჰაერის წყაროს, რათა თავისი სავანე და სიმყუდროვე მიწიერთა აუტანელ რია-რიას არ შეეწუხებინა. დროთა განმავლობაში კი ეს რია-რია მისთვის აუცილებლობად იქცა, გაუთავებელი ყაყანი, ჩვეულებრივი მიწიერი საუბარი მიმზიდველიც კი გახდა. ოთახს ორი ყუთი და ჩემოდანი შემატებოდა, კარადის გვერდზე დაწყობილნი მორჩილად ელოდნენ პატრონს, პატრონი კი წმინდა სანაწილესთან იყო ჩაჩოქილი და ჩამოსვლას უმადლოდა წმინდანს. სტუმრები აღარსად ჩანდნენ, სიცარიელეს უბელო რაშივით მისცემოდა სივრცე, ჭრელ მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე ჩაის ფინჯანი იდგა, შიგნით კოვზს მოესვენა, ყავისფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყლიანი ღლიური უწინდელივით გადაეშალა, კალმებიც გვერდზე მიეგორებინა მაგიდის დაქანებას თუ ხელის წაკვრას, ანდაც ქარს - იშვიათ სტუმარს ამ ოთახისა. ყველაფერი მძივივით აეწყო ბუნებას, უსაშველოდ დიდი მძივივით, სხვადასხვა ფერის ბურთულებით, კენჭებით და მრავალი სხვა რამით, მსგავსად ყოველი დღისა.

„მთელი ცხოვრება ერთ დიდ უკიდეგანო მძივს ჰგავს, ადამიანს რომ არ ახსოვს, საიდან იწყება, ყოველი დღე კი ახალ-ახალ ბურთულას უმატებს, დღის მიხედვით - სხვადასხვა ზომისას, წონისას, ფერისას და, ყველაზე ცუდი ის არის, რომ მათ ვერასოდეს შეცვლი, ადამიანს ძალუძს მხოლოდ მისი დაწყვეტა, ალბათ, ასეთივე მძივებით შემკულნი წარსდგებით სამსჯავროს წინაშე".

სასტუმროს შემოსასვლელი კარი გაიღო, ზედ მიმაგრებული ზამბარა გაიწელა და კარი ხმაურით მიეხეთქა. მორჩილის ფეხქვეშ კვლავ თოვლი ჭრაჭუნებდა, ნაძვების უხეშ წიწვებზე თოვლის ფაფუკი ქულები ეფინა. დღემ სწრაფად გაირბინა და სამრეკლომ ზარების ნარნარი ჰანგებით საღამოს ლოცვის დაწყება ამცნო. ხალხი ჩქარი ნაბიჯით მიიწევდა ეკლესიებისაკენ. შემოსასვლელ კარიბჭესთან მხარზე ნიჩაბგადადებული მეეზოვე ქალი გამალებით იწერდა პირჯვარს და ნიჩაბმოუხსნელად ქედს უხრიდა ღმერთს. „კარგი სახეა" - გაიფიქრა მორჩილმა და თავადაც გადაიწერა პირჯვარი.

სატრაპეზო ტაძარი ყველა ტაძარზე დიდი იყო. იგი ყოველ კვირა დღეს ივსებოდა და დღესასწაულებზე მრევლი გარეთაც დგებოდა. ძველი სლავურის გაგება მორჩილს უჭირდა და მხოლოდ ლოცვის დეტალებს გებულობდა, ნაკუწ-ნაკუწ აღიქვამდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საათი ისე გაირბენდა, ვერც კი გრძნობდა. ტაძარში დარწეულმა საკმევლის სუნმა არაამქვეყნიურ სამყაროში გადაისროლა მისი სული, სხეულს სიმძიმე მოაკლო და ყოველი მოძრაობა სულთან უფრო იყო ჰარმონიაში, ვიდრე ხორცთან. ჯვარცმასთან მეტანია გააკეთა და მაცხოვარს ეამბორა. უეცრად ახალი სტუმრის სახემ გაიელვა და სადიაკვნოს კარს მიეფარა. მონასტრისთვის უცხო არ უნდა იყოს, - მიხვდა მორჩილი. თავის მიხვედრილობაზევე გაეცინა და ფიქრიც სასწრაფოდ მოიშორა თავიდან. ყოველი ქრისტიანი საკუთარი სახლივით აღიქვამდა მონასტერს და ლოცვისთვისაც არ უნდა შეეშალა ხელი ფიქრს, სიტკბოებისკენ მსწრაფ სულს ხორცი უნდა დაევიწყებინა.

ლოცვის დასრულების შემდგომ საძმო სატრაპეზოსკენ გაეშურა, იქ კიდევ ერთხელ გადააწყდა სტუმარს. ტრაპეზი მრავალფეროვანი არ იყო (ალბათ, სულის გასაფრთხილებლად) და ლოცვით დაასრულა იგი, დანაყრებული გამოუყვა თოვლიან ბილიკებს. ლამპიონები კვლავინდებურად ანათებდნენ, აღარ თოვდა, ცა მოკრიალებულიყო და მაღლა ვარსკვლავთა გუნდები უცნაურ საიდუმლოებას მალავდნენ.

მუშების რია-რია მიეჩუმათებინა ღამის უდრტვინველობას, სენაკში ჰაერი გახურებულ (ბატარეას დაეხუთა. ყველაფერი უკვე ჩვეულებრივად ეჩვენებოდა მორჩილს და კანონზომიერებად თვლიდა. საშინაოდ ჩაიცვა, ლოგინზე წამოწვა, მკლავები თავქვეშ ამოიდო და თავი მომავალ გეგმებზე ფიქრს მისცა. ფიქრი კარზე კაკუნმა გააწყვეტინა. ვიღაცამ ლოცვით უფლება აიღო და ჩაუკეტავი კარი შემოაღო; სტუმარს დაღლა დატყობოდა და მასპინძელი მისმა გულთბილმა მისალმებამ გააკვირვა. მიიხედ-მოიხედა და თავისი ნივთების გადახარისხებას შეუდგა. ზაქარიამ ადგილი წინდაწინ გამოუთავისუფლა, თაროები შესთავაზა. ბერმა მადლობა გადაუხადა და საქმის დასრულების შემდგომ, მსგავსად მორჩილისა, ლოგინზე წამოწვა. შემოსასვლელთან საათის მშვიდი გუგუნი გაისმა, სიჩუმე სტუმარმა ილუმენმა დაარღვია და ზაქარიას ვინაობა გამოჰკითხა. საუბრის დროს გამოირკვა მოძღვრის მოკლე სტუმრობის მიზეზი, ისიც, რომ მასპინძელი სწავლის სურვილით აღჭურვილი თბილისელი იყო. იმასაც მოუყვა სავატი, ასე ერქვა ილუმენს, როგორ იცავდნენ ქართველები ჯარში, მორწმუნეს არ აჩაგვრინებდნენ, რისთვისაც ემადლიერებოდა ქართველებს. უყვარდა ქართველები სავატის, მხიარულიც იყო - ხანდახან ანეკდოტებსაც კი გამოურევდა მონათხრობში. რამდენიმე დღემ, ლოცვის შემდეგ გვიან ღამემდე, მხიარულად ჩაიარა, სანამ სავატიმ არ შესთავაზა მორჩილს, - ჩაის ხომ არ დალევ ტარაკნებითო. ზაქარიას გაუკვირდა. ასეთი რამ ჯერ არ გაეგონა და ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო დათანხმდა. მადუღარაში წყალი ჩაასხა. უცნაურმა მოლოდინმა აავსო სენაკი, რაღაც ახლის მოლოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინში ზაქარიამ საქართველოდან წამოღებული ტყლაპი, ნიგოზი და კიდევ სამნაირი მურაბა გამოდგა. როდესაც ფინჯნები გაავსეს, ილუმენმა ჩაი ამოიღო და ფინჯნებში ჩაყარა. მართლაც ტარაკნებივით დაცურავდნენ ჩაის ფოთლები წყლის ზედაპირზე, სანამ გაიჟღინთებოდნენ და ჩაიძირებოდნენ. ჩაის დიდებული სურნელი ჰქონდა და ტბილეულობაც ძალიან გემრიელი გამოდგა. ამიტომაც მეოთხე სენაკში, მიუხედავად განრიგით აკრძალვისა, სურისკუდები ყოველთვის იმართებოდა.

სავატი მალე გაემგზავრა ჩუვაშეთში და მორჩილს წიგნი უსახსოვრა, წიგნში მის შესახებ ეწერა. ზაქარიამაც თავისი ნამუშევრების ფოტოსურათები აჩუქა.

სავატი კვირა დღეს გაემგზავრა. ზაქარიამ გალავნის კარამდე მიაცილა და სენაკში დაბრუნდა. კვირადღე ღმერთს დასასვენებლად გაუჩენია და მორჩილიც ისვენებდა. ლავრის ქუჩებში დახეტიალობდა, ახალ სახეებს ათვალიერებდა და ასჯერ ნანახს ასმეერთეჯერ ავლებდა თვალს.

„ამდენი ხანია რუსეთში ვარ და რუსულ მიწაზე ფეხი არ დამიდგამს, გაგიგიათ, ხალხო, ასეთი რამ? სულ თოვლია, ძალიანაც რომ გინდოდეს, მიწას ვერ დაინახავ".

ზაქარია მაქსიმალურად იტვირთავდა თავს, რომ მოწყენის დღეები მძიმე ლოდების მსგავსად გადასაგორებლად არ ექცია.

„გამიჭირდა საკუთარ თავში ჩაკეტვა, ძალიანაც არ მინდა, მაგრამ სიტუაცია მაძალებს, იშვიათად ეხვდები მოღიმარ სახეს, არ მეგონა თუ ღიმილი მოსანატრებელი გამიხდებოდა. დილის შვიდის ნახევარზე საღამოს ლოცვაზე მივდივარ, - სულიერი სიჯანსაღისათვის ფიზიკური გვერდზე უნდა გადადო, მართალია, მე ორივე ერთად, მირჩევნია, მქონდეს და ორი კურდღლის ერთად დაჭერას ვაპირებ.

მალე დიდმარხვა დაიწყება, ის კი არ ვიცი, თაფლი სამარხვოა თუ არა, დაზუსტებაა საჭირო".

თაფლი სამარხვო იყო, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც გუდანაბადი აიკრა და თავის შუქჩამქრალი სამშობლოსკენ გამოეშურა, საქართველოდან დედის გატანებული თაფლით სავსე ქილა ფანჯრის გარე რაფაზე ისევე სავსე იდგა და დაცლას სულაც არ აპირებდა.

## აეროპორტი

ვეღარ დაგემშვიდობეთ, ალბათ, მაპატიებთ, არეულ-დარეული ვიყავი, პირველად ვტოვებდი საქართველოს, მხოლოდ ტრაპის მოცილებისას მოვეგე გონს, გარეთ ყურება დავიწყე, მინდოდა, რომელიმე თქვენთაგანისთვის მომეკრა თვალი, ცოტა მაინც დამეცხრო მღელვარება, მაგრამ ძალიან შორს აღმოვჩნდი თქვენგან, უეცრად ვიგრძენი დისტანცია, ვიგრძენი საზღვარი, რომელიც თქვენ თვითმფრინავთან მოსვლის უფლებას არ გაძლევდათ, და შემძაგდა იგი. თავი სავარძლის საზურგეს მივაყრდენი და აფრენას დაველოდე. თვითმფრინავი ნახევარი საათის დაგვიანებით აფრინდა, ვგრძნობდი თქვენს მზერას და უკვე ძალიან მაღლა, საზღვარს გადაცილებულს, დაწეული ლოცვა ენერგიით მავსებდა. ვიცოდი, თბილისში რამდენიმე ადამიანმა პირჯვარი გადაიწერა და იქამდე იდგა იმ უზარმაზარ შუშასთან, სანამ თვითმფრინავის მოციმციმე ნათურა საბოლოოდ არ დაიკარგა თვალთახედვიდან და ღრუბელთა ორომტრიალმა არ ჩაყლაპა.

თვითმფრინავში „პაკეტები" ჩამოარიგეს: - გული თუ ვინმეს აერეოდა, იმისთვის. მათთვის ნამდვილად არ მეცალა. ცოტა სისხლი ამივარდა თავში, თუმცა თავი მაშინვე მოვთოკე და წნევა კალაპოტს დაუბრუნდა. ყურები გამითავისუფლდა. ფრენა გაიმართა, გასწორდა და საღამოს ლაჟვარდს თვალებში ჩახედა, თვითმფრინავმა ღრუბლებით მოქარგული უზარმაზარი სივრცე გაკვეთა და მზერამაც, დედამიწის სიმრგვალესთან ერთად, მზის სხივთა ღვთიური, ოქროსფერი ფერხული კოსმოსში გააცილა. ამ ღვთიური სანახაობის შემხედვარეს თვითმფრინავის სალონში ჩვეულებრივი მიწიერი სურათი გადამეშალა. ამდენი ქურთის ქალი და ბავშვი ერთად თბილისის არც ერთ უბანში არ მინახავს. თვითმფრინავი სავსე იყო (ამას უფრო გატენილი ჰქვია, ვიდრე სავსე). თვალი მხოლოდ ერთმა გოგომ მომტაცა, გვერდით ქმარი ეჯდა და საკმაოდ კარგი წყვილიც იყო. ახლად დაქორწინებულებს ჰგავდნენ, მათი სანიშნე ბეჭდების ბზინვარება ჯერ კიდევ არ ჩაეგუდა ხელის ცხიმს. მათ წინ ორი საკმაოდ მსუქანი, ცხოვრებისაგან ნაამები კაცი სიგარეტს აბოლებდა და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდა. (ალბათ, ჩემი მინუსია, რომ ბევრი ენა ვერ ვისწავლე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და მეუფე გვერდიგვერდ ვისხედით და მომავალ გეგმებზე ვსაუბრობდით, საუბარს ფეხებთან ჩალაგებული ყუთები უშლიდა ხელს, ყუთებში მადლიანი სითხით სავსე ბოთლები ელაგა, რომელთა გაფრთხილება და მოვლა ყოველი ქართველისთვის პირნათლად მოსახდელი ვალია.

აუტანელ ყაყანსა და სიგარეტის ბოლში გახვეულ ულმილამო სალონს მეუფის დუმილიც დაემატა, იგი, ალბათ, რაიმე მისთვის ჩვეულებრივზე ფიქრობდა. ამ მოსაწყენ სანახაობას მოვწყდი, გარეთ მოცისფრო ბურუსს მივადევნე მზერა. ირგვლივეთი უკიდეგანო სიცივით დაეფარა თოვლს. მყინვართა უსწორმასწორო ზედაპირზე ლურჯი ჩრდილები ამოღებულ კენწეროებს ელამუნებოდნენ. აქა-იქ მოხეტიალე ღრუბლები უეცრად უზარმაზარმა არწივმა აჭრა, ნისლი მიმოფანტა. ბავშვობაში ზღაპარში ამოკითხულ ფრინველს ჰგავდა, მის ცეცხლისფერ თვალებში თვითმფრინავი მშვილდივით მოზიდულიყო, სულ ახლოს იყო, შემდეგ აცურდა, მხუილით დაეშვა მწვერვალებისკენ, ფრთებით გაკვეთა ცივი ჰაერი და სადღაც ფეხთით ახლად მოსული თოვლი აამტვერა. ბურუსში ქედები იდგნენ, დროშებს აფენდნენ მსახურნი ნისლის, აფრიალებდნენ ალმებს ქარები, და ეს გრძნობა რაღაცით მომავლის შიშს წააგავდა. აბუქებულ თოვლში მოჩვენებები დაბორიალობდნენ, ალბათ, თუ ჩამეძინა წამით, ხარსა და ლომს ბრძოლა გაემართათ და ძრწოდა შიშით გარემო... ყოველივე ისე მიეფარა თვალთახედვას, ვერ ვიტყვი, რომელი გადაწონიდა და, სანამ საშინლად სწორი სტეპები დაიწყებოდა, ანგელოზი ჩამომჯდარიყო კამკამა სხივზე, კავკასიონის ცივი ქარი ცისფერ ქიტონს უფრიალებდა და საკმეველივით უკმევდა ახლად მოსულ დაისს ბუნებას.

დრო მიიწურა, დიდ დედაქალაქში ჩავფრინდით. მონასტრის მსახურნი აეროპორტშივე დაგვხვდნენ. მშვიდი და უდრტვინველი გამომეტყველება ჰქონდათ, ფერნაკლულ სახეებზე სიცივისგან აწითლებული ცხვირები ოდნავ მოღიმარ იერს ჩუქნიდნენ.

გზაში საინტერესო ბევრი არაფერი იყო, ოთხმოც კილომეტრზე ცალმხრივი მოძრაობა, თითქმის ბოლომდე განათებული მაგისტრალი, არაჩვეულებრივად ფარფატა ფიფქები და ძალიან, ძალიან ბევრი თოვლი.

სურათი უეცრად შეიცვალა ამ პატარა ქალაქში შეხვევისას, ყველაფერი არნახულმა სიმყუდროვემ მოიცვა. რამდენიმე საათში რამდენიმე სამყარო გადავკვეთე და ახლა წითელი აგურითა და დიდი მორებით ნაშენ ქალაქში აღმოვჩნდი. ქუჩები მოსიარულეთა სილუეტებით და მანქანის ფარების შუქით შეჯერებულიყო. ყველაფერი თოთხმეტმეტრიანმა გალავანმა შთანთქა. მანქანამ ნიშში შეუხვია, უზარმაზარი ხის კარიბჭე გააღეს და ლავრის მიძინების ხუთგუმბათიანმა ტაძარმა კიდევ ერთ ახალ სამყაროში მიგვიპატიჟა. სიმყუდროვეს და სიმშვიდეს მონასტრის განათებული ქუჩების ცისკროვნება დაემატა, ლამპიონების ვერცხლისფერ და ოქროსფერ შუქზე ფანტელები ზღაპრული ანდამატებივით ბრწყინავდნენ და კანკალებდნენ. მონასტრის უამრავ შენობას მაღალი სამრეკლო დაჰყურებდა და მართლაც ღვთაებრივ სანახაობას ქმნიდა. ყველა ძალიან თბილად შეგვხვდა, გვავახშმეს და ოთახებში მოგვასვენეს, უფრო თბილი ხალხი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი, ახლა დასვენება მინდა..."

## განსხვავება

ვიცით, როგორც იწყებოდა მისი ყოველი დღე. ასევე დაიწყო ახალი კვირაც, ასევე დაიწყებოდა დანარჩენიც, იცოდა ზაქარიამ და ბედს შეგუებული ცდილობდა, საერთოდ არ ეფიქრა დროზე, რომელსაც წამდაუწუმ ახსენებდა ნერვიულად აწრიპინებული მაღვიძარა, თავისი გულის გამაწვრილებელი ხმით უდროო დროს რომ აღვიძებდა. მონასტერში სიმშვიდე იყო, ხანდახან თუ გაიფრთხიალებდა ხეზე მჯდარი თოლია და სიბერით ან ადამიანების სიახლოვით ძირს დაენარცხებოდა. ახლაც დაენარცხა თოლია თოვლს ფერადი მუშით შემკული ფანჩატურის გვერდზე და დნობა დაიწყო. სატრაპეზოდან მომავალმა ზაქრომ მწვანე ალაყაფის კარი ღია დაინახა და მოელას მოკლეზე გავლა არჩია...

ძმაო, ძმაო - იძახდა მის ზურგს უკან ვიღაც, ის იქ არავის იცნობდა და ამიტომაც ყურადღება არ მიუქცევია, ისე განაგრძო გზა, ბოლოს, დაეჭვებული, მაინც შეტრიალდა და მის უკან მდგარმა „უშანკიანმა" დარაჯმა, ჩალისფერი თმა და თვალები რომ გაჰყინოდა, მიაძახა:

- შენ რა, გამოქვაბულში დაიბადე, კარის დაკეტვა არ იცი? შემდეგ კარი თავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკეტა და სიმწვანის უკან გაუჩინარდა. თავის ჯიხურში თუ შევიდა, მორჩილს ხმა არ გაუცია, ყველაფერი მშვიდად აიტანა. .საკანში ასულს, მარცხენა მხარეს, ნეკნებ ქვეშ ასტკივდა რაღაც, გრდემლივით უცემდა გული და სისხლს გამოსაწრთობ რკინასავით ახურებდა, მთელი ოთახი მღელვარებას აეტანა, გულივით ტორტმანებდა და ყურებში გამუდმებული უწყვეტი შხუილი ჩაესმოდა, ღმერთს ეხვეწებოდა, მომეცი ძალა და დამამშვიდეო. სარკესთან მივიდა, ძალიან წყნარად მოძრაობდა, სარკიდან წვერმოშვებული, თვალებამღვრეული, ფერდაკარგული მორჩილი იმზირებოდა, ყურები დასწითლებოდა, შუბლზე ძარღვები დაბერვოდა და ახლაღა გაიხსენა, რომ ეს სახე თვეზე მეტია, არ ენახა, მისმა ცვლილებამ გააკვირვა - თითქმის აღარ განსხვავდებოდა გარშემო მყოფთაგან, ერთ-ერთ მათგანად ქცეულიყო, გული დასწყდა, ნუთუ ეს შავკაბამოსილი მორჩილი რეალობა გახდა? ისიც გაახსენდა, სავატის სკუფია რომ დაიდგა თავზე. ილუმენი ცოტა ხნით გასული იყო ამ დროს ოთახიდან. მორჩილს ფერი კიდევ უფრო დაეკარგა. დერეფანში ჭრელმა ფოცხვერმა გაირბინა ჩუმად, მორჩილის კართან შეჩერდა, მოყვითალო თვალით შემოიხედა, გაიზმორა, დერეფნის ნახევრად ბნელი ფანჯრის რაფაზე ახტა და ყვავილების ქოთანი გადმოაგდო, იქ ორი კბილი ნიორი დათესა მიწასთან ერთად ისინიც გააყოლა ნაგვის ასაკრეფს, დამლაგებლის ფეხმძიმე გოგომ, ყველაფერი ჩანდა სარკეში, მაგრამ თავად სარკეს აღარ ენდობოდა მორჩილი, სარკე კარადის კარზე მიემაგრებინათ და ყველაფერი თავიდან დაიწყო თითქოს. კარი დახურა და მოჩვენება სასწრაფოდ გააქრო, ოთახში ჩვეულ სიჩუმეს დაესადგურებინა, მწვანეფარდებიანი ფანჯრის იქით სახელოსნო მოჩანდა, გალავანში ჩაშენებულ სახელოსნოში დანასობიით ერთობოდნენ მოწაფეები, დანის მსროლელი და მორჩილი ერთმანეთს მიაშტერდნენ, ცოტა ხნის შემდეგ მკვეთრად შემოტრიალდა, კარი გააღო, ქუდი არც დაუხურავს, ისე გასწია დარაჯის სანახავად.

მონასტერში არსებულმა სიწმინდემ, რომელმაც სული გაუსპეტაკა, გაზარდა და დაადვინა, სიბრაზეს ვერ აჯობა. მორჩილი თავის თავს ხედავდა ამაყს, ადრინდელს, ძლიერს, ძლიერს, ძლიერს... ჯიხურთან შეჩერდა, კარი შეაღო, ცისფერთვალება დარაჯი გარეთ გამოიხმო და ქართული აქცენტით დაელაპარაკა, დარაჯმა ბოდიშის მოხდა დაიწყო: - არ გამომივიდა კარგად, მაპატიე და შემინდეო. მორჩილმა ორი ხელით მაგრად ჩაბღუჯა მისი პალტოს საყელო და ჯიხურის შუშის ანარეკლში თავისი თავი დალანდა.

ბოლოს და ბოლოს, იესო ქრისტე გამოქვაბულში გაჩნდაო, - უთხრა, ხელი გაუშვა და ზურგშექცეული, სადარაჯოს კარის გავლით, სასტუმროსაკენ გაემართა.

იმ ღამით თავის დაუძლეველმა ტკივილმა შეაწუხა. მეორე დღეს სახელოსნოში ვერ იმუშავა, სიცხე მისცა. სენაკში დაბრუნდა და ლოგინში ჩაწვა, მამა მანუილმა სადილი და პილპილიანი, ცხელი მოლდავური ღვინო, „კაგორი" მოუტანა, სკამზე ჩამოუჯდა და ჯარის ამბებს მოუყვა. გასახსენებლად თითქმის ყველა ბერს ჯარის ამბები ჰქონდა, სახლს იშვიათად იხსენებდნენ, სტკიოდათ, ალბათ, მიუხედავად მიწიერი ცხოვრების უარყოფისა, ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, გრძნობდნენ და განიცდიდნენ.

* * *

„დღეს დასრულდა ბოლო ტრაპეზი, იწყება ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეტაპი ჩემი აქაური ცხოვრებისა, დაიწყო დიდმარხვა, დრო გამოცდის და საკუთარ თავში დარწმუნების".

გიორგი ფერსათელი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც მეუფემ გააცნო და სტუმრად მოვიდა მორჩილთან, მას ქართველობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, - ქერა, თხელი თმა, მუდამ დავარცხნილი და, როგორც სასულიერო აკადემიის სტუდენტს შეეფერება, მოწესრიგებული, მრგვალი პირისახე, ოდნავ აპრეხილი რუსული ცხვირი ჰქონდა და მხოლოდ უცნაური სითბოთი დაჯილდოებული ლურჯი თვალები განასხვავებდნენ გარშემო მყოფთაგან. მისი მამა სვეტიცხოველში ყოფილა მოძღვრად, ოთხმოცდაერთ წელს ავტოკატასტროფაში დაღუპულა და ეროვნებით რუს მეუღლეს შვილები მოსკოვში წაუყვანია, აქ კი გიორგის მეხსიერებას მხოლოდ რამდენიმე სიტყვა შემორჩა ქართული. თავისი ხასიათით სათნო, ერთგული ადამიანი იყო, დაჯილდოებული ყველა იმ საუკეთესო თვისებებით და განსწავლულობით, რაც ძლიერ მოძღვარს სჭირდება.

ოთხი წელიწადი სემინარიაში ესწავლა,

სწავლა აკადემიაში განეგრძო. ხანდახან საღამოობით მიდიოდა მორჩილთან და ქართული წერა-კითხვის სწავლას ცდილობდა, რამდენიმე ბგერის გამოთქმა უჭირდა, მორჩილიც ასწავლიდა, როგორც შეეძლო. ხანდახან გვიან ღამემდე ისხდნენ ფინჯან ჩაისთან და ყვებოდნენ იმ საოცარ ქვეყანაზე, ერთი მუჭის ტოლა მიწაზე, საქართველო რომ ერქვა. სამწუხაროდ ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა.

* * *

„მეორე დღეა ვმარხულობ, თუმცა თბილისიდან წამოსული ადამიანისთვის კერძების დიდი არჩევანიც აქ მარხვას უდრის".

* * *

თვალმა ბევრი რამ იხილა, მონასტერში სულმა ბევრი რამ მიიღო, ხორცმა მოკრძალება ისწავლა და მორჩილი თითქოს ანაფორის ჩასაცმელად მოემზადა, ირგვლივ ყველაფერი ახლო გახდა მისთვის, მოჩანდა ზღურბლი მიწიერი და ეკლესიური ცხოვრებისა. ამ ზღურბლზე ადამიანს თავისუფლად შეეძლო, რამდენიმე წელიწადი გაეტარებინა, მთელი სიცოცხლე მიეძღვნა და არ გადაებიჯებინა. როცა ამაზე ფიქრი დაიწყო, შინაგანი ბრძოლა გაუმძაფრდა, სხვადასხვა მხარეს გადგნენ ლოცვით გამოწვეული სიტკბოება და ოჯახის მონატრება, დარჩენა თუ დაბრუნება. მორჩილებას შეჩვეული ზაქარია ორად გახლეჩილიყო. ტელეფონმა რომ დარეკა, ფიქრიდან გამოერკვა, - ღრუბინ, - დაუკაკუნა მეორე სასტუმროს გამგის მოადგილემ „ბატიუშკა" დოსიფეიმ. ეს რასაც ნიშნავდა, კარგად იცოდა, ზაქარიამ ნახევრად ჩრდილოვან დერეფნის კუთხეში მდგარი ძველი პატეფონი გადაქოქა და „სულიკო" აჟღერდა, ჟრუანტელმა დაუარა ტანში, იგრძნო სითბო, აჩქარება ნამდვილად არ ღირდა, ყურმილი პირველ სართულზე ელოდა. თბილისიდან ახლობელთა საუბარმა ძველი მუხტით აავსო, კიბის საფეხურების ჭრიალით ავიდა მეორე სართულზე და დიდხანს, დიდხანს უსმენდა „სულიკოს", ეს იყო ხაზი, რომელიც განგებას ზღურბლზე გაევლო, ის ახსენებდა გალავანსგარეთ დარჩენილ უზარმაზარ ცხოვრებას და ყოფნიდა მანამ, სანამ თბილისის ზარი ახალი მუხტით აავსებდა.

## დღე ზიარებისა

„გუშინ ეკლესიაში ჩავედი მამა გედეონთან, საზიარებლად. დიდი მრევლი ჰყავს და ლოდინმა მომიწია, ფეხზე ვიდექი და რა მოხდა, არ ვიცი, ალბათ, ჩამეძინა. მეჩვენა. შინ ვიყავი, მოკრიალებული ციდან ცეცხლოვანი მზე სხივებით მათბობდა, საამო სიოს ღია ფანჯრიდან ოდნავ მტვერში არეული ბალახის სურნელი შემოჰქონდა, ისეთი, გაზაფხულის წვიმის დროს, რომ იცის, შემდეგ ვიღაცამ მხარი გამკრა და გამომეღვიძა, ჯერ უცხო დავინახე და ცოტათი დავიბენი, სად ვარ-მეთქი - გავიფიქრე. მეგონა, კიდევ სიზმარში ვიყავი, სანამ სანთლის ალმა ხელი არ დამწვა, ნელა აღვიდგინე ყველაფერი, შემდეგ ვეზიარე კიდეც, ისეთი უცნაური რაღაცები მემართება, მიკვირს".

ზიარებამ დიდი სიმძიმე ჩამოხსნა, მაგრამ ამავე დროს დაეჭვა, შეძლებდა კი ზაქარია ყოველთვის სიმართლის ბოლომდე გამხელას. სრულყოფილ სიმსუბუქეს გრძნობდა, მიხვდა, რას ნიშნავდა ცოდვების შენდობა.

ეკლესია, სადაც მამა გედეონი მსახურობდა, გარეთ იყო, გალავნის ჩაყოლებაზე პატარა სკვერში. იქვე მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი აეგოთ და ლითონის ხუთქიმიანი ვარსკვლავიდან მარადიული ცეცხლი იფრქვეოდა. ირგვლივ თოვლი იდო, თოლიების ზანზალაკებიდან სიფრიფანა ფანტელები მოფარფატებდნენ, ისე მშრალად გუნდასაც ვერ შეკრავდა კაცი. არ ახსოვდა, რამდენი ხანი იდგა ცეცხლის ყურებაში გართული. მონასტერში დაბრუნებულს გალავნის კარიბჭე დაკეტილი დახვდა, ოდნავ შეზარხოშებულ დარაჯს საშვი აჩვენა და დაგვიანებისთვის საყვედური მიიღო. ნაცნობი კიბის ჭრიალმა მეოთხე სენაკამდე მიაცილა, საშინაოდ ჩაიცვა, კალმის თავი იატაკიდან აიღო და დღიური გადაშალა: „ახლა თერთმეტის ნახევარია და ჩემს გარდა სასტუმროში, შესაძლოა, ორ კაცს არ ეძინოს, აქაური დროით ძალიან გვიან არის, მოზღვავებულმა ემოციებმა ლამის წამლეკოს, ვეზიარე და ლოცვა მაქვს წასაკითხი, ტუალეტში კი ვიღაც არის ჩაკეტილი, მოგეხსენებათ, ჩემს სენაკს და საერთო ტუალეტს ერთი ტიხარი ჰყოფს და, თუ ყველაფერს ცინიკურად არ შევხედე ჭკუიდან გადავალ.

მონასტერში მთავარი მორჩილებაა - თუ თავაწეული სიარული თავხედობად შეიძლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ება ჩაითვალოს, სიამაყე ცოდვაა. ეს სენაკი ზაქარიას ბლაღოჩინის განკარგულებით და ლოცვა-კურთხევით მიუჩინეს, და, სხვა გზა არ დარჩენოდა, უნდა დამორჩილებოდა.

კარზე კაკუნი გაისმა, ვიღაცამ ლოცვა წაიდუდღუნა და სახელური ჩამოსწია. კარი, როგორც ყოველთვის, დაკეტილი არ იყო, მსუბუქად გაიღო და ოთახში მწითური, ზორბა ბერი შემოვიდა, შეჭაღარავებული წვერ-ულვაში და თმა აწეწოდა და შეზარხოშებული ლაპარაკის ხასიათზე მოსულიყო. იცოდა ზაქარიამ, რა თქმა უნდა, რომ ახალ სტუმართან ჰქონდა საქმე, სტუმარმა თავისი საკვოიაჟი შემოათრია, მაგიდასა და საწოლს შორის ჩადგა.

მონასტერში ერთი დღით ჩამოვიდა და დღე წირვა-ლოცვაში გაატარა, წინამძღვარმა მიიღო, ბლაღოჩინმა მეოთხე სენაკში, მეორე სართულზე გაამწესა. მოკლე ისტორია ჰქონდა ამ ადამიანს, უსაზღვროდ უყვარდა თავისი ერი, ქვეყნიერების და კაცობრიობის ანად და ჰოედ მიაჩნდა. დამხვდურის ქართველობა რომ გაიგო, – თქვენ საერთოდ ქრისტიანები ხართო? – იკითხა. მორჩილს გაუკვირდა, თუმცა იმის მტკიცებას აღარ მოჰყვა, თუ რომელ საუკუნეში გაქრისტიანდა მისი ბედკრული ქვეყანა. ბერმა ბოლოს საქართველოს სამწყსო რუსეთის ერთ-ერთ ეპარქიად გამოაცხადა, ყველაფერს წერტილი დაუსვა და უბადრუკ მოსაუბრეს ტახტზე დაბრძანებულ მეფესავით გადახედა.

„პირსახოცი ავიღე და ხელ-პირის დაბანა მოვიმიზეზე, ვიფიქრე, დაბრუნებისას დაძინებული დამხვდება და დავისვენებ-მეთქი, შენც არ მომიკვდე, ლოცვად დავარდნილი დამხვდა, კითხულობდა და სწამდა, სწამდა და ლოცულობდა. ალბათ, ძალიან შორიდან იყო ჩამოსული და ძალიან მწირი განათლება ჰქონდა“. – ჩემთან ერთად ილოცეო, ისე უბრძანა ბერმა, ტახტიდან არ ჩამოსულა, მორჩილს ტანში გასცრა, აიღო თავისი ლოცვანი და ქართულად აღავლინა ლოცვა. მოსწონდა თავისი ლამაზი ლოცვანი, არა მარტო ხარისხით და ფორმით რომ სჯობდა ბერისას. ბერმა ლოცვა დაასრულა და დასაძინებლად დაწვა, მორჩილი კი აგრძელებდა და აგრძელებდა მხედრული ასოების კითხვას და ბგერების მშვიდად გამოთქმას, ახლაღა მიხვდა, რა დახვეწილი და უნაკლო სიმდიდრის პატრონი გამხდარიყო, როგორ ენატრებოდა და უყვარდა თავისი მრგვლოვანი და, ერთი სული ჰქონდა, როდის დაინახავდა ასეთივე მხედრულით მორაკრაკე ტრაფარეტს, რომელსაც ეწერებოდა საქართველო.

დილით ბერის საწოლი ალაგებული დახვდა, მისი საკვოიაჟი და მწითური სახე ღამესავით გამქრალიყო და მხოლოდ მაშინ მიხვდა ზაქარია, რომ საძმოს ლოცვას ვერ დაესწრო, დაიგვიანა.

## სენაკი

მისი პირველი ღამეც ნათელ დღედ იქცა, ამ სინათლეში აღარსად ჩანდა თბილისის ბნელით მოცული, ნაგვიანი ქუჩები, მშიერთა სახეები და სასოწარკვეთილთა თვალები.

მთელ მონასტერს უზარმაზარი გალავანი ეკრა გარს. გალავანში სენაკები იყო ჩაყოლებული, იქ ბერებს და მორჩილებს სახელოსნოები ჰქონდათ გამართული. ამავე მონასტერში სასულიერო სემინარია და აკადემია განეთავსებინათ, ხუთი ეკლესია და მუზეუმიც იყო მონასტრის ტერიტორიაზე, ორი სასტუმრო და კიდევ სხვა მრავალი შენობა. უკვე მორჩილად წოდებული ზაქარია იჯდა ძველებურ მაგიდასთან და ფანჯრიდან გაჰყურებდა მიძინების ტაძარს, რომელსაც ხუთივე გუმბათი ზეცისკენ აეწვადა და ლაჟვარდოვან ხახვისთავებზე ოქროს ვარსკვლავები დაებნია.

პირველ დღეებში აღფრთოვანებული დადიოდა ლავრის ქუჩებში, თვალებს არ უჯერებდა, კვირაობით ყველა ეკლესია ივსებოდა, მორწმუნენი დაულალავად სცემდნენ თაყვანს მაღალ ღმერთს, გარეთ კი თოვდა; სიცივისგან ნესტოები ეწებებოდა, მაგრამ ისე მაინც არ ციოდა როგორც საქართველოში, არა მარტო ხალხი, თავად ბუნებაც განსხვავდებოდა აქ, თავად ბუნება ქმნიდა ადამიანს. მისთვის უჩვეულო დენი ყოველთვის იყო და იმის შიში ჰქონდა, არ ჩამქრალიყო. ამ დილითაც აანთო ნათურა, მეუფის ლოცვაკურთხევით დილის ლოცვა წაიკითხა, გარეთ კვლავ ფაფუკი თოვლი ბრწყინავდა, სადაც იყო, ალიონი გაიზმორებოდა და ყველაფერს გააუფერულებდა, ლოცვა წაიკითხა და თან წაჰყვა მეუფეს, რომელსაც უკვე მოესწრო ადგომა. უზარმაზარი სხეულის მიუხედავად, მეუფე ძალიან მოძრავი და ენერგიული ადამიანი იყო, რაც ყოველთვის აოცებდა მორჩილს. ახლაც, მიჰყვებოდა ახლად ჩამოთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლილ ბილიკებზე შავანაფორიან დეკაცს და ეპისკოპოსს, რომელმაც მისი ცხოვრება ჯერ კიდევ გამოუცნობი კუთხით შეატრიალა. ბილიკმა ორივენი სამების ტაძრამდე მიიყვანა, ზამბარიანი კარი გაიღო და შემდგომ საშინელი ჯახანით დაიკეტა; ხატებით მორთულ ეკლესიაში ბევრ ხალხს მოეყარა თავი. კარგა ხანს იდგა და უსმენდა ძველ სლავურს და ცდილობდა, რაიმე გაეგო ლოცვიდან, ლოცვა კი მინარნარებდა და მიირწეოდა, განუწყვეტელი ღაღადი და სინქრონული ცვლა გალობისა ზებუნებრივ ზეგავლენას ახდენდა ზაქარიაზე, ის იდგა, უსმენდა და სულაც არ უწყოდა, რომ დღეის მერე ყოველი მისი ცისმარე დღე წმინდანის სანაწილესთან მოსვლით და მისი უხრწნადი გვამის ამბორით დაიწყებოდა, მორწმუნეთაგან არავინ საქმეს ისე არ დაიწყებდა, კანდელებით ალაპლაპებულ და მორთულ-მოკაზმულ ვერცხლის სანაწილესთან რომ არ მისულიყო და პატივი არ მიეგო მისთვის, ეს ტრადიცია იყო და ამ ტრადიციას თითქმის არავინ არღვევდა.

ქარის სისწრაფით ჩაიქროლა რამდენიმე დღემ, ამ დღეთა მიწურულს, მორჩილი მაგიდას მისჯდომოდა, ოთახში ძალიან ცხელოდა, სარკმელი გამოეღო და წერდა:

„ამ მთელ უზარმაზარ კომპლექსს გალავანი აკრავს, ზოგან მაღალი, ზოგან დაბალი, გადაძრომა არ დამჭირდება – ალაყაფის კარი მუდამ ღიაა; ეს ხუმრობით“.

მონასტერში მრავალი ეროვნების ღვთისმსახური ცხოვრობდა ერთად, განურჩევლად ეროვნებისა, როგორც ამბობდნენ, მათ ერთმანეთი უყვარდათ და ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მათი საუბრები სულიერ სამყაროს არასოდეს სცილდებოდა და ასეთ შემთხვევაშიც პიროვნულს ყველა უარყოფდა, ისინი უბედურებას ხალხში სიყვარულის დაკარგვას უკავშირებდნენ და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემაც იოლდებოდა.

მორჩილის გარშემო ბერების მთელი ქალაქი ცხოვრობდა, მათი სულები მაღალი მატერიებისაკენ ისწრაფოდნენ, განურჩევლად ეროვნებისა. მათი კაბები თეთრ თოვლში მოლურჯო ჩრდილების ფონზე მოჩვენებებს ემსგავსებოდა და თავად ბერების ასკეტური გამომეტყველება, მოძრაობა მისტიკით იყო აღსავსე. ზაქარიაზე ყველაფერმა ამან ძალიან დიდი ზეგავლენა იქონია, მისთვის ახალი ცხოვრება იწყებოდა, მიმზიდველი, ლოცვითა და მადლით შემკული, აუმღვრეველი, წმინდა, მისთვის სრულყოფილი ჭეშმარიტების მაძიებელი.

ერთ დილით მეუფემ გააღვიძა და წაყოლა უბრძანა. მორჩილის მოვალეობაც მორჩილება გახლავთ და წაჰყვა ზაქარია ეპისკოპოსს, ლამპიონები კვლავინდებურად ანათებდნენ მოთეთრებულ ქუჩებს, კვლავინდებურად თოვდა ლავრის ქუჩებში და მსგავსად მორწმუნეთა, ემთხვია ზაქარია წმინდანის სანაწილეს. ბევრი გააცნო მეუფემ იმ დღეს მორჩილს, ქართული ლოცვანით დატვირთეს საქართველოსკენ მიმავალი მანქანა და გასამგზავრებლად მოამზადეს. მერე ბლაღოჩინმა ადგილი მიუჩინა სასტუმროში მორჩილს.

სენაკი პატარა აღმოჩნდა, ძალიან მაღალი ჭერი, ორი მეტრი სიგანე და ოთხიც სიგრძე ჰქონდა, მწვანე ფარდებჩამოფარებული ფანჯარა გალავნის იმ კედელს უყურებდა, სადაც მოთავსებული იყო ხატმწერთა სახელოსნო; შესასვლელ კართან ატუზული ორგანყოფილებიანი კარადა და ორი საწოლი ოთახის სხვადასხვა კუთხეში დიაგონალურად იდგა, ფანჯარასთან პატარა საწერი მაგიდა და ორი სკამი დაედგათ ისე, რომ სკამზე დაჯდომისას მშვენიერად ხედავდა, რა ხდებოდა სახელოსნოში; ისინიც ხედავდნენ მორჩილის ოთახის ფარდებს, ყველაფერი გაწონასწორებული იყო – არაფერი დამალული და დაფარული. უბრალოდ, ძალიან ცხელოდა, ჰაერი მოგუდულიყო. სარკმელი გამოაღო, სწრაფად შემოტრიალდა, თითქოს თავისი თავის დანახვას აპირებსო. ოთახში სიჩუმე ჩამომდგარიყო და ზამთრის ბელურასავით დუმდა, დუმდა მისი ჩანთაც და გახელებული სიმარტოვის გრძნობა დაეუფლა უეცრად, ეს გრძნობა ყოველთვის ბრუნდებოდა ამ ოთახში შემოსვლისას და ასე გასდევდა მთელი იქ ყოფნის ჟამს მის ცხოვრებას. ოთახი მიმოათვალიერა და კარადის კარი გამოაღო, იქ სარკე მიემაგრებინათ, მარცხენა განყოფილებაში თაროები იყო ჩამწკრივებული, მარჯვნივ ტანსაცმლის საკიდარი ლურსმნებით უხეშად მიეჭედებინათ. თავისი ნივთების შელაგებას შეუდგა, ვახშამზე იყო წასასვლელი და არ უნდოდა, დაეგვიანებინა, ვახშმიდან დაბრუნებულმა თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა;

„გარეთ საოცარი სიწყნარეა, ადამიანს სიტყვის ხატოვნებას გთხოვს. სამწუხაროდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სული ჯერ კავკასიონის ხარებივით მობუღრავე ღრუბლიან მყინვარებს არ გამოსცილებია, ალბათ, ჯერ კიდევ გზაშია".

ფანჯრის გარეთ ერთი ტოტიც არ ირხეოდა. ძალიან განსხვავებული ბუნება ცოცხლობდა მონასტერში, ხის ტოტებზე ათასობით თოლია ჩამომჯდარიყო, ფეხზე ცისფერი ბაფთებით მიბმული ზანზალაკებით, და ნიავს იმის ძალაც კი არ შესწევდა, რომელიმე მათგანი აეჟღერებინა, რაღაცას მოედუნებინა ყველაფერი და ამ მოდუნების უკან გრანდიოზული სამყარო სუფევდა. მორჩილი კვლავ წერდა.

„ახლა უკვე მეოთხე ღამე ჩაბარდა სიზმრების სამყაროს, დღითიდღე უფრო მეტს ვნახულობ და ვიგებ, უფრო კარგად მესმის გარშემო მყოფთა მდგომარეობა და განწყობილება, თუმცა ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, ბევრი ვიცი-მეთქი".

ქალაქი გალავანს შიგნით და გარეთ თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხატწერის სახელოსნოში მამა მანუილმა და იუვინალიმ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მორჩილზე და მისი ცხოვრებაც ერთგვარი ნაწილი გახდა მონასტრისა.

„ასეთი სილამაზის წირვა-ლოცვები პირველად ვნახე, ოთხი გუნდი გალობდა, ყოველ გუნდში ოცი კაცი მაინც იყო, გალობდნენ ოთხკუთხივ და სატრაპეზო ტაძრის საკურთხეველი ოთხმხრივ მორწმუნეთა ლოცვით ივსებოდა, ბრწყინვალედ ჩაცმული ბერებისა და მგალობელთა ხმები ერთმანეთს ენაცვლებოდა, მღაღადებელთა ძველი სლავური ერწყმოდა გალობებს, ჯერ ერთი გუნდი მოიტაცებდა ხმას, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე, ყველგან ინთებოდა კანდელი, ლამპართა ბზინვარება სანახეეროდ განათებულ ტაძარს კიდევ უფრო ანათებდა და ავსებდა ლოცვებს და საკმევლის სუნი აერთიანებდა ყოველივეს და ფანტავდა ეშმაკისეულს და ამარჯვებინებდა სულს. ათასობით ადამიანის მორჩილი მეტანია ერთ მონოლითად კრავდა მლოცველთ და ვიხრიდი ქედს, ვიყრიდი მუხლს და მსურდა ოდესმე ასეთი ერთობით მომეყარა მუხლი ჩემს საქართველოში ჩემს ერთან ერთად".

რაც უფრო მეტ ხანს რჩებოდა მათთან, რაც უფრო უკეთესად ეცნობოდა ხალხის ხასიათს, მით უფრო დიდ განსხვავებას ამჩნევდა ქართველებსა და რუსებს შორის.

„მათი მზერა სუსტია თითქოს, არსად აქვთ სითბო. მიჩქმალული უმწეოა მათი თვალებში, მაგრამ ხანდახან ისეთი სიცივე გამოსჭვივის, ტანში გაგცრის და გაგატანს სუსხიანი ქარივით".

მიუხედავად ყველაფრისა, სისხლი განასხვავებდა მათ, ინსტინქტურად, ქვეცნობიერად, შეუცნობლად თავისდაუნებურად.

„ძალიან ლამაზია ლავრა და დიდია რუსეთი, მაგრამ აქ ყოველივე ნალვერდალს ჰგავს, რომელიც ნაცრის ქვეშ ფორიაქობს. აქ არ არის ცეცხლი და მე მიხარია, რომ ქართველი ვარ".

მალე მეუფე მოსკოვს გაემგზავრა, გაფრინდა ისე, რომ მორჩილს არ დამშვიდობებია; არც გაუფრთხილებია, ალბათ, საჭიროდაც არ ჩათვალა, მას კი ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა დარიგება და მხარში დგომა საუბრით მაინც. მორჩილს განუწყვეტლივ ერთი კითხვა უტრიალებდა თავში - რატომ? მას ხომ დასკვნის გამოტანის უფლება არ ჰქონდა.

„ქართველები ძალიან ზერელე ხალხი ვართ, ამის ბრალია, ხშირად რომ არ გვენდობიან, საკუთარს შენ თუ არ სცემ პატივს, სხვას რა უნდა მოსთხოვო".

ვინც უნდა ყოფილიყო, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე აგებდა პასუხს, მხოლოდ საკუთარი ცოდვების გამო დასჯიდა ღმერთი.

მორჩილმა სენაკის კარი შეაღო, ლოგინზე წამოწვა. სიცარიელე იგრძნო, ისიც იგრძნო, რომ მოდუნება და სისუსტე კარგს არაფერს უქადდა. მეგობარი არ ჰყავდა, სამაგიეროდ იცოდა (მეუფემ გააცნო), ღსარება ვისთვის უნდა ჩაებარებინა და გაენდო გულის ჭირვარამი.

„ასე და ამგვარად, დიდ რუსეთში დავრჩი მარტოდმარტო. მეგობარი აქ ძვირი სიამოვნებაა, იმიტომ, რომ სამეგობროდ არავის სცალია".

ლოცვა-კურთხევით ყველაფერი მოწესრიგდა, მორჩილს დღის ასეთი გრაფიკი ჰქონდა: დილის შვიდის ნახევარზე საძმოს ლოცვა, შემდეგ ცისკრისა, რვიდან ცხრამდე - ტრაპეზი, ათამდე - თავისუფალი დრო. ერთი საათი ისე შემოადნებოდა ხოლმე ლავრის ქუჩებში სეირნობისას, როგორც გუნდა თოვლი გახურებულ სახურავს, ათიდან ორამდე - სახელოსნოში მუშაობა, ორიდან სამამდე - ტრაპეზი, სამიდან ხუთამდე - სახელოსნო, ხუთიდან რვამდე - საღამოს ლოცვა და ტრაპეზი; საღამოს ლოცვები ხანდახან უფრო მეტხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდებოდა, ზაქარიას დრო მაინც რჩებოდა საწერად, კანონიკეს, როგორც შეეძლო, იცავდა, ცდილობდა, მონასტრის რიგმს აჰყოლოდა, ისიც მშვენივრად იცოდა, თუ ლამაზ სამყაროს ყოველდღიურად შეეხებოდა და მასში ღრმად ჩაიხედავდა, შესაძლებელი იყო ყველაფერი ყოველდღიურობას გაეცვითა და ჩვეულებრიობის ნიშნები გაეჩინა. სიტკბო უცვლადი და გაუცვეთელი მხოლოდ ლოცვას აქვსო, - ეუბნებოდნენ გარშემო მყოფნი და მორჩილიც ცდილობდა ეს სიტკბოება შეეგრძნო, ეპოვა იქ, სადაც მეგობრობასთან ერთად, ღიმილიც ძვირი საპოვნელი გამხდარიყო თავის სენაკში მარტოდ დარჩენილს მოწყენილობა ღრღნიდა და დარდს ლავრის ქუჩებში ხეტიალით იქარვებდა.

## შემთხვევა

ზაქარიას ბერებთან ურთიერთობა საქართველოშიც ჰქონდა, აღსარებაც ჩაებარებინა, მაგრამ ასეთი მიმქრალი და ცივი სახეები არასოდეს ენახა, ალბათ, ბუნების ბრალი იყო: სად მცხუნვარე დღეები, მზისგან გარუჯული ველ-მინდვრები და სად თოვლით გადაპენტილი უკიდეგანო სტეპები, რომლის ნაწილად ყოფნასაც იგი ცდილობდა. სისხლი ნელ-ნელა მიჯნავდა მას და გარშემო მყოფთ, რაც უნდა ჩაეხშო და მიეჩქმალა, მაინც ამოხეთქავდა და ყოველგვარ ზღუდეს გადმოლახავდა ალისფერი სითხე, წარსულის წიაღში ჩაფლულ წინაპართა მისწრაფებებს, თვისებებს ამოატივტივებდა.

ერთ საღამოს სასულიერო აკადემიაში სტუმრად მივიდა გიორგისთან, გიორგისთან ერთად სენაკში ფინელი იუხას ხუხტემეკი და რუსი ილია ვორობიოვი ცხოვრობდნენ, ილიას თუთიყუში ჰყავდა გალიაში და ყველანი ორთოდოქსები იყვნენ, სულიერ ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ჩახედულნი. აკადემიაში ცდილობდნენ, თავიანთი განათლება გაეღრმავებინათ. ამასობაში დრო გადიოდა. იუხამ იმ საღამოს მშობლებზე საუბრისას მამაზე თქვა: - რომ მოვდიოდი, ძალიან ბებერი იყო და ახლა არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარიო. ქართველმა თავისებურად ცოტათი ჭკუიდან გადასულად შერაცხა ფინელი - რაც მისთვის მიუღებელი იყო, იუხასთვის ჩვეულებრივი ცხოვრების წესი ყოფილა.

მონასტერში ყველამ აღდგომის დღესასწაულზე დაიწყო საუბარი, ძალიან ლამაზი რიტუალიო, მსოფლიოში დარი და სწორი არ ჰყავსო. მორჩილსაც ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა აღდგომა.

ბოლო დროს ბლაღოჩინის განკარგულებით მეცამეტე სენაკში გადაიყვანეს ზაქარია, მეცამეტე ოთახი ბევრად უფრო დიდი იყო მეოთხეზე, იქაც ისეთივე ერთი კარადა იდგა, და, განსხვავებით, ხუთი საწოლისთვის მიეჩინათ ადგილი. როგორც ჩანდა, ეს სენაკი უფრო დაბალი ფენისთვის იყო განკუთვნილი, იქ თითქმის ყოველდღე რამდენიმე სტუმარი იცვლებოდა - ღამით დარჩენილები დილით აღარ იყვნენ, უცვლელად მხოლოდ ქართველი ცხოვრობდა, ცხოვრობდა ისე, როგორც საჭირო იყო. ღამღამობით უფრო რთულდებოდა ყველაფერი, ზოგი ბორგავდა ძილში, ბოდავდა, ლოცულობდა, ყვიროდა, ვიღაცას რამდენიმე დღის გამოუცვლელი წინდები ეცვა, სამოთხე თვალსა და ხელს შორის გახუნდა, ფერი დაკარგა და თითქმის გაუსაძლისი გახდა. ამ ოთახში მაგიდა არ იდგა და ხანგრძლივი ცხოვრებისთვის არ იყო განსაზღვრული, ასე ეგონა მორჩილს, ამიტომ საწოლზე ჩამომჯდარიყო და წერდა. შესასვლელი კარი ლოცვის გარეშე გააღო, ოთახში საკმაოდ ხანშიშესული მამაო შემოვიდა და მოკრძალებული სალმის შემდგომ ორი ყუთი შემოათრია, ლიტერატურა მიჰქონდა თავისი ეპარქიისთვის. ცოტა შეისვენა, ტანთ გაიხადა, საძილე პერანგიც გაიძრო და, ოფლისგან დასველებული, გასათბობ ბატარეას მიაფინა.

საღამო პირი იყო და შეიძლებოდა ლამპიონებით განათებულ ლავრის ქუჩებში სეირნობა, ყავისფერყდიანი დღიური დაიხურა და ღამის კარი გაიღო. სიცივის მიუხედავად, აქა-იქ თოვლი დამდნარიყო და მწვანე ბალახს ამოეყარა, სიარული შეიძლებოდა უსასრულობამდე, შეიძლებოდა იქამდეც, სანამ დროებით საყუდარში ყველა არ დაიძინებდა. ცაზე მილიონობით ვარსკვლავი ენთო, ციმციმებდნენ და მწვანედ შეღებილ, გრძელ სკამზე ჩამომჯდარ ზაქარიას გაზაფხულის სითბოთი უღიმოდნენ; ლაჟვარდოვან ხავსის თავებს მხრები გაეშალათ და აღდგომის მოლოდინში უდრტვინველად ეძინათ. გარშემო ყველაფერი შეცვლილიყო, სიხალისე შემატებოდა არემარეს, უცვლელი მხოლოდ მატარებლის მძიმე ბორბლების დგაფადგუფი და მისგან გამოწვეული მელანქოლია დარჩენილიყო. რამდენჯერ გავიდა ზაქარიას სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონასტრიდან, რამდენჯერ იმგზავრა ამ მატარებლით, რამდენჯერ დატოვა აქაურობა. „უცნაური რამ არის მოვალეობა, ის, რაც შესასრულებელი გაქვს, თავად გრძნობა“.

გალავნის კარი კვლავ ჩაეკეტათ, უკვე აღარავის უშვებდნენ, და უკანასკნელმა შეყვარებულმა წყვილმა დატოვა ეკლესიების გარემოცვა. ხეები თოლიების გუნდებსაც მიეტოვებინათ, უამრავ ფიქრშემოხვეულ ზაქარიას სიცივემ შეახსენა მწვანე მდელოზე დამჯდარი მოსეირნე, უეცრად მწვანედ შეღებილ ხის სკამზე აღმოჩნდა და უმალვე წამოდგა.

ჩვეულებრივი კიბის საფეხურების ჭრიალით აუყვა სასტუმროს დერეფანს, მისაღები ცარიელი იყო, მხოლოდ კედელზე ჩამოკიდებული სურათი ესაუბრებოდა ახალმოსულს. იქ უზარმაზარი კლდეები, კავკასიური ბუნება და მოჩუხჩუხე მდინარე დაეხატა მხატვარს და, რაც უნდა ღვთაებრივი სიჩუმე დამდგარიყო ირგვლივ, მდინარის შხუილი მაინც მოისმოდა.

ახლა თავად შედიოდა როგორც მასპინძელი ოთახში, სტუმარსაც სწორედ მასპინძელივით იღებდა. ოთახში კი ბნელოდა და ყველას ეძინა. კარზემოთ მოთავსებული მინიდან დერეფნის სინათლე აღწევდა და ოთახს სასხვათაშორისოდ ანათებდა. ოთახი ძილს გაევსო. სტუმრების ფშვინვასა და სუნთქვას რაღაც არასასიამოვნო სუნი შემატებოდა, რაც მორჩილმა ვიღაცის დაღლილობას მიაწერა, თავის ლოგინს დიდი ჯვარი გადასახა და მოისვენა.

„არავინ არაფრისგან ვართ დაზღვეული და რა უფლება გვაქვს, დავცინოთ სხვას ან განვიკითხოთ“. საკუთარი თავი დატუქსა და ძილს მიეცა, ძილბურანში მყოფი სტუმრის სიარულმა გააღვიძა, ემჩნეოდა, ნასვამი იყო და კარს ვერ პოულობდა, ბოლოს ძლივს მოძებნა და გაჭირვებით გააღო. წამიერ გამოღვიძებას მორჩილის მოსვენებისთვის ხელი არ შეუშლია და ოთახში მოსიარულეც მოჩვენებასავით კარს იქით გაუჩინარდა. კადრს მხოლოდ კადრი მიება. რა მანძილი იყო მათ შორის, ვერ გაარკვია, ის დრო ძილს წაერთმია. მხოლოდ ღვთისმშობლის ხატის წინ მდგარი ადამიანი შეამჩნია, ცოტა ხანს უყურა და შემდეგ მიხვდა, რომ ამ ადამიანს საპირფარეშომდე ვერ მიეღწია, სენაკს ბილწავდა, სხეულში ათასობით ნაწილი გაცოცხლდა კანკალით, გრდემლივით დაიწყეს ტრიალი ნატკენმა გულმა და დაკნინებულმა ხორცმა; ის, რაც აქამდე ეგროვებინა, მართლა ერთი მძივივით გაწყდა და გონების სხვადასხვა კუნჭულში გაიფანტა.

მაშინ თავადაც დაეცა მორჩილი, გინება წამოსცდა და, სამწუხაროდ, თავისი თავი არ გაუკიცხავს. თმაში წაავლო ხელი, კარს გარეთ გაათრია, სინათლე აანთო. სტუმრის ძირს დაგდებულ ლოგინს მიაშტერდა. წაბილწულ ლეიბზე გაუბედურებული თეთრეული მიკუჭულიყო და ის სუნიც წამსვე მოუთოკავ და გულისამრევ რეალობად იქცა, რომელიც შეზიზღდა, სწორედ ისე, როგორც საზღვარი, და ცრემლები წამოსცვივდა, ეს არ იყო ტირილი თავმოყვარეობაშელახული ადამიანისა. თავმოყვარეობას კარგა ხანია თავი მოუხვია მორჩილმა მონასტრის კედლებში, ეს იყო ტირილი რწმენადაკარგული ადამიანისა. სასტუმროს გამგე ბერმა დაწყნარება დაუწყო მორჩილს, - ღმერთი გამოცდას გიწყობსო. სტუმარმა სასტუმრო დატოვა, ზაქარიამ ბარგის ნაწილი გიორგისთან აკადემიაში გადაიტანა და მას შემდეგ იმ სენაკში აღარ დაუძინია, მხოლოდ ერთხელ მოუკვდა გული, როდესაც ლურჯთვალება გოგო, ძალიან ნაზი და სათუთი, შიშველი ხელებით რეცხავდა იმ წაბილწულ ოთახს, რეცხავდა იმ ღამეს, იმ სტუმრების სახეებს, ყველაფერს ერთად და თითქოს ამბობდა, გეყო, ახლა შეგიძლია წახვიდეო. არც ზაქარიას ნაყიდ რეზინის ხელთათმანებს შეუცვლია მისი თვალები და არც დასუფთავებულ ოთახს. მის ხელებს ყველაფერი გადაერეცხა.

„ნამდვილად დიდებულია აქ აღდგომა, ნამდვილად ზღაპრულია ყველაფერი, მხოლოდ სიცივე მძლავრობს ხოლმე ზამთარში, ხანდახან გაზაფხულზეც. სამწუხაროა, არც კი ვიცი, რით დავამთავრო - მივდივარ და ვემშვიდობები“.

გიორგიმ აეროპორტამდე მიაცილა, დამშვიდობებისას ზაქარიამ თავისი ბოლნისური ჯვარი გამცილებელს აჩუქა და სანაცვლოდ გიორგის კისრიდან შემოწყვეტილი რუსული ჯვარი წამოიღო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვარლამ კარაპეტოვი



## იმედი

იყო ერთი დიდი, ძველებური ოჯახი. შეძლებული, სულზეც მრავალი. ოჯახის უფროსი საკმაოდ ხანდაზმული, გონიერი, წინდახედული, სამართლიანი და მოხერხებული კაცი იყო. მისი ოჯახის ქება მთელ მაზრას მოედო. ამ ხმამ მაზრის უფროსამდეც მიაღწია. იგი დაინტერესდა ამ ოჯახით და ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას მისი ეტლი ამ ოჯახის კარებთან გაჩერდა. ოჯახის უფროსი გამოეგება სტუმარს. ერთმანეთი მოიკითხეს, შემდეგ კი მაზრის უფროსმა უთხრა:

– შენი და შენი ოჯახის ქება მთელ მაზრას მოედო. ყველა შენზე ლაპარაკობს, ქებადიდებით გმოსავს. მინდა გავიგო, ეს ასეა თუ არა? და თუ მართალია, როგორ მიაღწიე ამას? როგორი მარიფათის კაცი ხარ? რამე მაგალითით დამიმტკიცე ეს ყველაფერი! სხვაც ბევრი არის დიდებული ოჯახი, მაგრამ მათი ქება სულაც არ ისმის, ან თუ ისმის კანტიკუნტად. შენ კი, შენ სულ სხვანაირად გაქებენ. მიჩვენე რამე, რომ დავრწმუნდე ამ ქება-დიდებაში.

ოჯახის დიდმამას უკვე მოფიქრებული ჰქონდა თუ რა მოემოქმედებინა. სასწრაფოდ იხმო უფროსი შვილი, რომელიც განაგებდა მინდვრის სამუშაოებს და უთხრა:

– აიყვანე ხუთი კაცი ცელებით და ეტლს უკან გამოჰყევი.

– ახლავე, მამავ ბატონო! – უპასუხა შვილმა და ბრძანების ასასრულებლად წავიდა. თვითონ კი სახელდახელოდ მირთმეულ ცხენზე შებრძანდა. ხუთი ახალგაზრდა კაცი, ალბათ მოხუცის შვილები და შვილიშვილები იყვნენ, მხრებზე ცელგადებულნი მიმავალ ეტლს აედევნენ. ეტლი გაჩერდა მოღალანე ყანასთან. ოჯახის უფროსმა, როგორც კი ცხენიდან ჩამოქვეითდა, ბრძანა, მწვანე ყანა, რომელიც ჯერ მუხლშიც არ იყო შესული, გაეთიბათ.

ხუთმა კაცმა ცელები ააწყეს და ყანის მკა დაიწყეს. თიბავდნენ ყანას და ხმას არ იღებდნენ, იცოდნენ, რომ ოჯახის მამა უმიზნოდ არაფერს აკეთებდა. მთიბავებმა როგორც კი თითო ჭელი გაიტანეს, მაზრის უფროსმა ისინი შეაჩერა.

– არა, ნულარ გაცელავთ მწვანე ყანას, ცოდვაა. ყველაფერი გასაგები და ცხადია. აქ უფროსი უფროსია, მისი სიტყვა საქმიანია, ამიტომაც ოჯახს ასეთი სახელი გავარდნია. – თქვა ეს, დაემშვიდობა დამხვდურთ და წასვლა დააპირა. თან თავისთვის ფიქრობდა: აი, ასეთი კაცი რომ უდგეს სახელმწიფოს სათავეში, მისი ქვეშევრდომები ბედნიერად იცხოვრებდნენ.

წასასვლელად გამზადებულ მაზრის უფროსის ეტლს ოჯახის თავი წინ გადაეღობა და ხმამაღლა მიმართა:

– ჩემი ოჯახიდან უპურმარილოდ არავინ წასულა და შენ რად გინდა სახელი გამიტეხო, ოჯახი შემირცხვინო.

– ჩემი ასე წასვლით თუ სახელი გაგიტყდება, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ შენ არ მეტყვი წადიო. – უთხრა ღიმილით მაზრის უფროსმა. დიდებული სუფრა გაიშალა.

ჭამა-სმით კმაყოფილი, სახლისკენ მიმავალი მაზრის უფროსი თავისთვის ფიქრობდა: მწვანე ყანა როგორ გააცელინა, დიდებული სუფრა გაშალა, ახლა საჩუქრებს არ იტყვი?! მარტო ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ერთ სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადა ღირს. ამიტომაც ასე ქება-დიდებით იხსენიებენ მის ოჯახს.

დიდი დრო გავიდა. ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა.

ერთ ღამეს ოჯახის უფროსმა სიზმარში წვეროსანი მოხუცი ნახა. წვეროსანმა უთხრა:

- შენი ოჯახი უნდა გავანადგურო, აირჩიე ერთი რამ, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასია.

რა დაგიშავე, უფალო, რომ ასე მწარედ მსჯი? მსხვერპლად მიიღე ჩემი სისხლი, ოჯახზე კი ხელი აიღე, - ეაჯებოდა მოხუცი და შიშით გულგახეთქილს გაეღვიძა.

- არ ვიცი, მაგრამ, ის მოხდება, რაც გითხარი! - ჩაესმა მოხუცს წვეროსნის გამყინავი ხმა.

სიზმრის შემდეგ აღარ უძინია. შფოთავდა და წუხდა.

გათენდა. ოჯახი შეყარა. სიზმარი უამბო და რჩევა ითხოვა. ყველა დაალონა სიზმარმა, არ იცოდნენ, რა ეთქვათ, რა ერჩიათ, რა ელონათ. ყველა დუმდა.

მეორე ღამესაც სიზმარი, იგივე მოხუცი, იგივე მოთხოვნა. - რა ჰქენი, აირჩიე თუ არა რამე? - უთხრა მრისხანეთ სიზმარეულმა, - ხვალვე შენი ოჯახი პირქვე დაემხობა, ქვა-ქვაზე აღარ დარჩება. მითხარი რა აირჩიე?!

მოხუცი პირქვე დაემხო მის წინაშე და ცრემლიანმა მავედრებელი ხმით შეჰღაღადა:

- ო, მამაზეციერო, რა დაგიშავე, რომ ასე სასტიკად და მკაცრად მექცევი? რა, რა, რა დაგიშავე?!

- არ ვიცი, ნათქვამი შესრულდება, აირჩიე რაც გსურდეს!

ოჯახი კვლავ შეიყარა, ისევ დუმილი, უკვე ცრემლიც, ხმას ვერავინ იღებდა.

ოჯახს ახლად მოყვანილი რძალი ჰყავდა. წარსდგა იგი მამამთილის წინაშე, კრძალვით, დაარღვია პატარძლის უძრახობის ტრადიცია და მოახსენა:

- მამავ ბატონო, თუ ამაღამაც გამოგეცხადათ ის მოხუცი, უთხარით არჩევანი გაკეთებულიაო.

- შვილო ჩემო, ამ დიდი ოჯახიდან მითხარი რა ავირჩიო?

- რა და არავინ, ხომ ასე თხოულობს წვეროსანი?

- დიახ, აირჩიე, რაც შენთვის ძვირფასია. ასე მითხრა ორივეჯერ.

- მაშ, მოახსენე, რომ იმედს ვირჩევთ, იმედს, ხომ იცით, იმედი ყველაფერია.

მესამე ღამეს კვლავ სიზმარი, ისევ წვეროსანი.

- რა ჰქენი, აირჩიე თუ არა რამე?!

- ავირჩიე!

- რა?

- რა და იმედი!

- შე დალოცვილო, რადგან იმედი აგირჩევია, მაშ, რაღა წაგართვა?! უთხრა წვეროსანმა და გაუჩინარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დურმიშხან ბერიძე

## საიდუმლო ბჭობა

ღამის ბინდი ჩამოწვა სამცხის ხევში. დიდებულების წინ მიმავალ დავით ლაშას ძეს კოხტას ციხის პატრონი ბატატა ლომგულის ძე გაეგება და მორჩილების ნიშნად მიწამდე დახარა თავი. თორ-აბჯარში ჩამდგარმა მეფემ უხმოდ ანიშნა – ადექიო და როცა ურიცხვი ქინქილებით განათებულ მის სახეზე შიში და ძრწოლა ამოიკითხა, ნუ გეშინიაო, უთხრა მუხლზე დაჩოქილს.

წამდაუწუმ ელავდა ცაზე. კოკისპირული წვიმა ძვალსა და რბილში ატანდა. ტალახიანი ღვარები დამდგარიყო სოფლის შარაზე... და მაინც კოხტას ციხესთან უამრავი ხალხი შეკრებილიყო. მეფის ხილვისას მუხლზე ეცემოდნენ ჩამოხეულ-ჩამოფლეთილნი. ზოგი ტალახში მოფოფხავდა ხელებგაწვდილი:

– გვიხსენიო, მეფევ, ამ ტანჯვისაგან!..

ღართის ეკლესიის ბერს ვაზის ჯვარი აეწია სიბნელეში და პირჯვრით ნელა მიუძღოდა ბრბოს.

– წაგვიბილწესო, მეფევ, ქრისტიანებს წმინდა სალოცავები, შიმშილით გვძვრება სული, ყველაფერს გვართმევენ ეგ ურჯულოები, გვიშველეო, მეფევ!..

თეთრ ცხენზე ამხედრებულ მეფეს ცრემლი მოერია. ამ წუთში ერჩია, ისიც მუხლზე დაცემული ტალახში მდგარიყო მშიერ-ტიტველ მონათა შორის და სხვისთვის ეთხოვა შველა, ვიდრე ასე ცხენზე ამხედრებულს ეტარებინა საქართველოს მეფის გვირგვინი და უძლურის თვალით ეცქირა თავისი ხალხისათვის. მარტო რომ ყოფილიყო, სველ მიწაზე პირქვე დაემხობოდა და ბავშვივით ამოუშვებდა ხმამაღალ ქვითინს.

კოხტას ციხის ხილვისას შეკრთა უნებურად. დაბურულ ტყეში ასვეტილიყო დუღაბით ნაშენი ქონგურები. ჭრიალით გააღეს თორ-აბჯრიანმა შუბოსნებმა რკინით მოჭედილი მუხის კარი და გალავნის შიგნით შეუძღვნენ მეფეს.

საძილე პალატაში შესვლისას ცხვრის ტყავით მოფენილ ტახტზე პირქვე დაემხო მეფე, სველი თვალები ხელისგულებით ამოიწმინდა, მერმე ფეხზე წამოდგა, თორ-აბჯარი გაიხადა და კარებში გახევებულ გუშაგს ციხისთავის მოყვანა უბრძანა. მარტო დარჩენილმა მეფემ თვალი მოავლო პალატის კედლებს. კვამლით შებურულიყო დედაბოძზე მიკრული ირმის რქები. მკრთალად ბჟუტავდნენ ვერცხლის შანდლებში ჩადგმული სანთლები. ტახტის პირდაპირ დედაბოძზე უცხო ოსტატს გამოეკვეთა ხარის რქები რომელზედაც სხვადასხვა ზომის მათრახი ეკიდა.

პალატის კარი მძიმედ გაიღო. ციხისთავი შემოსვლისთანავე მუხლზე დაემხო და ძლივს წარმოსთქვა:

– შემინდეო, მეფევ!

– რა ცოდვა გაწევს, ჭაბუკო? – ჰკითხა მეფემ და ცნობისმოყვარედ დახედა მუხლზე დაჩოქილს.

ორი დღის წინათ ჩვენს სოფელზე გზად გაიარა ხოჯა-აზიზმა. რაზმიც თან ახლდა. ხალხს წაგლიჯეს ყოველივე. ქვრივთა, ობოლთა, ღარიბთა გამკითხავი არავინ იყო. შემდეგ გაძარცვეს ალასტანი – თქვენი საუფლო. თუმცა მივეცით, რასაც გვთხოვდნენ, კვლავ ძალადობდნენ, ხარკში წარგვტაცეს შვიდი ქალ-ვაჟი, ვერ შევებრძოლე მეფევ, თქვენს დაუკითხავად.

– რამდენნი იყვნენ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მეფეო, ას კაცამდე გადავითვალე. მწყემსნიც თან ახლდათ, მოტაცებულ ჯოგს მოსდევდნენ და მხარს უბამდნენ დაუჭედავ ცხენებზე მჯდარ უსახო მეომრებს. ქრისტიანები გაოცებულნი ვუცქერდით, როგორ გამოღადრეს ერთ მოზვერს ყელი, ჯერ სისხლი შესვეს, მერე კი უმ ხორცს დაუწყეს თქვლეფა. ვის ხელში ვართ, მეფევ, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი გვიჯობს...

მეც სიკვდილი მირჩევნია ჭაბუკო, მაგრამ, რადგან განგებამ ამ ქვეყანაზე სიცოცხლე მოგვანიჭა, ალბათ, თვითონ განგება წაგვართმევს კიდეც. შვიდი წელი დავყავი უცხოეთში, მწყემსიც ვყოფილვარ და მიწის მუშაც, სხვას ვემსახურებოდი, ჩემსას, საკუთარს კი ვერას ვშველოდი. მაგრამ, ჭაბუკო, ქრისტეს სახელს კრძალვით ვახსენებდი და ყველგან, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, უბით დამქონდა დედაჩემის ნაჩუქარი ეს წმინდა ჯვარი. ასეა, გაჭირვება უფრო აწრთობს ერს, აერთიანებს. როცა სიკვდილს თვალებში უცქერ, არ უნდა მოტყდე, თორემ მახვილი მოქნევის ნაცვლად ხელიდან გაგივარდება. ამით სიკვდილს უფრო ახლოს მოუშვებ. ამაღამვე შეჰყარე ბიჭები. კოხტას ციხეს უცხო სული არ უნდა გააკარო, დაე, ხალხმა იცოდეს, რომ ამ ციხეს მხოლოდ შემთხვევით, ნადირობის ჟამს ვესტუმრე, მხოლოდ ერთი ღამით შევაფარე თავი. თუ მონღოლებმა ჩვენი განზრახვა შეგვიტყვეს, იგივე მოგველის, რაც ერგოთ ამ ციხეში შეკრებილ ერის ღირსეულთ.

. . .

მამლის პირველ ყივილზე კოხტას ციხე ერთბაშად გამოცოცხლდა. მეფის საძილე პალატაში თავი მოიყარეს საქართველოს ერთგულმა დიდებულებმა. შუაში გრძელი ტაბლა ჩადგეს და გარს შემოუსხდნენ. მრთალად ბჟუტავდა ბუხარში ნაკვერცხლებმიმქრალი მუხის კუნძი. ცხელი ხორცის საამო სუნი იფრქვეოდა ირგვლივ და ტაბლაზე დადგმული თიხის ჯამები მადას უღვივებდა მთელი ღის ნამგზავრთ.

მეფემ პირჯვარი გადაიწერა, მერე პირველი დასწვდა ოხშივარავარდნილ ხორცს და ჭამა დაუწყო. დიდებულებმაც აუბეს მხარი, ჩუმად მიირთმევდნენ და შემთხვევით თუ ჩაახველებდა რომელიმე.

არც ერთს არ ეცვა მდიდრული სამოსი. ცხვრის ტყაპუჭების შიგნით რკინის პერანგები მოუჩანდათ ჭამაში გართულებს.

მეფის ხელმარცხნივ გრიგოლ სურამელი იჯდა, ხელმარჯვნივ - ციხისჯვრელი სარგის ჯაყელი, შემდეგ - სარგის თმოგველი, მანდატურთუხუცესი შანშეს ძე ზაქარია მხარგრძელი, თორღვა პანკელი, გამრეკელი თორელი.

ცოტა ხნის შემდეგ მეფე წამოდგა, ღვინით შეავსო მცირე ყანწი, ორიოდე სიტყვით დიდებულები დალოცა და სულმოუთქმელად დასცალა.

ყველამ უხმოდ მიბაძა.

კვლავ ფეხზე წამოდგა მეფე. მზერა გაუსწორა პალატის დედაბოძზე გამოკვეთილ ხარის რქებზე მიმქრალ თაფლის სანთელს და დასძინა:

– მამაჩემი ლაშა გიორგი ბრძოლებში უშიშარი იყო და ჯავრს არ შეარჩენდა მტერს. საქართველოს სახელი ჰქუხდა მთელს დუნიაზე და თვით ბიზანტიის კეისრებიც კი ძმად და მეგობრებად თვლიდნენ ქართველ გვირგვინოსნებს.

დღეს რანი ვართ?! ციხეები დაგვიქციეს, ქალაქები გადაგვიწვეს, სიმდიდრე წარგვტაცეს, მამული გაგვიჩანაგეს და ხვალისათვის ალბათ, გადასახადს დაგვიწესებენ იმისათვის, რომ საკუთარ მამულში ვსუნთქავთ ჰაერს.

წუთით რომ საფლავიდან დიდი თამარი წამომდგარიყო, რას გვეტყოდა?! ალბათ, სიჯაბანისთვის დაგვწყევლიდა კიდეც, ვარძიის ღვთისმშობლის წინაშე შეგვაჩვენებდა, რომ ჩვენივე ხელით ვმარხავთ საქართველოს...

დღეს საკუთარ მამულში გვეშინია გამოჩენა... დილიდანვე ასპინძის ციხიდან გამოსულები იმას შევთხოვდით მაღალ ღმერთს, მონღოლთა მსტოვრებმა არ დაგველანდოსო სადმე, შორეთის ციხიდან კოხტას ციხემდე ტყე-ტყე ვიარეთ. მონღოლთა სიმრავლე ვერ შეგვაშინებს, თუ ერთიანი ლაშქრით შევებმებით. ველურ, დაუჭედავ ცხენებიან ურდოებს სადმე ვიწროებში შევიტყუებთ და ბნელ ხრამებში გადავჩეხავთ. ამ საშვილიშვილო ბრძოლებში ვინც მხარს დამიჭერს, ამაგს დავუფასებ, ვინც ჩემს სურვილს წინ აღუდგება, სამაგიეროს გადახდაც ვიცი. ბაგრატიონებს არ სჩვევიათ ფიცის გატეხა. ცხონებული დედაჩემიც სულ იმას ჩამჩიჩინებდა, მტრის წინაშე ქედის მოხრა სიჯაბანეს ნიშნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსო. არ მინდა ვიყო, ჯაბანი, მეყო რაც ვითმინე. მირჩევნია ბრძოლის ველზე მახვილით ნაკუწ-ნაკუწად ამკრიფონ, ვიდრე მხრებზე მონის უღელი მედგას და პირველი ვიკლავდე ბოღმას გულში.

საქართველოს სამეფო სადროშოები კვლავ უნდა გაერთიანდეს ჩემი სკიპტრის ქვეშ, საქართველოს კვლავ უნდა დაუბრუნდეს ძველი დიდება, დაქცეული ეკლესია-მონასტრები აღდგეს, ციხეები შეკეთდეს.

ხვალისათვის ირმის მთაზე გამართულ ერის კოტაობას ვიხილავთ. იქვე უნდა დავთქვათ ჯარის შეყრის ადგილიც, მერმე წარვგზავნი მალემსრბოლს მეფე დავით რუსუდანის ძესთან ქუთაისში. ვაცნობებ ჩემს გადაწყვეტილებას. მხნე და გაუტეხელია მეფე დავით ნარინი, იმერთა ჯარით, ზეკარის უღელტეხილით ოძრახეში გადმოვა, მესხ-იმერთა რჩეული მხედრობით ტამისკარიდან შიდა ქართლში გამაგრებულ მონღოლებს ვეკვეთებით, შემდეგ თბილისს წარვსდგებით და სამშვილდეს შემოვეწყობით.

დაე, ერთხელ კიდევ გავშალოთ თამარის დროშა, ერთხელ კიდევ ვცადოთ ბედი, ან დავიხოცოთ, ან თავისუფალი ვიხილოთ მამული.

დარბაზში სინათლე ჩაქრა. კართან შუბიანმა გუშაგმა მთელი კონა ცვილის სანთელი შემოიტანა. ბუხარში მიმქრალ ჯირკს ერთხანს უბერა სული, ავარდნილ ალზე მოუკიდა სანთლებს, მერე ბოძებზე მიეკრა და დაუბრუნდა თავის საგუშაგოს.

მეფემ სათქმელი დაამთავრა, ჩამოჯდა და მზერა დიდებულებს მიაპყრო. ფეხზე წამოდგა მეფის მარჯვნივ მჯდარი სარგის ჯაყელი. მოშვებულ შავ წვერზე წყნარად გადაისვა ხელი, უკან გადაიწია შუბლზე ჩამოშლილი თმა.

- ჭეშმარიტად ბრძანა მეფემ. მართალია, მძიმე ლაშქრობებმა წელში გატეხეს საქართველო, მაგრამ მონღოლებთან ბრძოლის ძალა მაინც შეგვწევს. კოხტას ციხეს კარგად ახსოვს ის ღამე. ოდეს შევიყარენით მთავარნი საქართველოსანი - იმერნი და ამერნი, ეგარსლანი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, შოთა კუპრი, ჰერ-კახნი, ქართლელნი, თორელ გამრეკელნი, სარგის თმოგველი, მესხნი, ტაოელნი. ამავე ციხეს კარგად ახსოვს ჯარის შეყრის ადგილიც რომ დავთქვით, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ეგარსლან ბაკურციხელს მეხმლე შაჰველი მონღოლთა მსტოვარი აღმოჩნდებოდა. მადლი ღმერთს, ცოტნე დადიანის გმირობამ გვიხსნა და დღეს კვლავ შეგვიძლია გამოვადგეთ მამულს.

ხოჯა-აზიზის ბრბო ქურდბაცაცებივით კვლავ დაძრწიან დაუსჯელად, ყვლეფენ ხალხს. ვალში მიაქვთ ყველაფერი. ანისში ნოინს წიგნი მივწერე, ყოველივე ვაცნობე დაწვრილებით. იმის ნაცვლად, რომ ხელი აეღოთ ძარცვა-გლეჯაზე, ამ გაზაფხულზე ჩემს სახლეულს თავს დაესხნენ ციხისჯვარში. ბედად თბილისში ვახლდი მეფეს. სახლ-კარი გადაიწვეს, პირუტყვი მომტაცეს და კლდეკარის გზით მიიმალნენ. მადლობა ღმერთს, ციხეში ჩაკეტილთათვის არარა ევნოთ.

ხვეწნით და მუდარით მონღოლთა უღელს ვერ გადავიგდებთ. მეფე დავითი ჭაბუკია, გული ერჩის და ბრძოლა სწყურია. ასეთ დროს მისი ორგულობა მთლიანი საქართველოს ღალატი იქნებოდა. მეფემ რომ შეგვინდოს ცოდვა, მაღალი ღმერთი არ გვაპატიებს ხალხისა და ქვეყნის ღალატს. მე ჩემს სიცოცხლეს სამშობლოს სამსხვერპლოზე მივიტან და თუ მამულს დავჭირდი, შევეწირები ისე, ვარძიაში რომ შესწირავენ ხოლმე მლოცველები აღთქმულ ყოჩს...

ფეხზე წამოდგნენ ტაბლასთან მჯდომნი, ხმლები იშიშვლეს. სიბნელიდან მამაკაცის ბოხი ხმა მოისმა:

- შევფიცოთ მეფეს ერთგულება!

- შევფიცოთ! - ერთბაშად იქუხა ყველამ და წინ გაწვდილი ხმლებით მუხლზე დაიჩოქეს მეფის წინაშე.

. . .

თათბირის შემდეგ მეფემ საძილე პალატაში იხმო სარგისი. სანთლები ჩაექროთ გუშაგებს. ხის ფართო ტახტზე გაეშალათ მსახურებს ცხვრისა და დათვების ტყავები.

ძილის წინ ციხისთავის მეუღლემ ცოქალამ მოუბოდიშა მეფეს - მონღოლებმა წაგვგლიჯეს ლოგინი, აღარც მატყლი შეგვარჩინესო ჯალალედინის ლაშქრობის დროს გულდაგულ გადამალული.

მეფეს მოეწონა გულახდილი დიაცი.

- მასპინძელს ქონებით როდი ზომასვ სტუმარი, მთავარია კეთილი გულით დაგვხვდით და დიდ მადლობას მოგახსენებთ სტუმართმოყვარეობისათვისო.

ბნელ პალატაში შესული სარგისი ტახტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსვა მეფემ, ღვინით აუვსო მომცრო ჭიქა.

– დავლიოთ, სარგის, ჩვენს ბოლომდე სავსე გულს მოუხდება... შენი სიახლოვე მამშვიდებს. ამქვეყანაზე არავინ მყავს შენს გარდა ერთგული და მესაიდუმლე. მინდა რჩევა გკითხო.

– მიბრძანეთ მეფევ ბატონო, მზად ვარ გემსახუროთ.

– მე დედოფალი არასოდეს მყვარებია!

– ვიცი, მეფევ ბატონო, მაგრამ ხშირად ჩვენი თავი ჩვენ როდის გვეკუთვნის.

– მძაგს დედოფალი განა მარტო იმისათვის, რომ ბერწია და უსახო?! არა, ველურია და ამპარტავანი. თუ გავიმარჯვეთ, იმავე დღეს მონასტერში აღვკვეცავ მონაზვნად, რადგან ხშირად ეკლესიებს ქომაგობს, სინამდვილეში კი არაფერი გაეგება ქრისტეს მოძღვრებისა, ან იქნებ სჯობს კვლავ დიდ ურდოში წარვგზავნოთ?!

– ნუ აჩქარდებით, მეფევ ბატონო, თუ გავიმარჯვეთ, თქვენი ნება-სურვილი იქნება, და თუ გაგვცეს, დედოფალს შეუძლია მფარველად მოგვევლინოს, როგორც მაშინ, დიდ ურდოში ყოფნისას. გულოვანი ვაჟკაცია დედოფლის თანმხლები მესტუმრე ჯიქური, ბრძოლებში ვითარცა უხორცო და უშიშარი. დედოფალს თუ დავსჯით, ჯიქურსაც გავიორგულებთ. მას კი თავის ნიჭიერებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლია საქართველოს საკეთილდღეოდ. ხომ გახსოვს, როგორი თავდადებით გვიცავდა დიდ ურდოში ყოფნისას მანგუ ყაენის წინაშე. სარგის თმოგველიც ხომ მას უმადლის სიცოცხლეს, ოდეს მონღოლთა ფალავანი ორივე ბეჭით ძირს დასცა.

– ნუ აჩქარდებით, მეფევ ბატონო, ცბიერნი არიან მონღოლნი, ფრიად მებრძოლნი და დაუნდობელნი. ვიდრე ლაშქარი არ შეიყრება, არარა ამცნო დედოფალს. რაც შეეხება ტახტის მემკვიდრეს, ამაზე ფიქრი გვმართებს. ასეთ არეულ ჟამს უძეობა გადაშენებას ნიშნავს.

– შენ მართალი ხარ, სარგის, ბაგენი შენნი სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებენ. მოსაწონია თათბირი შენი, ყოველი სიტყვა ყურადსაღები. მეც დიდხანს მიფიქრია ტახტის მემკვიდრეზე. რა ვიცი, შეიძლება არც გამამტყუნებ, გულახდილად გეტყვი: უძეობა გულს მიკლავს. თუ ოდესმე ცხოვრებაზე გული გამიტყდა, ეს ამის ბრალი იქნება, სარგის...

მეორეჯერ იყივლეს კოხტას ციხის შემოგარენში მამლებმა. ნაცრისფერი შეეპარა აღმოსავლეთით ცის ტატნობს, სამცხის ხევიდან წამდაუწუმ ძაღლების ყეფა მოჰქონდა ქარს. ციხის კართან ჩუმად მიმოდიოდნენ გრძელშუბიანი გუშაგები, მხოლოდ განთიადისას ჩაქრა მეფის საძილე პალატაში შუქი.



გიორგი აფციაური.
„დაშორების ტკივილი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გივი ახვლედიანი

## ავდივარ მაღლა ზენამდე



მესხეთ-ჯავახეთში ქართული ხალხური პოეზიის უძველესი ნიმუშებია შემორჩენილი, მათ შორის, ვანის ქვაბების წარწერებში. ამ წარწერებიდან ვგებულობთ, რომ სასაზღვრო მესხეთში ბევრი ლირიკული ნიმუშია შექმნილი და შემდეგ მთელ საქართველოში გავრცელებული.

მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორული ნიმუშების სიუხვე განსაკუთრებით XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ გამოჩნდა. ამ დროიდან დაიწყო საქართველოში ზეპირსიტყვიერების ინტენსიური შეგროვება და ცნობილ კულტურულ-ისტორიულ მოძრაობაში მესხეთმა და ჯავახეთმა შესაფერისი ადგილი დაიჭირეს. ამ დიდ ეროვნულ საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მესხ ივანე გვარამაძეს (1831-1912) ივანე გვარამაძე მე-IX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში მედგრად იცავდა თურქთაგან გადარჩენილი მესხეთის ღირსებას, მის ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს და ქართველი ერის სულიერი საგანძურის ნაშთებს მსახვრალი ხელით განადგურებისაგან.

ივანე გვარამაძე იყო მესხეთ-ჯავახეთის ისტორიის მკვლევარი, პუბლიცისტი, პოეტი, ხალხური სიტყვიერებისა და ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ლექსიკური მასალების შემკრებ-შემსწავლელი.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვიდრე ჩვენი საუკუნის 10-იან წლებამდე ქართული კულტურის ამ დაუცხრომელ მუშაკს ხელიდან კალამი არ გაუგდია. იგი გატაცებით აღწერდა სამცხე-ჯავახეთის ყოფაცხოვრებას, აქტიურად თანამშრომლობდა პრესაში, მკითხველს აცნობდა მხარის ისტორიულ წარსულს, მატერიალური კულტურის ძეგლებს, ხალხური სიტყვიერი შემოქმედების მდიდარ საუნჯეს.

თავის დროზე ფართო პოპულარობით სარგებლობდა ვინმე მესხის ნარკვევებისა და სტატიების მთელი სერიები საერთო სათაურებით: „არხეოლოგიური მოგზაურობანი“, „ახალციხური ფელეტონები“, „ისტორიული მასალები“, აგრეთვე ცალკეული წერილები, რომლებიც „ივერიაში“, „დროებაში“, „მოგზაურში“ „აკაკის კრებულში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში ქვეყნდებოდა.

უხვად კრეფდა და აქვეყნებდა ივ. გვარამაძე სამცხე-ჯავახეთის ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს - ლექსებს, ტოპონიმიკურ თქმულებებს და სხვა.

ივ. გვარამაძემ დიდი შრომა გასწია მესხურ-ჯავახური სიტყვიერების გადასარჩენად. მან შეაგროვა და დაღუპვას გადაარჩინა ბევრი სიმღერა. მის მიერ შეგროვებული ძვირფასი ფოლკლორული და სხვა მასალები საფუძვლად დაედო სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის საარქივო ფონდს. მისი ხელნაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა და შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტების არქივებში.

ივანე გვარამაძე კრებდა როგორც სასულიერო და ისტორიული ხასიათის, ისე სანადიმო, ე. წ. „დარბაზისეულ“ ლექს-სიმღერებს, ადგენდა მოძიებული მასალის კრებულებს, მან ბევრი სიმღერა ჩაიწერა, ჟანრობრივად დაყო და დაალაგა სუფრულებად, საქორწინოებად, საფერხულოებად, შრომის სიმღერებად, „დარბაზისეულ“ ლექს-სიმღერებად. სამწუხაროდ, ივ. გვარამაძე პროფესიონალი მუსიკოსი არ იყო და სიმღერების ნოტებით ჩაწერა არ შეეძლო. ამას თვითონაც აღნიშნავდა: „სასურველი იყო დაგვეწერა ეს სანადიმო სიმღერანი ყოველნივე ნოტაზედა, ძველის ხმა გარმონიის დასაცველად, მაგრამ ვერ მოვახერხეთ... ამასაც ვწერთ მამულისმოყვარე პირთ გასაცნობად ძველის მესხების... რაც კი დაშთენილა ათასში ერთი ნოტას მაგიერ ასოებით და განმეორებით“ (ივ. გვარამაძე, სამესხეთოში ხმარებული ზოგიერთი ანდაზები, შესავალი წერილი, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საქ. № 122).

როგორც ხელნაწერებიდან ჩანს, (შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი, პ. უმიკაშვილის ფონდი, № 1509; კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, № - 2490, სჯიმხფ, საქ . № 122), ივ. გვარამაძე ყოველ ღონეს ხმარობდა მესხური ხალხური სიმღერების გადასარჩენად, შეადგინა ლექს-სიმღერების კრებულები 1883, 1884 და 1909 წლებში და სამესხეთოში შეკრებილი ანდაზები.

სხვადასხვა დროს ივ. გვარამაძე ზეპირსიტყვიერების ნიმუშები გაუგზავნია აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და იონა მეუნარგიასათვის, რომლებთანაც პირადი მიმოწერა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ერთ-ერთი კრებული „მესხეთში ხმარებული სანადიმონი“ იონა მეუნარგიასათვის გაუგზავნია. ჩანაწერებს წერილიც ერთვის, სადაც დაბეჭდვის იმედიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის გამოთქმული. (სჯმხფ, საქ. №-122). კრებული არ გამოქვეყნებულა. ი. მეუნარგიას კრებული პ. უმიკაშვილისათვის გადაუცია. მასში 24 სახეობის ან, როგორც ვინმე მესხი უწოდებს, „24 ჰარმონიის ლექს-სიმღერები იყო". „24 ნაირი კილოს" და „ხმების" არსებობის შესახებ მესხურ სიმღერებში უნიკალური ცნობაა ქართულ მუსიკაზე.

ივ. გვარამაძის მასალებიდან ჩანს, რომ ადრე მესხეთში სუფრული სიმღერები დიდად გავრცელებული ყოფილა. სანადიმონი, ანუ სუფრულები დღეს აღარ შემორჩა. ეს სიმღერები ძველისძველია და, სამწუხაროდ, ხალხში აღარ გვხვდება. სუფრულები 900-იან წლებშიც კი ყოფილა გავრცელებული მესხეთის სოფლებში. ასე თუ ისე, ვინმე მესხმა შეძლო, გადაერჩინა მესხური სანადიმო სიმღერების არაერთი ტექსტი, რაც, სამწუხაროდ, არ ითქმის ოროველებითა და ურმულებით განთქმულ ჯავახურ სასიმღერო ტექსტებზე.

მესხეთ-ჯავახეთში 1961-1982 წლებში კომპოზიტორმა ვ. მაღრაძემ ჩაიწერა მესხური სიმღერები და დიდი რუდუნებით შეკრებილი სიმღერების მოზრდილი კოლექცია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას გადასცა ხალხური პოეზიის მრავალტომეულის ფონდისათვის. მესხური სიმღერები მან ცალკე წიგნადაც გამოაქვეყნა. წიგნში 50-სიმღერაა შესული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მონოგრაფიული გამოკვლევაა, სადაც განხილულია ამ კუთხის სიმღერების ისტორიული, ჟანრულსტი-ლისტური და სტრუქტურული ბუნება, მესხური მუსიკალური ფოლკლორისა და ქართული სასიმღერო ნიმუშების პარალელების საკითხი. მეორე ნაწილში წარმოდგენილია ვ. მაღრაძის ჩაწერილი და ნოტებზე გადატანილი სიმღერები ლექსების სრული ტექსტებითა და კომენტარებითურთ (ვ. მაღრაძე, ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები, თბ. , გამომც. „ხელოვნება", 1987).

ივ. გვარამაძის ერთ ხელნაწერში აღნიშნულია, თუ რა დიდი ყურადღება მიუქცევია და მაღალი შეფასებაც მიუცია მესხური სიმღერებისათვის (სუფრულებისათვის) რაფიელ ერისთავს, რომელსაც გამოუთქვამს აზრი სიმღერების გამოქვეყნების აუცილებლობისა და მათი დაკარგვის საშიშროების შესახებ.

„ძველ საქართველოში" გამოქვეყნდა ივ. გვარამაძის: „გამიჯნურებული ვაჟ-ქალი" („ძველი საქართველო, III, ტფ., 1913-1914 წ., გვ. 253-267). კრებულს ახლავს ვინმე მესხის შენიშვნა: „ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ასპინძის ქალ-ვაჟის პოეზია მრთლად დარჩენილიყო და არ დავიწყებოდა ჩვენს ერობას. როგორც ჩანს, თავითგანვე კარგად მიღებული ყოფილა ჩვენ წინაპართაგან, რომ ნაწყვეტნი მუხლნი ზოგი სრული და უსრულონი, აკვრა-ჩაკვრით, აქა-იქ დარჩენილან მთელ საქართველოში სახალხო სამღერლად".

„გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალი" მრავალწლიანი მუშაობის ნაყოფია. ამაზე მიგვითითებს ის ხელნაწერები, რომლებიც დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში(ფ. № 122), შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში (ფ. არქ. უმიკ. 1906) და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (M2430). თითოეული მათგანი წარმოადგენს მესხეთში გავრცელებული ლექს-სიმღერების კრებულს და შედგენილია სხვადასხვა დროს. პირველი შედგენილია 1883 წელს, მეორე - 1884 წელს და მესამე - 1904 წელს. მათგან ყველაზე სრულია მეორე (ფ. არქ., უმიკ. 1506) და ეწოდება „მესხეთში ხმარებული სანადიმონი (სუფრულები), შეკრებილი ვინმე მესხისაგან". შემდგენელს ხელნაწერი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათანადო წერილიც გაუგზავნია ი. მეუნარგიასათვის, 1884 წლის 7 სექტემბერს, ხიზაბავრიდან. „აგერ დაგიწერეთ, - ატყობინებს იგი, - სამესხეთოს ძველი ნადიმური სიმღერები და მიახლებია, იმედი მაქვს, დაბეჭდინამთ რიგიანად როგორც დამიწერია..." როგორც ჩანს, ი. მეუნარგიასათვის გაურკვეველი ყოფილა ზოგიერთ ლექს-სიმღერასთან ჯვრის დასმა და შეკითხვით მიუმართავს ვინმე მესხისათვის, რომელიც ასე პასუხობს: „ეგენი, ბატონო, ჩემი თხზულება გახლავთ დამატებული სიტყვის შემთავებლად, რადგან მაგათ მაგიერ მუხლები ბევრი ვეძებე, მაგრამ ველარ ვიპოვე და მეც ჩემის შეძლებისამებრ ეგენი შევთხზე და თუ გამოუსადეგარი იყოს, შეგიძლიათ ამოშალოთ და მარტო ჩემი შეკრებილები დაბეჭდოთ" (ფ. არქ. უმიკ. 1506, გვ. 2). კრებული არ დაბეჭდილა. ჩანს, ი. მეუნარგიას გადაუცია პ. უმიკაშვილისათვის. კრებულიდან ამოღებული ლექს-სიმღერების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიბეჭდა მხოლოდ 1937 წელს.

„გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალის" ტექსტებში ზოგჯერ აქა-იქ სტილიზაციის აშკარა კვალი შეინიშნება, შემკრების, ვინმე მესხის მიერ შეთხზული ტაეპებიც იჩენს თავს, რაც რამდენადმე ამცირებს თავისთავად საინტერესო ნაწარმოებთა მნიშვნელობას. საილუსტრაციოდ ვაჩვენოთ ორიოდე მაგალითი:

*მარგალიტისა კოკასა წყალს ჩავაყენებ ცოტასა,*
*დავლევ და დავალევინებ, ზედ შემოვაყრი ცოდვასა,*
*რაც იყო, გააშკარავდა ჩვენს ქება, შესხმა, ხოტბასა,*
*ჭირი ჩვენ, ლხინი სხვას ერგოთ, ვუჩივი გულის კოდვასა!*

მოტანილ სტროფში პირველი და მეორე ტაეპი ხალხურია, მესამე და მეოთხე ტაეპი ვინმე მესხისაა. ან კიდევ სატრფიალო თემატიკიდან:

*შენ ქალო, ასრე თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირია,*
*თვალ-წარბი გარდავხატნია, სარკეს მიგიგავს პირია,*
*ყველაფრით შემკობილი ხარ, ქება-დიდება გჭირია,*
*ნეტარი შენსა პატრონსა, შენთან მოუვა ძილია*
(ძველი საქართველო, III, გვ. 261).

მოტანილ სტროფში მესამე და მეოთხე ტაეპი აშკარად ვინმე მესხის დამატებულია. ჯავახეთში, ხიზაბავარაში გ. გოგოლაძის ჩაწერილი ვარიანტია:

*ქალო, აგეთი თეთრი ხარ, როგორც საყდარში კირია,*
*გადავხატვია თვალ-წარბი, სარკეს მიგიგავს პირია*
(ქართული ხალხური, პოეზია, თბ., 1978, გვ. 220).

როგორც ჩანს, ჯავახეთში გავრცელებული ეს ლექსი, ორსტრიქონიანია და ეს უფრო ბუნებრივი ჩანს ხალხური ლექსისათვის, თუმცა ქართლში ამ ლექსის ოთხსტრიქონიანი ვარიანტებიც მოიპოვება.

„გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალის" „განმართვის" შემთხვევები შეუმჩნეველი არ დარჩენია „ძველი

საქართველოს“ რედაქტორს, აკადემიკოს ე. თაყაიშვილს, რომელმაც ამავე კრებულის მესამე ტომში დაბეჭდილ „გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალის“ სქოლიოში მიუთითა: „გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალის ლექსებში ჩვენ ყველა ლექსი არ მიგვაჩნია ხალხურად“.

„გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალის“ ბევრი სტროფი ბუნებრივია და სადა, რაც ქართულ ტრადიციას ემყარება. ვაჩვენოთ სუფთა ხალხური ტექსტები:

*ერთი გოგო ენახე წახნის წყაროსა,*
*პირი მზეს მიუგავს, ტანი საროსა,*
*გამჩენს ვეხვეწები, შემიყვაროსა,*
*კარგ ტოლ ამხანაგად შემიყაროსა.*

მოტანილი ლექსი ხალხური ლირიკის ნიმუშია, სილამაზით და ამაღლებული სულით რომ გამოირჩევა. იგი მხოლოდ მესხეთშია გავრცელებული. მისი ერთი ვარიანტი ექ. თაყაიშვილს ჩაუწერია (იხ. კრებული ექვთიმე თაყაიშვილი, თბ. 1966, გვ. 152).

ასევე ბუნებრივი და წმინდა ხალხურია, მშვენიერი და უშუალოა სტრიქონები:

*აქედ, განა მე შენამდის, ვარდი მასხია ენამდის,*
*გულს მიმლის, სურნელით მატკბობს, ავდივარ მაღლა ზენამდე,*
*თუკი რომ შემომითვლიდე, სულ ფრენით მოვალ შენამდე.*

ამ მშვენიერ ლექსშიც მეოთხე სტრიქონი ვინმე მესხისაა:

*შენს მეტი ამ ქვეყანას თვალით არაფერი შემოსდის.*

ამ ლექსის თაობაზე საინტერესო შენიშვნები აქვს გამოთქმული ვახტანგ კოტეტიშვილს. მეცნიერი მას საწესჩვეულებო-საგაზაფხულო დღესასწაულებს უკავშირებს (ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 347-351).

განსახილველი ლექსი მესხეთ-ჯავახეთშიც ფართოდ არის გავრცელებული.

იგი ჩაუწერიათ ი. მაისურაძეს ახალციხეში, ი. ბარიკალაშვილს სოფ. უდეში.

„გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალის“ კრებულში შეტანილია ელეგია „ქალო, მე შენსა სურვილსა“. აი ისიც:

*ქალო, მე შენსა სურვილსა შემომითვალე, რა ვუყო?*
*მაგრა მოვკოჭო საბლითა, ზურგს ავიკიდო, რა ვუყო?*
*დავემხო დედამიწასა, ქვეშ ჭინჭველას, ზეცას ხმა ვუყო,*
*მაინც აღარ შემიბრალებ, თავს უარესი სხვა ვუყო?*

(„ძველი საქართველო“, III. გვ. 262).

ლექსი გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთში. მისი ერთი ვარიანტი ჯავახეთში, სოფ. ხიზაბავარაში იაკობ ლაზარაშვილს ჩაუწერია (იხ. „ივერია“, 1884 წ., № 203). ეს ვარიანტი, რომელსაც ქვემოთ ვაჩვენებთ, როგორც ყველაზე სრულყოფილი, ძირითად ტექსტად არის წარმოდგენილი ქართული ხალხური პოეზიის მეექვსე ტომში.

*გოგოვ, მაგ შენსა სურვილსა სად წავუვიდე, რა ვუყო?*
*მაგრა შევკოჭო საბლითა, რო ვერა ვზიდო, რა ვუყო?*
*ძირს დედამიწას დავემხო, ქვეშ ჭიანჭველას ხმა ვუყო,*
*სული გამჩენს ღმერთს შევწირო, ლეში ყვავ-ყორანს გავუყო, -*
*მაინც არ შეგებრალები, თავს უარესი სხვა ვუყო?*

(ქართ. ხალხ. პოეზია, VI, სატრფიალო ლექსები, გვ. 105, № 330).

როგორც ივ. გვარამაძის, ისე იაკობ ლაზარაშვილის ზემოთ მოტანილი ვარიანტები უკეთესია შედარებით ყველა სხვა ვარიანტებთან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია მოპოვებული.

განსახილველი ლექსის ზოგიერთი ვარიანტი საყოფაცხოვრებოა, მასში შვილის მიერ დედის ამაგის გადახდის შეუძლებლობაზეა ლაპარაკი.

*ვაიმე, დედის ამაგსა, რომ ვერ გადვიხდი, რა ვუყო?*
*ზურგს ავიკიდო საბლითა, რომ ვეღარ ვზიდო, რა ვუყო?*
*დავემხო დედამიწასა, ქვეშ, ჭიანჭველას ხმა ვუყო.*

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ივ. გვარამაძის ფონდში დაცულია ხელნაწერი კრებული სათაურით, „სამესხეთოში ხმარებული ანდაზები, გამოცანები და სუფრულები დაბეჭდილებ გარედ ყოფილნი შეკრებილი ვინმე მესხისაგან“ (სჯმხფ, № 3165). ხელნაწერ კრებულში მოთავსებულია 247 ანდაზა, 25 გამოცანა და სუფრული ლექსები.

კრებულში შესულია ლექს-სიმღერები, ივ. გვარამაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სუფრული ღიღინი და მოძახილი თუ მაყრული“. ხელნაწერის დასაწყისში სასულიერო ხასიათის ლექსებია მოთავსებული: „ზეცას ვიყავ“, „პირველად ღმერთი ვახსენოთ“, „ოცდახუთსა ამ თვესა“ და სხვ. ვაჩვენოთ ზოგიერთი მათგანი:

*ზეცას ვიყავ, ნათელ ვიყავ, ნათლითვან ჩამოვესახე,*
*სახარება ვავაჩინე, მღვდელსა დავსდევ ჩემი სახე,*
*ჩემი გულის პასუხები შავი თეთრზედ გამოვსახე...*
*ახლა ამას ვინ გაარჩევს ახლანდელი განაშზრახე...*

მსგავსი ლექსები ვარიანტებად არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. წარმოშობით იგი რელიგიური ლექსია, შემდგომში სატრფიალო შინაარსი მიუღია. ამის ნიმუშია, მაგალითად, მესხეთში ვანის ქვაბებში XV-XVI საუკუნეების კედლის წარწერებში მკვლევარ შ. ონიანის მიერ ამოშიფრული რუსთველური შაირით დაწერილი ლექსი: „ზეცას გაველ, ზეცა ვნახე და მასკვლავთა მოვეძრახე...“

ივ. გვარამაძის ჩანაწერი „ოცდახუთს ქრისტიშობისა ქრისტე დაბადებულაო“ საგალობელია, რომელსაც „ალილოს“ სახელით მღეროდნენ ახალი წლის წინ.

*ოცდახუთისა ქრისტი შობისა ქრისტე დაბადებულაო,*
*ბეთლემისა ქვაბს შინა: მარწყველნი არწევენო,*
*ტრედნიც ღუღუნს ეტყვიანო, ანგელოზნიც - გალობასა.*
*საშობაო ლექსი მთავრდება სიტყვებით:*
*ალელუა, ალელუა, ამ ოჯახში მშვიდობა და კარგად ყოფნა* (სჯიმხფ., № 1096).

სასულიერო შინაარსისაა აგრეთვე № -1096 კრებულში მოთავსებული ლექსები: „პირველად ღმერთი ვახსენოთ და მერმე ყოვლად წმინდაო“, „რად გასდევ წუთისა პეპელას“, „უწყლოდ, უღვინოდ, უპუროდ...“ და სხვ., რომელთაც ვინმე მესხი სუფრულ ღიღინებს უწოდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებისეულ სიბრძნეს გამოხატავს და ცხოვრებაზე ფილოსოფიურად დაგვაფიქრებს თითქოს სულ უბრალოდ ნათქვამი სტრიქონები:

*რად გასდევ წუთსა პეპელას, გაგიფრინდება, წაგივა,*
*არ გარგებს ხორცი ხორცადა, ტყავი არაფრად გაგივა,*
*ღვთის საშინელ სამართალში ხვეწნა არაფრად გაგივა,*
*ასრე არს, წუთისოფელი, გაგვითავდება, წაგვივა!*

(ხელნაწერი № 1096).

ამავე ხელნაწერ კრებულში მოთავსებულია ლექსები, ე. წ. „ღიღინები“: „რად არა მღერით, დარბაზნო“, „მასპინძელსა მხიარულსა“; მოძახილები. ეს ლექსები თემატიკურად მრავალფეროვანია: საყოფაცხოვრებო, სატრფიალო, საგმირო-პატრიოტული, ფილოსოფიური, ლექსები რძალ-დედამთილის თემაზე და სხვა.

ჭირს იმის გარკვევა თუ რა დროიდან გავრცელდა საქართველოში სუფრული სიმღერები. მართალია, სიმღერები წარმართობის დროიდან არსებობდა საქართველოში, მაგრამ საქმე ის არის, რომ ის ლექს-სიმღერები, რომლებიც დღესაც არის ზეპირბრუნვაში, გაცილებით გვიან გაფორმებულია და ქრონოლოგიურად XVI-XVII საუკუნეებს ვერ გადასცილდება.

ზოგიერთი სუფრული სიმღერის გაჩენას საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლას უკავშირებს.

ვინმე მესხის მიერ შეკრებილ მესხურ-ჯავახურ ხალხურ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგმირო-საისტორიო ლექსებს. ისინი ასახავენ სამცხე ჯავახეთის გარკვეული პერიოდის როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ ვითარებას, უმღერიან სამშობლოს, მამაცობას, მეგობრობასა და კაცთმოყვარეობას, წარსულ ბედუკუღმართობაში ქართველი კაცის ჭირში გაუტეხლობასა და ზნეობრივ სიფაქიზეს.

ივ. გვარამაძის ხელნაწერ კრებულში შესულია საგმირო ლექსები ლეკიანობაზე. ლეკებთან ბრძოლის ამსახველი ლექსები ჩართულია აგრეთვე ივ. გვარამაძის საისტორიო ნარკვევში „ახალციხური ფელეტონი“.

ნარკვევში „ისტორიული მასალები“, ივ. გვარამაძეს ჩაურთავს ლექსი „ასპინძის ომი“. ლექსში ვრცლად და სიზუსტით არის მოთხრობილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს მიერ გენერალ ტოტლებენის მეთაურობით რუსის ჯარის გამოგზავნა თურქ-ლეკთა ჯარებისაგან საქართველოს გაწმენდის მიზნით, რუს-ქართველთა მეომრების შებმა თურქ-ლეკთა რაზმებთან აწყურის ციხესთან.

ივ. გვარამაძეს ჩაუწერია საგმირო აფორიზმები. ერთ-ერთი მათგანია „ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა“:

*ღმერთო, ნუ შეჰყრი ვაჟკაცსა ქალსა ყბედსა და მძინარსა,*
*ის მოჰკლავს, ის დააბერებს, ის შერთავს წყალსა მდინარსა.*

მოტანილი ლექსი ვარიანტებად არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საგულისხმოა, რომ ივ. გვარამაძის ეს ჩანაწერი ქართული ხალხური მრავალტომეულის საგმირო აფორიზმებში ძირითად ტექსტად არის შეტანილი (ქართულ-ხალხური პოეზია III, თბ., 1974, № 179, გვ. 110).

ივ. გვარამაძეს კრებულში შეუტანია საგმირო აფორიზმი „როსტომ თქვა“:

*როსტომ თქვა: დედაკაცისა ჭკუა არ მეკეთებისა;*
*ცხრაკეცი ჯაჭვით დავაბა, გასწყვიტამს, გამექცევისა,*
*დღეს შენია და ხვალ სხვისა, წავალს, სხვას ეკეთებისა*

(სჯმხფ. № -3165).

მოტანილი აფორიზმი „როსტომიანის“ ეპოსის ფრაგმენტია. მისი ერთი ვარიანტი მოხმობილი აქვს ნიკო ხიზანიშვილს ნარკვევში „როსტომ გზირი“ (გაზ. „ივერია“, 1887, № 78).

ივ. გვარამაძის კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლექსებს სტუმარ-მასპინძლობის თემაზე. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით ვაჟკაცობაზე მაღლა პურადობაა დაყენებული.

*ვაჟკაცობა კარგია, მაგრამ შალურებ გაცვდება,*
*პურადობა სჯობს ყველასა, განძი გაქვს, შვილსა დარჩება.*

ხელნაწერ კრებულში საქორწილო სიმღერებიც არის შესული. მაგალითად, „ხელმწიფევ შენსა გვირგვინსა“, „მოვდივართ, მოგვიხარია“ და სხვ.

კრებულში გვხვდება სოციალური უთანასწორობის უარმყოფელი და ფართო საკაცობრიო იდეალების შემცველი ხალხური პოეტური აფორიზმი „კეთილშობილნი შემოკრბენ...“ იგი კრებულში შეტანილია, როგორც რუსთაველის ლექსი.

*კეთილშობილნი შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა;*
*ბატონი კაცს იმსახურებს და ჭკუას გამოცდილობა,*
*ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,*
*და თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა*

(სჯიმხფ. № -3165).

ამ ვარიანტის მიხედვით, ლექსში გამოთქმული შეხედულება კეთილშობილთ მიეწერება. მაგრამ მოიპოვება ივ. გვარამაძისეული ისეთი ჩანაწერებიც, სადაც კეთილშობილნის“ ნაცვლად არის „მეცნიერები“.

ხალხში გავრცელებული ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“ მონოგრაფიულად შეისწავლა შ.ონიანმა. მკვლევარი ლექსთან დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურული საკითხებისა და ტექსტის გულდასმით შესწავლის საფუძველზე ფიქრობს, რომ ლექსი რუსთაველის კუთვნილებაა (შ. ონიანი, ეკუთვნის თუ არა რუსთაველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრებს“, (თბ. 1976, გვ. 3-105)

ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, არსებობდა მწერლობის გარეშე, ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას და დღემდე შემორჩა ხალხურ სიტყვიერებას. თუმცა შესაძლებელია, მისი ავტორი რუსთაველი იყოს. ამის დაბეჯითებით მტკიცება ჭირს, მაგრამ აშკარაა, რომ ლექსი რუსთველური შაირით არის შექმნილი რუსთაველის დროს ან მის შემდეგ. ეს ლექსი იმას ადასტურებს, რომ ხალხურ სიტყვიერებაში ძველი ქართული პოეზიის ნიმუშებიც არის შემონახული. ზოგიერთ ჩვენამდე მოღწეულ ხალხურ ლექსს თავისი ცნობილი ავტორები ჰყოლია, მაგრამ მათი სახელი დაკარგულა, ხოლო თვითონ ნაწარმოები ქართველ ხალხს არ დავიწყებია.

ივ. გვარამაძის ხელნაწერ კრებულში შესულია სატრფიალო ლექსი „მაღლიდგან გადმომდგარიყო“-ს მესხურ-ჯავახური ვარიანტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ზევითგან გადმომდგარიყო თვალქუჟუნ თეთრი*
*ქალია,*
*ხელს მიქნევს აქ ამოდი, შინ არა მყავს ქმარია,*
*ციხის სანვრეველად წავიდა, თავსაც სწოლია*
*კარია,*
*მისვან გულმოკლულს მიშველე რამე, მირჩიე გზა*
*და მხარეა!..*
*მახარობელი მოვიდა, ქალო, მოგიკვდა ქმარიო,*
*სამახარობლოდ მაჩუქა სამოცდასამი ცხვარიო,*
*იმასაც არ დააჯერა, გაუგდო ნიშა ხარიო,*
*მერმე მე მითხრა, ვინატრი: შენ დაგრჩეს ჩემი*
*თავიო.*

ამ ლექსის ვარიანტები ჯავახეთში, ს. ხიზაბავრაში ჩაუწერიათ ვახტანგ კოტეტიშვილს, ნ. ასათიანს, გ. გოგოლაძეს (ქართული ხალხური პოეზია, VI. სატრფიალო ლექსები, თბ. , 1978, გვ. 360, 361, 362, №-609).

ამავე კრებულში მოთავსებულია, „ქალი წავიდა წყალზედა“. ლექსში წყევლის ქალი თავის ქმარს, რომელმაც კუტალს (წყლის მოსატან ჭურჭელს) საკიდი არ გაუკეთა და ქალმა თმები გაუყარა კუტალს.

*აავსო კოკა კუტალი, შიდ გაუყარა თმანიო,*
*ორად მოკეცა ნაწნავი ერთიან ერთი მხარიო,*
*წამოიკიდა წარბშერჭმით, აემღვრა თვალნი*
*წყნარიო,*
*მოდის და მოტუტუნებდა, ღმერთო, მომიკალ*
*ქმარიო,*
*არ გამიკეთა საკიდი, დამაწყვეტინა თმანიო,*
*მტერ-მოყვარეში გამომაკლო, ცხვირსა მდის*
*ცხარე ძმარიო*

(ხელნაწ. №-3165), ხელნაწერ კრებულში „ზეითგან გადმომდგარიყო“ და „ქალი წავიდა წყალზედა“ ერთ ლექსად არის წარმოდგენილი, მაგრამ ისინი ორი სხვადასხვა ლექსია, თუმცა შინაარსობრივად ახლოს დგანან ერთმანეთთან.

ლექსი „მაღლიდან გადმომდგარიყო“ საწესო სიმღერაა, რომელიც წესის თვალსაზრისით, გადაშენებულია. პირველი შეხედვით, აქ აღარ ჩანს საწესო სიმღერის რაიმე კვალი, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ იმ არქაიკას, რომლის მკრთალი კონტურები ამ ლექსს კიდევ შემოუნახავს. სხვა ხალხების ფოლკლორში ვხვდებით შესაფერ პარალელებს, რომელთაც თავიანთი საწესო ხასიათი ამ ბოლო დრომდე შეინახეს.

ლექსის ბუნება არქაულია და შესრულების წესით, გუნდობრივი - იმავე არქაიკას ამტკიცებს.

ივ. გვარამაძის ხელნაწერ კრებულში სოციალური პრობლემატიკაც იქცევს ყურედღებას. მაგალითად, აქ მოთავსებულია ბატონყმური ურთიერთობის ამსახველი ლექსი „შენ, ერისთავო“.

შეკრებილი ლექსები დაცულია №-3966 ხელნაწერშიც. ეს ხელნაწერი კრებული ივ. გვარამაძის რვეულებიდან შეუდგენია კ. გვარამაძეს (ქართული ქრესტომათია, ე. ი. ლექსები შეკრებილი კ. გვარამაძის მიერ, სჯიმხფ, ხელნაწერი №-3966). ხელნაწერ კრებულს დართული აქვს სარჩევი. აქ ინდივიდუალური პოეტების ლექსებიც არის წარმოდგენილი. მაგალითად, დავით გივიშვილის, რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი შერიევის, გიორგი სკანდარნოვის, ნ. ბარათაშვილის და სხვათა ლექსები. ყველა ეს ლექსი, როგორც ხელნაწერ კრებულზე წარწერა გვამცნობს, შეკრებილია ვინმე მესხის მიერ, ს. ხიზაბავრაში, 1883 წელს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ივანე გვარამაძის კიდევ ერთი ხალხური პოეზიის ხელნაწერი კრებული (სამესხეთოს ძველი სიტყვიერება. ლექსები ვინმე მესხი ივანე გვარამაძისა, სჯიმხფ, ხელნაწერი №-2279). კრებულის შესავალში ვინმე მესხი წერს: *„აქამდის გლახაკნი დავტრიალდით, შევკრიფეთ ხალხური სიტყვიერების ძველ-ძულნი, როგორც გლახაკნი ძველძულთ გადააკეთებენ ჩასაცმელ-დასახურავად, რომ თავი დაიცვან ზამთარში ყინვა-სიცივისაგან, მეც ისე ვამჯობინე, აღდგენა და შევსება შეძლებისაებრ, რაც გამივონია და რაც თქმულა სიტყვიერათ თუ ლექსად სამესხეთოში“.*

ხელნაწერ კრებულში შეტანილია ოთხსტრიქონიანი ლექსი „რა კარგი ხარ, ჩიხორისო“ (ჩიხორისო ისტორიული ადგილია ასპინძასთან).

*რა კარგი ხარ, ჩიხორისო, არ გერიოს ხვირიშაო,*
*გული კვდება, მენატრება იქაური ქილისაო,*
*ტკბილი პური, ყურძნის წვენი, სურნელება*
*ხილისაო,*
*ქალ-კაცისა სილამაზე, ცისკრის ლოცვა დილისაო*
(ხელნაწერი, გვ. 7)

მოტანილ ლექსს ეხმაურება ისტორიული თქმულება „ჩიხორისელი ქალი“. იგი ბედუკუღმართობის გამო სტამბოლის ბაზარზე გაყიდული ქართველი ტყვე ქალის მძიმე განცდებზე მოგვითხრობს.

ხელნაწერ კრებულში მოთავსებულია ლექსი „თუშო, ნუ ჩახვალ ოშორას“.

*თუშო, ნუ ჩახვალ ოშორას, ოშორა ეკლიანია,*
*მიხვალ და ვეღარ ამოხვალ, შენი ამოსვლა*
*ძნელია,*
*ოსმალები შესევიან, ვნიჩარ, ჰაითა, დელია,*
*სულ ძალად დათათრებულან, სწყრომიათ წმინდა*
*ელია* (დასახ. კრებული გვ. 17).

მოტანილი ლექსის ძირითადი ტექსტი შექმნილია ფშავში. იგი თილისმის ციკლისა ჩანს. ზემოთ მოტანილ მესხურ ვარიანტში, რომელიც სტილიზაციის აშკარა ნიშნებს ატარებს, ხოშორას ნაცვლად ოშორაა. ოშორა სოფელია ასპინძის რაიონში, მდინარე ოშორის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი). ნაპირზე.

ჩანს, მესხმა მთქმელმა ფშაური ლექსი გამოიყენა, შეგნებულად გადაასხვაფერა და თურქ დამპყრობლებთან ბრძოლებს დაუკავშირა.

ივ. გვარამაძის შეკრებილი ლექსები გამოქვეყნდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“. ორი ხალხური ლექსი „მოდი, ვნახოთ ვენახი“ და „ამირანის ლექსი“ „ძველი საქართველოს“ მეორე ტომში დაიბეჭდა (განყ: V. გვ. 118, 119,120).

ვინმე მესხის ჩანაწერების მიხედვით, საფუძვლიანად, არც ერთ მთქმელს არ ვიცნობთ, არც ერთი მელექსის რეპერტუარი არ არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ თავის მთხრობელთაგან მარტო ხიზაბავრელი მამულა ჰყავს ასე თუ ისე დახასიათებული, რომელსაც პირადად კარგად იცნობდა.

საკუთარი სახელის ასეთნაირი ჩართვის წყალობით, ვინმე მესხის შეკრებილ მასალებში ვეცნობით ზოგ სხვა მთქმელსაც, როგორც მაგალითად, ინდუსელ ვინმე ფეხიშვილს, ვინმე მოლექსე შიოს და ა. შ.

ვინმე მესხის მიერ შეკრებილ ლირიკულ თუ ლიროეპიკურ ლექს-სიმღერებში წარმოჩნდა მესხები და ჯავახები, აისახა ამ მხარის მცხოვრებთა ფსიქიკა. ტრადიცია, აზროვნება, მორალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხორხე ლუის ბორხესი

## ჩესტერტონის გამო

„რამეთუ ხესაც კი არ გამოყოფს შიშისგან...“
„მეორე ბავშვობა“

ჩესტერტონი

ედგარ ალან პო წერდა საშინელებათა ნოველებს ფანტასტიკის ელემენტებით ანდა სუფთა „ახირებულობით“. ედგარ ალლან პომ გამოიგონა დეტექტიური ნოველა. ეს ისევე უდავოა, როგორც ის ფაქტი, რომ ამ ორ ჟანრს ის ერთიმეორეში არ ურევდა. იგი არ ავალებდა არისტოკრატ ოგიუსტ დიუპენს, დაედგინა ბრბოს კაცის ადრინდელი დანაშაული ანდა გამოეცნო თუ რატომ მოკლა შავწითელ ოთახში ქანდაკებამ შენიღბული პრინცი პროსპერო. ჩესტერტონი, პირიქით, ქინითა და წარმატებით ხვეწდა ამგვარ „აკრობატულ ნომრებს“. პატერ ბრაუნზე საგიდან ყოველი ნოველა ჯერ საიდუმლოს შემოგვთავაზებს, შემდეგ დემონური ან მაგიური თვისებებით ახსნის, ბოლოს კი მთლად მიღმიერით შეცვლის მათ. ამ მოკლე ისტორიათა ღირსება მხოლოდ ოსტატობაში არ არის; მეჩვენება, რომ მათში ვხედავ თავად ჩესტერტონის დაშიფრულ ცხოვრებას, ჩესტერტონის სიმბოლოსა თუ გამოსახულებას. ზემოთ მოყვანილი სქემის მთელი წლების განმავლობაში და მთელ რიგ წიგნებში განმეორება („კაცი, რომელმაც ძალიან ბევრი იცოდა“, „პოეტი და მთვარეული“, „მისტერ პონდის პარადოქსები“), ჩემი აზრით, ამტკიცებს, რომ აქ საქმე ფორმის არსშია და არა თავად რიტორიკულ ხერხში. ქვემოთ შევეცდები, გადმოვცე ამ ფორმის განმარტება.

თავდაპირველად აუცილებელია, გავიხსენოთ რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი. ჩესტერტონი კათოლიკე იყო; ჩესტერტონს სწამდა „პრერაფაელისტთა შუასაუკუნეები“ („პატარა და თეთრ, ქათქათა ლონდონზე“). ჩესტერტონი, უიტმენისა არ იყოს, სცოდავდა შეხედულებით, – თავად არსებობის ფაქტი იმდენად საოცარია, რომ არავითარ ბოროტებას არ შეუძლია, გვიხსნას რამდენადმე კომიკური მადლიერებისაგან. ამგვარი შეხედულებები, შეიძლება, მართებულია, თუმცა მხოლოდ მკვდარ ინტერესს იწვევს; ვივარაუდოთ, თითქოს მხოლოდ ამით ამოიწურება ჩესტერტონი, ნიშნავს, დავივიწყოთ, რომ ადამიანის მრწამსი – ეს ბოლო ეტაპია გონებრივი და ემოციური პროცესების მწკრივში და რომ ადამიანი სწორედ ეს მწკრივია. ჩვენს ქვეყანაში კათოლიკები ჩესტერტონს ადიდებენ, თავისუფლად მოაზროვნეები უარყოფენ. როგორც ყოველ მწერალს, რომელიმე მრწამსს რომ აღიარებს, ჩესტერტონსაც ამით განსჯიან, ამით აძაგებენ თუ აქებენ. ეს ამბავი კიპლინგის ბედს ჰგავს, რომლის შესახებაც ბრიტანეთის იმპერიასთან დამოკიდებულებით მსჯელობენ.

პომ და ბოდლერმა, მსგავსად ბლეიკის ბოროტი ურიზენისა, სცადეს, შეექმნათ შიშის სამყარო; და ბუნებრივია, რომ მათი შემოქმედება ყოველგვარი შესაძლო საშინელებით არის სავსე. ჩესტერტონი, როგორც მეჩვენება, ვერ აიტანდა საყვედურს, რომ კოშმარების ოსტატია, მით უფრო, არანაკლებ მიმართავს საშინელ ვარაუდებს. იკითხავს, შეიძლება თუ არა ადამიანს ჰქონდეს სამი თვალი, ჩიტს – სამი ფრთა; პანთეისტთა საპირისპიროდ ლაპარაკობს თავის მიერ სამოთხეში ნაპოვნ მკვდარზე; იმაზე, რომ სულები ანგელოზთა გუნდებში თითქოსდა ერთსახოვანნი არიან (ავითარებს ატტარას აზრს – „ყოველგან ვხედავთ შენს ხმას“; ჯალალედდინ რუმიმ შექმნა ლექსები, რიუკერტმა რომ თარგმნა, სადაც ნათქვამია, რომ ზეცაში, ზღვაში და სიზმრებში არის მხოლოდ ის, ერთადერთი. და სადაც ის ერთადერთი არის განდიდებული იმისათვის, რომ მან გააერთიანა ჭირვეულ ცხენთა ოთხეული, სამყაროს ეტლს რომ მიაქროლებენ: მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი). იგი ჰყვება ციხის კამერაზე, სარკეებისაგან რომ შედგება; უცენტრო ლაბირინთზე; კაცზე, მეტალური ავტომობილები რომ ყლაპავენ; ხეზე, ჩიტებს რომ შთანთქავს და ფოთლების მაგიერ ბუმბული ასხია; ის იგონებს („კაცი, რომელიც ორშაბათი იყო“, მე-6), თითქოს მიწის აღმოსავლეთ კიდეზე ხარობს ხე, რომელიც ჩვეულებრივ ხეზე დიდიც არის და პატარაც, ხოლო დასავლეთ კიდეზე დგას ერთობ გამოუცნობი ციხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკი, რომლის არქიტექტურაც კი ბოროტებით არის დასჯილი. ახლოს მყოფს იგი განმარტავს შორეულით და თვით სასტიკითაც კი. თვალებს იეზეკიელივით (I, 22), „საოცარ კრისტალებს“ ეძახის, ხოლო ღამეს რომ აღწერს, ძველთაძველ შიშს აღრმავებს მის მიმართ (აპოკალიფსისი, 4, 6) და უწოდებს „თვალებით აღსრულებულ საშინელებას“. არანაკლებ ფერწერულია მოთხრობა „როგორ ვიპოვე ზეკაცი“. ჩესტერტონი ზეკაცის მშობლებთან საუბრობს; შეკითხვაზე, ლამაზია თუ არა მათი შვილი, ბნელი ოთახიდან რომ არ გამოდის, ისინი შეახსენებენ, რომ ზეკაცი სილამაზის საკუთარ კანონს ქმნის, რომლის მიხედვითაც უნდა ვიმსჯელოთ მასზე („ამ აზრით იგი აპოლონზე მშვენიერია. ჩვენი, რასაკვირველია, უფრო მდაბალი შეხედულებით...“); შემდეგ ისინი შეთანხმდებიან, რომ მისთვის ხელის ჩამორთმევა არ არის ადვილი („ხომ გესმით, სულ სხვანაირი აგებულება...“); მერე აღმოჩნდება, რომ არ შეუძლიათ, თქვან, თმა აქვს თუ ბუმბული. გამჭოლი ქარი კლავს და რამდენიმე კაცს გამოაქვს კუბო, - ფორმით თუ განვსჯით, - უგვამოდ. ჩესტერტონი ამ ტერატოლოგიურ ფანტაზიას სახუმარო, კვიმატი ტონით ჰყვება.

მსგავსი ხერხები - მათი გამრავლება ძნელი არ იქნებოდა - გვიჩვენებენ, რომ ჩესტერტონი არ ცდილობდა, ედგარ ალლან პო ანდა ფრანც კაფკა ყოფილიყო, თუმცა კი რაღაცა მისი „მეს“ უცნაურ ნარევში საზარლობისკენ ეწეოდა - რაღაც აუხსნელი, გაუცნობიერებელი, შინაგანი. თავისი პირველი ნაწარმოებები ცუდუბრალოდ კი არ შეუთხზავს ორი დიადი გოთიკური ოსტატის, ბრაუნინგისა და დიკენსის დასაცავად; ტყუილუბრალოდ კი არ იმეორებდა, რომ გერმანიაში შექმნილი საუკეთესო წიგნი ძმები გრიმების ზღაპრებია. იგი ტუქსავდა იბსენს და იცავდა (მართალია, უიმედოდ) როსტანს, თუმცა ტროლები და საღილე „პერ გუნტში“ მისი სიზმრების მასალიდან არის შექმნილი. ხასიათის ეს წყობა, დემონურისადმი მიდრეკილების ეს უიმედო ჩახშობა განსაზღვრავს ჩესტერტონის ბუნებას. მისი შინაგანი ბრძოლის სიმბოლოს მე ვხედავ პატერ ბრაუნის თავგადასავლებში, რომელთაგან თითოეული ცდილობს, მარტოოდენ გონების მეოხებით ახსნას აუხსნელი ფაქტი (დეტექტიური რომანების ავტორები, ჩვეულებრივ, ცდილობენ ახსნან არა აუხსნელი, არამედ დახლართული). აი, ამიტომ, ვთქვი ჩემი შენიშვნის პირველ აბზაცში, რომ ეს ნოველები ჩესტერტონის დაშიფრული ისტორიაა, სიმბოლო თუ მისივე გამოსახულება. სულ ეს არის, ვინაიდან „გონება“, რომელსაც ჩესტერტონმა თავისი წარმოსახვა მიუძღვნა, იყო თავისთავად არა გონება, არამედ კათოლიკური რწმენა, ანუ პლატონისა და არისტოტელეს დამორჩილებული ებრაული რელიგიის გამონაგონთა ერთობლიობა.

ორი კონტრასტული იგავი მახსენდება. პირველი კაფკას თხზულებების პირველი ტომიდან არის. ეს იმ კაცის ისტორიაა, რომელიც კანონამდე მიღწევას ცდილობს. პირველი კარიბჭის მცველი ეუბნება, რომ ამის მიღმა კიდევ ბევრი კარია (მრავალი კარის ხატი, ერთიმეორეს რომ მიჰყვება და ცოდვილთ ნეტარებისკენ გზას ულობავენ, არის „ზოჰარშიც“, იხილეთ: გლატცერი - „დროსა და მარადიულობაში“; ასევე მარტინ ბუბერი - „ხასიდური ლეგენდები“) და იქ, სიჩუმიდან სიჩუმემდე კარიბჭეებს ერთმანეთზე მძლავრი მცველები იცავენ. კაცი ჩამოჯდება და იცდის. გადის დღეები, წლები, კაცი მოკვდება. აგონიაში ის იკითხავს: „განა შეიძლება, რომ მთელი ეს წლები, რაც მე ვიცდიდი, არავის რა მოსურვებია შესვლა ჩემს გარდა?“ მცველი მიუგებს: „შესვლა იმიტომ არ უსურვებია არავის, რომ ეს კარიბჭე მარტო შენთვის იყო განსაზღვრული. ახლა კი დავხურავ“ (კაფკა „პროცესის“ მეცხრე თავში კომენტარს უკეთებს ამ იგავს და უფრო მეტად ართულებს). მეორე იგავი - ბენიანის „მომლოცველის გზებშია“. ხალხი შენატრის კოშკს, უამრავი მეომარი რომ იცავს; შესასვლელთან მცველი დგას წიგნით, რათა შიგ იმისი სახელი ჩაწეროს, ვინაც შესვლის ღირსი იქნება. ერთი გულმამაცი უახლოვდება მცველს და ეუბნება: „ჩაწერე, ბატონო, ჩემი სახელი“. მერე ხმალს იშიშვლებს და მეომრებს მიეტევება. იმათაც მიაყენებს და თავადაც ლებულობს სისხლიან ჭრილობებს, სანამ შეტაკებაში გზის გაკაფვის საშუალება არ მიეცემა და ციხეკოშკში არ შევა.

ჩესტერტონმა თავისი სიცოცხლე მეორე იგავის წერას მიუძღვნა, მაგრამ გამუდმებით აიძულებდა რაღაც, რომ პირველი ეწერა.

თარგმნა *მაკა ვარაზანაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარინე გიგაშვილი

## „ეშმაკის მოსახვევი“

გურამ გეგეშიძის ბოლოდროინდელ ჩანაწერებს თუ თვალს გადავავლებთ, შიგ საყურადღებო მოსაზრებებს ამოვიკითხავთ. ეს შეიძლება გასაღები აღმოჩნდეს ზოგიერთი მოთხრობის გასაშიფრად. გავიგებთ, რისი თქმა სურს მწერალს ამა თუ იმ გმირის დახატვით. ამჯერად საუბარია მოთხრობაზე „ეშმაკის მოსახვევი“, რომელიც მწერლის შემოქმედებაში თითქმის ერთხმად არის აღიარებული საუკეთესოდ.

„ამ ბოლო დროს დამკვიდრებულია აზრი, რომ კრიტიკულ პათოსით წერა, მანკიერების მხილება, მხოლოდ ილიას და მისი დროის მწერლების უპირატესობაა. რომ დამწყებ ან თუნდაც საშუალო ასაკის მქონე მწერალი, სანამ ის ამას არ დაიმსახურებს, „პირში წყალი უნდა ჰქონდეს ჩაგუბებული“. თუ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ - წერს გ. გეგეშიძე, რომ ილია თავიდანვე მამხილებელი პათოსით გამოსულა სამწერლო ასპარეზზე და მისი პირველი ლექსები ასეთი ხასიათისაა. ის მერე გახდა ილია და ქვეყნის მამა. მწერალს ზომიერების გრძნობა არ ღალატობს და არც აპირებს, ილიას გაუტოლდეს, მაგრამ დღევანდელი რეალობა რომ შეაფასოს და ამხილოს, ამის უფლებას იტოვებს და წარმატებითაც ართმევს თავს ამ საქმეს:

„მე ადამიანი მიყვარს ფეხზე ამაყად მდგარი, და არა მონურად დაჩიავებული, მე იგი მიყვარს მოყვასის თავისუფლად მზირალი და არა მონურად დაჩოქილი, მე იგი მიყვარს სამართლიანობის მომთხოვნი და არა დაგლახაკებული მომუდარე, მე იგი მიყვარს საკუთარი თავის იმედზე მყოფი და არა ვიღაცის ზემოდან ბოძებული წყალობისა. მოკლედ რომ ვთქვათ, მე მომწონს თავისუფალი ადამიანი და არა კერპის წინაშე თავდახრილი“. მოთხრობის გმირი, ახალგაზრდა, საზოგადოებისათვის უცნობი მწერალი სვანეთში მიდის და საბარგო მანქანის ძარაზე მყოფი ძალაუნებურად ერთვება იმ სატკივარში, რომელიც მგზავრებს აწუხებთ: მძღოლი კოჩია, რომელსაც წინა დღეს საღამოხანს ამ გზაზე ყველას თვალწინ გაუვლია და ყველას გამოლაპარაკებია, მეორე საღამოს „ეშმაკის მოსახვევში“ გადაჩეხილა და დაღუპულა. „არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ნაწარმოებში პერსონაჟთა შემოყვანის შესანიშნავი უნარი, რაც პრინციპადაა ქცეული“, უკვე აღუნიშნავთ გურამ გეგეშიძის მისამართით და ამჯერადაც მოქმედებაში ერთის შეხედვით შემოსული ადამიანი ხდება მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი.

ამრიგად „ეშმაკის მოსახვევში“ გადაიჩეხა მძღოლი კოჩია. ახლა იგივე გზას მიუყვება მისი ბიძაშვილი ასტამური და ცდილობს, გაერკვეს თუ რა პიროვნება იყო კოჩია. ასტამური მხოლოდ ახლა ხვდება, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში კოჩია იყო სუსტი, უნებისყოფო, თავმოყვარეობადაკარგული კაცი, თუმცა ურთიერთობაში თავაზიანი. მას ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ქეიფში ფულის დახარჯვა, თუმცა თვითონ ქეიფი უყვარდა. ასტამური რამდენიმე წლით უმცროსია კოჩიაზე. ისინი ბიძაშვილები და მეზობლები არიან. კოჩიას მთელმა ცხოვრებამ ასტამურის თვალწინ გაიარა.

კოჩია თავიდან შესანიშნავი ახალგაზრდა იყო, „გაშლილი ბეჭები“, „წერწეტა ტანი“, „თეთრი სახე“, „შავი ულვაში“ - მწერალი დაწვრილებით აგვიწერს მის გარეგნობას. კოჩია ჯარში წაიყვანეს. ასტამურმა მის მშობლებს უვაჟოდ დარჩენა არ აგრძნობინა და, თუმცა ბავშვი იყო, ცდილობდა, კოჩიას ისევე დახვედროდა სახლ-კარი, როგორც დატოვა. კოჩია იყო ასტამურის ოცნების გმირი, რომელიც ხმალამოწვდილი, ნაბადმოსხმული მისდევდა საქართველოს მტრებს. მაგრამ კოჩია ჯარიდან სულ სხვა ადამიანი დაბრუნდა. მას ღომის და აჯიკის სიყვარული ბორშჩის სიყვარულზე გაუცვლია და რუსული ენაც კარგად შეუსწავლია. როცა თუთუნის სათხოვრად მოსულ მეზობელს კოჩია მოკლედ მოუჭრის „ნადო სვოი იმეტ“-ო, ასტამურს ცა თავზე ჩამოექცევა. მიხვდება, რომ მისი ბიძაშვილის ვაჟკაცობიდან აღარაფერი დარჩენილა. კოჩიამ მალე ცხენიც დაივიწყა და მანქანით დაიწყო ოჯახის რჩენა.

ვინც კი გურამ გეგეშიძის შემოქმედებაზე რამდენიმე სიტყვას მაინც დაწერს, არ შეიძლება არ მიმოიხილოს მოთხრობა „ეშმაკის მოსახვევი“. რა თქმა უნდა, მოთხრობა იმაზეა, თუ როგორ დაკარგა კაცმა ზნეობა. მაგრამ არავის არასდროს აღუნიშნავს, თუ რატომ დაკარგა კოჩიამ ზნეობა. ეს კი ნაწარმოებში საკმაოდ გამჭვირვალედ არის მინიშნებული.

სამამულო ომის შემდეგ „საბჭოთა ჯარში“ სამსახური ქართველი კაცის წმიდათაწმიდა მოვალეობად ითვლებოდა. ომის დღეებში გამოქვეყნდა ირაკლი აბაშიძის ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელშიც იყო სიტყვები: „დავუბარებ ყველა ქართველს, მისი წმინდა ვალი არის, მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას, დერბენტი და დარიალი“. შეჰკრას, მაგრამ ვისგან დაიცვას? - გერმანელებისაგან. მაშინ როდესაც თავის დროზე რომ არ გაეხსნათ „დერბენტი და დარიალი“, არ მოეწვიათ „ერთმორწმუნე რუსები, შეიძლებოდა ამდენი უსამართლობის თავიდან აცილება. მაგრამ ეს არ არის ჩვენი მსჯელობის

ივერიელი ბიბლიოთეკა

საგანი. ჩვენ გვინდა, კოჩიას მაგალითით დავინახოთ ის მნეობრივი დეგრადაცია, რასაც ქართველი კაცი განიცდიდა იმ 2-3 წლის განმავლობაში, რასაც საბჭოთა არმიაში სამსახური“ ერქვა. გურამ გეგეშიძე დაწვრილებით აგვიწერს კოჩიას ჯარში წასვლამდე და კოჩიას ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ. სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჰყავს ლამაზი შეყვარებული, ძვალში და რბილში გასჯდომია მეგრელი კაცის ტრადიციისამებრ ცხენის სიყვარული, ამ ყველაფრის მიმართ აბსოლუტურად გულგრილი ჩამოდის. რა მოხდა ამ სამი წლის განმავლობაში? ამას არავინ კითხულობს. ხედავენ მხოლოდ, რომ რუსულმა იძალა კოჩიაში. აჯიკა და ღომი ბორშჩზე გაცვალა, ცხენი – მანქანაზე, ლამაზი აფხაზი გოგონა - რუსის ქალაკაცზე; ყველაფერმა ამან კი ის გამოიწვია, რომ კოჩიას სოფელში აღარ ეცხოვრება. და თუ მაინც იცხოვრებს, ეს იქნება კაცი, რომელიც არც თუთუნს მოაწევინებს ვინმეს, არც ქეიფში დაპატიჟებს კაცს, არც თავის ერთადერთ ბიძაშვილს მიუხედავს ოჯახს მოუცლელობის მიზეზით, ოჯახშიც მუდამ აყალმაყალი ექნება და რძალ-მამამთილის გაშველებას მოუნდება, ეს კი ქართველი ვაჟკაცის ცხოვრება აღარ არის. ამას სიკვდილი სჯობს.

საბჭოთა არმიაში სამსახური წლების განმავლობაში ტაბუდადებული თემა იყო ქართულ მწერლობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი მწერლები არ ეხებოდნენ ამ მტკივნეულ საკითხს.

ჯერ კიდევ 1926 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობის“ (№4-5) ფურცლებზე გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ცოფიანი“, რომელიც მეტად აღარ დაბეჭდილა, თვით ბოლო, ყველაზე სრულ გამოცემაშიც კი.

განა რა ნოველაა ასეთი, რომ არაფრის მთქმელი ფრაგმენტების გვერდითაც ვერ მიუჩინეს ადგილი? – კითხულობს როსტომ ჩხეიძე თავის „შურისგებაში“ და თვითვე პასუხობს:

ეს რიტორიკული შეკითხვაა, რომელიც პასუხს არ საჭიროებს და მაშინვე ეს ფიქრი გაგიელვებს, ეტყობა, ახალი სინამდვილის რომელიღაც მხარე ისე მწვავედ და ჭეშმარიტად ჯავახიშვილისეულ სიღრმითაა მხილებული და განზოგადებული, რომ ხელისუფლებასა და ცენზურას მისი დასამარება ერჩიათ.

ჩვენ კი შევეცადოთ გავაანალიზოთ ახალი სინამდვილის ის მხარე, რომელმაც, როგორც ჩანს, უფრო იმიტომ მიიპყრო მწერლის ყურადღება, რომ მისი მოშველიებით სააშკარაოზე გამოვიდოდა არსის შინაგანი შემზარაობა და, რაც მთავარია ის უდიდესი ხიფათი, რომლითაც ახალი წყობილება ემუქრებოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ხედავთ, ჯერ კიდევ როდის შემოჰკრეს განგაშის ზარები, მაგრამ ძლიერია რეჟიმი და მისი ცენზურა.

არადა, მიხეილ ჯავახიშვილი აშკარად გვიჩვენებს, რომ ერთი ადამიანის გადაგვარებას ერის უეჭველი დაცემა მოჰყვება.

„ცოფიანის“ სიუჟეტი მამის მიერ შვილის მკვლელობის მოტივზეა აგებული. ეს თემა „არახალია, ძველია“ მსოფლიო ლიტერატურაში და ისეთი დონის მწერალი, როგორიც მიხეილ ჯავახიშვილია, არ შეეხებოდა ამ თემას, თუ მას ადამიანის სულიერი გადაგვარების ახალი, უფრო მეტად შემზარავი ფაქტებით არ გაამდიდრებდა, რადგან მწვავეა პრობლემა. ამასვე გვაუწყებს ნოველის სათაურიც - „ცოფიანი“.

„ცოფიანი“ – ანუ ძაღლიკა ჯიხალაური საკუთარ დას, კმარას, შეიყვარებს და ხასად გაიხდის. თუ რა მოსდის ამ ამბის გაგებაზე მის მამას, ხირჩლას, ეს ადამიანის სულის ურთულესი მოძრაობაა და, როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, არც ერთ მწერალს, რომლებიც ასახავდნენ მამის მიერ შვილის მოკვლის სურათს, ეს ურთულესი მხატვრული ამოცანა არ დაუყენებია.

მიხეილ ჯავახიშვილმა კი სცადა შეუძლებელთან შეჭიდება და წარმატებითაც გაართვა თავი ამ ამოცანას. გამწარებული მამა ფიქრებში დანთქმულა და შვილის მანკიერი ბუნების საწყისს ჩხრეკს, ჩხრეკს და მიაგნებს კიდეც. როდის გადაიქცა ძაღლიკა მორიელად, ობობად, ცოფად - „ნელ-ნელა, თანდათან, შეუმჩნევლად... სამხედრო ბეგარის მოსახდელად წავიდა და როცა დაბრუნდა, მამამ თავის სახლში შვილის მაგიერ ოცფეხიანი მორიელი აღმოაჩინა“.

თუმცა გურამ გეგეშიძის კოჩიასაგან განსხვავებით, რომელიც თითქმის ქართველი ვაჟკაცის იდეალთან დაახლოებული სახეა ჯარში წასვლამდე, ძაღლიკას სულის კუნჭულში უმნეობის ბაცილა თავიდანვე ყოფილა ჩაბუდებული, მაგრა მით უფრო აქტუალურია პრობლემა. თურმე რუსის ჯარში სამსახურმა შეიძლება ჩამოყალიბებულ არამზადად დააბრუნოს სოფელში ძაღლიკასნაირი უნებისყოფო კაციც და კოჩიასნაირი ახალგაზრდაც, რომელსაც „ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა... რა სჯობდა კოჩიას ნახვას ჯირითის დროს, როგორ უხდებოდა მოსირმული ჩოხა-ახალუხი და ვერცხლის ქამარხანჯალი! ვერავინ ჯობდა კოჩიას ისინდში და მარულაში. ახლა თარჩიაში უნდა გენახათ. სასწაულებრივად მოქნილი და სხარტი თევზივით უსხლტებოდა ხელიდან მოწინააღმდეგეებს“. ასტამურს ხშირად ეჩვენებოდა ოცნებაში, თუ ლაბად-მოსხმული, ყაბალახწაკრული, შავ ბედაურზე ამხედრებული კოჩია ხმლით ხელში როგორ მისდევდა საქართველოს მტრებს, „მტრები კი გარბოდნენ, უკანმოუხედავად გარბოდნენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი საქართველოს მტრები“. ასტამური დარწმუნებულია, რომ კოჩია ჯარიდან გმირი დაბრუნდება, მაგრამ კოჩია დაბრუნდა ყოველგვარი ორდენებისა და მედლების გარეშე და არ ჩქარობდა თავისი ბედაურის ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოჭენებას.

ვერც ასტამური და ვერც ხირჩლა ვერ სცნობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველ ჭაბუკებს, რომლებიც გაისტუმრეს სამხედრო ბეგარის მოსახდელად. მათ ამ სამ წელიწადში ფერი იცვალეს და ეს შინაგანი ფერისცვალება, პირველ ყოვლისა, გამოიხატა იმით, რომ ძაღლიკაც და კოჩიაც აღარაფრად აგდებენ ძველ ადათებს. სამხედრო ბეგარამ ჩაჰკლა ამ ორ ჭაბუკში ეროვნული გრძნობები, დაუკარგა ღვთის შიში, ხევსური და მეგრელი ჭაბუკები იმპერიის მონამორჩილ ხელქვეითებად აქცია.

თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, კარგად ჩანს გურამ რჩეულიშვილის პატარა მოთხრობაში „როგორ გამოიცვალა იგორ კობლუკოვი".

ეს პროცესი უცბად არ ხდება, თანდათან, თვიდან თვემდე. იგორ კობლუკოვი, რომელიც ყველაზე ძნელად ეგუებოდა ჯარს, სამსახურის დამთავრებისას სამაგალითო ეფრეიტორი და მოქალაქეა.

რითია იგორ კობლუკოვი წესრიგის დამრღვევი? იმით, რომ, განსხვავებით სხვებისაგან, რომლებიც ორ თვეში გამომუშავებული რეფლექსით აზროვნებას თითქმის გადაჩვეულან, იგორი ფიქრობს სრულად უწყინარ ამბებზე – გოგონაზე, რომელსაც, ალბათ, შეიყვარებს; ახალ მეთოდზე, რომელსაც, ალბათ, დანერგავს თავის მშობლიურ ქარხანაში დაბრუნების შემდეგ, მაგრამ ფიქრი, აზროვნება ის დანაშაულია, დისციპლინის იმგვარი დარღვევაა, რომლისთვისაც თითქმის ყოველ კვირას საჯარიმო, რიგგარეშე მორიგეობა უწევს. და, აი, რამდენიმე თვის შემდეგ იგორ კობლუკოვიც ცდილობს, შეასრულოს ბრძანებები უსიტყვოდ, არაფერზე იფიქროს „მეტი რა ძალაა, უნდა შეასრულო, კაცმა რომ თქვას, სწორიცაა, ალბათ სწორია, რადგან ყველა ასე იქცევა! ვინც არა: აგერ ბელოუსოვს თორმეტი დღე აქვს გატარებული ჰაუპტვახტში, ეხლა რვა თვე ნახევარი კიდევ უნდა იმსახუროს".

და ცხოვრებისეული დასკვნა, რომელსაც იგორ კობლუკოვი გამოიტანს, არის: „ავიტან, როგორც იქნება, ბოლოს და ბოლოს რა გახდა ეს ოცნება, სხვები ხომ იტანენ, ასე უფრო ჩქარაც გადის დრო".

დრო კი გადის და მის დინებასთან ერთად ყალიბდებიან „სამაგალითო ეფრეიტორები", რომლებიც სამუდამოდ ასამარებენ ლამაზ ოცნებებს და რეჟიმის ერთგული ჟანდარმები ხდებიან. რამდენი ასეთი ჟანდარმი იყო მიმოფანტული, საქართველოს სოფლებში 1921 წლიდან მოყოლებული? სწორედ ეს იწვევს მიხეილ ჯავახიშვილის, გურამ რჩეულიშვილის და გურამ გეგეშიძის სასოწარკვეთას, რადგან ის გულის გატეხა და უმძაფრესი დრამატიზმი გმირების დახატვისა მხოლოდ სასოწარკვეთილების შედეგია. უნდა მოკვდეს ცოფიანი ძაღლიკა, არ შეიძლება მისი ცოცხლად დატოვება, ამას კარგად გრძნობს მისი მამა; უნდა მოკვდეს უთავმოყვარეო, კაცობადაკარგული კოჩია, ამას კარგად გრძნობს ასტამური, მაგრამ მწერლის სასოწარკვეთილებას, ალბათ, ის იწვევს, რომ უნდა მოკვდეს ისიც, ვინც ამ ხალხს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს, ხირჩლაც და ასტამურიც. მეტად მძიმე მდგომარეობაშია მწერალიც, რომელიც თავისი ანტიგმირის საქციელს კერძო პათოლოგიურ ანომალიად კი არ აღიქვამს, არამედ კარგად ესმის, რომ ამ ორივე პიროვნების სულს დიქტატორულმა რეჟიმმა დაასვა ცოდვის დაღი. მწერლებიც და მისი პერსონაჟებიც მკაცრი სინამდვილის წინაშე დგანან, ისეთი მკაცრის, რომლისთვისაც აღარ კმარა რომანტიკული შეხედულებანი. თუ ჰაჯი უსუბს კიდევ შეიძლება ჰქონდეს იმის იმედი, რომ მისი თვითმკვლელობა ცოდვილ გაზრდილს პატიოსანი არსებობის უკვდავ გაკვეთილს მისცემს, პირუთვნელი რეალიზმი ახალ ვითარებაში ამ იმედს ვერაფრისდიდებით ვერ გაიზიარებს. ძაღლიკა და კოჩია არ არიან ის ადამიანები, ვისაც მონანიების უნარი შესწევთ. მაგრამ ზნეობრივი პრინციპი ხომ ყოველ დროს და ვითარებაში უცვლელია.

არც ხირჩლა და არც ასტამური, რომელთაც ერთმა ფიზიკურად და მეორემ სულიერად გაიმეტეს უსაყვარლესი ადამიანები, აღარ არიან სიცოცხლის ღირსნი. ეს მწვავე პრობლემაა, რომელიც დაბადა ახალმა სინამდვილემ მიტევება კი უსარგებლო გამხდარა, მაგრამ დაუნდობლობასაც კვლავ არაფრის შეცვლა და შველა არ შეუძლია. ამ ყოფაში გამოსავალი არსად ჩანს, რადგანაც ტოტალიტარულ სამხედრო რეჟიმს საყოველთაო ნგრევა და დალუპვა მოაქვს, ხოლო ამ ნგრევისა და დაღუპვის არიდება, თუ თავსმოხვეულ რეჟიმს არ დაუსხლტი, სხვა არანაირი გზით არ მოხერხდება. ამაზე მიგვანიშნებდა მიხეილ ჯავახიშვილიც საუკუნის დასაწყისში, რაც დაუჯდა კიდეც სიცოცხლის ფასად და ამის მიმანიშნებელია ის უკიდურესი დრამატიზმიც, რომლითაც გურამ გეგეშიძის მოთხრობაა გამსჭვალული.

კრიტიკოსთა გაოცებას იწვევს ის ამბავი, რომ კოჩიას ბედს იზიარებს ასტამურიც, რომელიც ამ მხრივ სრულიად უდანაშაულოა. თითქოს ასტამურს არაფერი შეძლია კოჩიასთან ურთიერთობაში, ყველაფერი გაუკეთა მას და მის ოჯახს, რაც კი შეეძლო. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ამ მხრივ ასტამურიც დამნაშავეა.

ტრაგიკულ შემთხვევამდე ორი დღით ადრე ასტამურმა თავისთან დაპატიჟა კოჩია და ისიც „მუქთა პურ-პარილით" გახარებული უმალ მოვარდა. ასტამურმა პაპიროსი სთხოვა, კოჩიამ კი გამზპირებული ფრაზა მიახალა „მაღაზიაში სავსეა, წადი და იყიდე", ასტამური თავს ვეღარ ერევა და ცოლ-შვილის თვალწინ სახეში შეაფურთხებს კოჩიას. კოჩია კი, იმის მაგივრად, რომ შვილების თვალწინ არ დამცირდეს, უკან გადახტება და სახეზე ხელებს აიფარებს. მხოლოდ იმასღა მიაძახებს – კაცი არ ვიყო თუ სამაგიერო არ გადაგიხადოო. დამნაშავეა კოჩია, მაგრამ ასტამურმა ხომ იცის, რასაც უპასუხებს კოჩია, თუთუნს რომ თხოვს? ასტამური ეტყობა, მიზეზს ეძებს, რომ დაამციროს კოჩია. ისიც იცის, მისგან საპასუხო დარტყმას არ უნდა ელოდეს, რადგან ბევრჯერ ყოფილა, რომ შოფრებს დაუმცირებიათ და კოჩიას მხოლოდ გაუცინია და უხმოდ გასცლია მათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ასტამური მხოლოდ კოჩიას სიკვდილის შემდეგ დაფიქრდება, რომ კოჩიას, განსჯა კი არა, ვვერდით ამოდგომა უნდოდა. „ეშმაკის მოსახვევთან მოსული, სადაც წინა სადამოს კოჩია გადაიჩეხა, ასტამური უცბად გაიფიქრებს, რომ შეიძლება მასაც იგივე შეემთხვეს, რადგან თვითონაც ცოდვილია. ახლადა იხსენებს მამისაგან ნასწავლ სიტყვებს „ნუ განიკ-ითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომ-ელთა განკითხვითა განიკითხვიდეთ, და რომ-ელითა საწყაულითა მიუწყავთ, მოგეწყოთ თქვენ". აი, ეს არის ასტამურის დანაშაული. მხოლოდ ახლ-ადა მიხვდა, რომ აბსოლუტურად კარგი ან აბსო-ლუტურად ცუდი ადამიანი არ არსებობს. აი, აქ უკვე შემოდის მწერალი, გურამ გეგეშიძე „რატომ არის, რომ ყველა ადამიანს თავისი შეხედულება ცხოვრებაზე მიაჩნია ერთადერთ სწორ და ყოვლის-მომცველ შეხედულებად. ყველას თავისი თავი მოს-წონს და უნდა, რომ დანარჩენებიც ისეთივენი იყვ-ნენ, როგორიც თვითონ არის, რატომ ვერ ვიტანთ ჩვენს წინააღმდეგობას და განსხვავებას აზრებში. პრინციპში ყველა აზრი სინამდვილეს ასახავს, მისი ნაწილია, მრავალფეროვან სინამდვილეს შეიძლება მილიონი სხვადასხვა კუთხით უცქირო და თავისი ინდივიდუალური პოზიციიდან ყველა ეს თვალსაზ-რისი სწორი იქნება. ამიტომ ყველანი უნდა შევუთა-ნხმდეთ ერთმანეთს, დავეხმაროთ ერთმანეთს და ვებრძოლოთ მხოლოდ იმას, რასაც საყოველთაო ბოროტება და სიკვდილი მიაქვს".

ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ასეთი ჩანართები, რომლებიც ზოგს „ავტორის ფილოსოფოსობად" და ზოგს „ტრუიზმების სიმრავლედ" აქვს მონათ-ლული, ავსებს და ალამაზებს გურამ გეგეშიძის ნაწარმოებებს; მოთხრობის წაკითხვის შემდეგ უკვე რაღაც დისკომფორტს გრძნობს მკითხველი, თუ ასეთ ჩანართებს და ავტორის მსჯელობებს არ წააწყდა, რადგანაც ეს ზედმეტობა კი არ არის, არამედ გურამ გეგეშიძის სტილური მანერის ერთ-ერთი თავისებურება, კომპოზიციის აგების ხერხია.

ზემოთ მოყვანილი სიტყვებით ავტორი გვეუბნება, რომ ყოველი ადამიანი ცალკე სამყაროა და არავის აქვს მეორე ადამიანის განსჯის უფლება, რადგან ყველა ცხოვრობს ისე, როგორც მას ეხერხება. თუ მაინცდამაინც ჩავუღრმავდებით ასტამურის ბრაზის მიზეზს, დავინახავთ, რომ კოჩია კი არაფერს ედავება მას და არაფერს სთხოვს, ეს თვითონ ედავება, რატომ ჩემი სიკეთე არ დაინახე და ჩემსავით არ მოიქეციო. ეს კი არაქრისტიანულია. კოჩია ჯარიდან გულგაყინული დაბრუნდა და, რაც მთავარია, შეყვარებული არ შეირთო. უცხო ქალთან სითბოს, სიყვარულს, სილამაზეს მოკლებული კი ვეღარც ცხოვრებაში ხედავდა სილამაზეს. ესე იგი, კოჩიას განსჯა კი არა, გვერდით ამოდგომა უნდოდა. თავი-დანვე შეამჩნია, თუ არა კოჩიას გადაგვარება, ას-ტამური მასთან რომ მისულიყო და თბილი სიტყვით ეცადა მისი გაყინული გულის მოლბობა, იქნებ სრულიად შეცვლილიყო მისი ცხოვრება? ამიტომ არის ესოდენ დიდი ასტამურის დანაშაული კოჩიას წინაშე.

ვინ იცის, რამდენი ასეთი გულგაყინული ახალგა-ზრდა ბრუნდებოდა „საბჭოთა არმიიდან". ამაზე ყველა დუმდა. გურამ გეგეშიძის მათდამი თანაგრძ-ნობა კი უნაპირო სიყვარულში გადაიზრდება. „მე მიყვარს ქვეყანა, – ამბობს ის ერთ მოთხრობაში, – ვგრძნობ რომ ძალიან მიყვარს ადამიანები ყველა, ვინც კეთილია. მაწუხებდა მათი ხვედრი, რადგან მეც ადამიანი ვარ".

მოთხრობა დიდი გრძნობით არის დატვირთ-ული და მაინც ტრაგიკულია. „გურამ გეგეშიძესთან ორ ფენომენს – რაციონალურსა და გრძნობადობას შორის მძაფრი წინააღმდეგობაა. პირველი უდიდეს სიყვარულს ქადაგებს, მეორე – უსასოო ტანჯვას. უყვარს მწერალს ქვეყანა, ადამიანი, მაგრამ სიხა-რულით კი არა, – მწუხარებით".

ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ გრჩება რაღაც ლოდივით მძიმე განცდა. ვიოლეტა ცისკარიძე პასი-ურობაში ადანაშაულებს მწერალს. მიაჩნია, რომ კარგი მხატვარი ცხოვრებაზე ასე განაწყენებულა. კრიტიკოსი წერს: თუ მოვიშველიებთ ციტატას: თანამედროვე ფრანგი მწერლის ვერკორის ფილო-სოფიური რომანიდან „ადამიანები თუ ცხოველები?" – „გიყვარდეს ადამიანი... ეს ნიშნავს არა მარტო დასტიროდე მის ტანჯვას, ეს ნიშნავს იბრძოლო იმისათვის, რომ იგი შეწყდეს", დავრწმუნდებით, რომ გურამ გეგეშიძე არ იბრძვისო.

ჩვენ ვერ მივიჩნევთ სამართლიანად ამ შენიშვნ-ას. გურამ გეგეშიძე იბრძვის მთელი თავისი შემოქ-მედებით. იბრძვის ადამიანის სულის გადასარჩენად.

ასტამურიც ისევე უნდა დაიღუპოს, როგორც კოჩია – ასეთია მწერლის განაჩენი. დაამცირა თუ არა კოჩია ცოლ-შვილის თვალწინ, ასტამურმაც მაშინვე დაკარგა ღირსება.

სიკეთე იმიტომ კი არ უნდა თესო, რომ ვინმემ ის დაინახოს და, თუ, ვთქვათ, ციხეში მოხვდები, სამაგიეროს გადაგიხადოს, არამედ ეს შენი შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს. ბოლომდე უნდა ცდი-ლობდე, გაუგო დამცირებულ ადამიანს, რამ მიი-ყვანა ის ამ მდგომარეობამდე.

გურამ გეგეშიძე თვლის, რომ კოჩიაც, ასტა-მურიც და ჩვენც ყველა თანაბრად ცოდვილნი ვართ. და რადგანაც ადამიანებს იდეალური ცხოვრების შორი ხსოვნა მაინც შემოგვრჩა სამოთხიდან შთა-მბეჭდავ ხატად, ჩვენთვის ის მუდამ რჩება იმ წუთი-სოფელზე ამაღლებულ დასაბამად, რომელსაც ბე-დისწერამ აგვაცდინა და ოცნებად სულ მისი დაბრუნება გვესახება.

არც მოვალეობა და ერთგულება, მით უფრო სიყვარული არ არის ის ფასეულობები, რომელშიც სარგებელი, თუნდაც ემოციური, უნდა მოითხოვოს ადამიანმა. „მათი გაცემისას უანგარო უნდა იყო, რადგან ისინი შეუფასებელ სარგებლობის სფე-როში აცილებული ღირებულებებია".

„ეშმაკის მოსახვევი" პირველი ეტაპია იმ დიდ გზაზე, რომელზეც გურამ გეგეშიძის მსოფლშეგრძ-ნება ბედისწერის იდეის ახსნას ცდილობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხათუნა თავდგირიძე

## კუპრზე ძე ბეწვის ხიდაი

ადამიანის ლტოლვა ზეცისკენ, მარადიულობასთან შერთვის დაუოკებელი სურვილი მითოსურ სამყაროში რეალობად იქცა. აქ გმირი სიცოცხლეშივე (და არა გარდაცვალების შემდეგ) ახერხებს მიწიდან ზეცაში და ზეციდან მიწაზე მოგზაურობას. ჯადოსნურ ზღაპრებში ადამიანი ზესკნელში, მზის საუფლოში მიდის, რათა იქიდან მზისპირნაბანი უკვდავების წყალი და მრავალი იდუმალი კითხვის პასუხი ჩამოიტანოს. მითოსურმა ცნობიერებამ კი პირდაპირ გადო ხიდი მიწასა და ზეცას შორის - ეს ყველაზე საკრალური და ძნელად გადასალახი გადასასვლელი, რომელსაც ჩვეულებრივმა მოკვდავმა „ბეწვის ხიდი“ უწოდა. მონადირემ თავის საბედისწერო გზას რომ ფეხი დაადგა, წარმოთქვა: „შიბნ გავიარე კლდისანი...“ მიწაზე დამკვიდრებულმა ხატმა, ღვთისშვილმა კი ცას ვები ოქროს შიბითაო...

ქართული მითოსური წარმოდგენით, ზეციდან გადმოსხმული ღვთისშვილები „ციური ჯაჭვის“ საშუალებით უკავშირდებოდნენ ზეცას. ამ საკრალურ გზას ხატის ენაზე შიბი ჰქვია. შიბს რეალურ სამყაროში „კლდის ფენა, „შრე“ შეესაბამება (ალ. ღლონტი). გავიხსენოთ ცნობილი ხალხური ბალადა:

*მოყმემ თქვა, პირშიშველამა,*
*შიბნ გავიარე კლდისანი...*

ქართული ხალხური პოეზიის შედევრი, „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, რომელიც დღესდღეობით საგმირო ჟანრს განეკუთვნება, შესაძლოა, მითოლოგიური ფესვებიდან იყოს აღმოცენებული. ამას გვაფიქრებინებს ის საკრალური გზა - „შიბნი კლდისანი“, რომელიც მონადირემ გაიარა, ღვთაებრივი ნადირი დახოცა და თავადაც სიკვდილით დაისაჯა, ალბათ, ნადირთღვთაებისაგან. ვეფხვი, რომელიც პირშიშველა ყმამ მოკლა, ჩვეულებრივი ნადირი არ ყოფილა. უძველესი სამონადირეო ტრადიციების მიხედვით ვეფხვი წმინდა ტოტემური ცხოველია. მისი სიკვდილი სპეციალური რიტუალით უნდა დატირებულიყო, „რამდენი ზოლიც ჰქონდა ვეფხვს, იმდენი დატირება უნდა თქმულიყო“ (ელ. ვირსალაძე). ბალადაში მოყმის დედის მიერ ვეფხვის დედისათვის სამძიმრის გამოცხადება „ვეფხვის დატირების“, - ამ უძველესი ჩვეულების გადმონაშთი შეიძლება იყოს.

კლდის შიბი („შიბნი კლდისანი“), რომელიც ყმამ გაიარა, ქართულ სამონადირეო ეპოსში რჩეული მონადირის გზაა. მას გმირები ნადირთღვთაების დახმარებით გადალახავენ, რათა ზესკნელში, კლდის ღვთაებრივ სარეცელზე საკრალური ქორწინებით შეეუღლონ ქალღმერთს. ამიტომ ჰქვია შუამდინარულ მითოლოგიაში ამგვარ ქორწინებას (მოკვდავისა და ღვთაებისა) „დურ-ან-ქი“, რაც ცისა და მიწის კავშირს ნიშნავს (ზ. კიკნაძე). სვანურ მითოსში მას „დეცეგიმ“ შეესაბამება.

მონადირისაგან კლდის შიბის გავლას, ძალზედ საინტერესო ტერმინოლოგიური შესატყვისით, ვხვდებით აჭარის ფოლკლორში. თქმულებაში „ერთი კაცის ამბავი“ (ბსკიფა, №84). გადმოცემულია მონადირის თავგადასავალი, რომელიც სანადიროდ წასულა, ჩვეულებრივ გზას ამცდარა და საკრალურ მიწაზე მოხვედრილა: „შევიდა ერთ ტყეში და ამ ტყეში მიდის ერთი გზა-ბაწარი“... სად მოხვდა მონადირე? რა გზაა „გზა-ბაწარი“? აჭარულ დიალექტში, აქაურ ყოფით მეტყველებაში ასე ჰქვია „ვიწრო, საცალფეხო გზას“ (შ. ნიჟარაძე). გზა-ბაწარა კლდის მიუვალ ჭიუხებში გამავალი ვიწრო, საშიში, ძნელად სავალი ბილიკია. მას, როგორც მითოლოგიური სამყაროს გადმონაშთს, დღევანდელ ყოფით მეტყველებაში თავისი პირვანდელი, საკრალური მნიშვნელობა დაეკარგა, ღვთაებრივი შეფერილობა შემოეძარცვა და საშიში, საცალფეხო გზის პირდაპირი, საყოფაცხოვრებო მნიშვნელობა შეიძინა. მაგრამ გზა-ბაწარას საკრალური არსი მითოლოგიურ გადმოცემებში არ წაშლილა. პირიქით, თქმულების ანალიზი თვალნათლივ წარმოგვიდგენს მის კონკრეტულ, მკვეთრად გამოხატულ ფუნქციას - მიიყვანოს მოკვდავი ღვთაებრივ წიაღთან, ღვთაებასთან. თუმცა გზააბნეული ადამიანისათვის. რომელიც საკრალურ მიწაზე, უჩვეულო ბილიკზე აღმოჩნდა, ამ გზის გადალახვა, მისი ბოლომდე მიყოლა დიდ დილემას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში გმირს, ჩვეულებრივ, ღვთაებრივი მეგზური გამოუჩნდება ცხოველის ან ფრინველის სახით. სვანურ ბალადაში - „დალი კლდეში მშობიარობს“, მონადირე ქალღმერთის კლდესთან ახალშობილ ბავშვს მიჰყავს, რომლის ღვთაებრიობა, „ღვთიშვილობა“ იმთავითვე ხდება ნათელი, რაკი ჩვილი მონადირესთან საუბარს ახერხებს და თავისი ვინაობაც იცის. აჭარულ თქმულებაშიც „გზა-ბაწარზე“ მოხვედრილი მონადირის მეგზური პატარა ბავშვია, რომელიც ასევე ესაუბრება გმირს. უფრო მეტიც, თავისი საცხოვრისის გზას მიასწავლის. არაჩვეულებრივი ბავშვი არა მარტო გზის მაჩვენებელია, არამედ ღვთაებრივი მფარველიც, იმ ღვთაებრივი ძალით აღჭურვილი, რომლითაც მონადირეს ხორციელთაგან გადაულახავი გზა - „გზა-ბაწარი“ უნდა გადაატაროს: „ამ ბალანამ მიუთითა გზა და ისეთ კილდეებში გაარონია, რომ კაც უკვირდა, რომ შეხედა ამ კილდეებს - როგორ გამოვიარეო“. თქმულებაში ეს „გზა-ბაწარი“ არაჩვეულებრივი ბავშვის ღვთაებრივ საცხოვრისთან მიდის: „ამ

ბალანამ მიიყვანა ერთ დიდ კლდის ძირში“. როცა მონადირე ბავშვის მეგზურობით უზარმაზარ კლდეს მიადგა, კლდის სიღრმიდან საკრალური ნათება იხილა. დარწმუნდა მონადირე, რომ იგი ზესკნელში, ღვთაებრივ წიაღთან, ნადირობის (მდედრ და მამრ) ღვთაებათა წინაშე იდგა. აქ მიიყვანა გზა-ბაწარამ გმირი. გზა-ბაწარა ღვთაებისკენ მიმავალი, ხორციელთაგან უხორცოთა დახმარების გარეშე გადაულახავი საკრალური ბილიკია. თქმულების ბოლოს გმირს უკვე გაცნობიერებული აქვს თავისი უცნაური თავგადასავლის ზებუნებრიობა: „მე სხვა გზით წამოვსულვარ, მაგი საქმე ნამდვილი არ ყოფილა და მეც შევმცდარვარ“, რაც ირეალურ სინამდვილეში გადასვლაზე მიგვანიშნებს. როცა მონადირემ გზა-ბაწარს ფეხი დაადგა, მიწიერი განზომილების საზღვრებს გასცდა და კლდის მწვერვალისკენ, ზესკნელისკენ ღვთაებათა სამკვიდროს მიაშურა.

„გზა-ბაწარა“ თავისი საკრალური მნიშვნელობითა და გარეგნული ნიშნებით იგივე „ციური ჯაჭვი“ – შიბია. შინაარსობრივად უფრო ახლოს „კლდის შიბთან“ („შიბნი კლდისანი“) დგას. შიბისა და კლდის ბილიკის, ე. ი. კლდეზე გამავალი „გზა-ბაწარას“ იგივეობას ტერმინოლოგიური მსგავსებით გვიდასტურებს ღვთიშვილთა ციკლის ერთი ლექსი. იახსარმა კლდის ერთი მწვერვალიდან მეორე მწვერვალამდე გადასაადგილებლად შიბი, ე. ი. კლდის ბილიკი უნდა გაიაროს, რაზეც ამბობს:

*ამანდით კარატემდინა*
*შიბ თოკზე გასავალია* (ქართული ხალხური პოეზია, ტ. I).

რას ნიშნავს „*შიბ-თოკი*“? – იგი „*შიბ-ბაწარს*“, ანუ, რაკი შიბი გზაა, ამდენად, „გზა-ბაწარს“ ნიშნავს

იმავე ლექსის მიხედვით, იახსარი „შიბ-თოკზე“ უჩინოდ გაივლის:

*ევ ევრე გამავიარე,*
*არვინ მამკიდას თვალია*

იახსარის უხილაობა მხოლოდ მისი ღვთიშვილობითა და მამაცობით როდი აიხსნება. ქაჯური (გულთმისნური) ბუნების დევთა გარემოცვაში იახსარი იმად ხდება უჩინო, რომ იგი საკრალურ „შიბ-თოკზე“ გავლით, მსგავსად გზა-ბაწარზე მოხვედრილი მონა-დირისა, სულ სხვა, სულიერ არსებათა განზომილება-ში გადადის და მიწიერი სამყაროსთვის მიუწვდომელი ხდება.

შიბი და გზა-ბაწარა ღვთაებათა, ანგელოზთა, ღვთიშვილთა და ღვთაებრივი წარმოშობის გმირთა (ქალღმერთის ვაჟი, რჩეული მონადირეები და სხვ.) სავალი ბილიკია. მხოლოდ მათ ხელეწიფებათ სულერ სამყაროში უხორცოდ გავლა. მოვიგონოთ, როგორ ამოარიდებენ სულს ღვთიშვილები გახუა მეგრელაურს, რათა იგი უხორცოდ, მხოლოდ „სულის ფორმით“ წაიყვანონ ქაჯეთის ლასალაშქრავად. ჩვეულებრივი ადამიანისათვის. შიბზე, გზა-ბაწარზე გავლა „ხორციელ“ პირობებში გამორიცხულია. თუმცა დგება ჟამი, როცა მოკვდავიც უნდა დაადგეს ზეცისკენ მიმავალ ბილიკს, რაც მხოლოდ მისი სულისა და ხორცის გაყრის შემდეგ მოხდება. „შავეთის“, „სულეთის“ ციკლის მითოლოგიურ ლექსებში საიქიოში მოხვედრილმა გარდაცვლილი ადამიანის სულმა ამგვარი „ვიწრო“ და „საცალფეხო“ გზა უნდა გაიაროს, რომელსაც იმავე ცნების გამომხატველი და სემანტიკურად ახლობელი სახელი – „ბეწვის ხიდი“ ქვია. როგორც ხალხური ლექსი გვაუწყებს:

„კუპრზე ძე ბეწვის ხიდაი“ (ქართული ხალხური პოეზია, ტ. II).

ტექსტებში ტერმინოლოგიურ ვარიანტსაც ვაწყდებით:

*სულეთში ძუის ხიდი ძეს* (იქვე).

„ბეწვის“, „ძუას“ ხიდი, ე. ი. *გადასასვლელი* – მიწიდან ზეცაში, როგორც გარეგნული ნიშნებით, ასევე შინაგანი არსით და სტრუქტურით „შიბის“, „გზა-ბაწარას“ იდენტურია. *იმას, რასაც ფშავ-ხევსურეთში ხატის ენაზე „ციური ჯაჭვი“ – შიბი ჰქვია, ხოლო სამონადირეო ეპოსის ტერმინოლოგიით „კლდის შიბი“ („შიბნ გავიარე კლდისანი“) და „გზა-ბაწარა“, სულეთის ციკლის მითოლოგიურ პოეზიაში „ბეწვის ხიდის“ სახელით არის დამკვიდრებული.*

ბეწვის ხიდი, მსგავსად შიბისა და გზა-ბაწარასი, ზეცასთან, ზესკნელთან არის დაკავშირებული. ოღონდ, როგორც ხალხური ლექსი ამბობს:

*ცოდვანი რომ შადგება,*
*მოსწყდება და ჩავარდება.* (იქვე).

„ცოდვანი სული“ ამ საკრალურ გზას ვერ გადალახავს და ზეცას ვერ შეერთვება. იგი კუპრში (ჯოჯოხეთური ცეცხლი) ჩასანთქმელად არის განწირული.

„ცოდვიანობის“, „უწმინდურობის“ (იგულისხმება ტაბუს დარღვევა) მომენტი სამონადირეო ეპოსშიც გვხვდება. როცა ქალღმერთისაგან დასჯილი, კლდეზე ცალი ფეხით დაკიდული მონადირე საბოლოოდ კლდის ჩაქცევით ან ხრამში გადავარდნით იღუპება, ეს კლდის შიბის, გზა-ბაწარას ჩაწყვეტას ნიშნავს.

ჩაწყვეტა, მოშლა „ციურ ჯაჭვსაც“ (ხატის შიბს) ახასიათებს, მხოლოდ იმ ნიუანსური განსხვავებით, რომ „ცოდვა“ მასზე გარეგანი ძალიდან არის მიტანილი (რაკი შიბის მეგზურები – ანგელოზები, ღვთისშვილები, წმინდანები, არ შეიძლება, უწმინდურნი იყვნენ). მას „უწმინდურ ძალთა“ თავდასხმა არღვევს. ხალხური ლექსი – „შურის ციხე“ ამგვარად გადმოგვცემს „ციური ჯაჭვის“ მოშლის კოსმოგონიურ სურათს:

*შიბ დაწყდა, ციხკე წავიდა,*
*წიოდა როგორც გველია* (იქვე).

ასეა გადმოცემული ქართულ მითოსში მიწისა და ზეცის კავშირი და ამ კავშირის კოსმოგონიური რღვევა. მითოსმა შემოგვინახა იმ ღვთაებათა და გმირთა საკრალური ხვედრიც, ვინც „ცას ება ოქროს შიბითა“; შიბნ გაიარა კლდისანი“; „გზა-ბაწარს“ დაადგა ფეხი ან კიდევ „ბეწვის ხიდი“, ყველაზე „იწრო ბჭე“ გადალახა და ზეცას შეერთო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირაკლი შურღულაია

## უძღები შვილი და „ყაჩაღები“

მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე დიდი გერმანელი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი საქართველოში უმთავრესად მისი „ყაჩაღებით არის ცნობილი. 21 წლის მწერალმა დრამა კარლსშულეში სწავლის პერიოდში დაწერა - „ენერგიული“ სულიდან ნიაღვარივით გადმოხეთქილი მგზნებარე და ლაღი დითირამბი“. უცნაურ გარემოში, ნახევრად საიდუმლოდ უხდებოდა ფრიდრიხ შილერს თავის პირველ თხზულებაზე მუშაობა. ბეჯითი მოსწავლე სანთლის ნამწვის შუქზე, ავადმყოფებთან მორიგეობის დროს წერდა. „სულ იმის ცდაში იყო, საბაბი ეშოვნა, თავი მოეავადმყოფებინა და ლაზარეთში მოხვედრილიყო, სადაც ლამპა დილამდე ენთო. ჰერცოგის (ამ სასწავლებლის მფლობელი მკაცრი და დესპოტი კარლ ევგენი იყო - ი. შ.) შემოსვლისას იგი ნაწერს რომელიმე ვრცელი სამედიცინო თხზულების ქვეშ მალავდა, - იხსენებდა შილერი და ქრისტოფინა, - საოცარი გატაცებით, თავდავიწყებით იცოდა მუშაობა. ავადმყოფები შეშინებულები შესცქეროდნენ, როცა მათთვის გაუგებარ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ისროდა“.

„ყაჩაღებთან“ ერთად შილერი წერს დისერტაციას - „ფიზიოლოგიის ფილოსოფია“, - გამოსაშვებ თხზულებას მედიცინაში, - რომელიც სასწავლებლის ხელმძღვანელობამ მგზნებარების გამო დაიწუნა. „ყაჩაღების“ ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად კი სწორედ მგზნებარება შეიძლება ჩაითვალოს.

შილეროლოგები მწერლის პირველ დრამატულ ნაწარმოებს უშუალოდ უკავშირებენ გერმანული ლიტერატურის იმ ტრადიციებს, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა. მათ საუკეთესო ნიმუშს ლესინგის „ემილია გალოტი“ და „ნათან ბრძენი“, გოეთეს „გოც ფონ ბერლიხინგენი“ და „ვერთერი“, ბიურგერის „ლეონორა“ წარმოადგენენ. ახალგაზრდა შილერი თავისი პირველი ნაწარმოების შექმნისას გერმანელ მწერლებთან ერთად პლუტარქეს, შექსპირის, სერვანტესისა და რუსის ლიტერატურულ შედევრებსაც ეყრდნობოდა. თავად შილერი 1782 წელს ანონიმურად გამოქვეყნებულ ავტორეცენზიაში წერდა: „რუსო აქებდა პლუტარქეს იმიტომ, რომ მან თავისი შემოქმედების საგნად გამოჩენილი დამნაშავენი აირჩია... ყაჩაღი მოორი ქურდი კი არ არის, კაცისმკვლელია; არამზადა კი არ არის, ურჩხულია. თუ არ ვცდები, პლუტარქესა და სერვანტესს უნდა უმადლოდეს ეს საოცარი ადამიანი თავის ძირითად თვისებებს, რომელიც შექსპირის მიხედვით შეადულა პოეტის თვითმყოფმა სულმა ახალ, მართალ, ჰარმონიულ ხასიათში“.

ცნობილია, რომ დრამის სიუჟეტი შილერმა აიღო დანიელ შუბარტის მოთხრობიდან „ადამიანის გულის ისტორიისთვის“. მოთხრობის დასაწყისში დ. შუბარტი წერდა: „მე უფლებას ვაძლევ რომელიმე ნიჭიერ მწერალს, შექმნას ამ მოთხრობიდან რომანი ან კომედია, მაგრამ იმ პირობით, რომ მოქმედების ადგილი უეჭველად გერმანია იქნეს და ავტორმა, სიმხდალის გამო, არ გადაიტანოს იგი სხვაგან, ესპანეთში ან საბერძნეთში“. შილერმა მოქმედება არათუ სხვა ქვეყანაში, არამედ თავის თანამედროვე გერმანიაში გადმოიტანა და უამრავი მანკიერებისა და უბადრუკობის წინააღმდეგ გაილაშქრა, რითაც მან ამ თვალსაჩინო შტურმერი პოეტის მოთხრობის სიუჟეტი უკვდავ დრამად აქცია და უკვდავყო დანიელ შუბარტის სახელიც, რომელიც მხოლოდ „ყაჩაღების“ ავტორის წყალობით შემორჩა მსოფლიო ლიტერატურას. მართებულად იწინასწარმეტყველა ფრიდრიხ შილერმა მეგობრებთან საუბრისას: „ჩვენ დავწერთ ისეთ წიგნს, რომელსაც უეჭველად დაწვავს ჯალათის ხელი“. მართალია, „ყაჩაღები“ გადაურჩა ანათემას, მაგრამ იგი ყოველთვის აღიზიანებდა სამართლიანობისთვის მებრძოლთ და განსაკუთრებით აქტუალური დიდი პოლიტიკური ცვლილებებისა და გარდაქმნების დროს ხდებოდა. „ყაჩაღების“ საუკეთესო შეფასება, ალბათ, შილერის თანამედროვე, ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან არისტოკრატს ეკუთვნის, რომელიც ამბობდა: „მე რომ უფალი ღმერთი ვყოფილიყავი, სამყაროს შექმნა დამეპირებინა და წინასწარ მცოდნოდა, რომ შილერის „ყაჩაღები“ დაიწერებოდა, არ შევქმნიდი ამ დედამიწას“.

„ყაჩაღების“ ლიტერატურულ პირველწყაროებს შორის უეჭველად სახარებაც უნდა დასახელდეს, კერძოდ, ოთხთაგან ერთ-ერთი მოციქულის, ლუკას სახარებაში მოთხრობილი იგავი დაკარგულ ძეზე, უძღებ შვილზე. სახარების მიხედვით: „ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. უმცროსმა ძემ უთხრა მამას: მომეცი ჩემი კუთვნილი წილი ქონებისა. და გაუყო მათ მამამ ქონება.

რამდენიმე დღის შემდეგ უმცროსმა ძემ მოაგროვა ყველაფერი, წავიდა შორეულ ქვეყანაში და გაფლანგა თავისი ქონება თავაშვებული ცხოვრებით“.

როცა გაუჭირდა, იფიქრა:

„ავდგები წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: „მამა! შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენს წინაშე, ღირსი აღარა ვარ რომ შენს ძედ ვიწოდებოდე; მიმიღე როგორც ერთი შენი დაქირავებულთაგანი“. (ლუკა 15, 11-19).

ასეთია პირველი ნაწილი ამ ამბისა.

„ყაჩაღების“ მიხედვით გრაფ მაქსიმილიან მოორის უფროსი ვაჟი, კარლ მოორიც დატოვებს ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამის სახლის დატოვებამდე იგი თავისი სილამაზითა და დიდებულებით, პირდაპირობითა და მგრძნობიარე სულით გამოირჩეოდა. სულის სიბაზე „მას აღუძრავდა თანადგომის სურვილს დაჩაგრულისადმი“, ვაჟკაცური გამბედაობის გამო „არ უშინდებოდა არც ასწლოვანი მუხის კენწეროზე ასვლას, არც კლდე-ღრეს, არც ბობოქარ მდინარეს“. მას ჰქონდა ყველა ის თვისება, რაც „ერთგულ მეგობრად, შესანიშნავ მოქალაქედ, გმირად, დიდებულ ადამიანად აქცევდა“. მაგრამ ეს ყოველივე იცვლება მამისეული სახლის მიტოვების, უძღებ შვილად მოვლინების შემდეგ, მეტამორფოზა ხდება კარლ მოორის სულშიც. მის გაქცევას თავისი მიზეზი აქვს. იგი საუკუნითა და დროის პრობლემებით ფრუსტრირებული ახალგაზრდაა, რომელსაც სძაგს „საჭურისთა დაცემული საუკუნე“, რომელსაც „აღარაფერი ძალუძს“, გარდა იმისა, რომ ცოხნოს წარსულ დროებათა გამარჯვებანი“. მისთვის აუტანელია საუკუნე, როდესაც პრომეთეს მგზნებარე ნაპერწკალი ჩამქრალა და დამპალ ფუტუროში ეძებენ ალს, იმ მოჩვენებით ცეცხლს, რომლითაც ჩიბუხსაც კი ვერ მოუკიდებ,“ როდესაც „ფრანგთა აბაგი ქადაგებს - ალექსანდრე მაკედონელი კურდღელივით მფრთხალი იყოო, სადაც „ჭლექიანი პროფესორი, რომელიც ყოველი სიტყვის თქმაზე ნიშადურით გულს იბრუნებს, ძალ-ღონეზე კითხულობს ლექციებს, ხოლო უქნარები, რომელთაც უბრალო ფრუტუნიც კი აფრთხობთ, ჰანიბალის სამხედრო ხელოვნებას გმობენ“.

კარლ მოორი იმგვარი კანონის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომელსაც მისი სხეულის შებოჭვა და ნებისყოფის შეხუთვა შეუძლია. „კანონმა ლოკოკინებად აქცია ყველა, ვისაც არწივივით ნავარდი შეეძლო, კანონს ჯერ არც ერთი თვალსაჩინო ადამიანი არ შეუქმნია, თავისუფლება კი დიადებსა და ბუმბერაზებს ქმნის“, - ამბობს მეამბოხე კარლი. „აბა იმისთანა ვაჟკაცების ჯარი მომეცით, როგორიც მე ვარ და გერმანიას ისეთ რესპუბლიკად გადავაქცევდი, რომ მასთან შედარებით რომი და სპარტა დედათა მონასტრებად მოგეჩვენებოდათ“, აცხადებს იგი. მაგრამ კარლ მოორის მსგავსი ადამიანები არც ისე ბევრი აღმოჩნდა.

კარლი ძარცვის მიზნით როდი კლავს ადამიანებს. თავის ნადავლს ან ობლებს უნაწილებს, ან ნიჭიერი, ღარიბი ყმაწვილების სწავლას ახმარს. „მაგრამ თუ შემთხვევა მიეცემა, სისხლი გამოუშვას მემამულეს, გლეხს ტყავს რომ აძრობს, ან ოქროს ყაითნებით მორთულ უსაქმურს ჭკუა ასწავლოს, უკუღმა რომ ატრიალებს კანონებს და მართლმსაჯულებას ვერცხლით თვალს უხვევს, ან მათ მსგავს ბატონებს... მაშინ იგი თავის სტიქიაშია...“.

მტანჯველი ეჭვი მუდამ თან სდევს კარლს, რადგან ბოროტმოქმედებთან ერთად ხშირად უდანაშაულონიც იღუპებიან. მისი ბანდის წევრები არ არჩევენ მტყუანსა და მართალს, არც ქალებს იბრალებენ, არც ბავშვებს.

კარლ მოორი დილემის წინაშე დგება: განა შეიძლება შური იძიო სიმართლისათვის, როცა დანაშაულს სჩადიხარ, ახალ, საშინელ უსამართლობას?

სწორედ ამ არჩევანმა გამოიწვია კარლ მოორის სულიერი კრიზისი, გულგატეხილი თავის ზრახვებზე ხელის აღებასა და მშობლიურ სახლში დაბრუნებას გადაწყვეტს. „მე მშობლიურ ტყეთა ჩრდილში ჩემს ამალიასთან სხვა სიხარული მელის, - ამბობს კარლი, - ამ ერთი კვირის წინათ მამაჩემს წერილი მივწერე და პატიება ვთხოვე. ყველაფერი გულახდილად მივწერე, სადაც გულწრფელობაა, იქ შებრალებაც არის და დახმარებაც“. ბიბლიური უძღები შვილის მსგავსად კარლ მოორი ხანგრძლივი განდგომის შემდეგ მამასთან, მშობლიურ სახლში დაბრუნებას გადაწყვეტს. თავისი უმცროსი ძმის ფრანც მოორის ვერაგული საქციელის წყალობით, კარლი მამისგან პატიების წერილს ვერ მიიღებს და აღშფოთებული ადამიანთა მოდგმას წყევლის; იგი უარს ამბობს „თამამ აზრებზე“ ქვეყნის მართვაზე „უმაღლესი მსაჯულების შეურისმაძიებელი მახვილით“. მის მოულოდნელ გადაწყვეტილებას აჩქარებს ჭაბუკ კოსინსკისთან შეხვედრა, რომელსაც ძლიერმა თავადმა საცოლე წაართვა. კარლ მოორი სხვისი სახელით შეიპარება მშობლიურ ქალაქში, თავის სახლში, სადაც იქნებ კოსინსკის საცოლესავით მისი საყვარელი ამალიაც „ვეფხვის კლანჭებში კვნესითა და ქვითინით სულს ლევდა“.

ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა კარლის სინანული, მოორი გულწრფელად დასტირის თავის უმანკოებას. უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში გულგატეხილი კარლი ამქვეყნად მხოლოდ მყუდროებასა და ბედნიერებას ხედავს, კაცობრიობას ერთიან ოჯახად წარმოიდგენს, რომელშიც მხოლოდ თავად არის „უარყოფილი და უცოდველთაგან განდევნილი“, „მკვლელთა, მოსისხე ქვეწარმავალთაგან გარშემორტყმული და ბოროტებასთან მიჯაჭვული“, სადაც „მარტოდმარტო სვამს შხამით სავსე ფიალას“ და „მცდარი გზით საფლავისაკენ მიმავალი“, კარლი თავს მოქვითინე აბადონას ადარებს. ასეთ სულიერ მდგომარეობაში იგი მალულად უბრუნდება მამისეულ სახლს.

კარლ მოორს, ვიდრე შინ დაბრუნდებოდა, მამამ მიუტევა, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცის. მაქსიმილიან მოორი შვილის დარდით კვდება.

ისევ ბიბლიური იგავის მეორე ნაწილს დავუბრუნდეთ:

„ადგა და წავიდა თავის მამასთან. და როცა ჯერ კიდევ შორს იყო, დაინახა მამამ და შეიბრალა; და გაიქცა, კისერზე შემოეხვია და დაკოცნა.

ძემ კი უთხრა: მამა! შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენს წინაშე. ღირსი აღარა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე.

მამამ უთხრა თავის მონებს: მოუტანეთ საუკეთესო სამოსელი და ჩააცვით, მიეცით ბეჭედი მის ხელზე და სანდლები ფეხებზე.

მოიყვანეთ ნასუქი ხბო და დაკალით. ვჭამოთ და ვიმხიარულოთ.

ვინაიდან ეს ჩემი ძე მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა. და დაიწყეს მხიარულება.

უფროსი ძე კი მინდორში იმყოფებოდა. რომ დაბრუნდა და სახლს მიუახლოვდა, გაიგონა სიმღერა და ცეკვა.

დაუძახა ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა: ეს რა ამბავია?

მან უთხრა: შენი ძმა მოვიდა და მამაშენმა ნასუქი ხბო დაკლა, ვინაიდან ჯანმრთელად მიიღო უკან.

ის კი გაბრაზდა და შესვლა აღარ უნდოდა. მამამისი გამოვიდა და სთხოვა.

მან კი პასუხად უთხრა მამას: „აგერ, რამდენი წელია გემსახურები, არასოდეს შენი მცნება არ გადამილახავს და ერთხელ თიკანიც არ მოგიცია, რომ ჩემს მეგობრებთან მემხიარულა.

ხოლო, როცა მოვიდა ეს შენი ძე, რომელმაც თავისი ქონება მეძავებთან გაფლანგა, ნასუქი ხბო დაუკალი.

მან კი უთხრა: შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და ყოველივე ჩემი შენია.

მაგრამ უნდა ვხარობდეთ და ვმხიარულობდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“ (ლუკა 15, 20-32).

ბიბლიურ სიუჟეტშიც შემოდის ძმა, რომელიც უკმაყოფილოა მამის საქციელით, მის მიერ უძღები ძმის ასეთი მიღებით. ფრანც მოორი მასზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. იგი მხოლოდ საყვედურით არ დაკმაყოფილდა, ფრანცმა ყველაფერი გააკეთა საკუთარი მიზნის მისაღწევად, იმისათვის, რომ სიყრმის შვილი მამის გულიდან მოეცილებინა, რადგან, მისი აზრით, „უფლება გამარჯვებულის ხვედრია და ძლიერება ერთადერთი კანონია“. ფრანც მოორის უტრირებული სიძულვილი ოჯახის ნგრევის მიზეზია.

მიუხედავად იმისა, რომ სახარებისეული მამის მსგავსად მოხუცმა მოორმა ვერ შეძლო უძღები შვილის პატივით მიღება და მისი შემკობა პირველი სამოსელით, მიტევების აქტი მაინც განხორციელდა. მაქსიმილიან მოორი კარლზე ფიქრით იტანჯება, თავის სიყრმის შვილზე, რომელსაც „თმაში ჯერ თეთრი არ ჰქონდა გამორეული“; იგი ოცნებობს იმაზე, რომ შვილს ეამბოროს. „რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ეს ჩემი კარლის ხელი იყოს, მაგრამ იგი წევს შორს, ვიწრო სასახლეში სძინავს მუდმივი ძილით და ვერასოდეს გაიგონებს ჩემი მწუხარების ხმას“, მოთქვამს უბედური მამა.

საინტერესოა სახარებისეული ერთი მეტაფორის ინტერპრეტაციაც. ლუკას სახარება მამის სახლისაგან ლტოლვილ უძღებ შვილს - მკვდარს უწოდებს: „ვინაიდან, ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“, და დაიწყეს მხიარულება“ (ლუკა 15, 24). ეფესელთა მიმართ პავლე მოციქულის წერილის მეორე თავში ვკითხულობთ: „და თქვენც, მკვდრები რომ იყავით თქვენი დანაშაულით და ცოდვებით“ (ეფეს. 2, 1). იგივე წერილი გვეუბნება; „ვინაიდან ყოველივე, რაც გამომჟღავნდება, ნათელია, ამიტომ ამბობს: „გაიღვიძე მძინარევ და აღსდექ მკვდრეთით და გაგინათებს შენ ქრისტე“ (ეფეს. 5,14). თუ წინა მაგალითებში აღსასრული ცოდვების, დანაშაულის გამო დგებოდა, აქ სიკვდილი სხვა შინაარსით ივსება, აქ მკვდრეთით აღდგომა მხოლოდ ქრისტეს წყალობით, მისი გზის გავლით შეიძლება. კოლაელთა მიმართ წერილის მიხედვითაც სიკვდილს ცოდვები იწვევს: „თქვენც მკვდრები შეცოდებებში და თქვენი ხორცის წინადაუცვეთლობაში გაგაცოცხლათ მასთან ერთად და მოგიტევათ ყველა შეცოდება“ (კოლ. 2. 13). იმავეს გულისხმობს იოანე მოციქულის გამოცხადებაც: „სარდის ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს, ვისაც აქვს შვიდი სული ღვთისა და შვიდი ვარსკვლავი: ვიცი, შენი საქმენი, რომ გაქვს სახელი, თითქოს ცოცხალი იყო, შენ კი მკვდარი ხარ“ (გამ. 3, 1).

კარლ მოორის აღსასრული მის ფიზიკურ სიკვდილამდე ადრე მოხდა. სიმბოლურია ის ფაქტი, რომ მოორების ოჯახს იმპროვიზებული სცენარით კარლის სიკვდილის ამბავს ამცნობენ. კარლ მოორი სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე გულწრფელად დაიტირეს მამამ და ამალიამ, „სატრფოთა შორის უბედურზე უბედურმა“. კარლს თავისი მაღალი იდეალების სუბლიმაცია ოჯახური იდილიით, ამალიასთან მშვიდი ცხოვრებით სურდა. მამისა და საყვარელი ქალის დაკარგვით „ყაჩაღების“ გმირის ბრძოლამ, თამამმა“ იდეებმა აზრი დაკარგეს. იგი აბსოლუტურად ფრუსტრირებული, იმედგაცრუებულია დრამის ფინალში, მაგრამ ამავე დროს მამისგან მიტევებულიც - უძღები შვილის მიტევების აქტი „ყაჩაღებშიც“ განხორციელდა.

ფრიდრიხ შილერს დრამაში იაკობისა და იოსების ბიბლიური ისტორიის ფრაგმენტიც შემოაქვს. მომაკვდავი მოხუცი მოორი სთხოვს ამალიას, თავის ბედში მყოფი იაკობის გოდების ადგილი წაუკითხოს. „მაშინ ნახეს სამოსი იოსებისა, დაკლეს ციკანი და სამოსი შეღებეს სისხლით და გაუგზავნეს მამას და შეუთვალეს: „ვპოვენ ჩვენ ესე სამოსი და ნახე უკეთუ არს შენი შვილისა. ნახა რა მამამ, თქვა: ესე არის სამოსი ჩემი შვილისა, ტყის ნადირსა შეუჭამია, ველურს იოსები გაუფატრავს“.

მაქსიმილიან მოორს იაკობისაგან განსხვავებით, შვილის ხმალს მოუტანენ. „საღამო ჟამს მე ვნახე იგი დაცემული, ამბობს ავისმაუწყებელი, მარცხენა ხელით ცდილობდა სისხლი შეეჩერებინა, ხოლო მარჯვენა მიწაში ჰქონდა ჩაფლული. - ძმოა, შემომძახა, - ჯარში ხმა გავარდა, რომ ამ ერთი საათის წინ გენერალი მოუკლავთო!“ - „დიახ მოჰკლეს-მეთქი, შენ როგორ ხარ-მეთქი?“ - „აბა, ვინც ვაჟკაცია, მიჰბაძოს თავის მეთაურს!“ - თქვა მან და მოაცილა ხელი ჭრილობას. ცოტა ხნის შემდეგ განუტევა სული“.

მაქსიმილიან მოორის გოდება ისეთივე სულისშემძვრელია, როგორც ბიბლიური იაკობისა. აქვე იკვრება უცნაური წრე: ძველი აღთქმის - იაკობი, სახარებისეული - უძღები შვილის მამა და „ყაჩაღებისეული“ მოხუცი მოორი. სამი მამა, რომელთაც აკავშირებთ საკუთარი პირმშოსადმი დიდი სიყვარული და რომლებიც უსაშველოდ დარდობენ თავიანთი ძეების გამო.

სიმბოლურია ის სიტყვებიც, რომელსაც „ყაჩაღების“ მთავარი პერსონაჟი მართლმსაჯულებასთან ჩაბარების წინ ამბობს: „მაგონდება, აქეთ რომ მოვდიოდი, ერთ საწყალ დღიურ მუშას ველაპარაკე, რომელსაც თერთმეტი ბავშვი ჰყავს შესანახი. ათას ოქროს დაჰპირდნენ მას, განთქმულ ყაჩაღს ცოცხლად შეიპყრობს. ღარიბისათვის ეს ურიგო დახმარება არ იქნება!“ მართალია, კარლ მოორს ეჭვი ეპარება მომაკვდინებელი ცოდვების მიტევებაში, მაგრამ მკითხველი დარწმუნებულია, რომ უფალი „შეიბრალებს საცოდავ ბავშვს“, რომელსაც სურდა ქვეყანა ბოროტმოქმედებით გაესწორებინა და კანონიერება უკანონობით დაემყარებინა!

ნიშანდობლივია ისიც, რომ კარლ მოორი უარს ამბობს მიუტევებელ ცოდვაზე - თვითმკვლელობაზე. „ნუთუ გგონიათ, სიკვდილს შეეძლოს მომაკვდინებელი ცოდვების გამოსყიდვა? იქნებ გგონიათ, მსოფლიო ჰარმონია მოიგებს ასეთი ღვთის საწინააღმდეგო მოქმედებით?“ - ეკითხება იგი ყაჩაღებს. კეთილშობილი ყაჩაღი მართლმსაჯულების წინაშე წარსდგება საკუთარი მამისგან და, იმედია, ზეციური მამისგანაც მიტევებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელენე გოგიაშვილი

## ზღაპარი - „მითოსის ნამსხვრევი“

ზღაპარი არ არის მითი, არც აგიოგრაფიული თხზულება და არც სარაინდო-სამიჯნურო რომანი. ზღაპრის გმირი ჰგავს მითოსურ გმირსაც, წმინდანსაც და რაინდსაც.

დაბადება და ღვთისგან ზებუნებრივი ძალის მიღება ზღაპრის გმირს კულტურულ გმირთან აახლოებს, ზნეობა და ამქვეყნიური ტანჯვის დათმენა - მარტვილთან, ფათერაკებით აღსავსე გზა კი შუასაუკუნეების სარაინდო ეპოსის პერსონაჟთან. ამავე დროს, იგი ჩვეულებრივი მოკვდავია, თუმცა ზღაპარი მას ყოველმხრივ აიდეალებს. ამჯერად მხოლოდ ზღაპრის გმირის კულტურულ გმირთან მსგავსებაზე შევჩერდებით.

ტერმინით „კულტურული გმირი“ (ინგლ. Culture hero, ფრანგ. Heros civilisateur, გერმ. Heilbringer) მითოლოგიაში აღინიშნება ისეთი პერსონაჟი, რომელიც პირველად მოიპოვებს ან ქმნის ადამიანებისათვის სხვადასხვა კულტურულ საგნებს, ასწავლის ხელოსნობას, ნადირობის ხერხებს, აყალიბებს განსაზღვრულ სოციალურ ორგანიზაციას, მონაწილეობს სამყაროს შექმნაში, ებრძვის სტიქიურ ქაოტურ ძალებს. პირველწინაპარი - დემიურგი - კულტურული გმირი მითოსის ცენტრალური პერსონაჟია, მას იცნობს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიური სისტემა.

ვინ შეიძლება მივიჩნიოთ კულტურულ გმირად ქართულ მითოლოგიაში?

### 1. ღვთისშვილები

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მითოლოგიურ გადმოცემებში *კოპალა, იახსარი* და *პირქუში* სალოცავებად იხსენიებიან, მაგრამ მანამდე ისინი სასწაულებრივი ძალის მქონე გმირები იყვნენ. „კოპალა იყო ხორციელი, ხორციელის შვილი“, „იახსარი პირველად ყოფილა ხორციელი, წმინდა ბერი“, პირქუში კი „მჭედელი ყოფილ, კაც ყოფილ ისი“ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ. 1976, გვ. 143, 152, 163).

კოპალა და იახსარი უშუალოდ ებრძვიან დევებს, პირქუში კი იახსარს ზარს უჭედავს. ისინი მორიგე ღმერთის მიერ არიან გამოგზავნილნი ხალხის დევკერპთაგან დასაცავად.

დევების ამოწყვეტისა და განდევნის შემდეგ იმ ტერიტორიაზე მკვიდრდება ჯვარ-ხატები თავისი საყმოთი. ეს გამოხატულია იახსრის, კოპალასა და პირქუშის გაანგელოზებით. ამგვარი რამ კულტურული გმირისათვის ერთობ დამახასიათებელია. იგი აწმყოშიც აგრძელებს სიცოცხლეს, მაგრამ არა მიწაზე, არამედ ცაში, და ამით ვხვდებით არა მხოლოდ გაღმერთების პროცესის ჩანასახს, არამედ უკვე რელიგიას, რწმენას, მფარველი ანგელოზებისადმი და საყმოს ისტორიის დასაწყისს.

შესამჩნევია ღვთისშვილების მსგავსება პრომეთესთან და ჰეფესტოსთან: პრომეთემდე ადამიანებმა არ იცოდნენ, რა იყო წამალი, არ შეეძლოთ სნეულის განკურნება, უმწეონი იყვნენ ავადმყოფობების წინაშე, მაგრამ პრომეთემ მათთვის წამლები აღმოაჩინა და სნეულებებს ზღვარი დაუდო (ნ. ა. კუნი, ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები, თბ. 1965, გვ. 92).

იახსარი და კოპალა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა რელიგიაში ავსულებთან მებრძოლ ღვთაებებად ითვლებიან. მიიჩნევდნენ რა ფსიქიკურ დაავადებებს ავსულების, ეშმაკებისა და სხვა მსგავს ზებუნებრივ არსებათა საქმედ, სულით ავადმყოფის მკურნალობას ღვთაებების ძალით აწარმოებდნენ.

პრომეთეს ეცოდება უმწეო ადამიანები და ყველანაირად ეხმარება - აძლევს ცოდნას, ასწავლის ხელოსნობას, სახლების შენებას და ყველაფერს, რაც კი სიცოცხლისთვის ესაჭიროებათ. ღვთისშვილებიც მაშინვეე ეშურებიან საშველად, როგორც კი მათი ყმები გაჭირვების ჟამს მოუხმობენ.

პრომეთეს შემოტანილ კულტურასთან უფრო ახლოს დგას ღვთისშვილების მიერ დაბრუნებული ქაჯავეთის განძი: თასი, საკიდელი, ოქროს ფანდური, ოქროს საცერი, გრდემლი, ფურის რქა, საქონელი და ქაჯის ქალები. ეს განძი ღვთისშვილთა კუთვნილებაა და არა ქაჯების, საკულტო-საზოგადოებრივი დანიშნულებისაა ისევე, როგორც შუმერულ ქალღმერთ *ინანას* მიერ თავისი ქალაქისთვის მოტანილი განძი (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ. 1976, გვ. 170-179).

პარალელის გავლება შეიძლება პირქუშსა და

ჰეფესტოს შორის: მცირეაზიური წარმოშობის ოლიმპიელი ღმერთი ცეცხლის სტიქიის უძველეს ნიშნებს შეიცავს თავის თავში, ხოლო პირქუშის სალოცავს ბაცალიგოში და სოფ. ახადში ეწოდება „პირქუში ცეცხლის ალიანი“.

ჰეფესტო კოჭლი და შეუხედავია, პირქუში – „პირდატრუშვილი“; იგი აქილევს იარაღს უჭედს, პირქუში კი იახსარს – ზარს. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ჰეფესტოს ულამაზესი მეუღლე ჰყავს (ზოგი ვერსიით – *აფროდიტე*, ზოგი ვერსიით – ერთ-ერთი *ქარიტი*) მაშინ, როცა პირქუში „წმინდა ყოფილას“.

მსგავსია ჰეფესტოსა და პირქუშის გაღმერთების პროცესის თანმიმდევრობაც – თავიდან ორივენი დედამიწაზე მოღვაწეობენ, მერე იმკვიდრებენ ადგილს ზეცაში.

ქართული კულტურული გმირების – ღვთიშვილების სალოცავების დაარსება კანონზომიერად ხდება ისევე, როგორც ჰეფესტოს კულტი ფართოდ გავრცელდა ათენელ ხელოსნებსა და ოსტატებს შორის.

არსებობს გადმოცემა *ელიაზე* (ჭექა-ქუხილის ღვთაება), რომელიც ასევე ხელოსნის სახით არის წარმოდგენილი, კერძოდ, ხარაზისა. ელიაც ღვთისშვილების მსგავსად ხორციელიდან უხორცო არსებად გარდაისახა. ამ დროს პრომეთე ვერ გახდა ოლიმპიელი ღვთაება, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის ყველა მონაცემს ფლობდა. უფრო მეტიც, ღმერთებთან დაპირისპირების გამო ანტიკურ ტრადიციაში არსებობდა პრომეთეს უარყოფითად შეფასების ტენდენცია.

ქართულ მითოსურ პანთეონში კულტურული გმირების გაანგელოზება არ დაუბრკოლებია ლიტერატურულ გავლენას (პრომეთესაგან განსხვავებით). ღვთისშვილი და კულტურული გმირი შეიძლება სინონიმებადაც ჩავთვალოთ.

## 2. ტრიქსტერი და ცრუგმირი

კულტურულ გმირს ხშირად ტყუპისცალი ჰყავს, რომელიც დემონურ-კომიკური შტრიხებით ხასიათდება და კულტურული ქმედების პაროდირებას ახდენს. მითოლოგიაში იგი *ტრიქსტერის* სახელით არის ცნობილი. ძმები შეიძლება ბევრნი იყვნენ, მაგრამ მათგან მხოლოდ ორი გამოირჩევა. კულტურული გმირის უარყოფითი ვარიანტი – მისივე ძმა ჩვეულებრივ წარუმატებლად ბაძავს თავის ტყუპისცალს (მაგალითად, *პრომეთე და ეპიმეთე*), მოქმედებს რა მის მსგავსად და ახდენს საკრალურის პროფანაციას; ტრიქსტერი უმეტესად თავის მსხვერპლზე გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა განსაზღვრულ შემთხვევებში მარცხდება კიდეც. ზოგჯერ კულტურული გმირი და ტრიქსტერი ერთ პერსონაჟში ერთიანდება და ეს უფრო ხშირია. ქაჯავეთის ლაშქრობის დროს გიორგი ნალვარმშვენიერის ბუზად გადაქცევა სწორედ ამის მაგალითი უნდა იყოს. თავად ტრიქსტერი ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში სუფთა სახით არ ჩანს, ზღაპრებში კი მას კონკრეტული პერსონაჟების გარდა (*ხუთკუნჭულა, მანჭრაჭა, ნაცარქექია, მძლეთამძლე* და სხვ). ჯადოსნური ზღაპრის *ცრუგმირი* შეესაბამება.

ცრუგმირი ის პერსონაჟია, რომელსაც ვ. პროპის სქემაში იგივე ფუნქციები აქვს, რაც მის გმირს: საძებრად წასვლა, *მჩუქებლის* მოთხოვნაზე რეაქცია და ქორწილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ფუნქციები დიამეტრალური სხვაობით ხორციელდება.

თუ გმირი მჩუქებლის მოთხოვნას აკმაყოფილებს, ცრუგმირის რეაქცია ამ მოთხოვნაზე ყოველთვის უარყოფითია. ქორწილი გმირისათვის ძალიან მნიშვნელოვანია; ეს მისი საბოლოო მიზანია, რისთვისაც მან განსაცდელით სავსე გზა ღირსეულად გაიარა; ცრუგმირისათვის კი ეს არის ცრუქორწილი, მას მითვისებული აქვს გმირის მთელი მონაპოვარი საცოლის ჩათვლით და ამის გამო სამაგიეროც საკადრისად მიეზღვება. ცრუგმირის ქორწილი მისი მხილება და დასჯაა.

მაგრამ აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჯადოსნური ზღაპრის სამყარო აბსოლუტურად განსხვავებულია მითოსურისაგან. ზღაპრის გმირი, მართალია, ბევრი ნიშნით ჰგავს კულტურულ გმირს და თავისი ბიოგრაფიული მონაცემებითაც უფრო მეტი სიზუსტით ემთხვევა, ვიდრე თავად ზოგიერთი კულტურული გმირი, მაგრამ საერთო ჯამში მაინც არ შეიძლება მათი ერთი სახელწოდების ქვეშ გაერთიანება. ზღაპარს თავისი კულტურული გმირი ჰყავს, თავისი ბოროტი ძალა, თავისი განძი, თავისი საზოგადოება და, იმის მიუხედავად, რომ ისინიც იმავე მასალით არიან შექმნილი, რითაც ყველაფერი მითოსური, ზღაპარი – ეს სხვა სინამდვილეა და სხვა გასაღები სჭირდება.

თუნდაც ჩავთვალოთ ჯადოსნური ზღაპრის გმირი კულტურულ გმირად, ცრუგმირი მთლიანად მაინც ვერ ასრულებს ტრიქსტერის როლს. იგი ძირითადად ან შურის ნიადაგზე ემტერება გმირს, ან, უბრალოდ, ბოროტია, ანდა მისი მონაპოვარი სჭირდება.

ცრუგმირს აკლია ის ეშმაკობა და მოხერხება, რითაც უნდა გამოირჩეოდეს ტრიქსტერი – მას მხოლოდ ვერაგობა შეუძლია.

## 3. „დავლათიანები“ მითოსსა და ზღაპარში

კულტურულ გმირს აქვს კიდევ ერთი ნიშან-

თვისება – გადმოცემებში ზოგჯერ მოთხრობილია მისი სასწაულებრივი დაბადების ამბავი ანდა ზებუნებრივი ძალის მიღება ღვთისაგან. იგი ან ღვთაებრივი მამისაგან იმემკვიდრებს ამ ძალას (რიგ მითოლოგიურ სისტემებში, რომლებშიც უკვე იცნობენ უზენაეს ღმერთებს) და დაბადებისთანავე ახდენს თავისი განსაკუთრებულობის დემონსტრაციას. ღვთაებრივი ძალა და ამის გამოხატულება იღბლიანობის, ანუ დავლათიანობის ნიშანია (ზ. კიკნაძე, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ. 1985, გვ. 226).

დავლათიანია ჯადოსნური ზღაპრის გმირიც. მაშინაც, თუ იგი მჩუქებლის ან შემწის ფუნქციებს ითავსებს, და მაშინაც, როცა შემდგომ იძენს ამ თვისებას. მითოსური *დავლათიანი* გმირის მსგავსად მანაც შეიძლება დაკარგოს დავლათი ზუსტად იმ ფორმით, როგორც მითოსურმა გმირმა – ბანაობის დროს. *თორღვაც* ბანაობისას კარგავს თავის ჯაჭვს და *მზის ასულიც* თავის სამოსს, ურომლისოდაც ველარ გადაიქცევა ფრინველად, *ქაჩალ-მებადეს* ოქროს ქოჩორს თავის დაბანის დროს შეამჩნევენ. დავლათი ისევე გაწირავს ზღაპრის პერსონაჟს, როგორც მითოსურ გმირს, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ზღაპრის გმირი მაინც გადარჩება. დავლათიანი მითოსური გმირი გაბუდაყებით და საკადრისი სასჯელით ამთავრებს სიცოცხლეს, ზღაპრის გმირს კი დავლათი არასოდეს გააბუდაყებს. მითოსში ხშირად გაბუნდოვანებულია რომელიმე პერსონაჟი თუ მოვლენა, ზღაპარში კი, თუ რამე საიდუმლოებით მოცულია, ბოლოს აუცილებლად უნდა აიხსნას.

ზღაპრის გმირი საკმაოდ „სუფთად გამოდის“ დავლათიანობის მაცდუნებლობისგან და კულტურული გმირივით გაიდეალებულია, მაგრამ კულტურული გმირი მაინც არ არის. შეიძლება იმის გამო, რომ, მისგან განსხვავებით, განძს საკუთარი კეთილდღეობისთვის მოიპოვებს. მაგრამ ხომ არის ზღაპრები, რომლებშიც გმირი ოჯახზეც ზრუნავს ანდა, შორს რომ არ წავიდეთ, როცა გმირი გამეფდება, ზღაპარს ხომ იგი სასურველ მეფედ ჰყავს წარმოსახული?

თუ რატომ არ არის ზღაპრის გმირი კულტურული გმირი, შეიძლება მარტივადაც გაეცეს პასუხი: ზღაპარი არ არის ის სინამდვილე, რაც მითოსშია. ზღაპარი დამოუკიდებელი და სხვაგანზომილებიანი სამყაროა.

მითოსში ადამიანის ცხოვრებას ბედისწერა განსაზღვრავს, რომელსაც ის ვერ გაუწევს წინააღმდეგობას ანდა, თუ გაუწევს, ამაოდ. მითოსურ გმირს არა აქვს ის თავისუფლება, რომელიც აქვს ზღაპრის გმირს. ამ კუთხით ზღაპრის გმირი *მოწამისა* და *რაინდის* გვერდით დგას. თუ მითოსური გმირი განწირულია, საბოლოოდ განწირულია. მას არც არჩევანის გაკეთება შეუძლია. ზღაპრის გმირი კი ისევე, როგორც აგიოგრაფიული *მარტვილი*, სრულიად გაუცნობიერებლად ირჩევს იმ გზას, რომელიც რთულია გასავლელად, მაგრამ მისი დაძლევა სამუდამო ბედნიერებას უკავშირდება.

ბუნებრივად დგება საკითხი ზღაპრის რელიგიური ტენდენციების შესახებ. რაც მას მითოსურ პლანზე არანაკლებად უნდა ჰქონდეს. ამიტომ ზღაპრის „მითოსის ნამსხვრევად“ მიჩნევა და მასში მხოლოდ მითოსური პლასტების ძიება არასაკმარისად გვეჩვენება – ზღაპარი ბევრად უფრო მრავალგანზომილებიანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.



გიორგი ავციაური.
„ლოდებს მიღმა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თეა თავბერიძე

## აკაკის სატირული ლექსები

მხატვრული ნაწარმოები ურთიერთგანმაპირობებელი ელემენტებისაგან შედგენილი რთული სისტემაა: ამ ელემენტთა იერარქიას კი კომპოზიცია განსაზღვრავს. ლირიკული ლექსის კომპოზიცია არ ეყრდნობა სიუჟეტს, ანუ მოვლენების დროსა და სივრცეში წარმოსახვას. მაშინაც კი, როდესაც ლირიკულ ლექსში სიუჟეტი გვაქვს (ლირიკულ-ეპიკური ბალადა), ის მნიშვნელოვანია არა იმდენად თავისთავად, არამედ მისგან მომდინარე ემოციებით (Холшевников В. Е. Анализ композиции лирического стихотворения; в кн : Анализ одного стихотворения, л. 1985). ამიტომ ლირიკაში არ უნდა ვეძებოთ სიუჟეტის განვითარების საფეხურები (ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნა), რომლებიც ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებებში გვხვდება. თუმცა ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი „ლირიკული სიუჟეტი", რომელშიც ლირიკულ ლექსში არსებულ გრძნობათა დინამიკა თუ თემის განვითარება ეპიკური და დრამატული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი სიუჟეტური განვითარების ანალოგიურ მოვლენად მოიაზრება.

თემატური სახე, რომლის დინამიკასაც წარმოადგენს ე. წ. „ლირიკული სიუჟეტი", აზრი და გრძნობაა და არა რაიმე კონკრეტული ობიექტი. ეს არ ნიშნავს, რომ პოეტის გარშემო არსებული სამყარო-საგნები და მოვლენები, რაც მთავარია, ადამიანი, ლირიკული აღქმიდან გამოირიცხება. ბევრი ისეთი ლექსი ვიცით, რომლებშიც ზედმიწევნით არის აღწერილი მატერიალური სამყარო და გვხვდებიან ადამიანები, ზოგჯერ როგორც პირობითი პერსონაჟები, ხანაც - როგორც სავსებით რეალური პირები.

თუ ლირიკაში თემატური სახე „გრძნობადი აზრია" (ვ. მაიაკოვსკი), ლირიკული დასაწყისი მისი ემოციური გასალებია და არსებითად განსხვავდება სიუჟეტური ექსპოზიციისაგან. ეს უკანასკნელი გვაწვდის წინასწარ ცნობებს მთავარ გმირებზე, მოქმედების დროსა და ადგილზე და ა. შ. ლირიკული დასაწყისი კი ის ემოციური აკორდია, რომელიც მკითხველს ნაწარმოების აღქმისათვის საჭირო განწყობას უქმნის.

აკაკი წერეთლის სატირულ ლექსებში დასაწყისი, როგორც კომპოზიციური ერთეული, მნიშვნელოვან ინტონაციურ დატვირთვას იძენს. მას მძაფრად შეყავს მკითხველი ნაწარმოების ესთეტიკურ სამყაროში. ჩვენ შევეცადეთ აკაკის სატირულ ლექსთა დასაწყისი ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით დაგვეჯგუფებინა. გამოვყავით რამდენიმე ჯგუფი. აღმოჩნდა, რომ მათ შორის სხვაობას ძირითადად ინტონაცია, პათოსის ნაირსახეობა ან მათი პაროდირება ქმნის. სატირული ეფექტიც სწორედ მათზე დაყრდნობით მიიღწევა:

ა) პირველ ჯგუფში შეიძლება ე. წ. განსჯითი, ანუ აზრის ლოგიკურ განვითარებაზე აგებული ნაწარმოებების დასაწყისი გავაერთიანოთ. ამ ხასიათის ლექსთა კომპოზიცია თემატური სახის ლოგიკურ განვითარებაზეა დაფუძნებული. მათი დასაწყისი, ბუნებრივია, განსჯის საგანს აკონკრეტებს, რასაც აზრის ლოგიკური განვითარება მოსდევს. მაგალითად, ლექსში „გამოცვლილი დრო" ლირიკული დასაწყისი ასე ჟღერს:

> გამოიცვალა ქვეყანა,
> ჩარხი უკუღმა ტრიალებს...

როგორც ვხედავთ, ინტონაცია ელეგიურია, სატირული ეფექტი კი ძირითადად ე. წ. „სიტუაციურ კომიზმს" ეფუძნება, რაც კარგად ჩანს პირველივე სტროფის მომდევნო ტაეპებში, საიდანაც გამოცვლილი დროების სურათის წარმოსახვა იწყება:

> ვირი კოკობ ვარდს დაპგალობს,
> ბულბული ვირებრ პღრიალებს!..

საგულისხმოა, რომ ელეგიური ინტონაცია ლექსს ბოლომდე გასდევს. დასაწყისი, რომელიც პირველ ორ ტაეპს მოიცავს, აქ მხოლოდ განსჯის საგნის დაკონკრეტებით იფარგლება: დრო გამოიცვალა, გამოიცვალა უარესობისაკენ („ჩარხი უკუღმა ტრიალებს"). შემდეგ სტროფებში ამ გაუკუღმართებული დროის აბსოლუტურად კონტრასტული და ალოგიკური სურათებია მოცემული, კერძოდ, ზამთარში სიცხეს დაუსადგურებია, ზაფხულში სიცივეს; სამართალს ქურდები აღგენენ, მართლებს ბორკილები აღევთ; ჭკვიანს ბრიყვი მბრძანებლობს და ა. შ. ყოველივე ამას მოსდევს ავტორის სურვილი:

> გაჰქრეს ეს ჟამი ბარემლა,
> ნეტავი რას იგვიანებს?!

ბ) მეორე ჯგუფს სამოქალაქო ლირიკისათვის დამახასიათებელი პათეტიკური დასაწყისი ქმნის. მათში, როგორც წესი, რიტორული ფიგურები დომინირებენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტორული მიმართვა:

შეხედეთ ფარისეველსა,
ლოცვითა ღამის მთეველსა!
(„ფარისეველი“)

რიტორიკული შეკითხვა:

რა სინათლეა სინათლე
დამცხრალი, ძველი მთვარისა?
(„ბებერი“)

რიტორული შეძახება:

„ფუ, იმ მოედანს, სადაცა
ვირები ბედაურობენ!
(„სიმართლე“)

ხშირად რიტორული ფიგურები ერთმანეთს ერწყმიან. მაგალითად: რიტორული მიმართვა-შეძახება:

ჩუ! ქართველო ბედნიერო,
ნუ ამბობ, მამული მიყვარს!
(„ჩუ, ქართველო!“)

რიტორული მიმართვა-შეკითხვა:

დედამ რომ შვილი გაზარდოს
და მერე თქვენისთანაო?!

სტროფის მომდევნო ტაეპები ამ რიტორული ფიგურის უარყოფით პათოსს აკონკრეტებენ:

ნაცარქექია რამე ხართ
ყველგან და ყველასთანაო!
(„დედამ რომ შვილი გაზარდოს...“)

ზ) ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ პაროდირების პრინციპზე აგებული დასაწყისი:

სამოქალაქო ლირიკისათვის დამახასიათებელი პათეტიკის პაროდირება:

გზა მომეცი! ჩამოდექი!
ხომ ხედავ არ გეხუმრები?
ჩემს მშობლის მკვლელსა ვახლავარ
და იმას ვემსახურები!...
(„დიდი ვინმე“)

განსჯის ინტონაციის პაროდირებაა შემდეგ სტრიქონებში:

ანწლისაგან არ ივარგებს, რომ გაკეთდეს სტვირი,
ჩოჩრისაგან გაიზრდება მხოლოდ დიდი ვირი...
(„გამოცანა“)

რიგ ლექსებში განსჯის ინტონაციის პაროდირებას ელეგიურიც ემატება: „საბრალო არის დატვირთული უზომოდ ვირი“ („უ-ს“), ლექსი კი აფორიზმით მთავრდება ისევე, როგორც თემატური სახის ლოგიკურ თანამიმდევრობაზე აგებულ ნაწარმოებში გვაქვს:

ვირები რაგინდ ტვირთ-ქვეშ მოჰკვდნენ, ისრისონ ზვავით,
მაინც არ ეთქმით უბედურებს ბედაურები!

აკაკის სატირული ლირიკისათვის ჩვეული ამაღლებული პათოსის პაროდირებაა შემდეგ სტრიქონებში:

სიზმრად ვნახე შენი გული,
ეს სიტყვები ზედ ეწერა:
„გამოცვლილა სიყვარული
აქ ოთხმოც-და-ცხრამეტჯერა!“
(„ან...ს“)

დ) მეოთხე ჯგუფს მივაკუთვნეთ ისეთი დასაწყისი, რომელიც ლექსის სათაურით არის შემზადებული და ირონიულ ინტონაციას ქმნის ლექსის შინაარსის სათაურთან შეუსაბამობა. მაგალითად, ლექსის სათაურია „თანამედროვე გმირი“. თუ ჩვეულებრივ „გმირს“ შინაარსი კეთილშობილ, ზნემაღალ, ავტორის იდეალების გამომხატველ პიროვნებას გულისხმობს, ზემოხსენებული ლექსის პირველივე სტროფი ყოველივე ამის წინააღმდეგ მეტყველებს:

დედას, სნეულს და ავადმყოფს,
ერიდები, აშორებ თვალს!
მოწიწებით თაყვანსა-სცემ
გადამთიელ დედინაცვალს!..

ამავე ჯგუფში უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლექსის ირონიული ინტონაცია თავიდან შეფარულია (სათაურიც კი) და მხოლოდ მოგვიანებით მჟღავნდება. ამგვარი შეფარული ირონიის შემცველი დასაწყისი აქვს სატირას „მოსაწონი ვაჟი“.

ნეტავ მის მშობელს!.. რა ყმაწვილია!
ქართლში პირველი ვაჟიშვილია
ყოველისფერი აქვს, რაც ეჭირება...
და მით წინ წავა, უეჭველია!
ტანად საროა, პირად ვარდია!
მისგან დამშვენდა მთელი გვარდია
სწავლა და ჭკუა ღვთით არა აქვს რა
და სიმდაბლეშიც ერთობ მარდია...

როგორც ვხედავთ, ირონიული ინტონაციის ამგვარ „დაგვიანებული“ გაცხადება ხელს უწყობს სატირული ეფექტის გამძაფრებას.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისი, როგორც ლექსის კომპოზიციის ერთ-ერთი არსებითი ელემენტი, აკაკის სატირულ ლირიკაში საინტერესო ინტონაციური დატვირთვით ხასიათდება. იგი წარმართავს მკითხველის განწყობას და, აქედან გამომდინარე, ნაწარმოების ემოციურ სამყაროში შესვლისათვის აუცილებელ გასაღებს წარმოადგენს, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ამ, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი კომპოზიციური ელემენტის უდიდეს მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაკა სახურია

## სევდიანი მზერა ევროპიდან

მთელი ჩვენი ლიტერატურის ისტორია დასტურია იმისა, რომ ქართველი მწერლებისთვის მუდამ უმნიშვნელოვანესი იყო ეროვნული პრობლემატიკის ასახვა. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს უაღრესად საინტერესო ქართული მოდერნისტული პროზა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები: კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე, ნ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია თავიანთ ქმნილებებში ცდილობდნენ ღრმად ჩასწვდომოდნენ ეროვნული ძირების შორეულ ისტორიაში შთანთქმულ საიდუმლოებებს, აესახათ ერის თანამედროვე ყოფის სურათი და განეჭვრიტათ სათაყვანო მამულის მომავალიც.

მოდერნიზმი ფართო სპექტრით მიიღო ქართულმა მწერლობამ. დასახელებული ავტორები ევროპულ კულტურას, განათლებასა და ცივილიზაციას ნაზიარები ადამიანები იყვნენ და „კრიზისის ლიტერატურის“ თავისებურებანი მისი ჩამსახველი ფილოსოფიური სკოლების იდეებთან ერთად მიიღეს მთელი არსებით. ამავე დროს ორიგინალურად გადამუშავებული ეს მასალა ტრანსფორმირებული სახით მიაწოდეს ქართველ მკითხველს.

ქართულ ექსპრესიონისტულ, იმპრესიონისტულ და სიმბოლისტურ რომანს საფუძვლიანად აქვს დაძლეული ამ ევროპული მიმართულებების უნიჭო ეპიგონობის საფრთხე და მათი სახით საქმე გვაქვს ევროპული რომანისგან სავსებით რელევანტურ, გამორჩეული მხატვრული ღირებულებების მქონე ნაწარმოებებთან, რომლებშიც, ამ ტიპის ევროპული რომანისგან განსხვავებით, ეროვნული ხსნის საკითხი უპირველესია.

ცნობილია, რომ ევროპული მოდერნისტული რომანი გმირის სულიერი სამყაროს ასახვით გატაცების გამო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა პატრიოტულ იდეებს, ხოლო კონკრეტულად ექსპრესიონისტი პროზაიკოსები, განსაკუთრებით გერმანული სკოლის წარმომადგენლები (მათგან განირჩეოდა პრაღის ჯგუფი ვერფელის, კაფკას, კორნფელდისა და სხვათა შემადგენლობით), ამჟღავნებდნენ აბსოლუტურად ნიჰილისტურ, კოსმოპოლიტურ დამოკიდებულებას ეროვნული საკითხებისადმი, რასაც ქართველი მოდერნისტები უპირისპირებენ გამახვილებულ პატრიოტულ მიმართებებს.

„დიონისოს ღიმილი“, „სანავარდო“ და „შელოცვა რადიოთი“ განსხვავებული მოდერნისტული მიმართულებების (შესაბამისად: ექსპრესიონიზმის“, სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმის) სტილურ თავისებურებებს გვიჩვენებენ, მაგრამ მათში საერთოა მოდერნისტული მწერლობის ზოგადი მხატვრული ნიშან-თვისებანი.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქართული მოდერნისტული პროზის ნიმუშები: „დიონისოს ღიმილი“, „სანავარდო“, „გველის პერანგი“, „ფალესტრა“, „შელოცვა რადიოთი“ ნაციონალური პრობლემატიკის აღქმაში ნათელყოფენ ავტორთა საერთო პოზიციას: ისინი უცხოეთის თვალსაწიერიდან, გლობალური გეოგრაფიული ორბიტიდან, უმეტესად კი ევროპის მაღალი პიედესტალიდან ახდენენ სამშობლოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე დაკვირვებას.

კონსტანტინე სავარსამიძეს ევროპასთან მიმართებაში წარმოუდგენია საქართველოს მომავალი; ბონდო ჭილაძე პეტერბურგიდან აკვირდება მამულის სავალალო ყოფას; არჩიბალდ მეკეში ევროპისა და აღმოსავლეთის არენიდან უმზერს საქართველოს, ხოლო კავალა და ელი გორდელიანი შერეული სისხლის ნაყოფნი არიან, მაგრამ მათში ქართული სისხლი და გენეტიკა მძლავრობს და ისინიც ევროპიდან სევდით იცქირებიან კავკასიის მთიანეთისკენ.

მოდერნისტული რომანისთვის დამახასიათებელი პერსონაჟის სულიერ-ფსიქოლოგიური კატასტროფის, დისკომფორტის, ტრაგედიის ინტროსპექციასთან ერთად ქართველი ავტორები ასახავენ მწვავე ეროვნულ პრობლემატიკას, ეძებენ ხსნის გზას, მაგრამ საერთო ფონი პესიმისტურია, რადგან იკვეთება აზრი, რომ საუკუნეთა ქარტეხილებთან ჭიდილში ქართველი ერი დაიღალა, დაუძლურდა, დაჩიავდა და ითხოვს სრულიად ახალ პოლიტიკურ ორიენტირებს, ახალ ალიანსებს, საიმედო მოკავშირეებს.

„დიონისოს ღიმილში“ ექსპრესიონისტული სტილისთვის დამახასიათებელი სიმბოლურ-ალეგორიული გამოსახვის პრინციპით, მისტიფიცირებულად და დაშიფრულად, მთავარი გმირის პატრიოტულ სულისკვეთებაზე აქცენტირებით ჩამოყალიბებულია ეროვნული ხსნის კონცეფცია, მთელი პროგრამა, რომელიც აღსრულების შემთხვევაში საქართველოს სუვერენიტეტის გარანტი იქნებოდა.

სავარსამიძე ხედავს, რომ ქვეყანა პროვინციად არის ქცეული, ქართულ ენას ასიმილაციის აშკარა საფრთხე ემუქრება.

დაუძლურებული საქართველოს მეტაფორაა თამარის ალმასწართმეული ქვეყანა. თამარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმასი იყო იგივე გრაალი, ეროვნულ სიამაყედ ქცეული თილისმა, რომელიც საქართველოს წაართვა სლანსკიმ - შოვინისტმა რუსმა ოფიცერმა. იგი რუსეთის იმპერიის სიმბოლოა. საფიქრებელია, რომ მის გვარში კოდიფიცირებულია „ლაწვმალალი და ცხვირჩაჭყლეტილი" სლავური რასის სახელწოდება .- სახელის ფუძე „სლავიანსკიდან" არის აღებული.

„პანქართველიზმი და პანსლავიზმი შეუთავსებელი ცნებებია", - წერდა კ. გამსახურდია და ამ აზრს ნათელყოფს სლანსკისა და სავარსამიძის დაპირისპირებით, რაც იმპერიისა და ჩაგრული ერის ანტაგონიზმის ალეგორიული გამოსახვაა.

გმირი ნებისმიერი, რეალური თუ ეფემერული მეთოდით ცდილობს სამშობლოს რუსთაგან ხსნას. ყველგან აცხადებს პროტესტს, გამოსცემს ბროშურებს, სადაც ამხელს კავკასიურ ერთა წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკურ ზრახვებს, ეწევა არაოფიციალურ ელჩობას, მიმართავს ევროპის ყველა გავლენიან პოლიტიკურ ძალას, იტალიელ კარდინალთან აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს გაკათოლიკებაზე, ალიანსს სთავაზობს გერმანიის მეფეს და ყველას მოუწოდებს რუსეთის წინააღმდეგ ომის წამოწყებისკენ. ამ, ცოტა არ იყოს, დონ კიხოტური ჩანაფიქრის გამართლებას გმირი ქართულ-კავკასიურგერმანული მტკიცე პოლიტიკური ალიანსის შექმნაში ხედავს.

ზმანებაში, რომელიც მოდერნისტულ რომანში სინამდვილის ტოლფასად აღიქმება, სავარსამიძე ებრძვის სლანსკის მოპარული თამარის ალმასისა და ბაგრატოვანთა გვირგვინის, ანუ საქართველოს ძლიერების გამოსახსნელად. სუბლიმაცია ზეიმობს! მარცხდება სლანსკიც, შავი და ენდროსფერი რაინდებიც. შავი პოლიტიკური ტერორის სიმბოლოა, ენდროსფერი - კომუნიზმისა.

„დიონისოს ღიმილში" მთავარი გმირის პატრიოტული აღმქმელობის ჩვენებით შეფარვით გამოთქმულია ეროვნული ხსნის კონცეფცია, რომელიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: უკომპრომისო ბრძოლის დაწყება საყოველთაო პროტესტის გამოცხადებით, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, კავკასიურ ერთა გაერთიანებადარაზმვა რუსული სამხედრო მახინის წინააღმდეგ, კავშირის დამყარება ძლიერ ევროპულ სახელმწიფოებთან და გავლენიან პოლიტიკურ ძალებთან, ქართული სინამდვილის შესახებ სიტყვის გატანა დასავლეთში, საქართველოს კულტურული აღორძინება, ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად, ისტორიის გაუყალბებელი სურათის გაცოცხლება და ყოველივე ამის მეოხებით ძლიერი, მთლიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ჩამოყალიბება-განმტკიცება.

დემნა შენგელაიას „სანავარდო" დეგრადაციის, რეგრესის, დაცემის, უნაყოფობის ეროვნული ტრაგედიის პირქუში პანორამაა. ყოველივე პიროვნული აქ განუყრელად ეროვნულთან ასოცირდება. ხაზგასმულია არისტოკრატიული ფენის უნიათობა, მაგრამ არც დაბალი სოციალური ფენების მდგომარეობაა სანუგეშო. ფონი გულისმომკვლელად პესიმისტურია და რომანის მთავარ გმირს ეროვნული ხსნის პროგრამის გააზრებისა კი არა, ელემენტარული საარსებო ძალების მოკრების უნარიც არა აქვს. მსგავს ფინალს „დიონისოს ღიმილში" ვხვდებით, გმირი იქაც იშრიტება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის საჭირო ენერგიისგან ღვთისმაძიებლობის გზაზე კრახისა და მრავალი სხვა მიზეზის გამო, მაგრამ თუ იქ გამოთქმული საკრალური ეროვნული იდეების ხორცშესხმას იგი ვერ ახერხებს, პატრიოტ, მებრძოლ თანამემამულეებს ხსნის ალტერნატიულ გზას მაინც სთავაზობს, გზას, რომელიც „სანავარდოში" სრული წყვდიადით არის მოცული.

მითოსური პრეისტორიის ეროვნული „არქეს" გმირის ზმანებაში გაცოცხლებით ერთგვარი იმედი მაინც გამოკრთის, რაც გამოიხატება ეგზალტირებული გმირის პათოსით წარმოთქმულ სიტყვებში: „არ გადავშენდებით!.. არ გადავშენდებით!.. არ გადავშენდებით!.."

იქვეა გამოთქმული რწმენა, რომ მზე-ჰელიოსის მაცოცხლებელი ძალა ამოსწოვს ერს დაწყლულებულ ჭრილობებს. ეროვნულ ტრაგედიად ქცეული ტოტალური სიბერწის მიზეზს ავტორი შემოდგომა-ზამთრის ხანგრძლივად დავანებაში ხედავს. იშთარი - ნაყოფიერების ქალღმერთი ქვესკნელში მოგზაურობს დანთქმული სატრფოს - თამუზის მოსაძებნად და იმედია, რომ მათი შეყრა ჰადესში, აღდგომა და გაზაფხულის მობრძანება მოიყვანს საქართველოშიც ილიასა და აკაკის ნანატრ გაზაფხულს. თვით ბონდოსაც მონახავს თავისი ქართველი იშთარი - ხათუნა, მაგრამ, ცხადია, ისინი აღდგომა-ამაღლებისთვის ნებისყოფის კონცენტრაციას ვერ შეძლებენ. ასე ახერხებს ავტორი მითოსური პლანის, იშთარ-თამუზის მითის ლაიტმოტივის პერსონაჟის პიროვნულ და საერთო ეროვნულ ხვედრთან ასოცირებას, ხოლო მისი გმირი იმას მაინც ხედავს, რომ ჩვენი ეროვნული უბედურების სათავე რუსეთის იმპერიის ექსპანსიაა და რუსთა ხელმწიფის მოკვლის აუცილებლობაზე საუბრობს, რაც ეფემერა და საღ პოლიტიკურ განსჯას მოკლებული რადიკალიზმია, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ ადამიანი თავისი უბედურების მიზეზს მაინც ხედავს, უკვე პროგრესია. იგივე საკითხი „დიონისოს ღიმილშიც" არის ხაზგასმული. ნათელია, რომ ქართულ არისტოკრატიას არ შესწევს ძალა იმპერიასთან დასაპირისპირებლად, მაგრამ ახალი თაობისთვის ეს გზის მაჩვენებელი მაინც არის. ილუზია ოდესმე შესაძლოა სინამდვილედაც კი იქცეს.

„სანავარდოს" მთავარი გმირის მონოლოგი ეროვნულ სინამდვილეზე სიმბოლისტურად აღქმულ-შეფასებული რეალიზმია: „ქართლის ცხოვრება დაღარულია საუკუნეთა უფსკრულებით! რა მოგვაქვს ჩვენ ამ უფსკრულებიდან? ჯვარი... და ზედ გაკრული ჩვენივე თავი მოგვაქვს ჩვენ!.. განა შენ არ გაფიქრებს უქმურთა უქმური?.. ჩვენ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვეომოთ უჭმურს!.. ჩვენ მოგვდევს იგი საუკუნეთა ბნელ სიღრმეებიდან!.. როგორ მეშინია მე ამ საუკუნეების... ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას... ჩვენში წყდება გვარები და შოდგმები ისე, როგორც არსად... მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული, მუნიანი ჭინკები... და ამირანი შებორკილია მათ მიერ!.. შებორკილია და მაინც მღერის: „დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვი, ჩემი ბედი ასე ჭრისა!.."

ამ სიტყვებში ილანდება მძაფრი ტრაგიზმიც და მინავლული იმედის სხივიც ამირანის აღდგომის გამო.

თაობათა და კლასთა დაუძლურება-გადაშენება ეროვნული ტკივილია, მაგრამ ლოგიკურიც შეიძლება იყოს, რადგან ახალი ხალხი უნდა მოვიდეს, იგი ცივილიზაციის მძლავრ პროდუქტთან – მატარებელთან ერთად იბადება, მოაბიჯებს და თვალსაწიერიდან გადაკარგავს ხალხს, რომელსაც, მწერლისეული მეტაფორა რომ მოვიშველიოთ, „ღილი აკლია". ღილი სულიერი სიმტკიცის, ნებისყოფის შეუდრეკელობის სიმბოლოა (ხალხური „წითელი მოვის პერანგი, შეიდგან შეკრული ღილითა" ხომ წითელი სკნელის, სიცოცხლის გრადაციის, ვეგეტაციის, სამყაროს მარადიული გაზაფხულისა და უდრეკი სულის გამოსახვაა).

ცივილიზაციის „მატერიალური სულის" ფეტიშის გამო მწერლის სკეფსისი ბუნებრივია და ეს ეროვნულ საფრთხესთან არის გადაჯაჭვული, ეროვნული ხსნა კი მხოლოდ ბრძოლასა და ქმნადობაშია.

ეროვნულ კრიზისს ასახავს, აგრეთვე, ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი". ავტორმა მას „დიდი გოდების მცირე ნაკადი" უწოდა და ნაწარმოების ფაქტურაში ასახულ საქართველო-ევროპის ერთგვარ შეჯიბრს ორგანულად მიესადაგა ეპიგრაფად გამოტანილი რუსთველისეული: „რას მაქნევდით, რა გინდოდათ, ერთმანეთსა რითა გვვანდით? თქვენ მორჭმულნი თამაშობდით, ჩვენ მტირალნი ლაწვსა ვბანდით".

იმპრესიონისტი მწერალი სისხლით ქმნის ეროვნული დაცემის მოზაიკას. მწერალი გრძნობს, რომ მორჭმული, ლაღი და მდიდარი ევროპა საქართველოს მძარცველის, მუშტრის თვალით ხარბად შესცქერის. „ფალესტრა" და „შელოცვა რადიოთი" ასახავენ იმას, რომ ევროპა ტკბება არიული ქართული ჯიშისა და გენის მშვენებით; მერკანტილური ევროპა ცივი პრაგმატულობით შესცქერის საქართველოს ისტორიულ წარსულს, არაფრით იცავს მას მაჰმადიანური აგრესიისგან და მხოლოდ ცდილობს, წარიტაცოს ჩვენი ეროვნული საუნჯენი, ამიტომაც შეაჩვენებს გულცივ ევროპელებს კონსტანტინე გავარსამიძე, ხოლო ნ. ლორთქიფანიძე კონკრეტული მაგალითის მოხმობით გვიჩვენებს, რომ თვალწარმტაცი ქართველი ქალი – ელი გორდელიანი პათოლოგი რუსი გრაფისთვის – ბორენკოვისთვის მხოლოდ ლამაზი სხეულია, მისი ბილწი ვნების ობიექტი, ინგლისელ ჰექსლეის კი, რომელიც ხარბად იმეორებს: „ჩონჩხითაც კი ვიცნობ მშვენიერებას", ეს ქალი იმიტომ აინტერესებს, რომ მას ყელზე საქართველოს ძველი დიდების უძვირფასესი ნაშთი – თამარის დროინდელი მედალიონი ჰკიდია, რომელიც, მიუხედავად ოჯახის სასტიკი განსაცდელისა, გაყიდვას გადაურჩა და ახლა ეს გამდიდრების მანიით შეპყრობილი ევროპელი უთვალთვალებს (პარალელი თამარის სიმბოლურ ალმასთან „დიონისოს ღიმილთან"). ელი ჰექსლეისთვის საუკეთესო ბიზნესია. იგი ვაჭრობს ქალის სილამაზით ისე, რომ გულუბრყვილო ელის ვერც გაუგია. პირადი გამდიდრების ჟინით ატანილი ჰექსლეი გაოცებულია იმით, რომ ქართველები მუდამ არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ და გადაიტანეს მრავალგვარი უბედურება, გაკაჟებული იბრძოდნენ არსებობისთვის, ხოლო ევროპული გატაცება მეცნიერებით, პოლიტიკით, ხელოვნებით და ამერიკის დევიზი – სიმდიდრე, დოვლათი, დოლარი ქართველთათვის მეორეხარისხოვანი მოთხოვნილება იყო. გმირი მიუთითებს: „საქართველოში სადაც სრულიად მოულოდნელია, იქაც კი იპოვიდით ამ მძაფრ, აუადმყოფურ მუდმივ ფიქრს ეროვნული სხეულის შენარჩუნებისას".

ქართული სილამაზის ვარსკვლავი – ელი ევროპელთა თვალსასეიროს შეეწირა და ეს ეროვნული უბედურებაა, მაგრამ ისიც ერთგვარი ნუგეშია, რომ ინტელექტუალური და საქმიანი ევროპა მისი ერთი წარმომადგენლის – ბრომლეის სახით გულწრფელად და უანგაროდ ცდილობს ელისთვის ღირსეული პატივის მიგებას.

ამ ორ ნაწარმოებში „დიონისოს ღიმილი" და „შელოცვა რადიოთი" – იკვეთება ინდოეთისადმი ინგლისის აგრესიის მსხვერპლთა სახეები, რითაც ნათელია ავტორთა იდეა: მსოფლიო მასშტაბით წარმოაჩინონ ექსპლუატირებულ ერთა პოლიტიკური ყოფა, მონახონ თანამზრახველნი ეროვნულ ბრძოლაში და სოლიდარობა გამოუცხადონ დაკაბალებულ, მაგრამ თვითმყოფად ერებს.

კ. გამსახურდიას, გ. რობაქიძის, დ. შენგელაიასა და ნ. ლორთქიფანიძის მოდერნისტული ქმნილებები 20-იან წლებშია შექმნილი და მათში ძალუმად აისახა პატრიოტ შემოქმედთა ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისთვის, ტკივილი მძიმე ეროვნული სინამდვილის გამო, მაგრამ ამ ნაწარმოებების ღრმა მხატვრულ შრეებში, მიუხედავად საერთო ფონის ტრაგიკულობისა, მაინც იგრძნობა ურყევი რწმენა, რომ „არ გადავშენდებით!.. არ გადავშენდებით!.. არ გადავშენდებით!.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელა ჩიტაური

## ევროპელი ქართველის ხელმოუწერელი მეთაურები

ივანე მაჩაბლის შემოქმედება, მისი ცხოვრება და ამ ცხოვრების დასასრული გვაიძულებს და გვავალებს, რაც შეიძლება სრული წარმოდგენა ვიქონიოდ მის მოღვაწეობაზე, რაც შეიძლება მეტი გავიგოთ მის შესახებ.

ივანე მაჩაბლის პიროვნებისა და შემოქმედების უკეთ გაცნობისთვის აუცილებელია მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა, მისი, როგორც პუბლიცისტისა და კრიტიკოსის, დამსახურების შეფასება.

ი. მაჩაბლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ძირითადად 1879 წლიდან იწყება. 1879 წ. გაზაფხულზე უცხოეთიდან თბილისში ჩამოდის მრავალმხრივ განსწავლული, ერუდირებული ახალგაზრდა. ხდება ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი, თანამდგომი ყველა საქმეში, მოღვაწეობას იწყებს „ივერიასა“ და „დროებაში“.

1880-1881 წლებში „დროება-ივერია“ ერთად გამოდიოდა, 1882 წ. ეს ორი რედაქცია კვლავ გაიყარა. 1882-1883 წლების დასაწყისში მაჩაბელი მთლიანად „ივერიაში“ გადადის. ი. ჭავჭავაძე გადატვირთული იყო სხვა საზოგადოებრივი საქმეებით, სარედაქციო სამუშაოების მთელი სიმძიმე მაჩაბელს დააწვა მხრებზე. 1883 წ. აპრილში ს. მესხი გამოეთხოვა „დროებას“. ი. მაჩაბელმა გაზეთი„ დროება“ თავისი ვალებითურთ შეისყიდა. 1883 წ. აპრილიდან იგი, ფაქტიურად, გაზეთის რედაქტორია (რედაქტორობის გაფორმება მოხდა 1883 წ. ივნისში). 1885 წ. სექტემბერში „დროება“ ცენზურამ დახურა.

გაზეთ დროების 1880-1885 წლების ნომრებში ბევრი ხელმოუწერელი სტატიაა. ამ ხელმოუწერელი წერილების ავტორების დასადგენად უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1880-1883 წლებში მაჩაბელი ჯერ არ იყო გაზეთის რედაქტორი, ხოლო 1883-1885 წლებში ის გაზეთს რედაქტორობდა.

მაჩაბელი, სანამ გაზეთის რედაქტორი გახდებოდა, წერილებს ხელს აწერდა უმეტესად ინიციალით „მ“. 1880-1883 წლების „დროებაში“, აგრეთვე, „ივერიაში“ ბევრი ხელმოუწერელი სტატიაა და ძნელი გასარჩევია, ვის ეკუთვნის ისინი. მაჩაბლის და ილიას ხელწერაც ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. გაზეთ „ივერიის“ 1881-1883 წლების უსახელო მოწინავეთა შესახებ ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავს: „ვერ არჩევთ, ამ უსახელო მეთაურებში რა ვის ეკუთვნის, სად თავდება ილია და სად იწყება მაჩაბელი“.

მიუხედავად ამისა, არის ისეთი ხელმოუწერელი წერილები, რომელთა მაჩაბლისეულობა აშკარაა. ეს უმეტესად ეხება გაზეთ „დროების“ ფურცლებზე „სამეცნიერო საუბრების“ სათაურით დაბეჭდილ სტატიებს (თავისთავად „სამეცნიერო საუბრები“ შესაძლოა ნაკლებ ინტერესს იწვევდეს და მათ მნიშვნელობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, აუცილებელია მაჩაბლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის თავმოყრა, არ უნდა დაიკარგოს მისი არც ერთი წერილი).

„დროების“ 1880 წლის №135-ში ხელმოუწერლად არის დაბეჭდილი წერილი „სამეცნიერო საუბარი“. სტატია ასე იწყება: „ამას წინათ ერთი უსიამოვნო ამბავი ვუამბე ჩემს სოფლელ მკითხველებს. ვითომ ფუტკრის კბენას ისეთი ძალა ჰქონდეს, რომ კაცის მოკვლაც კი შეეძლოს.“

ზუსტად ეს ამბავი გადმოცემულია მაჩაბლის მიერ ხელმოწერილ „სამეცნიერო საუბარში“ (იხ. „დროება“. 1880 წ. №123. 13. VI, გვ. 1-3).

მაჩაბლის კალამს უნდა ეკუთვნოდეს ხელმოუწერელი „სამეცნიერო საუბარი“, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „დროების“ 1880 წ. 56-ე ნომერში. მაჩაბლის ხელმოწერით „დროების“ 1880 წლის 67-ე ნომერში დაბეჭდილ „სამეცნიერო საუბარში“ ვკითხულობთ: „მოარული ავათ-მყოფობა წვრილი ცხოველებისაგან წარმოსდგება. ამ საგანზედ ერთ-ერთ ჩემს ფელეტონში კიდეც მოველაპარაკე მკითხველებს. ეხლა მე მინდა ორიოდე რამ კიდევ ვაცნობო ამ საქმის შესახებ“ („დროება“, 1880 წ. №67, გვ. 3). ზუსტად ამ საკითხის შესახებ ლაპარაკია „დროების“ 1880 წ. №56-ის ხელმოუწერელ „სამეცნიერო საუბარში“.

წერილი „გორის კრება“ მაჩაბლის ხელმოწერით გამოქვეყნებულია გაზეთ „დროების“ 1880 წ. 67-ე ნომერში. წერილი ეხება გორის თავადაზნაურთაგან ფულადი სახსრების შეგროვების საკითხს. ეს ფული უნდა მოხმარებოდა საშუალო სასწავლებლის დარსებას. წერილები „გორის კრების განჩინება“ და „შკოლის ხარჯების მოხმარება“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებულია „დროების“ 1880 წ. 69-70-ე ნომრებში. ჩვენი აზრით ისინი აუცილებლად მაჩაბლის კალამს ეკუთვნის. ხელმოუწერელ წერილებში გრძელდება ზემოთ აღნიშნულ ხელმოწერილ წერილში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ მსჯელობა. გარდა ამისა, წერილი „შკოლის ხარჯის მოხმარება“ იწყება ასე: „ერთი ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა მოგახსენოთ ქართლის თავადაზნაურობის გარდაწყვეტილების თაობაზედ“ („დროება“, 1880 წ. №70, გვ. 1).

სავარაუდოა, დანარჩენი ხელმოუწერელი „სამეცნიერო საუბრების“ მაჩაბლისეულობაც. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს, ჯერ ერთი, წერის მანერა, სტილი და, მეორეც, სტატიებს „სამეცნიერო საუბრების“ სათაურით მხოლოდ მაჩაბელი წერდა. ცნობილია, რომ ივანე მაჩაბელმა აგრონომიული განათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება მიიღო და, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ამან გარკვეულად განაპირობა მისი სტატიების შინაარსი, აგრეთვე, მისი შეხედულებებისა და აზროვნების მიმართულება.

1883 წლის ივნისიდან 1885 წლის სექტემბრამდე ი. მაჩაბელი გაზეთ „დროების“ რედაქტორია. ამ დროისათვის გაზეთის ფურცლებზე თითქმის აღარ გვხვდება მაჩაბლის ხელმოწერით გამოქვეყნებული სტატიები. მართებულად აღნიშნავს ვ. ჭელიძე: „ამ დროიდან უკვე ყველა მასალასა და სტრიქონში უნდა ვეძებოთ მისი აზრი. ოღონდ აქ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან ბანკის საქმეების გამო მაჩაბელს მოგზაურობა უხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მაშინ ზოგიერთი მისი თანამშრომელი თავისუფლად გრძნობდა თავს. ისეთს რასმე გამოაქვეყნებდა ხოლმე, რაც მაჩაბლის აზრსა და ხასიათს სავსებით ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ როცა თბილისში იყო, ხშირად მთელი გაზეთის შედგენა მას უხდებოდა“.

ჩვენი აზრით, გაზეთ „დროების“ 1883-1885 წლების ხელმოუწერელი მეთაურების დიდი ნაწილი (თუ სულ არა) მაჩაბლის დაწერილია. მის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „ვისაც ყოველდღიურ გაზეთში არ უშრომია, იმისთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ ჰღუპავს და ნთქავს კაცის მთელ ძალას ნამეტნავად მაშინ, როცა ყველასაგან მივიწყებული და შემწეობას მოკლებული გაზეთის რედაქტორი თითონა წერს მოწინავე სტატიებს, ფელეტონსაც, ქრონიკასაც თითონ ადგენს“ (1883 წ. № 149).

დღემდე რამდენიმე ხელმოუწერელი მოწინავეა მიკუთვნებული მაჩაბლის კალამს, ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ ხელმოუწერელ მეთაურებს, ამ წერილების ენის, სტილის, შინაარსის და მათში წარმოდგენილი აზრებისა და შეხედულებების გაცნობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი მაჩაბლის კალამს ეკუთვნის. და დავადასტუროთ ზემოთ ზოგადად გამოთქმული მოსაზრება გაზეთ „დროების“ 1883-1885 წლების ნომრების ხელმოუწერელ მოწინავეთა მაჩაბლისეულობის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, მაჩაბელს საბუნებისმეტყველო განათლება ჰქონდა მიღებული. ზოგიერთ წერილში კონკრეტულად მოჩანს ამ განათლების ანარეკლი. ავტორი გარკვეულ შემთხვევაში საზოგადოებრივი მოვლენის შედარებას ახდენს ბუნებაში არსებულ მოვლენებთან. მაგ. 1883 წ. № 209-ის მოწინავეში „ძალად პედაგოგები“. საუბარია კერძო სასწავლებლების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ხშირად კერძო მასწავლებელი არ არის ის, რაც მშობელს ჰგონია და აქვე აგრძელებს: „ბუნების მეცნიერებაში არის რამდენიმე მოვლენა, რომელსაც გრძნობის მოტყუებას ეძახიან. წყალში რომ ჯოხი ჩასდოთ, გადატეხილი გეჩვენებათ, დასორხოლავებული პურის გული რომ ერთმანეთზე გადადებული თითებით აქეთიქით მიაგორო, თითქოს ეს მარცვალი ორად გადაიქცევა, ესევე მოხდება ხოლმე საზოგადოების ცხოვრებაში“.

ზოგჯერ წერილებს შორის შეინიშნება თანმხვედრი მოსაზრებანი ამა თუ იმ კონკრეტული საკითხების შესახებ. გავეცნოთ გაზეთ „დროების“ 1883 წ. № 168, 169-ში გამოქვეყნებულ ხელმოუწერელ მოწინავეს და შევადაროთ 1885 წ. 25-ე ნომერში დაბეჭდილ მოწინავე სტატიას, რომელიც დღეისათვის მაჩაბლისეულად არის მიჩნეული. 1885 წ. 25-ე ნომრის წერილში ავტორი უსაყვედურებს ქართველ კაცს, რომ მან ბრმად მიიღო ევროპული წეს-ჩვეულებანი და დაივიწყა ყოველივე ქართული. წერილში ნათქვამია: „...განა ჩვენი განთქმული ცხენოსნობა, იარაღის ხმარება ცივილიზაციის საწინააღმდეგოა?!“. იგივე შეხედულება გამოთქმულია 1883 წ. № 168-169-ის ხელმოუწერელ მოწინავეში. ავტორი აქ პასუხს სცემს მათ, ვინც მკვლელობათა გახშირების საბაბით მოითხოვს იარაღის ტარების აკრძალვას და იარაღს საერთოდ ცივილიზაციის მტრად აცხადებს. ავტორი აღნიშნავს: „საუბედუროდ შედარებითი სტატისტიკა ჯერ სიზმარშიაც არავის მოჰლანდებია, თორემ ის რომ არსებობდეს მაშინ ცხადად დამტკიცდებოდა, სად უფრო ხშირია კაცის კვლა, ჩვენში თუ რუსეთში?.. ევროპის საუკეთესო პედაგოგნი იმდენს ყვირიან ფიზიკურს აღზრდაზედ, რომ ხმა ამოეხრინწათ. და ჩვენი, საიდანღაც გამომტყვრალი რეფორმატორები იმის მოსპობას ქადაგებენ, რაც საუკეთესო საშუალებაა ფიზიკური აღზრდისა. იარაღი არამცთუ მარტო ფიზიკურად, სულითაც ავარჯიშებს და ამაღლებს კაცის ბუნებას“.

1884 წლის № 278-ში დაბეჭდილია მოწინავე გლეხთა ოჯახების გაყრის თაობაზე. ამ წერილში ლაპარაკია ქართველი გლეხის ზნეობაზე, მის ოჯახზე, შრომისმოყვარეობაზე, აქვე განსაკუთრებით აღნიშნულია გლეხის პატივისცემა ქალისადმი, მეუღლისადმი: „გლეხის აზრით, ქალს, დედა-კაცს გლეხკაცის ცხოვრებაში ფართო და დიდი ადგილი უჭირავს, იგი დარწმუნებულია, რომ დედაკაცის საოჯახო მოხერხებაზე, დიასახლისობაზედ ბევრად დამოკიდებულია გლეხკაცის ოჯახის ბედნიერება. ეს შეხედულება... ისტორიულად არის შედეგი ერის ხანგრძლივის, კულტურულის ცხოვრებსია...“ იქვე ავტორი ქართველ კაცს უპირისპირებს რუს გლეხს: „რუსის გლეხიც ამგვარივე შეხედულებისაა შრომაზე... მაგრამ განსხვავებაც არის, რუსის გლეხში ეს შეხედულება უკიდურესობამდეა მისული. მას შეურაცხყობადაც არ მიაჩნია მაგ. ქალის უნამუსობა, ოღონდ იგი მშრომელი იყოს, რუსის გლეხი რომგსაც არ იითაკილებს... ქართველი გლეხი კი პირველს გარემოებას საშინელ სირცხვილადა და მომაკვდინებელ ცოდვადა სთვლის დედაკაცისთვის და გარომგვას კი არა. უბრალო ხელის შეხებას და გალახვასაც სიკვდილს არჩევს... ისე ეუცხოვება ყოველივ კაცის ღირსების დამამცირებელი მოქმედება“.

შეხედულებები რუს გლეხზე გამოთქმულია ი. მაჩაბლის წერილში „არეული ფიქრები (ქართველი ევროპაში)“ (წერილი დაცულია ლიტ. მუზეუმში, ი. მაჩაბლის ფონდში - 1885-6. ეს წერილი პირველად გამოაქვეყნა ჯ. მჭედლიშვილმა „ლიტერატურულ საქართველოში“. 1993 წ. 7 იანვარს):

„დღესაც ავიღოთ რუსის გლეხი, თუ იმასაც იოანე მტარვალივით არ ესმოდეს ქრისტეს მცნება?! მიდის საავაზაკოდ, ვისაც კი დაიხელებს, რასაკვირველია, სასიკვდილოდ არ დაზოგავს... დიდ პარასკევს, როცა სხვაგან ყველა ქრისტიანი იგონებს ჯვარზე გართხმულს, რუსი გადაკრული მოლხენილი არის და აღარაფერ ცოდვას არ ერიდება. გლეხს... ყველასგან დაჩაგრულს, როგორც ყველაზე მდაბალს, არავინ რჩება ცოლ-შვილის მეტი, რომ გამოიჩინოს თავის

ძალაუფლება და იმათ სჩაგრავს... აწვალებს არა თუ მარტო ფიზიკურად, ზნეობრივადაც კი... წამდაუწუმ უპარტყუნებს ცოლს ისე უბრალოდ, ქეიფის გულისათვის..."

გაზეთ „დროების" 1883-1885 წლების მოწინავეებში ხშირად გვხვდება დამაკავშირებელი ფრაზები. მაგალითად, 1883 წლის № 119 მოწინავე ასე იწყება: „ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ასე ბევრს ვლაპარაკობთ ქუთაისის ბანკზედ... ჩენ ჩვენი შეხედულება ამ საგანზედ წინადვე გამოვთქვით და ეხლა ერთის პეტერბურღულ გაზეთიდამ ამოვწერთ ამავე საგნის შესახებ რამდენიმე სიტყვას".

1885 წლის № 164-ის მოწინავე ასე იწყება: „გუშინ, ჩვენს მოწინავე წერილში გაკვრით შევეხეთ ხალხის ჩვეულებრივს უფლებას..." ამ საკითხის შესახებ ლაპარაკია 1885 წ. № 163-ის მოწინავეში.

ეს ფრაზები „ჩვენ ვთქვით", „ჩვენ შევეხეთ", შესაძლოა საერთოდ, გაზეთზე, მის რედაქციაზე იყოს ნათქვამი, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ასეთი დამაკავშირებელი ფრაზებიც გარკვეულად განამტკიცებს ხელმოუწერელ მოწინავეთა ერთი ავტორის არსებობის ვარაუდს.

გაზეთ „დროების" 1883-1885 წლების მოწინავეებში საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების არც ერთი მხარე უყურადღებოდ არ რჩება, მათში საუბარია იმდროინდელ ყველა საჭირბოროტო საკითხზე. მაგრამ ხელმოუწერელ მეთაურებში მაინც შეინიშნება უფრო კონკრეტული, პრაქტიკული დამოკიდებულება ცხოვრებისეული პრობლემებისადმი, ამა თუ იმ მოვლენისადმი. როგორც აღინიშნა, 1880-1882 წლების „დროებაში" მაჩაბელი ზოგჯერ წერილებს ხელს აწერდა. ამ წერილებში და, კერძოდ, „სამეცნიერო საუბრებში" გადმოცემული ყველა საკითხი, როგორც ვ. ჭელიძე აღნიშნავს: „საჭირბოროტო იყო და ცხოვრებისაგან ნაკარნახევი... მაშინდელი ჩვენი სოფელი დაბეჩავებული იყო ცრუმორწმუნეობით, მკითხავებით, ექიმბაშებით, ათასნაირი სნეულებით", წიგნების უქონლობით, გაუნათლებლობით.

ამ საკითხების გარშემო საუბარი ზოგჯერ კონკრეტულად, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენის გამო, ზოგიერთ შემთხვევაში კი - ზოგადად. „დროების" 1883-1885 წლების ხელმოუწერელ მოწინავეებშიც გრძელდება. წერილების ავტორი განგაშს ტეხს ხან სოფლის ტყე-ველებში კალიის, ხან ვენახებში ფილოქსერის, ხან ხოლერის გაჩენის გამო. ასწავლის ხალხს მათთან ბრძოლის ხერხებს. ავტორს გული სტკივა, რომ შეუგნებელი ხალხი ბარბაროსულად აჩანაგებს ტყეებს, რომ ყურადღება არ ექცევა საექიმო მომსახურებას, არ ფასდება მასწავლებლის, ექიმის შრომა.

ამ მოწინავეებიდან ჩანს, რომ მხოლოდ სპეციფიკური (კერძოდ, აგრონომიული, საბუნებისმეტყველო) განათლების მქონე პიროვნებას შეეძლო ასე ღრმად ესაუბრა ბუნების მოვლენებზე, ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობაზე და ამ მიმართულებით წამოეჭრა დიდი, პრობლემატური მნიშვნელობის მქონე საკითხები.

წერილში „ახალი ნაბიჯი" („დროება", 1883 წ. № 106, 107) ვკითხულობთ: „მეურნეობა მეტად რთული საგანია. მას ეჭირვება თეორიული და პრაქტიკული შესწავლა, ბუნება ემორჩილება მხოლოდ იმას, ვინც მისი კანონების ცოდნით არის აღჭურვილი... უმეცარს კაცს შეუძლია შიმშილით მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში, თუ ამ ბუნებისა არაფერი გაეგება... უმეცრების მოსასპობლად უკეთესს საშუალებად ითვლებიან სასოფლო-სამეურნეო სკოლები". განათლებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა... უნდა ხმარობდეს ყოველს ღონისძიებას, სამეურნეო წარმოება დააყენოს იმისთანა ნიადაგზე, რომ დედამიწა უკეთესად შემუშავდეს... ვაჭრობის და მამულის შემუშავების ინტერესების ერთად დაცვით შევიძლებთ ქვეყნის კეთილდღეობის დამყარებას და სახელმწიფოს გაძლიერებასაც" (1884, № 20-21).

„ქვეყნის ცხოვრება იმავე განვითარებისა და წარმატების კანონებს ემორჩილება, რომელნიც სუფევენ მთელს ბუნებაში საერთოდ და ორგანოვანს ბუნებაში კერძოდ... საზოგადოებრივი ცხოვრებაც ხშირად ვარდება ავადმყოფობაში. ეს ავადმყოფობა, სნეული მდგომარეობა ქვეყნის ცხოვრებისა... საზოგადოებრივს ორგანიზმს ისევე სტანჯავს და აწუხებს, როგორც თითოეულს ორგანოვანს არსებას... საჭიროა ამ დროს, რომ ერს მაგარი სხეული ჰქონდეს...." („დროება", 1885 წ. № 191-ის მოწინავე).

წინამდებარე წერილში ჩვენ განვიხილეთ ის ფაქტები და მოსაზრებანი, რომელთაც შესაძლებლობა მოგვცა გაზეთ „დროების" 1879-1885 წ. წ. ნომრებში ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ზოგიერთი წერილი მაჩაბლისეულად მიგვეჩნია. ახლა ზოგადად შევეხებით ამ გაზეთის წერილებში წამოჭრილ ზოგიერთ პრობლემას და აღვნიშნავთ ამ ხელმოუწერელი წერილების შესწავლის, მათი ავტორის გარკვევის აუცილებლობას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გაზეთ „დროების" 1883-1885 წ. წ. ხელმოუწერელ მეთაურთაგან ჩვენ ყურადღება მივაქციეთ უმეტესად იმ წერილებს, სადაც ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ, აგრარულ საკითხებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურ საჭიროებაზე და არა ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე. რადგან ისინი, ჩვენი აზრით, გაზეთ „დროების" 1880-1882 წლების ნომრებში მაჩაბლის ხელმოწერით გამოქვეყნებული „სამეცნიერო საუბრების" გაგრძელებას და განზოგადებას წარმოადგენს.

ევროპიდან დაბრუნებულ აგრონომიულ-საბუნებისმეტყველო განათლებამიღებულ მაჩაბელს, როგორც ჩანს, აუცილებლად მიაჩნდა მის გაზეთს მკითხველებთან ესაუბრა, უპირველეს ყოვლისა, ხალხის ყოველდღიურ სატკივარზე, ესწავლებინა ადამიანებისათვის, როგორ დაეღწიათ თავი სიდუხჭირისაგან, გაუნათლებლობისაგან. გაზეთ „დროების" 1883-1885 წლების ხელმოუწერელ სტატიებში ჩანს არა უნიადაგო მეოცნებე, როგორებიც ჩვენში მაშინაც ბლომად იყვნენ, არამედ პრაქტიკოსი, ქართველი კაცის ეკონომიკურ თუ სულიერ მდგომარეობაზე დაფიქრებული ადამიანი, რომელმაც იცის, რა უჭირს და ულხინს მის თანამოძმეს, მის სამშობლოს.

ერთ-ერთ მოწინავეში ვკითხულობთ: „დავანებოთ თავი თუნდ ამ ეკონომიურ საგნებს. ეს ღირსი არ არის ლაპარაკისა ჩვენის იდეალისტებისათვის, რომელნიც ვიქტორ ჰიუგოთი და ტურგენევით ატკბობენ თავიანთ ესთეტიურს გრძნობას და პუშკინის კითხვით თავიანთ ნაზს... სმენას. მაგრამ განა ან ეს კი მართალია? განა ან ეს კი ითქმის ჩვენს გონებრივ მონობაზე, გონებრივ გლახაკობაზე. მერე იმათ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ ჰიუგო იკითხონ და პუშკინით დაიტკბონ სმენა, პისარევს გენიოსი ვიღამ დაუძახოს... მერე „ვეფხისტყაოსანს“ არაკი როგორღა დაუძახოს, საკუთარი წარსული ერთს საუკუნო სიბნელედ და უღაბნოდ როგორღა აღიაროს?“ (1884 წ. №272).

მაჩაბლის აზროვნება პროგრესულია, მისი მსჯელობა საღია, მისი ინტერესების სფერო მეტად ფართოა. ივ. მაჩაბელი არაერთ წერილში ამბობს, რომ ეკონომიკურ-აგრარული გარდაქმნების, საერთოდ, ეკონომიკური წინსვლის გარეშე შეუძლებელია ხალხის საზოგადოებრივ-კულტურული განვითარება, ზნეობრივი სრულყოფა. იგი აუცილებლად თვლის ადამიანის ჰარმონიულ, ყოველმხრივ განვითარებას. „გონებითს, ზნეობითს და ნივთიერს კეთილდღეობას“ (1884 წ. №94) და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ წვრთნას: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ - ეს პრინციპი მის არაერთ ხელმოწერილ თუ ხელმოუწერელ წერილშია გატარებული.

გაზეთ დროების 1883-1885 წ.წ. მთელ რიგ ხელმოუწერელ მოწინავეებში გატარებულია ის აზრი, რომ აუცილებელია სწავლის, ცოდნის გაღრმავება, მეცნიერულ სიახლეთა შეთვისება. ამის უმთავრეს საშუალებად კი ევროპული განათლების მიღებაა მიჩნეული: „ევროპა ჩვენ ვერ გვიცნობს... ჩვენი ქვეყნის მეცნიერულად შესწავლა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს არა მარტო ჩვენთვის, არამედ საზოგადოდ ცივილიზაციისათვისაც. ეს სამწუხარო ამბავი იმისგან წარმოსდგება, რომ ჩვენ ნამდვილ, ყოველმხრივ ევროპულს განათლებას ვართ მოკლებული. ჩვენ არა გვყავს ისეთი კაცები, რომელთაც იცოდნენ უცხო ენები...“ (1885 წ. №40).

გაზეთ „დროების“ 1883-1885 წ. ხელმოუწერელი მოწინავეები, სადაც ლაპარაკია ევროპული განათლების მიღების აუცილებლობაზე, მრავალია. ალბათ, სწორედ ამიტომაც თვით მაჩაბლის თანამედროვენიც ბევრს წერდნენ მაჩაბლის ევროპელობაზე; მაგრამ, როგორც ვ. ჭელიძე აღნიშნავს, „ამ საკითხს ცოტა უფრო ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. მაჩაბელი ერთი წუთითაც არ მოშორებია მშობლიურ ნიადაგს, ხალხს, მის სიბრძნეს“. მართლაც, გაზეთ „დროების“ 1883-1885 წ.წ. არაერთ ხელმოუწერელ მოწინავეშია ლაპარაკი ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული კულტურის და, საერთოდ, ყოველივე ეროვნულის განვითარებაზე. ამ ხელმოუწერელი წერილებიდან აშკარაა, რომ ევროპული განათლება მაჩაბლისათვის თვითმიზანი კი არ იყო, არამედ საშუალება ქართველი კაცის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მისი აზრით, ევროპულმა განათლებამ ქართველ ხალხს ეროვნული სახე კი არ უნდა დააკარგვინოს, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული ენერგიის გამოვლინებას, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას.

გაზეთ „დროების“ 1880-1885 წლების ნომრების ხელმოუწერელ წერილებში, განსაკუთრებით კი 1883-1885 წ. წ. ხელმოუწერელ მოწინავეებში, შეუმჩნეველი არ რჩება საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების არც ერთი სიახლე.

არაერთი ხელმოუწერელი მოწინავეა დაწერილი თბილისის და ქუთაისის ბანკების საქმიანობის შესახებ. თითქმის ყველა წერილში გატარებულია ერთი აზრი: საჭიროა მომჭირნეობა: „მამულები ბოლოს იმას დარჩება, ვინც უფრო მომჭირნეა, ვინც უფრო მშრომელია“ (1885 წ. №112).

არაერთ მოწინავე წერილში დაგმობილია გათიშულობა, ის მიჩნეულია საზოგადოებრივი საქმიანობის დამაბრკოლებელ ძალად. „წვრილმანი თავმოყვარეობა, შური და მტრობა... განდევნილ უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობიდამ“ (1885 წ. №123).

ხელმოუწერელ მოწინავეთაგან ნაწილი ეხება ძველი ქართული მწერლობის აღდგენის, საისტორიო საზოგადოების დაარსების საკითხებს, ქალთა განათლების პრობლემებს, მთიელთა ცხოვრებას და ა. შ.

ივანე მაჩაბელი, უპირველეს ყოვლისა, დიდი მთარგმნელი და ლიტერატორი იყო. ამას ადასტურებს გაზეთ „დროების“ ხელმოუწერელ მოწინავეთა შესწავლაც. ამ წერილებში განხილულია ხელოვნების თითქმის ყველა დარგთან დაკავშირებული ზოგადი თუ კონკრეტული საკითხები: აშკარაა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანჭებდა ივ. მაჩაბელი ხელოვნებას, ლიტერატურას ადამიანის ცხოვრებაში.

წინამდებარე წერილი მთლიანად ვერ ამოწურავს მაჩაბლის პუბლიცისტიკასთან დაკავშირებული ატრიბუციის თუ სხვა პრობლემებს. გაზეთ „დროებაში“ ძალიან ბევრია საინტერესო, მნიშვნელოვანი ხელმოუწერელი წერილი. აუცილებელია, აგრეთვე, 1880-1883 წ. წ. გაზეთ „ივერიის“ ნომრების გაცნობაც, ზოგიერთი მასალა დაცულია ლიტერატურის მუზეუმში, აგრეთვე, ცენტრალურ ისტორიულ არქივში.

მაჩაბლის პუბლიცისტურ ნაწერებში დღევანდელი საქართველოსათვის საჭირბოროტო ბევრი საკითხია განხილული: რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანა იყოს დამოუკიდებელი, ეკონომიკურად ძლიერი, ხალხი ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი, განათლებული და სულიერად ამაღლებული. სწორედ ამიტომაც ივანე მაჩაბლის პუბლიცისტური მემკვიდრეობა ინარჩუნებს სადღეისო მნიშვნელობას და აუცილებლად საჭიროებს შემდგომ კვლევა-ძიებას.

# ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის შემდეგ...

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ...

პოეტი, რომელმაც ქართული ლექსი ტექნიკურ-ვერსიფიკაციული სიახლეებით, ძიებებით ახალ სიმაღლეზე აიყვანა;

გივი გეგეჭკორი...

პოეტი, რომლის გარეშეც ძნელი წარმოსადგენი იქნება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზია.

გივი გეგეჭკორი ფუტკრის მონდომებით ქმნიდა შესანიშნავ ლექსებს, რომელთა ესთეტიკური ღირებულება სულის განწმენდას, მშვენიერთან მიახლოებას გულისხმობდა ყოველთვის. თვითონაც, მუდამ მოწესრიგებული, ჩუმი და გაწონასწორებული სხვებისგანაც იგივეს მოითხოვდა. უპასუხისმგებლობა, ზედაპირულობა და მოჩვენებითი პოზა ცხოვრებაში და შემოქმედებაში მისთვის მიუღებელი იყო და უკომპრომისოდ იბრძოდა ჭეშმარიტების, სიწმინდის, პატიოსნების დასაცავად. ამიტომ მისი ლექსები და წერილები ყოველთვის მაღალი ღირებულებით და საოცარი გემოვნებით გამოირჩეოდნენ; რაზეც უნდა ეწერა ბატონ გივის, ეს იქნებოდა მწერლობა, მხატვრობა თუ სხვა რომელიმე სფერო ჩვენი კულტურისა, მისი ნაწერი ყოველთვის დიდი პროფესიონალიზმით, სიყვარულითა და ღრმა ანალიზით ხასიათდებოდა. ეს იყო პოეტი ესთეტი, ამ სიტყვის კარგი გაგებით! გივი გეგეჭკორი ნამდვილი ლირიკოსი იყო. მისმა პოეტურმა კრებულებმა „ჩემი დღესასწაული“, „მეორე მდინარე“, „საუკუნე თავდება“, „მზიანი დღე“, „ერთტომეული“, „სიზმრის წიგნი“ და სხვა მრავალმა, მკითხველი საზოგადოების დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურეს.

გივი გეგეჭკორი განსაკუთრებით ახლობელი იყო ცისკრელებისთვის, რომელიც წლების განმავლობაში ამ ჟურნალში ხელმძღვანელობდა პოეზიისა და პროზის განყოფილებებს და რომელმაც არაერთ ახალგაზრდა ავტორს დაულოცა გზა დიდ მწერლობაში. მისი სითბო და გულისხმიერება ყოველ ჩვენთაგანს, ახალ ცისკრელებს თავის თავზე გამოგვიცდია. ის ბოლომდე ცისკრელად დარჩა, როგორც „ცისკრის“ საკონსულტაციო საბჭოს წევრი, როგორც „ცისკარზე“ და „ცისკრის“ ავტორებზე, მომავალ მწერლებზე მოფიქრალი და დიდი გულშემატკივარი,

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პოეტი, მამულიშვილი, პიროვნება და დაგვიტოვა ტკივილი, რომელიც ხშირად გაგვახსენებს მის ბრწყინვალე ლექსებს და მისი კეთილი, მოღიმარი თვალებიდან მომდინარე კითხვას: „როგორ იქნებით, ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის შემდეგ როგორ იქნებით!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „ცისკრის“ განცხადება

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია თავს მოვალედ თვლის, განაცხადოს შემდეგი:

ჩვენს დახლეჩილ საზოგადოებაში ლიტერატურულმა ჟურნალმა უნდა ითავოს გამაერთიანებლის როლი. ლიტერატურა ის ასპარეზია, სადაც, მიუხედავად აზრთა დაპირისპირებისა, იკვეთება ქვეყნის სულიერი ერთობა. ჩვენი ჟურნალის პრინციპული პოზიციაა, თავისი გვერდები დაუთმოს ყოველ ნიჭიერ მწერალს, მიუხედავად მისი პოლიტიკური მიკერძოებისა. ჩვენ ცენზორის როლს ვერ შევასრულებთ, ნაწარმოების ტექსტზე პასუხისმგებელია მხოლოდ და მხოლოდ ავტორი.

ჩვენი ეს განცხადება გამოიწვია მკითხველთა ერთი ნაწილის რეაქციამ ცნობილი პოეტის მიხეილ ქვლივიძის ნაწარმოების „ვაპირებ ცხოვრებას“ იმ ეპიზოდებზე, სადაც ავტორი ეხება ბატონ ირაკლი აბაშიძესთან ურთიერთობას და იხსენებს სხვის მონათხრობს ბატონ ზვიად და კონსტანტინე გამსახურდიებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, ვიზიარებდით თუ არა ავტორის პოზიციას, რედაქცია ვერ იკისრებდა ცენზორის როლს და, რომ მოგვეწადინებინა კიდეც, ვერც ფაქტების გადამოწმებას შევძლებდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Omega
ომეგა

დედის დაზღვევა
INSURANCE OF MOTHER
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანია
GEORGIAN STATE INSURANCE COMPANY



## ახალი წიგნები












ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელა ფერაძე „გასეირნება“




რეზო გვირჯიშვილი „9 აპრილი“

ნომერში გამოყენებულია
რამაზ კორშიას,
რეზო გვირჯიშვილის,
ლელა ფერაძისა და
გიორგი აფციაურის
ნამუშევართა რეპროდუქციები



ორგი აფციაური „შესაწირი ხარი“



ელა ფერაძე „ხარება“



რამაზ კორშია „პეიზაჟი“